საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვირის პალიტრა
## ყოველკვირეული გაზეთი

№7 (572) ◆ 13 – 19 თებერვალი. 2006 წ. ◆ ფასი 60 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

## დაძაბულობა კონფლიქტის ზონაში კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება

**გზებს სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება!..** გვ. 8,13

„პროვოკაციის შემთხვევაში სამაჩაბლო აივსება კაზაკებით და ჩრდილოკავკასიელი მოხალისეებით"



„ეგა გვ. 30 ღამლამობით ყუმბარებს ამზადებს..."

## თურქეთთან უვიზო მიმოსვლა რუსეთის წინააღმდეგ...

„ოფიციალური თბილისი იძულებული იქნება დათმოს ცოტა, რათა ბევრი არ დაკარგოს"

## სახიფათო თამაშები

## „პუტინისა და სააკაშვილის შეხვედრა განმუხტავს ვითარებას"



„როგორ გგონიათ, ნავთობსადენის შესახებ დოკუმენტზე რატომ არის კლინტონის ხელმოწერა?"

„ხშირად საწოლი ყუმბარების ნამსხვრევებით სავსე დამხვედრია" გვ. 7,11

## „კარგ სამსახურს ყველაფრის მკადრებელი ხალხი შოულობს"



გვ. 7

„რისი გამომძიებელია რუხაია, ბექაურის ბარზე „სმირნაზე" დგება"

## პრინციპული უვიცობა თუ უვიცების პრინციპულობა?!



### დაუყენეთ საგაზეთო ჯიხურებს ბორბლები და სალარო-აპარატები აღარ დაგჭირდებათ...

ჩვენს კანონმდებლებს კიდევ ერთხელ უნდა შევახსენოთ, რომ დღევანდელი „პრინციპული" ჩინოვნიკების ხელში განსაკუთრებით აქტუალურია გამონათქვამი: ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო...

გადასახადებისგან გათავისუფლებთ, მაგრამ გაზეთები არ გაყიდოთო...

თავისუფალი აზრი მოსახლეობამდე ვეღარ აღწევს!

„უცნაურია, პირდაპირ პრესის ჯიხურებს რომ დაეტაკნენ" გვ. 6,7

ნამდვილად არავის ეურჩევ, პარლამენტარების დაპირებათა იმედად მთური ცვლილების მოლოდინში სალარო-აპარატებზე უარის თქმას...

**ლაშა გოცირიძე**



საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს ელაპარაკა ქალბატონი ნინო ბურჯანაძე და ყველაფერს დავაზუსტებთ, რათა ეს უხერხული სიტუაცია გამოვასწოროთ. ვეცდებით, რომ ამ კვირაში ეს ცვლილება მივიღოთ და ამით დავამთავროთ მთელი ეს გაუგებრობა... ალბათ, ჩვენი ბრალიც არის...

„კანონში ჩანაწერი უნდა გაჩნდეს იმის შესახებ, რომ სალარო-აპარატები არ უნდა იყოს იმ ჯიხურებში, რომლებიც მხოლოდ პრესას ყიდიან"

შეავსეთ ანკეტა და თქვენი გაზეთი გვ. 37 უფრო საინტერესო გახდება

ФАЗЕНДА

„ფაზენდას" ქათამი – გემრიელი, უსაფრთხო და რაც მთავარია – ჯანმრთელობისათვის სასარგებლო

გვ. 13 R

## მოსამართლეები დეპუტატის დიპლომის გაუქმებას ითხოვენ



„გერმანიიდან მივიღეთ ცნობა, რომ კალანდაძეს იქ ექსპერტ-იურისტად არასოდეს უმუშავია..." გვ. 5

**ეკონომიკა** გვ. 27

### ვინ დააკონსერვა ნავთობისა და გაზის ქართული საბადოები?

**მედიცინა** გვ. 28

### პანდემიის პირისპირ?!

ფრინველის გრიპი ჯერ კიდევ 100 წლის წინ იტალიაში აღმოაჩინეს

**იბეჭდება პირველად**

### საქართველოს გადმოსახედი

გვ. 21 **გოდერძი ჩოხელი**

აქ მაცხოვრებელი ბერები ისეთი წმინდა ყოფილან, რომ ფრენა შესძლებიათ. მერე რწმენა შერყევიათ და ფრენის ნიჭი დაუკარგავთ. მას მერე მიტოვებულია მათი სენაკები...

**საქართველოს საპატრიარქო**

### წმინდა სინოდის სხდომა 2006 წელი

გვ. 4,37



## მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პრეზიდენტი პარლამენტში 14 თებერვალს გამოვა

„14 თებერვალს საქართველოს პარლამენტის წინაშე საქართველოს პრეზიდენტი ყოველწლიური საანგარიშო სიტყვით წარდგება", — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე. მისი თქმით, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საგაზაფხულო სესიის პირველივე კვირებში უნდა გაიმართოს საქართველოს პრეზიდენტის საპროგრამო სიტყვის მოსმენა, რომელიც ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს შეეხება.

## უვიზოდ სამი თვის განმავლობაში



საქართველოსა და თურქეთის მოქალაქეებს უფლება აქვთ 90 დღის განმავლობაში ამ სახელმწიფოების ტერიტორიებზე უვიზოდ იმყოფებოდნენ. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა და საქართველოში თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ერთან თეგზოგმა 1996 წელს საქართველოსა და თურქეთის მთავრობებს შორის გაფორმებულ სავიზო შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით ნოტები გაცვალეს. 90 დღის ამოწურვის შემდეგ მხარეთა მოქალაქეებმა უნდა მიიღონ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნის უფლება, რომელიც კანონმდებლობების შესაბამისად გაიცემა. გელა ბეჟუაშვილის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება ადასტურებს იმას, რომ საქართველომ და თურქეთმა ურთიერთობების უმაღლეს დონეს მიაღწიეს და ის მხოლოდ სტრატეგიული პარტნიორობით არ შემოიფარგლება. როგორც თურქეთის ელჩმა აღნიშნა, ეს ნაბიჯი ორი ქვეყნის მეგობრობის ყველაზე კარგი გამოხატულებაა და ხელს შეუწყობს ქვეყნებს შორის ეკონომიკური, სავაჭრო და ტურისტული ურთიერთობების განვითარებას. გარდა ამისა, უვიზო მიმოსვლა საზღვრისპირა რეგიონებში ვაჭრობის მოცულობას გაზრდის. სპეციალური ვიზებისთვის სავიზო მოსაკრებელი 100 აშშ დოლარიდან 50 აშშ დოლარამდე შემცირდა. სპეციალური ვიზები გაიცემა მუშაობის, განათლების მიღების ან ქვეყანაში ცხოვრების მიზნით. ამ სახის ვიზები ძალაშია ერთი წლის განმავლობაში. მხარეთა შეთანხმების მიხედვით, ასევე დაიწყება შესაბამისი პროცედურების მომზადება ბიზნესმენებისა და საქმიანი წრეებისათვის ერთწლიანი უვიზო მიმოსვლის შემოღების შესახებ.

## „მრეწველთა" ფრაქცია აღდგა

ახალმა მრეწველებმა ოფიციალურად დაადასტურეს საპარლამენტო ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციიდან" გამოსვლა, თუმცა განაცხადეს, რომ მათ საარჩევნო ბლოკ „მემარჯვენე ოპოზიციისთვის" ბლოკის დაშლა არ შეუთავაზებიათ. საპარლამენტო ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციიდან" „მრეწველებმა" მათი კვოტით მოხვედრილი ყველა დეპუტატი წაიყვანეს, მათ კიდევ სამი დეპუტატი — აბაშის მაჟორიტარი პაატა ქურდოვანიძე, რუსთავის მაჟორიტარი გოგი სალაყაია და ახალციხის მაჟორიტარი ნუგზარ პარუნაშვილი დაემატათ. „მრეწველები" აცხადებენ, რომ პარლამენტში ოპოზიციური ფრთის გასაძლიერებლად იბრძოლებენ, ასევე ყველა ღონეს იხმარენ საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად, საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად. „მრეწველთა" ფრაქციის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე იქნება. მისი მოადგილის პოსტს კახა გიუაშვილი დაიკავებს, ხოლო ფრაქციის მდივანი გიორგი ცაგარეიშვილი იქნება. „მცირე მეწარმეები კვლავ ცუდ დღეში არიან, ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას ვერ წაადგება საზღვრების გახსნისა და თავისუფალი ვაჭრობის განვითარების შესახებ ხელისუფლების ახალი ინიციატივა", — აღნიშნა ტყემალაძემ და დასძინა, რომ ეს ხელს შეუწყობს ქვეყანაში იმპორტული საქონლის შემოდინებას, რაც კიდევ უფრო გაზრდის უმუშევრობის დონეს.

## გენერალ დუმბაძეს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს

ბათუმის საქალაქო სასამართლომ გენერალ რომან დუმბაძეს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ყოფილი 25-ე მოტომსროლელი ბრიგადის ხელმძღვანელს ბრალი სამშობლოს ღალატში, ფინანსურ მაქინაციებსა და უკანონო ბანდფორმირებების ჩამოყალიბებაში ედება. ბრალდების მხარის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. პროკურორმა ასლან აბაშიძის მხარდამჭერი გენერლისთვის 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა, თუმცა ბათუმის საქალაქო სასამართლომ რიგი გარემოებები გაითვალისწინა. კერძოდ ის, რომ რომან დუმბაძე აფხაზეთსა და სამაჩაბლოში იბრძოდა, ამიტომ მას სასჯელი სამი წლით შეუმცირდა.

დუმბაძის ადვოკატი ილია წულუკიძე განაჩენის გასაჩივრებას აპირებს. სასამართლო პროცესი რვა თვის განმავლობაში მიმდინარეობდა.

## დევნილი მოსახლეობის ქონების აღწერა დაიწყება



საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დევნილი მოსახლეობის ქონების აღწერასა და დაკანონებას იწყებს. პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულების პროექტი მინისტრთა კაბინეტმა უკვე განიხილა და იგი ძალაში უახლოეს ხანში შევა. როგორც ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა გიორგი ხევიაშვილმა განმარტა, აღწერას და მასთან დაკავშირებულ ყველა საჭირო პროცედურას ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროებთან ერთად იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები და აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურები ჩაატარებენ. მინისტრის თქმით, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში აღწერილი იქნება დევნილთა საკუთრებაში არსებული მიწა და შენობა-ნაგებობები. ამ მიზნით გამოიყენებენ მიწის კადასტრის მონაცემებს, ასევე, არქივში არსებულ მასალებსა და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემთა ბაზას. დევნილ მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება შესაბამისი განცხადებით მიმართოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს. აღწერისთვის საჭირო ხარჯებს სამინისტრო და დონორი ორგანიზაციები გაიღებენ. სადავო შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა სასამართლოს განაჩენს ექნება.

## ალექსანდრე გოცირიძის ქონება სახელმწიფოს გადაეცა



გაზის საერთაშორისო კორპორაციის ყოფილი პრეზიდენტის ალექსანდრე გოცირიძის წავკისში მდებარე აგარაკი და იქ არსებული უძრავი ქონება სახელმწიფოს გადაეცა. სახელმწიფოს ასევე გადაეცა გოცირიძის ორი ბინა ქალაქ თბილისში. პროკურატურის საალსრულებლო დეპარტამენტის თავმჯდომარის ზურაბ ელისაბედაშვილის თქმით, უახლოეს დღეებში სახელმწიფოს საგურამოში მშენებარე აგარაკიც გადაეცემა. სულ სახელმწიფო 1.200.000 ლარის ღირებულების ქონებას მიიღებს. ჩამორთმეულ ქონებას ექსპერტები აღწერენ და მის ღირებულებას დაადგენენ. აგარაკი აუქციონზე უახლოეს ხანებში გაიყიდება.

ალექსანდრე გოცირიძე თანამდებობის ბოროტად გამოყენებაშია ეჭვმიტანილი. იგი 2004 წლიდან იძებნება.

## „ამერიკის ხმა" ქართულ ენაზე მაუწყებლობას წყვეტს

რადიოსადგური „ამერიკის ხმა" ქართულ ენაზე მაუწყებლობას წყვეტს. გადაწყვეტილება მაუწყებლობის მმართველთა საბჭომ — ამერიკის სამთავრობო ორგანიზაციამ მიიღო, რომელიც აფინანსებდა რადიოსადგურს. ასევე მთლიანად წყდება მაუწყებლობა რუსულ, ხორვატულ, თურქულ, ტაიურ და ბერძნულ ენებზე. „ბი-ბი-სი"-ს ინფორმაციით, 2007 წლიდან რადიოგადაცემები ამ ენებზე ეთერში აღარ გავა. გარდა ამისა, მცირდება ალბანური, ბოსნიური, მაკედონიური და სერბული რედაქციები. შეწყდება მაუწყებლობა ჰინდის ენაზეც, ტელეპროგრამების გამოშვება კი გაგრძელდება.

„ამერიკის ხმის" პროგრამულ პოლიტიკაში ცვლილებები დაფინანსების ნაკლებობასთან არ არის დაკავშირებული. პროგრამულ ბადეში მომხდარ ცვლილებებს პრიორიტეტების შეცვლით ხსნიან — იგი ტერორიზმთან ბრძოლის საშუალება ხდება. შემთხვევითი არ არის, რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის მაუწყებლობის მოცულობა იზრდება.

## „ვალენტინობა" არაქრისტიანული დღესასწაულია

საქართველოს საპატრიარქო მიუღებლად მიიჩნევს 14 თებერვალს საქართველოში „ვალენტინობის" დღესასწაულის აღნიშვნას და აცხადებს, რომ „ვალენტინობა" არაქრისტიანული დღესასწაულია. „14 თებერვლის სიყვარულის დღესასწაულს შეცდომით უკავშირებენ კათოლიკური ეკლესიის წმინდანის ვალენტინის სახელს. ეკლესიის ისტორია რამდენიმე ვალენტინს იცნობს, რომელთაგან არც ერთის ცხოვრება არ უკავშირდება სასიყვარულო ურთიერთობებს. ფიქრობენ, რომ 14 თებერვლის ვალენტინის დღესასწაულს წარმართული ფესვები აქვს. ამ დღეს ძველ რომში ქალღმერთ იუნონას დღესასწაულს აღნიშნავდნენ, რომელსაც რომაელები ქალებისა და ოჯახების მფარველად მიიჩნევენ", — აცხადებენ საპატრიარქოში. მათი აზრით, მართლმადიდებლური ეკლესიისათვის უცხოა ეს დღესასწაული.

## უფასო სამედიცინო დაზღვევა სოციალურად დაუცველებს



თბილისის მთავრობა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მუნიციპალური დაზღვევის პროგრამის განხორციელებას იწყებს. უფასო ერთწლიან სამედიცინო დაზღვევას დედაქალაქში მცხოვრები 49.076 მოქალაქე მიიღებს. უფასო სამედიცინო მომსახურებით მარტოხელა პენსიონერები, მარჩენალდაკარგულები, დედ-მამით ობოლი ბავშვები, უსინათლოები, პირველი ჯგუფის ინვალიდები, ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ისარგებლებენ. გარდა ამისა, მუნიციპალური პროგრამა შეეხება მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ქვრივებს, გარდაცვლილი მეომრების ოჯახის უუნარო წევრებს, მრავალშვილიან დედებს, ბაგა-ბაღის აღმზრდელებს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლ პირველ და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახის წევრებსა და მეხანძრეებს. პროგრამის მიხედვით, აღნიშნული კატეგორიების წარმომადგენლებს ერთი წლის განმავლობაში უფასოდ გაეწევათ სტაციონარული, ამბულატორიული, ოჯახის ექიმის მომსახურება, ჩაუტარდებათ გადაუდებელი და გეგმური სტომატოლოგიური მკურნალობა. პროგრამა ასევე მედიკამენტებით უზრუნველყოფასა და საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების გაწევას ითვალისწინებს. მუნიციპალური დაზღვევის პროგრამა 2006 წლის საქალაქო ბიუჯეტიდან 3 მილიონი ლარით დაფინანსდება.

## კირკიტაძე კომისიის გაუქმებას მოითხოვს?!

ოპოზიციური პარტიების ინფორმაციით, დეპუტატი დავით კირკიტაძე საბაჟო ტერმინალ „ოპიზასთან" დეპუტატების კავშირის შემსწავლელი პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მუშაობის შეწყვეტას ითხოვს.

დროებით საგამოძიებო კომისიას, რომელიც „ოპიზასთან" დეპუტატების კავშირის საკითხს არკვევს, უფლებამოსილების სამთვიანი ვადა გაუვიდა, თუმცა პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით კომისიას უფლება აქვს, მოითხოვოს განსაზღვრული პერიოდით ვადის გაგრძელება.

თავის მხრივ, კირკიტაძე უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, თუმც ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის" წევრის, კახა კუკავას თქმით, კირკიტაძე სხდომაზე კომისიისთვის უფლებამოსილების გაგრძელების წინააღმდეგ გამოვიდა. „თუკი საპარლამენტო უმრავლესობა მიიღებს გადაწყვეტილებას და ტერმინალ „ოპიზაში" დეპუტატების ინტერესების შემსწავლელ დროებით საგამოძიებო კომისიას მუშაობის ვადას არ გაუგრძელებს, ეს საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან ბრალის აღიარება იქნება", — განაცხადა კუკავამ.

## ენგურის ხიდთან რუსი ჟურნალისტები დააკავეს

ენგურის ხიდთან რუსული ტელეკომპანია „რენტვ"-ის ჟურნალისტები დააკავეს, რადგან მათ არ აღმოაჩნდათ გადაღებებისთვის საჭირო აკრედიტაცია. ქართველი სამართალდამცავები კომპანია „რენტვ"-ის ადმინისტრაციას დაუკავშირდნენ. როგორც ტელეკომპანიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა განაცხადა, დაკავებული ჟურნალისტები მართლაც მათი ტელეკომპანიის თანამშრომლები არიან და ისინი საქართველოში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ ფილმის გადასაღებად ჩამოვიდნენ. ჟურნალისტებს დაუბრუნეს ჩამორთმეული კასეტები, თუმცა რამდენიმე მასალა სამართალდამცავების მითითებით წაიშალა, რადგან მათზე სტრატეგიული ობიექტები იყო აღბეჭდილი. ბოლო ინფორმაციით, რუსი ჟურნალისტები უკვე გაათავისუფლეს.

## რუსი ოფიცრები გაათავისუფლეს

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რამდენიმე დღის წინ სამხედრო პოლიციის მიერ სავიზო რეჟიმის დარღვევის გამო დაკავებული სამი რუსი ოფიცერი სახმელეთო ჯარების პოლკოვნიკი ვლადიმერ ივანოვი, პოდპოლკოვნიკი გენადი პეტროსიანი და სამხედრო ავტოინსპექციის თანამშრომელი ვალერი კროკი გაათავისუფლეს. საქართველოს თავდაცვის მინისტრის განმარტებით, რუსი ოფიცრები საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ იმყოფებოდნენ და განცხადება, თითქოს კონფლიქტის ზონაში მყოფ რუსეთის მოქალაქეებს ვიზების ქონა არ მოეთხოვებათ, სისულელეა. სავიზო რეჟიმი სწორედ რუსეთის მხარემ შემოიღო, ახლა კი თავადვე იმკის იმას, რაც თავის დროზე დათესა. საქმე აღძრულია საზღვრის უკანონო გადაკვეთის მუხლით და გამოძიება გაგრძელდება. საქართველოს თავდაცვის მინისტრი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დამატებითი ქვედანაყოფების შეყვანის ფაქტს დეზინფორმაციას უწოდებს. ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, ქართულ მხარეს ჯერჯერობით სამშვიდობო ძალებში საკუთარი კვოტაც კი სრულად არ აქვს გამოყენებული და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ძალების მობილიზება სწორედ დარჩენილი 250-კაციანი სამშვიდობო კონტინგენტის კვოტის ფარგლებში მოხდება.

## ბადრი ბიწაძე შსს-ს გენინსპექციას უპირისპირდება



სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ბადრი ბიწაძე შსს-ს გენერალური ინსპექციის დასავლეთის სამმართველოს ხელმძღვანელს, დავით მინდიაშვილს მესაზღვრეების უკანონო დაკავებაში ადანაშაულებს. საქმე ეხება სარფის საბაჟოზე ქრთამის აღების ბრალდებით დაკავებულ ოთხ მესაზღვრეს, რომელთაც გენინსპექციის მტკიცებით, საზღვრის გადმოკვეთისას აზერბაიჯანელ მოქალაქეს 100 დოლარი გამოსძალეს.

როგორც ბადრი ბიწაძემ განაცხადა, საქმე ეხება 5 დოლარს, რომელსაც სასაზღვრო-საიმიგრაციო დეპარტამენტის კონტროლიორებს მოქალაქე თავად სთავაზობდა, თუმცა შეთავაზების მიუხედავად მათ ქრთამი არ აუღიათ. ბადრი ბიწაძის თქმით, ჩხრეკისას თანხა არც ერთ კონტროლიორს არ აღმოაჩნდა. „მიუხედავად ამისა, მათ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და დააკავეს", — აცხადებს მთავარი მესაზღვრე.

## მარჯვენასაჭიან ავტომობილებს საქართველოს ტერიტორიაზე მოძრაობა აეკრძალებათ

საქართველოს პარლამენტი იმ ავტომობილებით სარგებლობას კრძალავს, რომელთაც საჭე მარჯვენა მხარეს აქვთ დამონტაჟებული. ამ გადაწყვეტილებას საქართველოს პარლამენტი საგაზაფხულო სესიაზე მიიღებს და იგი ძალაში 2006 წლის 1-ელი ივლისიდან შევა. საქართველოს პარლამენტი აღნიშნულ ცვლილებას საგზაო უსაფრთხოების კანონპროექტში შეიტანს. ამ საკანონმდებლო ინიციატივით საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე პარლამენტარი ნუგზარ შოშიაშვილი გამოვიდა. მისი თქმით, იმისათვის, რომ საქართველოს პარლამენტმა ცუდ მდგომარეობაში არ ჩააყენოს მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების მძღოლები, პარლამენტი მათ რამდენიმეთვიან ვადას მისცემს. ნუგზარ შოშიაშვილის განცხადებით, საჭის მარცხნივ გადმოტანა 1.000-დან 1.500 დოლარამდე ჯდება. პარლამენტარების განცხადებით, მართალია ეს მძიმე ტვირთად დააწვება ავტომანქანების მფლობელებს, მაგრამ ამ კანონის შემოღება აუცილებელია, რადგანაც საქართველოს ავტოსაგზაო წესები მორგებულია მარცხენა საჭის მქონე ავტომობილებით მოძრაობაზე. მძღოლები, რომლებიც ამ კანონს დაარღვევენ, 100 ლარით დაჯარიმდებიან, ხოლო განმეორების შემთხვევაში მათ ერთი წლით მართვის მოწმობა ჩამოერთმევათ. გამონაკლისი კანონში მხოლოდ იმ უცხოელებისათვის დაიშვება, რომლებიც საქართველოში სამოგზაუროდ ან გავლით არიან. მათ ავტომობილებს განსაკუთრებული ნიშნები ექნებათ მინებზე მიმაგრებული.

ამ ინიციატივის წინააღმდეგ მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების მფლობელები გამოდიან.

## აზერბაიჯანში ფრინველის გრიპის შემთხვევები დადასტურდა

ლონდონის ლაბორატორიამ აზერბაიჯანში, კასპიის ზღვის სანაპიროზე დაღუპულ გარეულ ფრინველებში ადამიანისთვის საშიში ვირუსის H5N1-ის არსებობა დაადასტურა. აზერბაიჯანის ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები მოსახლეობას მოუწოდებენ ქათმის ხორცის მოხმარებისაგან თავი შეიკავონ და მოარიდონ შინაური ფრინველები გარეულ ფრინველებთან კონტაქტს. ფრინველის გრიპის კერა საბერძნეთშიცაა აღმოჩენილი — ამ დაავადებით აქ სამი გედი დაიღუპა. ნიმუშები დიდი ბრიტანეთის ვეინბრიჯის ლაბორატორიაშია გადაგზავნილი, რომელმაც უნდა დაადგინოს, იყვნენ თუ არა გედები ვირუსის გადამტანები. თუ დიაგნოზი დადასტურდა, ეს ევროკავშირის ერთ-ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე ვირუსის ამ ნაირსახეობის აღმოჩენის პირველი შემთხვევა იქნება.





...გასული კვირის ყოველდღიური გაზეთები შემაშფოთებელი სათაურებით იყო აჭრელებული: „თავისუფალი მედია საფრთხეშია", „ზეწოლა პრესაზე" და ასე შემდეგ. შესაძლოა, გაზეთების გაყიდვასთან დაკავშირებით შემოღებულ ბეგარაზე ატეხილი აჟიოტაჟი მავანთ გადაჭარბებულადაც მოეჩვენოთ. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ გაზეთის არსებობა ფინანსებზეა დამოკიდებული, ხოლო ეს უკანასკნელი კი დამოუკიდებელი გაზეთის გაყიდვაზე, მაშინ აჟიოტაჟი არცთუ უსაფუძვლო მოგვეჩვენება. უცნაურია თავად საგადასახადო ცვლილებაში არსებული ორმაგი სტანდარტი — გარე მოვაჭრეებს, ანუ მათ, ვინც გაზეთების რეალიზაციას ქუჩაში დადგმული სტენდიდან ახდენს, სავალო აპარატის დადგმა და შესაბამისად, გაყიდული ეგზემპლარიდან გადასახადის გადახდა არ ეკისრებათ. მან კი, ვისაც თავზე ჭერი აქვს, ანუ გაზეთს ჯიხურიდან ცივილიზებულად ყიდის, თურმე გადასახადი აუცილებლად უნდა გადაიხადოს. ისიც საკითხავია, თუ ეს ცვლილება ამ სახით ამოქმედდება, რა გარანტიაა, რომ ხვალ ხელისუფლება გარე მოვაჭრეებს უკანასკნელ და გადამწყვეტ ბრძოლას არ გამოუცხადებს და სხვა ყველაფერთან ერთად, ქუჩაში გაზეთების გაყიდვასაც არ აუკრძალავს? გულდასაწყვეტია ისიც, რომ არცთუ დიდი ხნის წინ იმავე ხელისუფლებამ პრეზიდენტის ინიციატივით ზარ-ზეიმით გამოაცხადა პრესის გადასახადებისგან გათავისუფლების შესახებ, მაგრამ ერთი გადასახადის მოკლება და მეორის შემოღება — ვერაფერი შეღავათი უნდა იყოს... სხვათა შორის, პრეზიდენტს სახალხოდ ისიც აქვს ნათქვამი — პრესას მაინცდამაინც არ ვკითხულობ, რადგან გაზეთები ბევრს არაფერს მაძლევსო (სწორედ ამ გამონათქვამის შემდეგ ხომ არ შეგულიანდა მავანი და პრესის შევიწროება გადაწყვიტა. ალბათ არც მთლად უმაგისობაა). მისი ნებაა, მაგრამ ჯერ ერთი, ღვთის წყალობით, გაზეთს (და არა მხოლოდ...) საქართველოში ჯერ კიდევ კითხულობენ, მეორეც, თუ ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ პიარაქციების, საზოგადოებრივი აზრის შექმნისა და კონტროლის თვალსაზრისით ტელევიზია უფრო ეფექტიანია, მისი გადასაწყვეტია, მაგრამ რაც გაზეთში იწერება, დოკუმენტის სახით, გაზეთის ფურცლებზევე წლობით რჩება და ტელევიზორისგან განსხვავებით, ეთერში არ „იფანტება". გარდა ამისა, გაზეთში გაჟღერებული იდეა და მოსაზრება საზოგადოების გაცილებით უფრო ერუდირებული და ქმედითი ნაწილის კონცენტრაციას ახდენს, თუნდაც იმიტომ, რომ ტელევიზორისგან განსხვავებით, გაზეთიდან ინფორმაციის მისაღებად წერა-კითხვის ცოდნაა საჭირო... გასული კვირის მოვლენები ავიღოთ — რუსეთის სამშვიდობო ძალებთან დაკავშირებით მხოლოდ ტელეეთერში გადაცემული ინფორმაციებით რომ იმსჯელოს კაცმა, იფიქრებს, ეს რა შემართული, გაბედული და პრინციპული პოლიტიკოსები გვყოლია, მალე რუსული ჯარისგან არაფერს დატოვებენო. ერთი შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ საქართველო რუსული სამშვიდობო ძალების გაყვანის მოთხოვნას მთელი სერიოზულობით აპირებს, მოთხოვნა კი ასე ვთქვათ, საერთაშორისო საინფორმაციო ფონის შესაქმნელად კეთდება. ასეა თუ ისე, რეალური სურათი უკვე მიმდინარე კვირაშივე გამოჩნდება — რუსის ჯარი ან მართლა წავა საქართველოდან და მტყუან-მართლის გასარჩევად ჯერჯერობით ოსებთან მაინც პირისპირ მარტო დავრჩებით (დამერწმუნებით, რომ კოკოითი ამ შემთხვევაში გაცილებით უფრო დამჯერე იქნება...), ან ქართული სახელმწიფო, ისტორიული მტრის რუსული „სიკვდილის მანქანის" პირისპირ აღმოჩნდება, რომელიც მთელ თავის პროვოკაციულ არსენალს ჩართავს, რომ საბოლოოდ გაგვაჩუმოს. ასეთ ვითარებაში დინჯი მოქმედება და მრავალგზის გაზომილი და გააზრებული ნაბიჯების ზედმიწევნით სწორად გადადგმა გვმართებს, რადგან შეცდომის დაშვების უფლება ნამდვილად აღარ გვექნება... სანამ ქართველი საზოგადოება კონფლიქტურ რეგიონებში განვითარებული მოვლენებით იყო დაკავებული, ქათმის გრიპი საქართველოს უკვე აზერბაიჯანიდანაც მოუახლოვდა — მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე ფრინველების მასობრივი განადგურების მიზეზად სწორედ ამ დაავადებას მიიჩნევენ. აქაც ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ქვეყნის საინფორმაციო სივრცე ხელისუფლების საყვირზეა აწყობილი — იმის გამო, რომ საყვირი ერთია, ერთია პრობლემა, რომელსაც მედია მთელი ემოციური დატვირთვით აშუქებს და საზოგადოებაც, შესაბამისი ემოციურობით იღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მახლობელ აზერბაიჯანში ვირუსის აფეთქებას ბევრად უფრო დიდი რეზონანსი უნდა გამოეწვია, ვიდრე თურქეთის შორეულ სოფელში... ორიოდ სიტყვა თურქეთზეც მინდა გითხრათ: ბუნებრივია, XXI საუკუნეში მეზობელ ქვეყანასთან მეგობრობასა და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაზე უნდა ვფიქრობდეთ. ყიჟინით შემოსეული ურდოების დრო დიდი ხანია, წავიდა, მით უმეტეს, თუ საქმე თურქეთს ეხება — მიუხედავად იმისა, რომ ანკარას საკუთარი ეკონომიკური პრობლემებიც უხვად აქვს, ქართული ჯარის აღმშენებლობაში ლომის წილი მიუძღვის. მაგრამ გარკვეული და კონკრეტული ზღვარი არათუ სახელმწიფოების, ორი მეზობელი ოჯახის ურთიერთობაშიც არსებობს, არც მეგობრობა ნიშნავს მეუღლეების გაცვლას... ვფიქრობთ, მკითხველისთვის შეურაცხმყოფელიც კი იქნება იმის მოყოლა, რომ აჭარა — საქართველოს უმშვენიერესი და უძველესი კუთხე რამდენიმე საუკუნის წინ ბედის უკუღმართობით თურქეთის შემადგენლობაში მოხვდა. ამ მხარეში დღეს მრავლად შეხვდებით მდინარეების, ხევებისა და სოფლების ისეთ ტოპონიმურ დასახელებებს, სისხლთან, წამებასთან და თავდადებასთან რომ არის დაკავშირებული. სამასი წელი ცოტა არ არის, ძალაც აღმართს ხნავს და... ამ კუთხის ხალხმა მუსლიმანობა მიიღო. ქართველები თავმოყვარე ხალხი ვართ, ალბათ, სწორედ ეს თავმოყვარეობა უნდა იყოს მთავარი მიზეზი იმისა, რომ ქართველ მუსლიმანთა ერთი ნაწილი კვლავაც ინარჩუნებს მაჰმადიანობას და მას ღირსეულადაც ინახავს, მიუხედავად იმისა, რომ მამა-პაპათა წესიც კარგად ახსოვს, მისი გმირული ბრძოლაც და ქრისტიანული ტრადიციებიც. ისევე, როგორც თავმოყვარე ადამიანს, თავმოყვარე სახელმწიფოსაც უნდა ახსოვდეს საკუთარი წარსული და ამის მიხედვით საკუთარ პრინციპებსაც უნდა ახორციელებდეს. ქრისტიანობა და მართლმადიდებლობა ქართული სახელმწიფოებრიობის ქვაკუთხედი რომ არ ყოფილიყო, არც აჭარლებს, ლაზებსა და მესხებს დააძალებდა ვინმე რჯულის შეცვლას. თუ ეს სენტენცია მხოლოდ ისტორიის სახელმძღვანელოსთვის არ გვინდა, მაშინ უკვე დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან სახელმწიფოს უნდა ეზრუნა, რომ აჭარაში მცხოვრებ ქართველ მუსლიმანებს, ისევე როგორც ქართლელ, რაჭველ და იმერელ ქრისტიანებს თავი ერთიანი და პატარა, მაგრამ დიდი საქართველოს სრულფასოვან შვილებად ეგრძნოთ. — ჭო, რა დაგვიშავებია, თავი არ დაგვიზოგავს, საუკუნეები ვიბრძოლეთ და სარწმუნოება ვერა, მაგრამ მამული და ენა ხომ უცვლელად შემოვინახეთ, მუსლიმანობის გამო თათრებს რად გვეძახიან დანარჩენი ქართველებიო — ამას წინათ თვალცრემლიანი მეუბნებოდა აჭარის მთიანეთის მკვიდრი. მათ არაფერი დაუშავებიათ, ისევ ჩვენ, დანარჩენმა საქართველომ დავაშავეთ, რადგან რიგით ქართველებს სამშობლო სუფრაზე, ჭიქით ხელში გვიყვარს, პოლიტიკოსებს კი სხდომაზე, მიკროფონით ხელში... განსაკუთრებული სითბო არათუ სტრატეგიული, ადამიანური თვალსაზრისითაც კი არ გამოგვიჩენია — სამუსლიმანო საქართველოზე ზრუნვა ეკლესიას მივაჩეჩეთ. არადა, ისედაც მწირი რესურსების მქონე საპატრიარქომ გლობალიზაციის მიერ შევიწროებულ მართლმადიდებლობაზეც უნდა იზრუნოს, დასავლეთიდან მოძალებულ, ათასგვარ სექტებთან გამკლავებაზეც, ახალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაზეც და რაც მთავარია, ღირსეული სასულიერო პირების აღზრდა-განათლებაზეც. ნუ დაგვავიწყდება, რომ სულ რაღაც 15-20 წლის წინ საბჭოთა საქართველოში მხოლოდ ორი-სამი ათეული მღვდელი მოღვაწეობდა (კრიტიკა კი ქართველებს, იცოცხლე, გვიყვარს და შეგვიძლია). ეკლესიას ეს პრობლემებიც რომ არ ჰქონდეს, ქართველ ხოჯასთან ჯვრით მისულ თუნდაც ქართველ, მაგრამ მაინც მღვდელს რომ საერთო ენის გამონახვა გაუჭირდება, ხომ უდავოა. რელიგიური ერთიანობა ჯერ სახელმწიფო დონეზე, უმთავრეს ზოგადეროვნულ ღირებულებად უნდა გამოცხადებულიყო, შემდეგ წლების მანძილზე მუსლიმანი თანამოძმენი სახელმწიფოებრივი ყურადღებით უნდა გაგვენებივრებინა და ძმური-ქართული დამოკიდებულებით გაგვეთბო. მხოლოდ და მხოლოდ ამის შემდეგ, ეკლესიის არათუ ჯვარი დადგებოდა, ბუნებრივი მოთხოვნილებაც გაჩნდებოდა და შედეგიც შესაფერისი იქნებოდა. „კვირის პალიტრის" გასულ ნომრებში გამოქვეყნებულმა ინფორმაციამ აჭარაში თურქული მუსლიმანური სასწავლებლების გახსნისა და აქტიური რელიგიური ექსპანსიის შესახებ დიდი საზოგადოებრივი ინტერესი და გულისტკივილიც გამოიწვია (რასაც საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეში ჩემი სატელევიზიო სიუჟეტის მომზადებისას წავაწყდი. — ავტ.), მაგრამ დამნაშავეც და მიზეზებიც ალბათ, სჯობს ისევ საკუთარ თავში ვეძებოთ. ბავშვი ქუჩაში მივატოვეთ და სხვას ვედავებით, პური რატომ აჭამეო... პურსაც აჭმევს და საკუთარ ზნე-ჩვეულებასაც ასწავლის. გასაკვირი ის არის, ამ „ბავშვს" იმხელა გენი, ჯიგარი და შეგნება შერჩენია, რუსთაველისა და საბანისძის მადლიან ქართულს ლაპარაკობს და მჭადზეც ჯვარს უსვამს (მერწმუნეთ, რთულია, როცა შენი ნაწილი იმას გიჩიჩინებს, ნუ მიმატოვებ, მიძმეო. ამ, ერთი შეხედვით, სენტიმენტალური გადახვევის უფლებაც სწორედ იმიტომ მივეცი თავს, რომ ჩემი თვალით ნანახი, ჩემი მკითხველისთვის მომეთხრო. — ავტ.)...

# „ჩვენ გვაქვს ორი მნიშვნელოვანი კოზირი"

**„მნიშვნელოვანი იქნებოდა იმაზე ფიქრიც, რისი გაკეთება შეუძლია თითოეულ ქართველს ამ საკითხის გადასაჭრელად"**




გასული კვირის მოვლენების პოლიტიკურ მნიშვნელობაზე პოლიტოლოგ **გიორგი მარგველაშვილს** ვესაუბრებით:

**— საქართველოში რუსული სამხედრო კონტინგენტის ყოფნა-არყოფნისთვის ბრძოლამ ლამის ქრონიკული და პერმანენტული სახე მიიღო. უკიდურესად დაძაბული ვითარებისა და ქართველი პოლიტიკოსების მიერ გაკეთებული მკაცრი განცხადებების მიუხედავად, ქართველი საზოგადოება მაინც ნიჰილიზმმა შეიპყრო — რამდენად რეალურია რუსული ჯარის საქართველოდან გასვლა იმ ღონისძიებების შედეგად, რასაც ქართული მხარე მიმართავს?**

— ვფიქრობ, ეს საკითხი თავისი შინაარსის მიხედვით ორად უნდა გაიყოს. ერთია თავად რუსული სამხედრო კონტინგენტის ყოფნა საქართველოში და ამის მიზანშეწონილობა, ხოლო მეორე — ის გზები, უფრო ზუსტად კი ის აგრესია, რასაც ქართველი პოლიტიკოსები ამ საკითხის გადაჭრის მცდელობისას იჩენენ. რასაკვირველია, უდავოა, რომ რუსული სამშვიდობო ძალების მისია საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში დიდი ხნის ამოწურულია, მაგრამ ვერანაირ აზრს ვერ ვხედავ იმ აგრესიასა და მწვავე დაპირისპირებაში, რაც დღეს საქართველოში ხდება. არ მგონია, ამან რაიმე რეალური შედეგი მოგვიტანოს. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს არც ისე ძლიერი არმია და ეკონომიკა აქვს, ყოველ შემთხვევაში, რუსეთს რომ შეეჭიდოს, გამოვა, რომ მთელი ეს პიარაქციები და მუშტების ქნევა მხოლოდ ქართველი საზოგადოების დასანახად იმართება. თუმცა ჩვენ გვაქვს ორი მნიშვნელოვანი კოზირი — საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა და ქართველი საზოგადოების სრული კონსენსუსი იმ საკითხში, რომ რუსული ჯარი უნდა გავიდეს. სწორედ ამ ორი მომენტის შესაფერისად გამოყენებაა საჭირო, მაგრამ მე ვერ ვხედავ, რომ ან ერთი, ან მეორე ფაქტორის სერიოზულად გამოყენება ხდებოდეს. მე ვერ ვხედავ, რომ ხელისუფლება ატარებდეს აქტიურ კონსულტაციებს თუნდაც ქართულ ოპოზიციურ სპექტრთან. არადა, რატომაც არა — ამ საკითხში ერთიანი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემუშავება ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა. მნიშვნელოვანი იქნებოდა იმაზე ფიქრიც, რისი გაკეთება შეუძლია თითოეულ ქართველს ამ საკითხის გადასაჭრელად ან როგორ შეიძლება უფრო ქმედითი გავხადოთ საერთაშორისო საზოგადოების აზრი კრემლზე ზეგავლენის მოსახდენად. სამწუხარო რეალობაში ტიპური რიტორიკის მეტი არაფერი ჩანს...

**— რაც შეეხება ცხინვალის სეპარატისტულ რეჟიმთან დამოკიდებულებას, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ქართულ-ოსური მოლაპარაკებები საბოლოო ჩიხში შევიდა. თუმცა მეორე მხრივ, ჭეშმარიტებას არც ის აზრია მოკლებული, რომ კონფლიქტის გადასაჭრელად კოკოითთან მოლაპარაკებას არავითარი აზრი არ აქვს.**

— რაიმე კონკრეტულ საშუალებაზე საუბარი ამ შემთხვევაში ძნელი იქნება. ძნელი იქნება იმის თქმაც, რა შედეგს მოიტანს კოკოითთან მოლაპარაკება ან მოიტანს თუ არა საერთოდ. მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ ბევრად უნდა გაააქტიუროს მუშაობა კონფლიქტურ რეგიონში მცხოვრები ჩვენი ოსი თანამოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვაზე. ჩვენ ყველანაირად უნდა ვეცადოთ, მათ შეგნებაში თანდათან ერთიანი საქართველოს მოქალაქეობის აზრი დამკვიდრეს, სადაც მათ ისეთივე თანაცხოვრების უფლება ექნებათ, როგორიც ქვეყნის დანარჩენ მოსახლეობას. რაც შეეხება კოკოითთან მოლაპარაკებას, ნათქვამი — „მოლაპარაკება ჩიხში შევიდა" ამ შემთხვევაში აბსურდულად მიმაჩნია, რადგან მოლაპარაკება წარმოებს ორ ქვეყანას შორის, რომლებსაც თითქმის საომარი ვითარება აქვთ. ამ შემთხვევაში კი საქართველოს განუყოფელ ნაწილთან ურთიერთობის გარკვევაზე უნდა იყოს ლაპარაკი და არა რომელიმე სახელმწიფოსთან ომზე. ამ კუთხით თუ ვიმსჯელებთ, კოკოითთან „მოლაპარაკება" და შეთანხმება გვიანი და „ჩიხში შესული" არასოდეს იქნება. მით უმეტეს, რომ ადრე თუ გვიან დღის წესრიგში სეპარატისტული რეჟიმის ელიტისთვის გარკვეული გარანტიების მიცემის დრო დადგება. თავისთავად, ისიც საკმაოდ რეალური გახლავთ, რომ კონფლიქტით დაინტერესებული სუპერსახელმწიფოები უფრო მეტს წყვეტენ, ვიდრე მათი ადგილობრივი ემისრები. თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთისთვის სამხრეთ ოსეთიც და აფხაზეთიც ყველაზე მოსახერხებელი და მომგებიანი სწორედ ამ მდგომარეობაშია, კრემლს ცხინვალი და სოხუმი არც საქართველოს შემადგენლობაში აწყობს და არც დამოუკიდებელ დედაქალაქებად. დიდ პოლიტიკაში კონფლიქტური კერებითა და თავსმოხვეული მშვიდობით ვაჭრობა უფრო სარფიანია, ვიდრე რეგიონში თუნდაც ყურმოჭრილი მონის, მაგრამ მაინც დამოუკიდებელი რეჟიმის არსებობა. აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნების დროს განვითარებულმა მოვლენებმა რუსეთს კარგი მაგალითი უჩვენა საიმისოდ, რომ დარწმუნებულიყო, როგორც კი აფხაზი სეპარატისტები ე.წ. მიზანს მიაღწევენ (თუმცა მიზანი საფუძველშივე აბსურდულია) კრემლს უკვე გაჯიუტებული სოხუმის დამორჩილებაზე მოუწევს ზრუნვა. ასე რომ, სჯობს, საერთო ენის გამონახვა, თუნდაც გარკვეული გარანტიების მიცემის გზით, ისევ აფხაზებთან და ოსებთან ვცადოთ.

*დაჩი გრძელიშვილი*

> კონფლიქტით დაინტერესებული სუპერსახელმწიფოები უფრო მეტს წყვეტენ, ვიდრე მათი ადგილობრივი ემისრები. თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთისთვის სამხრეთ ოსეთიც და აფხაზეთიც ყველაზე მოსახერხებელი და მომგებიანი სწორედ ამ მდგომარეობაშია, კრემლს ცხინვალი და სოხუმი არც საქართველოს შემადგენლობაში აწყობს და არც დამოუკიდებელ დედაქალაქებად. დიდ პოლიტიკაში კონფლიქტური კერებითა და თავსმოხვეული მშვიდობით ვაჭრობა უფრო სარფიანია, ვიდრე რეგიონში თუნდაც ყურმოჭრილი მონის, მაგრამ მაინც დამოუკიდებელი რეჟიმის არსებობა.

> ჩვენ გვაქვს ორი მნიშვნელოვანი კოზირი – საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა და ქართველი საზოგადოების სრული კონსენსუსი იმ საკითხში, რომ რუსული ჯარი უნდა გავიდეს. სწორედ ამ ორი მომენტის შესაფერისად გამოყენებაა საჭირო, მაგრამ მე ვერ ვხედავ, რომ ან ერთი, ან მეორე ფაქტორის სერიოზულად გამოყენება ხდებოდეს. მე ვერ ვხედავ, რომ ხელისუფლება ატარებდეს აქტიურ კონსულტაციებს თუნდაც ქართულ ოპოზიციურ სპექტრთან. არადა, რატომაც არა – ამ საკითხში ერთიანი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემუშავება ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა.

www.interpressnews.com
უახლესი ინფორმაცია ონლაინ რეჟიმში
ნახე ეს საიტი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საპატრიარქო წმინდა სინოდის სხდომა

*კრების მდივანი მთავარეპისკოპოსი საბა (გიგიბერია)*

*2006 წლის 6 თებერვალს შედგა საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სინოდის სხდომა, რომელზეც რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი იქნა განხილული:*

1. წმინდა სინოდის სხდომის გახსნის შემდეგ მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ აღნიშნა, რომ დიდია მნიშვნელობა რწმენისა და მეცნიერების მჭიდრო კავშირისა. ისტორიულად ყველა მონასტერი წარმოადგენდა არა მარტო სულიერი მოღვაწეობის სავანეს, არამედ სამეცნიერო მოღვაწეობის კერას და ეს ტრადიცია დღესაც უნდა გაგრძელდეს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში სხვა კომისიებთან ერთად შეიქმნა ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის შემსწავლელი კომისია, რომლის თავმჯდომარედ არჩეულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი ილია მეორე.

კომისიის წევრები არიან, როგორც საერო მეცნიერები, ასევე სასულიერო პირები.

წმინდა სინოდი მიესალმა მეცნიერებათა აკადემიის ამ გადაწყვეტილებას და აღნიშნეს, რომ ეს არის პირველი შემთხვევა აკადემიის არსებობის მანძილზე და ეს უდავოდ გამოიღებს დადებით შედეგს.

2. წმინდა სინოდმა მოისმინა სრულიად



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსის, მთავარეპისკოპოს თეოდორეს (ჭუაძე) მოხსენება აკრძალვაში მყოფი ქართველი სასულიერო პირების უკრაინაში ვიზიტის შესახებ.

მღვდელმოქმედება აკრძალულნი, — ეპისკოპოსი ქრისტეფორე წამალაიძე და დეკანოზი ბასილ კობახიძე საქართველოს საპატრიარქოსთან შეუთანხმებლად იმყოფებოდნენ უკრაინაში და ესწრებოდნენ მსახურებას ე.წ. უკრაინის საპატრიარქოში, რომელიც არ არის აღიარებული არც ერთი მართლმადიდებელი, ავტოკეფალიური ეკლესიის მიერ.

წმინდა სინოდი გმობს აკრძალვაში მყოფი ზემოაღნიშნული ქართველი სასულიერო პირების თვითნებურ საქციელს.

საქართველოს ეკლესიას კარგად ესმის უკრაინაში არსებული რელიგიური პრობლემების სიმწვავე, თვლის, რომ ქვეყნის ერთიანობისა და განვითარების ერთ-ერთი საფუძველი არის ეკლესიის ერთიანობა და გამოთქვამს მზადყოფნას ამ მხრივ გვერდში დაუდგეს ერთმორწმუნე უკრაინელ ხალხს, მაგრამ მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ტრადიციის შესაბამისად, ეკლესიებს შორის არსებული საკითხები უნდა გადაწყდეს ქრისტესმიერი სიყვარულით.

უკრაინის ეკლესიამ დამოუკიდებლობა უნდა მოიპოვოს მხოლოდ საეკლესიო სამართლის კანონების დაცვით, რაშიც მხარეთა სურვილის შემთხვევაში საქართველოს ეკლესიაც თავის წვლილს შეიტანს.

3. წმინდა სინოდმა მოისმინა რუსეთის პრეზიდენტის განცხადება: „თუ ვინმე თვლის, რომ შესაძლებელია კოსოვოს მიენიჭოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მაშინ რატომ უნდა ეთქვას უარი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს...“

წმინდა სინოდზე აღინიშნა, რომ თუნდაც ერთი პრეცედენტი სეპარატიზმის ხელშეწყობისა, საფრთხეს შეუქმნის როგორც ცალკეულ რეგიონს, ასევე მთელ მსოფლიოს. ამან შეიძლება მსოფლიო გახვიოს ომის ქარცეცხლში. ეს საშიშია როგორც პოლიტიკური, ასევე ეკლესიური თვალსაზრისით.

4. წმინდა სინოდმა მოისმინა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილი) მოხსენება ცხუმ-აფხაზეთის პრობლემის შესახებ.

მოგეხსენებათ, რომ, მას შემდეგ, რაც 1993 წლის სექტემბრის ბოლოს სამღვდელოების უმეტესი ნაწილი მღვდელმთავართან ერთად იძულებული გახდა დაეტოვებინა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ტერიტორია, იქ დარჩა სამი მღვდელმსახური: პეტრე სამსონოვი, პეტრე ხარჩენკო და ეროვნებით აფხაზი ბესარიონ ფილია, რომელმაც მოგვიანებით გადაიკეთა გვარი და გახდა აფლია. სამწუხაროდ, აფხაზი მღვდელი ბესარიონი აღმოჩნდა ანტიქართული სულისკვეთების მქონე ძალების გავლენის ქვეშ. მათი ზეწოლის შედეგად მან დაარღვია საეკლესიო კანონები, რომელთა მიხედვით მას ყოველი სამღვდელო მოქმედება უნდა აღესრულებინა დედა ეკლესიის ლოცვა-კურთხევით.

მისი თვითნებური საქმიანობის შედეგად მოხდა ახალგაზრდების გაგზავნა მოსკოვის სასულიერო სასწავლებელში; საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შემავალი აფხაზი ახალგაზრდები, საქართველოს მოქალაქეები, რუსეთის ეკლესიის მიერ ჯერ უკანონოდ იქნენ მიღებული სასულიერო სასწავლებელში, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ ასევე უკანონოდ იქნენ ხელდასხმულნი მღვდელმსახურებად რუსეთის იერარქების მიერ. მათ, რუსეთის ეკლესიის ტერიტორიიდან ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში ასევე უკანონოდ შემოსვლის შემდეგ, დაიწყეს მღვდელმსახურება, წარმოადგენდნენ რა საკუთარ თავს აფხაზი ხალხის განმანათლებლებად და მხსნელებად. მიუხედავად ამგვარი ანტიქართული განწყობილებისა, როგორც სამღვდელოებაში, ისე მრევლში, იყვნენ და არიან სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები: ქართველები, აფხაზები, რუსები, ბერძნები, რომელთაც არ დაურღვევიათ ეკლესიის კანონები და კვლავ იმყოფებიან დედა ეკლესიის მორჩილებაში. მათ აქვთ კონტაქტი როგორც ეპარქიის მღვდელმთავართან, ასევე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან.

ასეთ პირებს შორის იყო ერთი ახალგაზრდა, ეროვნებით აფხაზი, მოსკოვის სასულიერო სემინარიის სტუდენტი რუსლან სარსანიაც. 1997 წლის ოქტომბერში იგი ჩამოვიდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან და განაცხადა, რომ არ იზიარებს და გმობს ურჩობაში მყოფი აფხაზი სამღვდელოების უკანონო ქმედებებს და თავად მზად არის ყოველივე აღასრულოს კანონის შესაბამისად დედა ეკლესიის ლოცვა-კურთხევით და ითხოვა ლოცვა-კურთხევა მოსკოვის სასულიერო სემინარიაში სწავლის გაგრძელების თაობაზე.

დედა ეკლესიის ერთგულებაში მყოფი სამღვდელოებისა და მრევლის მიმართ მანამდეც არაერთხელ ყოფილა მუქარის, ზეწოლის და საჯაროდ გაკიცხვის ფაქტები. მას შემდეგ, რაც რუსლან სარსანია 2000 წლის დიდ მარხვაში ეპისკოპოს ანდრიას (გვაზავა) მიერ სიონის საკათედრო ტაძარში აღიკვეცა ბერად დავითის სახელით და ხელდასხმულ იქნა დიაკვნად (ამავე წლის მაისში) საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ, ურჩი აფხაზი სამღვდელოების მიერ გამართულ უკანონო კრებაზე იგი გამოცხადდა ერის მოღალატედ და მას აეკრძალა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიების ტაძრებში შესვლა. ეს იყო შედეგი სარსანიას მხრიდან თავისი პოზიციის დაუფარავი განცხადებისა და საეკლესიო კანონების უხეში დამრღვევების საჯარო მხილებისა.

წლების მანძილზე ჩვენ არაერთხელ ვცადეთ ჩავსულიყავით ეპარქიაში საეპარქიო პრობლემების შესწავლისა და გადაჭრის მიზნით, რაზეც აფხაზეთის თვითგამოცხადებული ხელისუფლება უარს გვეუბნებოდა. ასევე ჩვენი მიმართვები წერილობით, ტელევიზიითა თუ რადიოთი, ისევე როგორც ჰუმანიტარული დახმარების მცდელობა უკიდურესად იზღუდებოდა და მხოლოდ იქაური მოსახლეობის მცირე ნაწილისათვის იყო ხელმისაწვდომი. მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, ჩვენ გვქონდა შეხვედრები მღვდელ ბესარიონ ფილიასთან საქართველოს ფარგლებს გარეთ. ჯერ კიდევ 1994 წელს მოსკოვში მე პირადად შევხვდი მას. ბოლო წლებში რამდენიმეჯერ მასთან ჰქონდა შეხვედრა მთავარეპისკოპოს ნიკოლოზს. ბოლო შეხვედრა მასთან მქონდა 2004 წლის მარტში მოსკოვში მისი უწმიდესობის ვიზიტის დროს. ყველა შეხვედრაზე მღვდელი ბესარიონი აღიარებდა თავისი ქმედებების უკანონობას, მაგრამ ცდილობდა გაემართლებინა ისინი შექმნილი ვითარებით, კერძოდ იმით, რომ საქართველოს ეკლესიის იერარქებისადმი მის დაქვემდებარებას აფხაზეთის ხელისუფლება ღალატად ჩაუთვლიდა და იძულებული გახდებოდა დაეტოვებინა ეპარქია და უპატრონოდ მიეტოვებინა იქაური მოსახლეობა. ჩვენ შევეცადეთ დაგვერწმუნებინა იგი, რომ საეკლესიო კანონების დაცვის შემთხვევაში, ღვთის მადლით, ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდებოდა და, რომ მას ჰქონდა საუკეთესო საშუალება შენდობა ეთხოვა კათოლიკოს-პატრიარქისათვის.

(გაგრძელება იხ. გვ. 37)

# „28-ლარიან პენსიას ავიღებ და 20 ლარს ბიუჯეტში შევიტან(?!)“

ცოტა ხნის წინ, სრულიად შემთხვევით, საპატრულო პოლიციის მორიგ რეიდს შევესწარი. კოლმეურნეობის მოედანზე, მიწისქვეშა გადასასვლელის ქვის მოაჯირთან შავებში ჩაცმული ქალბატონი კვერცხის ფირფიტაში ჩალაგებულ ლიმონს ყიდდა. მის წინ საპატრულო პოლიციის ავტომობილი გაჩერდა და ორი პატრული გადმოვიდა. ერთმა გასაყიდად გამზადებულ ლიმონს დასტაცა ხელი, მეორემ კი მოხუცი ქალბატონი „მოხერხებული“ ხელკავით მანქანაში ჩატენა. შემდეგ ავტომობილი 20 მეტრის მოშორებით გაჩერდა. საპატრულო პოლიციამ კიდევ ორი კანონდამრღვევი ქალბატონი დააკავა. ჩამორთმეული ლიმონის საბარგულში მოთავსების შემდეგ, საპატრულო პოლიციამ სამივე „ბოროტმოქმედი“ გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანა. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განმიმარტეს, მსგავსი მეთოდებით საპატრულო პოლიცია გარე მოვაჭრეებს ებრძვის და შესაბამისი კანონის აღსრულებას ემსახურება. თუმცა ამ კანონის ყველა ნიუანსი მხოლოდ მას შემდეგ გახდა ჩემთვის ცნობილი, რაც დაპატიმრებულთაგან ერთ-ერთ ქალბატონს შევხვდი.



**ელდინო მოსაშვილი:**

— 67 წლის ქალი ვარ, მარტოხელა, პენსიონერი. მას შემდეგ რაც უმუშევარი დავრჩი, საკოლმეურნეო ბაზართან პურის გაყიდვით ვირჩენდი თავს. იმათ, ვინც საკუთარ კაბინეტში თბილად მოკალათებულა და კანონებს წერენ, ვერც კი წარმოუდგენიათ, რაოდენ დამამცირებელია ქუჩაში დგომა და ვაჭრობა. თავიდან ისე მრცხვენოდა, ჩემკენ მომავალ ნაცნობს რომ მოვკრავდი თვალს, ზურგს ვაქცევდი და ვიმალებოდი. შემდეგ ეს ბაზარი დაიხურა და მისი მიმდებარე ტერიტორიიდან გარე მოვაჭრეებიც აგვყარეს. დავრჩი ლუკმაპურის გარეშე, 28-ლარიანი პენსიის ანაბარა. ცოტა ხნის წინ კი ლიმონი ვიყიდე იაფად, თითო 10 თეთრად და გადავწყვიტე, ქუჩაში დატარებით გამეყიდა და თითოზე 10 თეთრი მაინც მომეგო. უფრო მოსახერხებელი რომ ყოფილიყო მათი ხელით ტარება, კვერცხის ჩასალაგებლად განკუთვნილ ფირფიტაში ჩავალაგე და გავუყევი ქუჩებს. თირკმლები მაწუხებს, მალე დავიღალე სიარულით და ლიმონით სავსე ფირფიტა მიწისქვეშა გადასასვლელის მოაჯირზე ჩამოვდე. მოულოდნელად საპატრულო პოლიციის მანქანა გაჩერდა, იქიდან გადმოსულ პოლიციელებს არაფერი უთქვამთ ჩემთვის, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, მეც და ჩემს ლიმონსაც მანქანაში გვიკრეს თავი. რამდენიმე მეტრის მოშორებით კიდევ ორი გარე მოვაჭრე ქალბატონი აიყვანეს. მათაც რამდენიმე კილოგრამი ხილი გამოეტანათ გასაყიდად.

**— არ სთხოვეთ პოლიციელებს, თქვენი დაკავების მიზეზი აეხსნათ?**

— თავდაპირველად ისე დავიბენი, რომ ვერ მივხვდი, რას მერჩოდნენ. როდესაც ნათელი გახდა, რომ გარე ვაჭრობისთვის აგვიყვანეს, ერთი კი ვუთხარი: — შე მამაცხონებულო, 2 კილოგრამი ლიმონისთვის რომ მიჭერ, არ გრცხვენია? კონტრაბანდული პროდუქტებით ხომ არ ვვაჭრობ-მეთქი... ერთი გაფრთხილება მაინც მოეცათ, პატარა გოგო ხომ არ ვარ, გავჯიუტებულიყავი, მეორედ აღარ დავდგებოდი იმ ადგილას. ამათ კი პირდაპირ აიღეს და გლდანის სასამართლოში მიკრეს თავი.

**— გლდანი-ნაძალადევის რაიონის სასამართლოში რატომ წაგიყვანეს, როგორც ამბობთ, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში ცხოვრობთ და ქუჩაში ლიმონით თქვენი სახლის მახლობლად ვაჭრობდით...**

— იმდენად ვიყავი შოკირებული, რომ აღარ ჰქონდა მნიშვნელობა ვინ და სად გამასამართლებდა. ცოტა ხანში მოსამართლე გამოვიდა და განაჩენიც გამოგვიტანა: მე 2 კილოგრამი ლიმონით ქუჩაში ვაჭრობისთვის 20-ლარიანი ჯარიმა დამეკისრა; ქალბატონს, რომელსაც ცოტა მეტი ვაშლი ჰქონდა გამოტანილი, 30 ლარის გადახდა მოუწევს; ხოლო მესამე ქალბატონი, რომელიც უკვე მეორედ იყო შემჩნეული გარე ვაჭრობაში, 30 დღით დააპატიმრეს(!).

**— დაკისრებული ჯარიმა გადაიხადეთ?**

— რით უნდა გადამეხადა, ერთი ლიმონიც არ მქონდა გაყიდული. განსაზღვრული ვადა მომცეს ჯარიმის გადასახდელად. ახლა პენსიას ველოდები და 28 ლარიდან 20 ლარს ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ შევიტან. ჩვენმა ხელისუფლებამ ჯერ იმაზე უნდა იზრუნოს, რომ პენსია საარსებო მინიმუმს ცოტათი მაინც მიუახლოოს და გარწმუნებთ, რომ არც ერთი ჩემისთანა მოხუცი არ გამოვა ასეთ ყინვაში სავაჭროდ. თუ ამის გაკეთება არ შეუძლიათ, მაშინ მოგვცენ საკუთარი თავის რჩენის საშუალება, ჩვენნაირი წვრილი მოვაჭრეები ნამდვილად ან დაანგრევენ ქვეყანას.

*ემა ტუხიაშვილი*


არ გამოტოვოთ თებერვლის ნომერი




თქვენ ხომ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით...

# მოსამართლეები დეპუტატის დიპლომის გაუქმებას ითხოვენ



თუ რამე ხარვეზი იყო, პარლამენტს უნდა ჩაესწორებინა და არა ბექაშვილს „პასტით“.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებსა და ხელისუფლებას შორის უთანხმოება დიდი ხანია სკანდალში გადაიზარდა. ალბათ, დაპირისპირება ხანგრძლივი და დაუნდობელი იქნება. როგორც ჩანს, ამბოხებულ მოსამართლეთა საქმე სტრასბურგის სასამართლომდეც მიაღწევს. ხელისუფლება ურჩი მოსამართლეების მორჯულებას, ეს უკანასკნელნი კი ხელისუფლების დისკრედიტაციას ცდილობენ. ახალი სკანდალის საბაბი ამჯერად სადისციპლინო საბჭოს წევრების კომპეტენტურობის საკითხია. მოსამართლეებმა საბჭოს რამდენიმე წევრზე სკანდალური ინფორმაცია მოიპოვეს. სკანდალში აღმოჩნდა ჩართული თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიც. აქ მოსამართლეთა ბრალდებებზე თავის მართლება აშკარად უჭირთ. საქმე ეხება პარლამენტარ ნინო კალანდაძის დიპლომს, რომელიც თავის დროზე სწორედ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გაიცა. პარლამენტარი ნინო კალანდაძე იმ სადისციპლინო საბჭოს წევრია, რომელმაც ურჩ მოსამართლეთა დასჯა გადაწყვიტა. ნინო კალანდაძეს, როგორც საბჭოს წევრს, ამჯერად უფლებამოსილება შეჩერებული აქვს. მოსამართლეები კი სასამართლოში ჩივიან და ნინო კალანდაძის დიპლომის გაუქმებას ითხოვენ. ძნელი სათქმელია, აისახება თუ არა მოსამართლეების მოძიებული ინფორმაცია პარლამენტარის ამჟამინდელ საქმიანობაზე, მაგრამ მისი, როგორც იურისტის, პრესტიჟი რომ მოსამართლეებთან დაპირისპირებას ეწირება, აშკარაა.

მაინც რატომ აყენებენ ეჭვქვეშ მოსამართლეები ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გაცემულ დიპლომს?

**მერაბ ტურავა,** მოსამართლე: „სადისციპლინო საბჭოს წევრი, რომელიც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს გაასამართლებს, სხვას თუ არაფერს, ელემენტარულ მოთხოვნებს მაინც უნდა აკმაყოფილებდეს. კანონით, სადისციპლინო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს პირი, რომელიც სულ მცირე 25-წელს არის მიღწეული, იურისტის დიპლომი და სპეციალობით მუშაობის ხუთწლიანი სტაჟი აქვს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ნინო კალანდაძის სახელზე გაცემულ დიპლომში წერია, რომ კალანდაძემ დიპლომი 2002 წლის 3 ივლისს მიიღო. იქვე მითითებულია, რომ იგი 1996 წელს ჩაირიცხა მანჰაიმის უნივერსიტეტში. ნინო კალანდაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მეხუთე კურსზე, გადმოყვანილია 2002 წლის 1-ელ იანვარს, მაგრამ საქმე ის არის, რომ მეხუთე კურსი დამამთავრებელია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დებულებაში, კერძოდ, მესამე პუნქტში წერია, რომ დაუშვებელია უნივერსიტეტში სტუდენტის გადმოყვანა დამამთავრებელ კურსზე. გარდა იმისა, რომ კალანდაძე დამამთავრებელ კურსზე აღმოჩნდა გადმოყვანილი, დარღვეულია გადმოყვანისთვის აუცილებელი კანონით დადგენილი სხვა წესებიც. კალანდაძის თერთმეტგვერდიან საქმეში არც მანჰაიმის უნივერსიტეტის რექტორის ბეჭდით დადასტურებული თანხმობა ჩანს გადმოყვანაზე და არც მიმღები ფაკულტეტის მიერ საკითხის ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ მიღებული შესაბამისი დასკვნა-შუამდგომლობა. კალანდაძეს არც განსხვავებული საგნები აქვს ჩაბარებული. რაც შეეხება მის საქმეში არსებულ დოკუმენტს, შესწავლილი საგნების ჩამონათვალითა და მოსმენილი საათების მოცულობითა და შეფასებით, ეჭვი გვაქვს, რომ ისიც ყალბია. დოკუმენტი არ არის შესრულებული უნივერსიტეტის ბლანკზე, გვერდები კი ბეჭდითა და ხელმოწერით არ არის დამოწმებული. კალანდაძეს არც მუშაობის შესაბამისი სტაჟი აღმოაჩნდა. პარლამენტის საიტზე გამოქვეყნებულია, რომ იგი 2002-04 წლებში გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების ადგილობრივ ექსპერტ-იურისტად მუშაობდა. ჩვენ გადავამოწმეთ ეს ინფორმაცია. გერმანიიდან, კერძოდ, ბრემენიდან მივიღეთ ცნობა, რომ კალანდაძეს ამ თანამდებობაზე არასოდეს უმუშავია, თუმცა მისი თქმით, სათავო ოფისთან, ანუ „ეშბორნთან“ ჰქონდა ხელშეკრულება გაფორმებული. რამდენიმე დღის წინ სათავო ოფისიდანაც მივიღეთ განმარტება. წერილში მითითებულია, რომ ფრაუ ნინო კალანდაძე „ეშბორნში“ რამდენიმე დღით აიყვანეს თარჯიმნად და ექსპერტ-იურისტად მას იქ არასოდეს უმუშავია“...

როგორც ხედავთ, ბრალდებები საკმაოდ სერიოზულია. ჩვენ დავადგინეთ, რომ ნინო კალანდაძე უნივერსიტეტში მართლაც 2002 წლის 1-ელ იანვარს დამამთავრებელ კურსზე ბოლო სემესტრშია გადმოყვანილი. რა გზით მოხერხდა დადგენილი წესების უგულებელყოფით უნივერსიტეტში მისი გადმოყვანა, ამ კითხვაზე პასუხი რექტორატიდან ვერ მივიღეთ.

სამაგიეროდ, უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის რამდენიმე პროფესორ-მასწავლებელმა პირადი საუბრისას გაგვიმხილა, რომ უნივერსიტეტში სტუდენტების სხვა სასწავლებლებიდან უკანონოდ გადმოყვანა დამატებითი კორუფციული გარიგებების წყარო ყოფილა და ეს საქმეები, ძირითადად, ფაკულტეტების დეკანატებში გვარდებოდა(!).

ნინო კალანდაძის რექტორის სახელზე დაწერილ განცხადებას მარცხენა კუთხეში თან ერთვის იურიდიული ფაკულტეტის დეკან რომან შენგელიას „რეზოლუცია“, სადაც მითითებულია, რომ დეკანატი თანახმაა ნინო კალანდაძე გადმოყვანილ იქნეს V კურსზე(?!). აქვე საინტერესოა სადისციპლინო საბჭოს თავმჯდომარის კახაბერ ყიფიანის საკითხიც. ყიფიანი 1998 წელს ჩაირიცხა ჯამბაკურ ბაქრაძის სახელობის თბილისის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტში, რომელიც 2001 წელს დაამთავრა. როგორც მოსამართლეები ამბობენ, აქედან გამომდინარე, არც მას აქვს სპეციალობით მუშაობის ხუთწლიანი სტაჟი, რაც საბჭოს წევრობის (თავმჯდომარეობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ) აუცილებელი პირობაა.

**ნინო გვენეტაძე,** მოსამართლე: „თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში უკვე შევიტანეთ სარჩელი, მოვითხოვთ უკანონოდ აღიარონ სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ნინო კალანდაძისთვის იურისტის კვალიფიკაციის მინიჭებისა და წარჩინების დიპლომის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება, თუმცა დარწმუნებული არ ვარ, რომ ეს სარჩელი ნაყოფს გამოიღებს. კალანდაძეს, რომელსაც სპეციალობით მუშაობის სტაჟი არ აქვს, მოსამართლეების გასამართლების უფლება არ ჰქონდა. როცა საბჭოს შემადგენლობის საკითხი სადისციპლინო კოლეგიაზე დავაყენეთ, გვიპასუხეს, ამას აქ ვერ განვიხილავთ, სასამართლოში იდავეთო. სასამართლომ კი უარი თქვა მართლმსაჯულების განხორციელებაზე. მოჯადოებულ წრეში აღმოვჩნდით. ცხადია, მოსამართლემ დაკვეთა მიიღო. მას უბრძანეს, რომ სარჩელი წარმოებაში არ მიეღო. ამით დაგვანახვეს, რომ საქართველოში არ არსებობს კანონიერი გზა, რომლითაც სიმართლეს მივაღწევთ. იმდენად დიდია მოსამართლეთა კორპუსის საბოლოოდ დამონების სურვილი, რომ უკვე მიღებული კანონიც კი გააყალბეს. ნოემბრის თვეში დისციპლინური სამართალწარმოების კანონში პარლამენტმა ძირეული ცვლილებები შეიტანა. მათი მთავარი არსი ის იყო, რომ მოსამართლეებს ბოლო ინსტანციაში, ანუ სადისციპლინო საქმეთა პალატაში საქმის არსებითად განხილვისა და თავის დაცვის საშუალება ეძლეოდათ. კანონი სამი მოსმენით ისე მიიღო პარლამენტმა, შენიშვნაც არავის გამოუთქვამს. კანონის მეორე მუხლში ეწერა, რომ იგი გამოქვეყნებისთანავე უნდა ამოქმედებულიყო. როდესაც კანონი გამოქვეყნდა, მისი ამოქმედების ვადა სამი თვით აღმოჩნდა გადაწეული. ცხადია, ეს საგანგებოდ გააკეთეს. ყველამ კარგად იცოდა, რომ ამ კანონს ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ვადა გადასწიეს იმ იმედით, რომ ამ დროისთვის ჩვენი საქმე გადაწყვეტილი იქნებოდა და ვერც ახალი კანონის გამოყენებას მოვასწრებდით. ვინ შეცვალა უკვე სამი მოსმენით მიღებული კანონი, ეს პროკურატურამ უნდა გამოიძიოს“.

პარლამენტის მიერ სამივე მოსმენით მიღებული კანონების გადასწორება რევოლუციამდელ საქართველოშიც „მიღებული“ პრაქტიკა იყო. ცხადია, თვითნებური შესწორებებით, პარლამენტიდან პრეზიდენტის კაბინეტამდე, არცთუ უმნიშვნელო პირები იყვნენ დაკავებულნი, მაგრამ კონკრეტულად ვინ ცვლიდა კანონებს, ყოველთვის უცნობი რჩებოდა. სამაგიეროდ, პარლამენტარი ლევან ბეჟაშვილი არ მალავს, რომ ზემოხსენებული კანონი პირადად მისი ჩასწორებულია.

**ლევან ბეჟაშვილი:** — ვინც საპარლამენტო ცხოვრებას იცნობს, იცის, რომ ეს ელემენტარული ტექნიკური ხარვეზია. პირადად მე, ჩემი პასუხისმგებლობით ჩავასწორე ეს კანონი. ტექნიკური ხასიათის ხარვეზი იყო გაპარული. სადისციპლინო პალატა 15 მარტიდან უნდა შეიქმნას და კანონის უფრო ადრე ამოქმედებას რა აზრი ჰქონდა? აბსურდი გამოვიდოდა.

— **ეს პარლამენტის სხდომებზე რატომ არ გააკეთეთ? სტენოგრაფიულ ჩანაწერში, თქვენს განცხადებაში, მითითებულია, რომ რედაქციული ხასიათის შენიშვნები არც საწყის ეტაპზე და არც საკომიტეტო განხილვების დონეზე ამ პროექტზე არ გამოთქმულა.**

— ხარვეზი სხდომაზე ვერავინ რომ ვერ შენიშნა, სწორედ ეს არის საქმე. როცა შევნიშნეთ, მაშინ ჩავასწორეთ. აქ სამართალდარღვევა და სიყალბე არ ყოფილა. მოსამართლეებს ასეთი განცხადებების გაკეთება საზოგადოების ყურადღების მისაქცევად სჭირდებათ.

სულ სხვა აზრი აქვს მიღებული კანონის ჩასწორებაზე დეპუტატ **კახა კუკავას:** „ეს ძალზე მნიშვნელოვანი ცვლილებაა. რას ნიშნავს უბრალო ხარვეზი? ამოქმედების თარიღის შეცვლა ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია. პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, არავის აქვს უფლება, მესამე მოსმენით გასულ კანონში რაიმე ჩაასწოროს. მეტსაც გეტყვით, ეს კანონი ბეჟაშვილს არ ჩაუსწორებია. პარლამენტიდან წავიდა ვარიანტი, სადაც ეწერა, რომ კანონი გამოქვეყნებისთანავე უნდა ამოქმედებულიყო. სხდომებზე არავის შენიშვნა არ ჰქონია და მერე რატომ გახდა საჭირო ჩასწორება? თუ რამე ხარვეზი იყო, პარლამენტს უნდა ჩაესწორებინა და არა ბეჟაშვილს „პასტით“.

**გვერდი მოამზადა ხათუნა პაიჭაძემ**

# „მოსალოდნელი პროვოკაციებისგან სრულიად დაუცველი ვარ“

## რადიო „იმედის“ კორესპონდენტს საკანში გამომწყვდევით ემუქრებიან

გარდა იმისა, რომ პრესას ჯიხურები უსამართლოდ დაუხურეს, როგორც ჩანს, ქართულ მედიას უამისოდაც მძიმე პერიოდი უდგას. რეგიონებში მედიის წარმომადგენელთა „ტერორი“ არნახულ მასშტაბებს იძენს.

რეგიონებში მომუშავე ჟურნალისტებზე ზეწოლის, დევნისა და შანტაჟის ფაქტებმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. თუ ვინმემ გაბედა ხელისუფლების წარმომადგენლის კრიტიკა ან უბრალოდ, სიმართლის თქმა, — მას ან სამსახურიდან ითხოვენ, ან ციხით ემუქრებიან. მაგალითად, იმერეთის რეგიონში გამომავალ გაზეთ „რეზიუმეს“ რედაქტორმა ეთერ ნაცვლიშვილმა სამსახური უკვე დატოვა იმ კრიტიკული მასალისთვის, რომელიც ყოფილ გუბერნატორს, აკაკი ბობოხიძეს შეეხებოდა.

**ეთერ ნაცვლიშვილი:** — გაზეთი ორშაბათს გამოვიდა. იმ დღესვე რედაქციაში გაზეთის მეპატრონე შემოვიდა და... არ გვიჩხუბია, მაგრამ მივხვდი, სამსახურიდან უნდა წავსულიყავი. ჩემი მასალა ხელისუფლებას არ მოეწონა. იმერეთში ჟურნალისტებზე ზეწოლა ყოველთვის იყო, მაგრამ ასეთი არასოდეს. ადგილობრივ ორგანოებში ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელია. იმერეთის რეგიონი და ქუთაისი მკვდარი ქალაქია. ზოგჯერ მგონია, რომ ვილაც ელოდება, საბოლოოდ როდის გავქრებით...

გაცილებით რთულდება მდგომარეობა მაშინ, როცა ადგილობრივი ჟურნალისტი რომელიმე ცენტრალურ გაზეთში, ტელევიზიასა თუ რადიოში მუშაობს. რეგიონებში ერთი კონკრეტული, თუნდაც სიმართლის მსახური ჟურნალისტისთვის თავს არავინ იწუხებს. შანტაჟის, დაშინებისა და მუქარის უამრავი ფაქტის მიუხედავად, სიტყვისა და აზრის თავისუფლების დასაცავად, არც პროკურატურას, არც სახალხო დამცველს, არც პარლამენტს არ სცალია(!). რჩება შთაბეჭდილება, რომ ქვეყანაში მტყუან-მართლის გამრჩევი და გამკითხავიც დაილია.

**ნანა ფაჩუაშვილი,** რადიო „იმედის“ სამეგრელოს რეგიონის კორესპონდენტი: „სამეგრელოს რეგიონიდან გადმოვცემდი იმ ფაქტებს, რაც სინამდვილეში ხდებოდა. ჩემი მუშაობით განსაკუთრებით უკმაყოფილო იყვნენ სამართალდამცველები, რადგან ყაჩაღობისა თუ სხვა კრიმინალური ფაქტები, რომელთაც ეთერით მთელი საქართველოს მასშტაბით ვაშუქებდი, თურმე არსად აღირიცხებოდა. 2005 წლის 26 აგვისტოს გავავრცელე ინფორმაცია, რომ სოფელ შამგონაში მოქალაქე ჩხეტია დააყაჩაღეს, ორი ტონა თხილი წაართვეს და მძევლადაც აიყვანეს. ორი დღის შემდეგ სამეგრელოში კიდევ ერთი თავდასხმა მოხდა, ამჯერად ზუგდიდში, რაფავების ოჯახზე. ზუგდიდის პოლიცია ორივე ფაქტს მალავდა. ჩემი ინფორმაციებით აღშფოთებულმა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული პოლიციის უფროსმა მერაბ გერგაიამ, რადიო „იმედში“ ოფიციალური წერილი გამოაგზავნა და ჩემს მასალებს სიცრუე და დეზინფორმაცია უწოდა. თითქოს ტენდენციური სიუჟეტების მომზადებით შეგნებულად ვცდილობდი პოლიციისა და ხელისუფლების იმიჯის შელახვას. ანალოგიური პრეტენზიებით შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურიდანაც დარეკეს რადიო „იმედში“, თუმცა ჩემზე ზეწოლის, მუქარისა და შანტაჟის ფაქტები ამით არ დამთავრებულა. რადიოკომპანიიდან გერგაიას გაეგზავნა ჩემი რეპორტაჟების ჩანაწერი, სადაც დაზარალებულები ამბობდნენ, რომ ისინი დააყაჩაღეს. ამის მერე გერგაიას „იმედში“ აღარ დაურეკავს, მაგრამ ჩემ მიმართ შანტაჟი გაგრძელდა. ზუგდიდის პოლიციის მხრიდან მოსალოდნელი პროვოკაციებისგან სრულიად დაუცველი ვარ, საკანში გამომწყვდევითაც კი მემუქრებიან. სამეგრელოში საკმაოდ მძიმე კრიმინოგენული ვითარებაა, პოლიცია კი შეგნებულად ფარავს და დანაშაულებს არ ახმაურებს, ხოლო თუ ვინმე სიმართლის თქმას გაბედავს, ჩემს მდგომარეობაში აღმოჩნდება.

კონკრეტული ინფორმაციის გადამოწმება ჩვენ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პოლიციის უფროსთან, **მერაბ გერგაიასთან** ვცადეთ:

— **ბატონო მერაბ, სამეგრელოდან გვაქვს ინფორმაცია, რომ რეგიონში ძარცვა-ყაჩაღობებისა თუ სხვა კრიმინალური ფაქტების დაფარვა ხდება.**

— ჩემს რეგიონში არაფერი არ იმალება, თუ გინდათ ჩამოდით და მოგცემთ მონაცემებს, კარგად ბრძანდებოდეთ...

სხვა ინფორმაცია აქვს ზუგდიდის მაჟორიტარ დეპუტატ **გოჩა ფიფიას:** „შემიძლია დავადასტურო, რომ იქ უმძიმესი მდგომარეობაა. კრიმინალური ფაქტების მიჩუმათება ჩვეულებრივი ამბავია. ცხადია ამ შემთხვევაში გერგაიას ხელს შეუშლის რეგიონში თავისუფალი პრესის არსებობა. თუ პრესას გააჩუმებენ, ასე მათი ბინძური საქმეები უკეთ დაიფარება“.




# პრინციპული უვიცობა თუ უვიცების პრინციპულობა?!

## გადასახადებისგან გათავისუფლებთ, მაგრამ გაზეთები არ გაყიდოთო...

### დაუყენეთ საგაზეთო ჯიხურებს ბორბლები და სალარო-აპარატები აღარ დაგჭირდებათ...




„უცნაურია, პირდაპირ პრესის ჯიხურებს რომ დაეტაკნენ“

თითქმის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქართული პრესა 2007 წლის პირველ იანვრამდე დამატებული ღირებულებისა და მოგების გადასახადებისგან გაათავისუფლა, მაგრამ გასულ კვირაში გაირკვა, რომ ბეჭდვით მედიაში ამით გამოწვეული სიხარული ნაადრევი ყოფილა. როგორც საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების შესახებ საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებით გაირკვა, ხელისუფლებამ ვითომ პრესისთვის მისაცემი „ლუკმა“ საკუთარ ჯამში ჩააგდო და თუ ერთი კანონით „მოგვეფერა“, მეორეთი სრულიად გაუმართლებლად ყელში წაგვიჭირა ხელი. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, პრესის გავრცელების სამსახურები ვალდებული არიან სავაჭრო ოპერაციების განხორციელებისას საკონტროლო-სალარო აპარატები გამოიყენონ იმ ჯიხურებშიც კი, სადაც მხოლოდ ჟურნალ-გაზეთებით ვაჭრობენ მაშინ, როდესაც ისინი ამავე ვალდებულებისგან თავისუფლდებიან პირდაპირ ქუჩაში დადგმული სტენდებიდან და უბრალოდ მაგიდებიდან ვაჭრობის შემთხვევაში. სიტუაცია მეტისმეტად კურიოზულია, რადგან საგადასახადო კანონში განხორციელებული ცვლილება სრულიად ეწინააღმდეგება პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ პრესისთვის გამოცხადებულ (დროებით, მაგრამ მაინც) ფინანსურ შეღავათებს. სალარო-აპარატებით იმის დათვლას გვთხოვენ, პრეზიდენტის განკარგულებით რომ არ გვევალება. ისიც გაუგებარია, თუ პრესის გამავრცელებლები ქუჩაში, ღია ცის ქვეშ ვაჭრობისას არ იბეგრებიან, რატომ იბეგრებიან გადახურულში? არანაკლებ გაუგებარია, ხელისუფლება გარე ვაჭრობას რომ „ცუდ გადმონაშთად“ მიიჩნევს და თან ისეთ კანონებს იღებს, რომლებიც სწორედ გარე ვაჭრობისკენ უბიძგებს ხალხს. ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ შექმნილი სიტუაციის გაანალიზებისას ყველა, დაზარალებულიც და კანონმდებელიც კანონის აბსურდულობაზე ლაპარაკობს, საგადასახადო სამსახური ჯიხურებს დაერია და მანამ არ აპირებს მათ დანდობას, სანამ თითოეული ჯიხურისთვის არ შეიძენენ საკონტროლო-სალარო აპარატს. აპარატი 200-დან 300 ლარამდე ღირს და იმ შემთხვევაში, თუ საკანონმდებლო აქტში გაპარული ხარვეზი საბოლოოდ ლოგიკას დაექვემდებარება, როგორც ამას პარლამენტში ირწმუნებიან, გამოდის, რომ პრესის გამავრცელებლებს ასობით ჯიხურისთვის სალარო-აპარატების შეძენით უამრავი ფული ჩაეყრებათ წყალში.

მას შემდეგ, რაც ჟურნალ-გაზეთებით მოვაჭრე ჯიხურებზე რკინის „ფარდები“ ჩამოეშვა და ზოგიერთი მათგანის მფლობელი თითოეულ ჯიხურზე 500 ლარითაც დაჯარიმდა (ყოველდღიურ ზარალზე რომ აღარაფერი ვთქვათ), პრესით მოვაჭრე ობიექტების „გაქრობის“ გამო მკითხველი საყვედურს გამოთქვამს, საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვი, რომ ხელისუფლება პრესაზე ზეწოლას ცდილობს. თუმცა, საქართველოს პარლამენტის წევრი **ლევან ბერძენიშვილი** აღნიშნული კანონის ამოქმედებას პრესაზე ზეწოლის ფაქტად არ განიხილავს.

— საერთოდ, ჩვენს ქვეყანაში პრესაზე ზეწოლა ხდება, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სხვა მოვლენასთან. შექმნილი მდგომარეობა იმით არის გამოწვეული, კანონპროექტის შინაარსი რომ არ იციან და პარლამენტში ისე იღებენ კანონებს. კანონი რომ ამოქმედდება, მერე ირკვევა, შიგ რა წერია. განვითარებული მოვლენების მიხედვით გამოდის, რომ პარლამენტმა მხოლოდ ერთი შეხედვით გაათავისუფლა პრესა გადასახადებისგან, რადგან მეორე კანონის მიღების დროს არც ხელისუფლებაში და არც პარლამენტში არავინ იფიქრა იმაზე, რომ სალარო-აპარატების საკითხი შეეხებოდა იმ ჯიხურებსაც, სადაც მხოლოდ პრესა იყიდება. ამიტომაც ჩემი აზრით, ეს გაუგებრობა არის არა პრესაზე ზეწოლა, არამედ გაცილებით უარესი, სრული უვიცობა, რომელსაც საპარლამენტო მუშაობის დროს ამჟღავნებენ ისინი, ვინც კანონპროექტებს ამზადებენ. ამაზე უნდა ეზრუნათ კანონპროექტის მომმზადებლებს, სათანადო საპარლამენტო კომიტეტს, ვინც შემოიტანა ეს კანონი დასამტკიცებლად.

ეს შეცდომა რაც შეიძლება მალე უნდა გამოსწორდეს და ჩავთვალოთ იგი გაუგებრობად, რომელიც, ვიმედოვნებ, სასწრაფოდ აღმოიფხვრება. ხელისუფლებას ხელს არ აძლევს პრესის რეალიზაციით დაკავებული ჯიხურების დაკეტვა, რადგან მათი საშუალებით ხელისუფლება სასურველ ინფორმაციას, როცა უნდა, მშვენივრად აწვდის საზოგადოებას, თუნდაც ჭორების სახით. ასე რომ, ხელისუფლების მარჯვენა ხელს მარცხენამ ძალიან ცუდი საქმე გაუკეთა, რასაც კარგად გრძნობენ ხელისუფლებაში და ამიტომაც ამ პრობლემას, ვფიქრობ, მალევე მოაგვარებენ.

ეს გაუგებრობა არ არის პირველი შემთხვევა, რადგან ძალიან ხშირად დაუფიქრებლად ხდება კანონების მიღება. პარლამენტი მოუმზადებლად „აცხობს“ კოლოსალური რაოდენობის კანონებს. გასული წლის ბოლოს ჩვენ ასზე მეტი კანონი მივიღეთ თითქმის ერთ კვირაში. იქ განხილვასა და დეტალების შემჩნევაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო.

ძალიან ცუდია, რომ ბევრი უსამართლოდ დაზარალდა განვითარებული მოვლენებით. ცუდია, ასეთი რამ რომ ხდება, მაგრამ მოქმედებს აბსურდული კანონი, — რადგან კანონი კანონია, სანამ არ გამოიცვლება, მანამ მისი მოქმედება კანონიერია(?!).

**— გამოდის, რომ გაუმართლებელია და მაინც კანონია?**

— სამწუხაროდ, ჩვენს ცხოვრებაში ძალიან ბევრია ისეთი კანონი, რომელიც სრულიად არ შეესაბამება საზოგადოებრივ მოთხოვნას, შესაბამისად — კანონიერია, მაგრამ უსამართლოა. სამართლიანობა და კანონიერება ჩვენთან ერთი და იგივე არ არის.

**— თქვენი აზრით, რა არის საჭირო პრობლემის დროულად მოგვარებისათვის?**

— პარლამენტის პირველსავე სხდომაზე უნდა დაისვას საკითხი და კანონში შევიდეს ცვლილება. ისევე, როგორც სალარო-აპარატების გამოყენების აუცილებლობა არ ეხება გარე მოვაჭრეებს, არც იმ ჯიხურებს უნდა შეეხოს, სადაც მხოლოდ გაზეთებს ყიდიან. უცნაურია, პირდაპირ პრესის ჯიხურებს რომ დაეტაკნენ. საგადასახადო სამსახური ისე იქცევა, თითქოს სხვაგან ყველაფერი მოწესრიგებული აქვს.

საგადასახადო კანონში განხორციელებულ ცვლილებათა გამო შეწუხებულია პარლამენტის სპიკერი **მიხეილ მაჭავარიანიც**, რომელიც კითხვის დასმასაც არ გვაცლის, ისე ცდილობს თავის გამართლებას.

— უბრალოდ, კანონში არ არის გარკვეული, რომ ეს ვალდებულება არ უნდა ეხებოდეს პრესას, რომელიც იყიდება ჯიხურებში. სამწუხაროდ, მავანთა დაუდევრობით და ალბათ ჩვენი უყურადღებობითაც ისარგებლეს და არ არის დაზუსტებული, რომ ჯიხურები, რომლებიც მხოლოდ პრესით ვაჭრობენ, გათავისუფლებული არიან სალარო-აპარატების გამოყენების ვალდებულებისგან. ამის შესახებ მოვამზადე ინიციატივა, რომელიც ორშაბათს ბიუროს სხდომაზე გაცხადდება. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს ელაპარაკა ქალბატონი ნინო ბურჯანაძე და ყველაფერს დავაზუსტებთ, რათა ეს უხერხული სიტუაცია გამოვასწოროთ.

**— სიტუაციის გამოსწორებამდე რა მოხდება?**

— ფინანსთა მინისტრმა თქვა, რომ ცვლილების მიღებამდე შეასრულებს კანონს. არ უნდა, რაღაც კომპრომისი დაუშვას. რადგან კანონი მოითხოვს ჯიხურებში სალარო-აპარატით მუშაობის აუცილებლობას, საგადასახადო სამსახურიც მოითხოვს ამ კანონის შესრულებას. ამბობენ, კანონის საწინააღმდეგოდ რომ მოვიქცეთ, შეიძლება ვინმე შემოგვედავოსო.

**— ამით ხომ აბსურდული სიტუაცია კიდევ უფრო მძიმდება? თუ ყველა აღიარებს, რომ კანონი აბსურდულია, მაშინ საგადასახადოს ვინღა შეედავება?**

— რა გითხრათ, ვეცდები, რომ ამ კვირაში ეს კანონი მივიღოთ და ამით დავამთავროთ მთელი ეს გაუგებრობა.

ვისაც ჯარიმები დაერიცხა, უნდა გაირკვეს მათი ამბავი. კანონის ცვლილება დააზუსტებს ამ ყველაფერს.

**— ვინ არის მთავარი დამნაშავე მთელ ამ გაუგებრობაში?**

— ჩვეულებრივი დეპუტატი რომ ვიყო, გავიშვერდი ხელს ვინმესკენ. ალბათ ჩვენი ბრალიც არის, დეპუტატები ყურადღებით უნდა ვყოფილიყავით. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ ძალიან მაგრები ვართ და ვილაცები ძალიან ცუდები არიან. იმიტომ არის პარლამენტი, რომ საჯაროდ მოხდეს განხილვა და ყველაფერი გავითვალისწინოთ.

**— თუ შეიძლება კიდევ ერთხელ დაწვრილებით ჩამოაყალიბეთ თქვენი საკანონმდებლო ინიციატივის შინაარსი.**

— კანონში ჩანაწერი უნდა გაჩნდეს იმის შესახებ, რომ სალარო-აპარატები არ უნდა იყოს იმ ჯიხურებში, რომლებიც მხოლოდ პრესას ყიდიან, რადგან 2007 წლის 1-ელ იანვრამდე პრესა გათავისუფლებულია მოგებისა და დამატებული ღირებულების გადასახადებისგან. შესაბამისად, ჯიხურებისთვის სალარო-აპარატებით ვაჭრობის დაკისრება ალოგიკური გამოდის და ამ შემთხვევაში ისევე უნდა ვიმოქმედოთ, როგორც სტენდებზე. მაგრამ იმ ჯიხურებში, სადაც პრესის გარდა იყიდება სიგარეტი და სხვა პროდუქცია, აუცილებლად უნდა იყოს სალარო-აპარატები.

**— როდის აპირებთ ამ საკითხის განხილვას პარლამენტში?**

— ალბათ ამ კვირაში. სამშაბათს, ოთხშაბათს პარლამენტში რთული საკითხები განიხილება. სამშაბათს პრეზიდენტი მოდის წლიური მოხსენებით. ოთხშაბათს სამშვიდობოების თემაზე ვიმსჯელებთ და როგორც კი ამ საკითხებს მოვრჩებით, ჯიხურებსაც მივხედავთ.

პარასკევს ალბათ ყველაფერი გვეცოდინება. აბსოლუტურად გეთანხმებით, რომ უხერხული მომენტია, მაგრამ რას იზამ.

ფინანსთა მინისტრის მოადგილესთან **ლაშა გოცირიძესთან** საუბრის შემდეგ კი ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ სანამ პარლამენტში ბჭობენ, ფინანსთა სამინისტროში იცინიან. ლაშა გოცირიძესთან ინტერვიუ მარტივი კითხვებით დავიწყეთ, რადგან გვაინტერესებდა იმის დადგენა, თუ რა პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ საგადასახადო კოდექსში ცვლილებათა კანონპროექტის მომზადებისას.

**— ბატონო ლაშა, რისთვის არის საჭირო სალარო-აპარატი, რას უთვლით მისი საშუალებით რეალიზატორს?**

— სალარო-აპარატს აქვს ორი ფუნქცია, ერთი მდგომარეობს იმაში, რომ ბიზნესის მფლობელი ამოწმებს, რამდენია მისი შემოსავალი, გამყიდველი ხომ არ ატყუებს მას, ხომ არ უმალავს შემოსავლებს. ამავე ფუნქციით სალარო-აპარატის გამოყენება შეუძლია საგადასახადო სამსახურს, რომელიც აღნუსხავს, რა შემოსავალი ჰქონდა მაღაზიებს, ჯიხურებს და სხვა ობიექტებს. შესაბამისად, დგინდება მათი შემოსავლებიდან რა ოდენობის გადასახადი ეკუთვნის სახელმწიფოს. კეთილსინდისიერი მეწარმე ყოველთვის დაინტერესებულია, შეამოწმოს მის მიერ დაქირავებული გამყიდველების კეთილსინდისიერება და შესაბამისად გადაიხადოს სახელმწიფო გადასახადები. თუ მეწარმეს სურს მოატყუოს სახელმწიფო ანუ დამალოს გადასახადები, მაშინ მას სალარო-აპარატის არსებობა არავითარ შემთხვევაში არ აწყობს.

**— მაშინ, როდესაც პრესა გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების და მოგების გადასახადებისგან, რას უთვლით სალარო-აპარატებით იმ ჯიხურებს, სადაც მხოლოდ ჟურნალ-გაზეთები იყიდება?**

— ყველა გადასახადისგან ხომ არ არის გათავისუფლებული, სოციალურ, ქონების, საშემოსავლო გადასახადებს ხომ იხდის(?!) (საკვირველია, რომ ქვეყნის მთავარი ფინანსისტის მოადგილემ არ იცის, რომ სოციალური, ქონებისა და საშემოსავლო გადასახადები სალარო-აპარატების საშუალებით არ აღირიცხება და ამ გადასახადებს ისედაც იხდის ყველა ჯიხურის მეპატრონე. — ავტ.). ამასთან, აქვს კიდევ ჯიხურის გადასახადი. რომ ამბობთ, პრესა გათავისუფლებულია გადასახადებისგანო, ჯიხურის მფლობელი ხომ არ არის გათავისუფლებული? გაზეთების მიწოდება არის გათავისუფლებული გადასახადებისგან, თორემ ჯიხური, რომელიც არის შუამავალი, ხომ იბეგრება?

გადასახადები გაუქმებულია ისეთი ტიპის ინდივიდუალურ მეწარმეებზე, რომლებსაც დაქირავებული არავინ ჰყავთ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის სარეალიზაციოდ. ასეთები არიან ხელზე მოვაჭრეები და სხვები.

**— თუ შეიძლება ამიხსენით, რატომ არ ვიბეგრები მაშინ, როდესაც ღია ცის ქვეშ მაგიდებზე ან სტენდებზე ვვაჭრობ პრესით და რატომ ვიბეგრები მაშინ, როდესაც გადახურულში, ჯიხურში შევდივარ?**

— ამაზე დიდი დისკუსია იყო პარლამენტშიც, იყო ლაპარაკი, რომ ზოგიერთი ჯიხური არ უნდა დაგვებეგრა. მერე ამას რიგი გართულებები მოჰყვა, ვერა და ვერ შევთანხმდით, რომელი ჯიხური არ უნდა დაგვებეგრა, ამიტომაც საბოლოოდ მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება, რომ გადასახადებისგან გაგვეთავისუფლებინა მხოლოდ არასტაციონარული სავაჭრო ობიექტები, ისეთი, როგორიც არის სტენდები და მაგიდები, რომელთაც საღამოს კეცავენ და მიაქვთ, დილით კი მოაქვთ, შლიან და დგამენ. ჯიხური კი რადგან სტაციონარულია, ისევე იბეგრება, როგორც მაღაზიები და სხვა სტაციონარული ობიექტები.

**— ბატონო ლაშა, სტენდი ჯიხურივით რომ გადავხურო და ბორბლებიც გავუკეთო იოლად წასაღებ-წამოსაღებად, მაინც მომთხოვთ სალარო-აპარატების გამოყენებას?**

— კანონში სალარო-აპარატების გამოყენებისგან გათავისუფლებულთა შორის შევიდა ჟურნალ-გაზეთების სავაჭრო სტენდი. ასეთი ცვლილება რომ არ შესულიყო კანონში, სალარო-აპარატის გამოყენება სტენდისთვისაც სავალდებულო უნდა ყოფილიყო. ის კი, რომ თქვენ სტენდს გადახურავთ, საკამათოა, მას ისევ სტენდი ერქმევა თუ არა. შეიძლება ამ საკითხის საფუძვლიანად განხილვა ან შეიძლება საგადასახადო ინსპექტორმა ადგილზევე მიიღოს გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში ინდმეწარმეს უფლება აქვს, სასამართლოშიც გაასაჩივროს, რა აქვს სინამდვილეში, სტენდი თუ ჯიხური. კანონის მიხედვით, გადახურვის შემდეგ ისევ სტენდი იქნება თუ უკვე ჯიხური, ამაზე ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება შეუძლებელია(?!).

**— ზუსტად ამაშია საქმე. სხვათა შორის, პარლამენტში მიხვდნენ და სერიოზული გაუგებრობა უწოდეს იმას, რაც დღეს სალარო-აპარატების და პრესის გამავრცელებლებთან დაკავშირებით ხდება. ამბობენ, რომ უყურადღებობის გამო გაეპარათ საკანონმდებლო ლაფსუსი, რომლის გამოსწორებასაც ამ კვირაში აპირებენ.**

— ნამდვილად არავის ვურჩევ, რომ ამ მითური ცვლილების მოლოდინში სალარო-აპარატები არ გამოიყენონ. როგორც ჩანს, არ იცით, რამხელა დისკუსია იყო გამართული სალარო-აპარატების გამოყენებასთან დაკავშირებით პარლამენტში. უზარმაზარი სამუშაო ჩატარდა(?!). ამიტომაც ვერავის დავეთანხმები, რომ ამ კანონში ვინმეს უყურადღებობით რაიმე შეცდომა შეიძლება გაპარულიყო. შესაძლოა, უმნიშვნელო ხარვეზი იყოს, მაგრამ მერწმუნეთ, ეს კანონი ათასჯერ არის გადალეჭილი. ვიმეორებ, არავის ვურჩევ პარლამენტარების დაპირებათა იმედად სალარო-აპარატებზე უარის თქმას.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის პრინციპულ კომენტარს ცივ წყალს ასხამს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე **ირაკლი კოვზანაძე**.

— მიხეილ მაჭავარიანი უკვე შემოვიდა ამ საკითხის განხილვის ინიციატივით და იგი აუცილებლად განიხილება. ანუ დაიწყება მუშაობა იმისათვის, რომ ჟურნალ-გაზეთებით მოვაჭრე ჯიხურების შესახებ ცვლილება კანონში შევიდეს. ეს საკითხი განიხილება ჯერ კომიტეტზე და შემდეგ სესიაზე.

**— ფინანსთა მინისტრის კატეგორიული გაფრთხილება, რომ ცვლილება არ განხორციელდება, კიდევ უფრო ამძაფრებს ეჭვს, რომ ხელისუფლება აღნიშნული კანონით პრესაზე ზემოქმედებას ცდილობს.**

— არა მგონია, რომ ამით პრესაზე ზემოქმედება ხდება. ეს ყველაფერი გაუგებრობაა. აბა, სადაც შეიძლება პრესის რეალიზება სტენდებსა და მაგიდებზე სალარო-აპარატების გარეშე, რატომ არ შეიძლება იგივე მოხდეს ჯიხურებშიც.

**— თავიდან, როდესაც ამ საკანონმდებლო ცვლილების განხილვა მიმდინარეობდა, ჯიხურების საკითხთან დაკავშირებით სერიოზული კამათი გამართულა...**

— დისკუსიის დროს ჯიხურების პრობლემა რომ წამოჭრილიყო, დარწმუნებული ვარ, ეს საკითხი სწორად გადაწყდებოდა.

P. S. დრო არ ითმენს, მაგრამ ისღა დაგვრჩენია, მოვლენების განვითარებას დაველოდოთ. ჩვენს კანონმდებლებს კი კიდევ ერთხელ უნდა შევახსენოთ, რომ დღევანდელი „პრინციპული“ ჩინოვნიკების ხელში განსაკუთრებით აქტუალურია გამონათქვამი: ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო...

და კიდევ ერთი, იმ შემთხვევაში, თუ სალარო-აპარატების შესახებ კანონში ცვლილება 1-ელ მარტამდე არ შევა, პრესით მოვაჭრეებს უფრო დიდი ჯარიმა ელით — როგორც საგადასახადო დეპარტამენტში განაცხადეს, სალარო-აპარატის უქონლობის შემთხვევაში, თითოეული ჯიხური 10.000 ლარით დაჯარიმდება.

ეკა ლომიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „კარგ სამსახურს ყველაფრის მკადრებელი ხალხი შოულობს“

## „რისი გამომძიებელია რუხაია, ბექაურის ზარზე „სმირნაზე“ დგება“



„დემოკრატიული ფრონტი“ პარლამენტის საგაზაფხულო სესიის პირველივე სხდომაზე მწვავე განცხადების გაკეთებას აპირებს. როგორც „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას **კობა დავითაშვილმა** განაცხადა, ის კოლეგებთან ერთად დსთ-დან გამოსვლას, რუს მშვიდობისმყოფელთა გაყვანას, ხელისუფლებაში რუსეთის აგენტების გამოაშკარავებასა და კახა ბენდუქიძის თანამდებობიდან გათავისუფლებას მოითხოვს. დავითაშვილმა ისიც გაგვიმხილა, რომ ხელისუფლება არასამთავრობო ორგანიზაციების საშუალებით ცდილობს ოპოზიციასთან ანგარიშსწორებას.

**— ბატონო კობა, ბოლო დროს რაღაც დუმხართ. ხელისუფლების გასაკრიტიკებლად არგუმენტები ხომ არ შემოგაკლდათ?**

— ლიტვაში ვიყავი. იქიდან რომ ჩამოვედი, ენერგოკრიზისი დაიწყო და განვაცხადე — რაკი ენერგოკრიზისია, ვჩუმდები-მეთქი, თორემ დღესაც არ მომწონს ის, რაც არ მომწონდა. ხელისუფლების მთავარი პრობლემა სტრატეგიის უქონლობაა. ის მხოლოდ დღევანდელი დღით ცხოვრობს და ორი დღით წინ არ იხედება.

ავიღოთ თუნდაც ე. წ. სამშვიდობო გეგმა. არ შეიძლება ყველაფერს პიარის თვალით უყურებდე და არ კითხულობდე, რას წერ დოკუმენტში. სამშვიდობო გეგმა იდიოტურია, რადგან მასში წერია, სამაჩაბლოსთან უნდა ვითანამშრომლოთ, ეკონომიკური კავშირები აღვადგინოთ და ამის შემდეგ დავიწყოთ სტატუსზე მსჯელობაო. რომ არ გველაპარაკოს ამაზე ცხინვალის ხელისუფლება? როდესაც გეგმაში ზარ-ზეიმით ჩაწერეს, სამშვიდობო ძალებს კონფლიქტის რეგიონში განსაზღვრული ფუნქცია აქვთო, მერე ამ დოკუმენტს ხელი მოაწერეს, კოკოითსაც გაუგზავნეს და ევროსაბჭოშიც გააკეთა გეგმის პრეზენტაცია ჩვენმა პრეზიდენტმა, რას ფიქრობდა? თუ სამშვიდობო ძალების გასაყვანად ვემზადებით (რაც სწორია), ჩვენ მიერვე შექმნილ დოკუმენტში არ უნდა ჩავწეროთ, სამშვიდობო ძალებს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრიაო. დღეს, როდესაც ძალიან კარგი მომენტი გვაქვს მშვიდობისმყოფელთა გასაყვანად, როდესაც რუსეთის აგრესია მთელი მსოფლიოსთვის აშკარაა, რატომ ვირთულებთ საქმეს ჩვენივე შექმნილი დოკუმენტით? ჩვენი ხელისუფლება ხელოვნურად იქმნის პრობლემებს და მერე „გმირულად“ იწყებს მათ დაძლევას. ცუდი ის არის, რომ პრეზიდენტმა ამ ჩანაწერს ყურადღება არ მიაქცია.

**— შესაძლოა, ბრმად ენდო მის შემდგენელს?**

— ძალიან კარგად იცოდა, რომ სამშვიდობო გეგმაში რუს მშვიდობისმყოფელებზეც იყო ჩანაწერი, მაგრამ იმწუთას ერთდღიან პიარზე ფიქრობდა — ევროსაბჭოში გამოვალ, CNN გადამიღებს, ევრონიუსზეც გამოვალო და სულ არ გახსენებია, იქნებ ხვალ მშვიდობისმყოფელთა გაყვანა დამჭირდეს და ეს ჩანაწერი ხელს შემიშლისო. აი ეს არის ჩვენი ხელისუფლების არათანმიმდევრულობა, მერყეობა და ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნა. საზოგადოებისთვის ილუზიის შესაქმნელად, აქაოდა ძლიერი ხელისუფლება გვყავსო, გადის ტელეეთერში კლიპები, ნახეთ რა ძლიერი ჯარი გვყავს, როგორ მიდიან რეზერვისტებად პარლამენტარები და ყველაფერ ამას ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ვაკეთებთო. ამას ჩვენი მოწინააღმდეგე იყენებს და გვეუბნება, მშვიდობა როგორ გინდა, როდესაც გამალებული მილიტარიზაცია გაქვსო. შე კაი კაცო, თუ რამის გაკეთება გინდა, რა გაყვირებს? წყნარად გააკეთე, რა აუცილებელია ტაშფანდური და ვაი-უშველებელი? ქართველებს ერთი კარგი ანდაზა გვაქვს, მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერსო. სანამ გადახტება, ხელისუფლება სამჯერ იძახის „ჰოპლას“ და რომ გადახტება, უკვე მომზადებული ხვდება მოწინააღმდეგე, რა თავს ვიკლავთ ამ ბაქიბუქით, არ შეიძლება საქმე ჩუმად ვაკეთოთ?

ავიღოთ თუნდაც გაზსადენის საკითხი. სააკაშვილმა რუსეთის კაცი, კახა ბენდუქიძე ჩამოიყვანა და მთავრობაში დაგვისვა რუსეთთან სავაჭროდ. ამით რუსებს უთხრა, სტრატეგიულ ობიექტებს მოგყიდით, თუკი ცხინვალის საკითხზე თვალს დახუჭავთო. გასაგებია ხელისუფლების ჩანაფიქრი, მათივე კაცის მეშვეობით ვაჭრობს რუსებთან, მაგრამ რუსეთთან ასეთი ლაპარაკი არ შეიძლება. ამ წინადადებიდან რუსეთმა მხოლოდ ის გაიგო, რაღაც ვარიანტში გაზსადენის მიღება შემიძლიაო და სათავისო დასკვნა გააკეთა, — ქართველებს ისე გავუუარესოთ პირობები, რომ გაზის მიწოდების სანაცვლოდ გაზსადენი დავათმობინოთო. გაზსადენის აფეთქება ჩვენი უგუნური პოლიტიკის შედეგია, რის შემდეგაც რუსებს გაუჩნდათ ცრუ ილუზია, მისცეს მითითება გრუ-ს და გაზსადენი ააფეთქეს. გაზს ოფიციალურად ვერ გადაკეტავდნენ და ყველაფერი ტერორისტებს დააბრალეს.

ამას წინათ ქართულ პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია, ერთმა ქართველმა ჩინოვნიკმა თავის რუს კოლეგას წერილი მისწერა, სადაც ურჩია — თუ გაზსადენის მიღება გინდათ, ზამთარში გადაუკეტეთ გაზი საქართველოსო. მიკვირს, რატომ არ გამჟღავნდა იმ ჩინოვნიკის ვინაობა, მით უმეტეს, რომ სათანადო მტკიცებულებებიც იყო ამ ფაქტის დასადასტურებლად.

**— უცნაურია, რომ ხელისუფლებისაგან დაჩაგრულ პრესას ოპოზიციაც საყვედურობს.**

— მეტად შემტევები უნდა იყოთ და ვერავინ დაგჩაგრავთ. თუ თქვენი რეაქცია შესაბამისი არ იქნება, ხელისუფლება უფრო სერიოზულ იერიშზე გადავა. ახლა მთელ პრესას შეუტიეს. ხელისუფლებას არ უნდა, ვინმე ოპონირებას უწევდეს და მისი დაქირავებული არასამთავრობო ორგანიზაციების ბოლოდროინდელი განცხადებები — ოპოზიცია ხელისუფლების ოპონენტად არ ვარგაო, იმ მიზანს ემსახურება, რომ ოპოზიცია და პრესა ჩაიწიხლოს. ხელისუფლებას დაქვემდებარებული ე. წ. არასამთავრობოები, რომელთაც სახე აღარ შერჩათ, კარგი იქნება, თუ სახელისუფლებო დეპარტამენტად გადაკეთდებიან, ან მათ საფუძველზე ინფორმაციის სამინისტრო შეიქმნება, როგორც ეს რუსეთში მოხდა. ხელისუფლებაში ყოფნისა და წარმატების საფუძველი ერთ ანეკდოტში კარგად ჩანს: კაცი ეხვეწება ორგანიზაციის ხელმძღვანელობას, ბატონო, სამსახურში მიმიღეთო, ის კი პასუხობს — ეგ კადრების საკითხიაო. ყველაფერს ვიკადრებ, ბატონოო. ასე რომ, კარგ სამსახურებს ის ხალხი შოულობს, ვინც ყველაფრის მკადრებელია.

საბაჟო ტერმინალ „ოპიზის“ საქმის გამოძიებასაც მინდა ორიოდ სიტყვით შევეხო. ცხადად გამოიკვეთა ის, რასაც თავიდან ვამბობდი. ოპოზიციის წარმომადგენელი კომისიის თავმჯდომარეც იმიტომ არ დანიშნეს, რომ სიმართლე არ გარკვეულიყო. როდესაც დადგა საკითხი, ვისგან აიღო სესხები ბექაურმა, ითქვა, ოფიციალური შეკითხვა გავუგზავნოთ ისრაელის ხელისუფლებას, რამდენად მართალია, რომ ფიჩხაძემ უპროცენტოდ ასესხა ფული ბექაურსო. მაშინ გამოხტა ბატონი კირკიტაძე და განაცხადა: ეს კომისია დასახურია, რადგანაც ისეთ პატივსაცემ კაცს ანუხებს, როგორიც ბატონი ფიჩხაძეაო. ე. წ. დამოუკიდებელი თავმჯდომარე ამან ძალიან დააფრთხო, სამჯერ გავიდა კომისიის სხდომიდან სატელეფონო ზარის გამო. რისი გამომძიებელია რუხაია, რომელიც ბექაურის ზარზე „სმირნაზე“ დგება და ეუბნება, როგორც თქვენ ინებებთ, ისე იქნება საქმეო. კომისიის მუშაობა სინამდვილეში დროის გაყვანაა. ჩემი ეჭვით, ბექაურმა სესხი კი არ აიღო, თავისი შავი შემოსავლები გაათეთრა. ფრიდონ რუხაიას კირკიტაძემ და ბექაურმა თითი დაუქნიეს, მართლა გამომძიებელი ხომ არ გგონია თავიო და ისიც დამორჩილდა. კომისიის დასკვნას სინამდვილეში ბექაური დაწერს და რუხაია მას მხოლოდ ხელს მოაწერს.

*იზო რეკაძე*

# „პუტინისა და სააკაშვილის შეხვედრა განმუხტავს ვითარებას“

## „როგორ გგონიათ, ნავთობსადენის შესახებ დოკუმენტზე რატომ არის კლინტონის ხელმოწერა?“

რვა წელი გავიდა 9 თებერვლის ტერაქტის შემდეგ, რომელიც როგორც გამოძიებით დადგინდა, ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა დაგეგმეს. შურისძიების ობიექტი მაშინდელი საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე იყო. შევარდნაძის პოლიტიკურ ბიოგრაფიაში ტერაქტი არაერთხელ ყოფილა, მაგრამ ყოველთვის გადაურჩა. როგორ თუ ვისი წყალობით ახერხებდა რთული ვითარებიდან თავის დაღწევას საქართველოს მეორე პრეზიდენტი, ინტერვიუდან შეიტყობთ.

**ედუარდ შევარდნაძე:** — შესაძლო ტერაქტზე გაუთავებლად მესმოდა ლაპარაკი. ერთი ტერაქტი ხომ მოხდა კიდეც. 1995 წელს, კონსტიტუციის მიღების შემდეგ, პიონერთა სასახლეში მივდიოდი, სადაც კონსტიტუციაზე საზეიმო ხელმოწერა იყო დაგეგმილი. „იმელთან“ მაშინ მხედრიონელებმა მოაწყვეს ტერაქტი. რამდენიმე წამით დააგვიანეს, ამან გადამარჩინა. მანამდე, აფხაზეთის ომის დროს, იყო იმ შვეულმფრენის ჩამოგდების მცდელობა, რომელშიც მე ვიჯექი, დაახლოებით 20 კაცთან ერთად. მაშინაც შემთხვევით გადავრჩი. შესაძლო ტერაქტზე გაუთავებელმა ლაპარაკმა თითქოს შემაჩვია აზრს, რომ რაღაც უნდა მოეწყოთ ჩემთვის.

აფხაზეთის ომის დროს სოხუმში, სტალინის სახლში ვცხოვრობდი, უფრო სწორად, ღამის გასათევად მივდიოდი. ის სახლი მთაზე დგას და წარამარა ბომბავდნენ „გრადებით“. ყოფილა შემთხვევა, გვიან მივსულვარ დასაძინებლად და საწოლი ყუმბარის ნამსხვრევებით სავსე დამხვედრია.

ტერაქტის ჩატარების ორი მცდელობის შემდეგ ამერიკელები ჩემი დაცვით დაინტერესდნენ. მაშინ ბუში-უფროსი იყო აშშ-ის პრეზიდენტი და მასთან კარგი ურთიერთობა მქონდა. ქართველი ბიჭები წაიყვანეს და სათანადოდ გაწვრთნეს, რათა ჩემი დაცვა შესძლებოდათ. მანამდე დაჯავშნული მანქანა არც მყავდა, მეტალურგიული ქარხნის დირექტორის, გურამ ქაშაკაშვილის მოცემული ჯაბახანა მანქანით დავდიოდი. ამერიკელებმა ეს რომ გაიგეს, ორი დაჯავშნული „მერსედესის“ მარკის მანქანა გვიყიდეს. ერთი ახლაც ჩემთან არის, დაცვის მანქანებიც ამერიკელებმა მოგვცეს. ეს მანქანები და დაცვა რომ არ ყოფილიყო, 1998 წლის 9 თებერვალს უთუოდ სიკვდილი მელოდა.

სხვათა შორის, მოგვიანებით გაირკვა, რომ ტერაქტი 8 თებერვალს ჰქონდათ დაგეგმილი, მაგრამ იმ დღეს ჩემი მეუღლე იყო შეუძლოდ, მთხოვა, მალე მოდიო და 8 საათზე წავედი შინ. ტერორისტებმა კი იცოდნენ, რომ 11 საათზე ადრე არ გავდიოდი კანცელარიიდან...

ამერიკელების ინსტრუქციის თანახმად, ჩემი ესკორტი ძალიან სწრაფად გადაადგილდებოდა. დაჯავშნული „მერსედესის“ წინ ერთი მანქანა მიდიოდა, უკან დაცვა მომყვებოდა. მოულოდნელად სროლის ხმა გაისმა. ერთი ყუმბარა საქარე მინას მოხვდა, მეორე — საბარგულს. მძღოლმა საჭე ვეღარ დაიმორჩილა, მანქანა ინერციით გასრიალდა და 200 მეტრის გავლის შემდეგ გაჩერდა. საბედნიეროდ, ჩემს მხარეს კარი არ დაზიანებულა. ქუთათელაძე „მერსედესიდან“ გადმოხტა, იქვე პოლიციელი შენიშნა მანქანით და დაუძახა, სასწრაფოდ მოიყვანე მანქანაო. პოლიციელი ჭკვიანი კაცი აღმოჩნდა, მიხვდა, რაც ხდებოდა — ისე მოაყენა მანქანა, რომ „მერსედესიდან“ „ჟიგულში“ გადავჯექი და გამოიქრა კრწანისისკენ. მაშინ სასწაულით გადავრჩი. სხვათა შორის, ბევრი ეჭვი გამოითქვა ამ ტერაქტის შემდეგ.

**— ითქვა, მაშინ პრეზიდენტი დაჯავშნულ „მერსედესში“ არც მჯდარაო.**

— დიახ, ამბობდნენ, იმ მანქანაში რომ მჯდარიყო, როგორ გადარჩებოდაო.

(გაგრძელება იხ. გვ.11)

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

საცხოვრებელი ფართის შეძენის და კეთილმოწყობის სესხები

- გსურთ თქვენი ბინა გაარემონტოთ?
- შეიძინოთ სარეცხი მანქანა ან გამათბობელი?
- ან სულაც ახალი საცხოვრებელი ფართი?

ჩვენ არ ვითხოვთ თანამონაწილეობას და მაღალ შემოსავალს, თქვენ მხოლოდ უნდა მობრძანდეთ ჩვენს ნებისმიერ ფილიალში და ინდივიდუალურად შეგირჩევთ სესხს!!!



პროკრედიტ ბანკი
სწრაფი მომსახურება, მარტივი და ყველასათვის ხელმისაწვდომი პირობები
ტელ.: 20 22 22

*საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ქ-ნ ნინო ბურჯანაძეს*

*საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, ბ-ნ მიხეილ მაჭავარიანს*

*საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს, ბ-ნ ირაკლი კოვზანაძეს*

*საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარეს, ბ-ნ ნიკოლოზ ლეკიშვილს*

## განცხადება

რამდენიმე დღეა, საქართველოში ჟურნალ-გაზეთების გავრცელება სერიოზულ დაბრკოლებას წააწყდა. პრესის გამავრცელებელი ორგანიზაციები იძულებულნი გახდნენ, დაეხურათ საგაზეთო ჯიხურები, რომლებსაც საგადასახადო სამსახურებმა, საგადასახადო კოდექსში შეტანილ ცვლილებებზე დაყრნობით, მასობრივად დააკისრეს ჯარიმები. ამან გამოიწვია გაზეთის მკითხველთა, როგორც მომხმარებელთა, უფლებების დარღვევა, პრობლემა შეუქმნა პრესის რეალიზაციას, შეაფერხა ინფორმაციის თავისუფალი გავრცელება.

აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები იშველიებენ კანონს, რომელშიც პრესის გავრცელების ჯიხურები გამიჯნულია არასტაციონარული სტელაჟებისა და მაგიდებისგან, რომლებიც, თავის მხრივ, გათავისუფლებულია სალაროს აპარატებით სარგებლობის აუცილებლობისგან. ასეთი გამიჯვნა, ჩვენი აზრით, შეცდომაა. აღსანიშნავია, რომ 2004 წელს მიღებული ახალი საგადასახადო კოდექსის თანახმად ჟურნალ-გაზეთების მიწოდება და რეალიზაცია გათავისუფლებულია როგორც მოგების, ასევე დღგ-ის გადასახადისაგან. შესაბამისად, გაზეთების რეალიზაციისას სალარო აპარატების გამოყენება ყოველგვარ აზრსაა მოკლებული.

საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები წინასწარ განცხადებებში არ უარყოფენ, რომ საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესაბამის მუხლში მართლაც გაპარულია უზუსტობა და გამოხატავენ მზადყოფნას, ეს ხარვეზი აღმოიფხვრას.

ქვემოთ ხელისმომწერი რედაქციები გამოვთქვამთ იმედს, რომ ხსენებული პრობლემა არ არის დაკავშირებული პრესის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობასთან, მიზეზი მართლაც შეცდომაა და პარლამენტი საგადასახადო კოდექსში უზუსტობას უმოკლეს ვადებში გამოასწორებს.

გაზეთი „კვირის პალიტრა“
გაზეთი „ახალი ვერსია“
გაზეთი „ალია“
გაზეთი „კვირის ქრონიკა“
გაზეთი „ხვალინდელი დღე“
გაზეთი „რეზონანსი“
გაზეთი „მთელი კვირა“
გაზეთი „ჯორჯიან ტაიმსი“
გაზეთი „ახალი თაობა“
გაზეთი „ახალი-ძველი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თურქეთთან უვიზო მიმოსვლა რუსეთის წინააღმდეგ...


თვითგამოცხადებული თავდაცვის მინისტრი ანატოლი ბარანკევიჩი


მარატ კულახმეტოვი

**„ოფიციალური თბილისი იძულებული იქნება დათმოს ცოტა, რათა ბევრი არ დაკარგოს“**

## „პროვოკაციის შემთხვევაში სამაჩაბლო აივსება კაზაკებითა და ჩრდილოკავკასიელი მოხალისეებით“

სამი რუსი სამხედრო მალალჩინოსნის დაკავებამ სამაჩაბლოში ვითარება უკიდურესად დაძაბა. საბედნიეროდ, საქმე შეიარაღებულ შეტაკებამდე არ მისულა, მაგრამ რუსი სამშვიდობო ძალების მოქმედებამ, რაც დიდი ლიახვის ხეობის ქართული სოფლების ბლოკირებით გამოიხატა, კიდევ ერთხელ დაანახვა ყველას, რომ ისინი რეგიონში ბატონ-პატრონის სტატუსის დათმობას არ აპირებენ. სამშვიდობო ძალების სარდალი მარატ კულახმეტოვი ამას საჯაროდაც აღიარებს და აცხადებს, რომ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მათ სამაჩაბლოდან გუდა-ნაბადი აუკრან. რას ემყარება რუსი გენერლის განცხადება, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ. რაც შეეხება რუსი სამხედროების დაპატიმრების ფაქტს, საინტერესოა, რისთვის გადმოვიდნენ პოლკოვნიკი ვლადიმირ ივანოვი, პოდპოლკოვნიკი გენადი პეტროსიანი და სამხედრო ინსპექციის თანამშრომელი ვალერი კროკი უვიზოდ საქართველოში? ოფიციალური ვერსიით, მათ ტყვიავთან მომხდარი ინციდენტის გამოძიებაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ სოფელ ტყვიავში რუსი სამშვიდობო ძალების სატვირთო მანქანა ადგილობრივი მცხოვრების ავტომობილს შეეჯახა. ავარია უმსხვერპლოდ დასრულდა, მაგრამ რუს და ქართველ სამშვიდობო ძალებს შორის შეხლა-შემოხლა კი მოჰყვა. ქურთაში დაკავებულ რუს სამხედროებს სწორედ ამ ინციდენტის გამოძიება ჰქონიათ მიზნად(?!), მაგრამ სპეცსამსახურების ტერმინი რომ მოვიშველიოთ, ეს ლეგენდა არალოგიკურად ჟღერს. ჯერ ერთი, რა საჭირო იყო უკვე ჩავლილი შემთხვევის გამო რუსეთიდან სამხედრო პირების ჩამოსვლა, როცა გამოძიების ჩატარება ადგილობრივი ძალებითაც იყო შესაძლებელი? ანდა, თუკი მართლაც აუცილებელი იყო ივანოვის, პეტროსიანისა და კროკის ჩარევა ამ საქმეში, ეს შეიძლებოდა ოფიციალურ დონეზე გაკეთებულიყო.

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

# სახიფათო თამაშები

## დაძაბულობა კონფლიქტის ზონაში კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება

### გზებს სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება!..

მომავალ კვირას საქართველოს როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებას საუკეთესო შანსი ეძლევა, საზოგადოების თვალში ერთიანი ეროვნული ინტერესების მქონე გუნდად გამოჩნდეს.

სამმხრივი სამშვიდობო ძალები, ცხინვალის რეგიონში, დიდი ხანია ადგილობრივი სეპარატისტების ხელისუფლების ერთგვარ მესაზღვრეებად გარდაიქმნენ. ამას, გარკვეულწილად, ისიც უწყობს ხელს, რომ ამ სამმხრივ სამშვიდობო ძალებში შემავალი ქართული სამშვიდობო ბატალიონი ბოლო პერიოდში ფაქტობრივად, ბედის ანაბარადაა მიტოვებული და დაუკომპლექტებელია. ამიტომაც ქართველი „სამშვიდობოები“ რეალურად ვერ ახდენენ რაიმე გავლენას და ქართული მოსახლეობის ინტერესების დაცვას.

ცხინვალის ექსტრემისტული ხელისუფლება, რუსეთის მასმედიის დიდი დახმარებით, ქართულ მხარეს ბრალად სდებდა სოფელ ერედვში 250 სამხედროს შეყვანას. ეს პრობლემა არ გაგვიჩნდებოდა, ქართული სამშვიდობო ბატალიონის 500-კაციანი კვოტა სრულად რომ ყოფილიყო დაკომპლექტებული.

შერეული სამშვიდობო ძალების სარდალმა გენერალმა კულახმეტოვმა ტყუილად როდი გაგზავნა მძიმე საბრძოლო ტექნიკა (ათამდე ქვეითთა საბრძოლო მანქანა) ერედვის მიმართულებით და შემოვლითი გზის გადასაკეტად.

რუსი გენერალი ამას დაგეგმილი წვრთნების გამართვით ამართლებდა, მაგრამ სინამდვილეში რუსული სამშვიდობო ბატალიონის დანაყოფებმა დიდი და პატარა ლიახვის ხეობების შემაერთებელი გზა და ერედვიდან გამოსასვლელები გადაკეტეს ერთადერთი მიზნით — კეხვში დაკავებული რუსეთის არმიის სამი ოფიცერი დიდი ლიახვის ხეობიდან არ გამოეპარებინათ და თბილისში არ ჩამოეყვანათ.

რუს გენერალს მანევრები გამოუვიდა, რითაც კიდევ ერთხელ დამტკიცდა — კონფლიქტის ზონაში მდგარი შერეული სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობას როცა უნდა და როგორც უნდა, ისე გადააადგილებს სამშვიდობო დანაყოფებს; თანაც სარდალი არ არღვევს ადრინდელ შეთანხმებებს, რადგან, დოკუმენტების თანახმად, მას შეუძლია ჯერ თავისი შეხედულების მიხედვით გამოიყენოს სამხედრო კონტინგენტი და მძიმე ტექნიკა და მხოლოდ ამის შემდეგ გააცნოს განზრახვა შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეებს.

ესეც არის საკმარისი, რათა თბილისმა მოითხოვოს ამ კონფლიქტის ზონაში მოქმედი სამშვიდობო მანდატის დაუყოვნებლივ შეცვლა ან საერთოდ შეწყვეტა.

ცხინვალის რეგიონში სიტუაცია კრიტიკულ ზღვრამდეა მისული. ყოველ წამს არის მოსალოდნელი საბრძოლო მოქმედებების განახლება და ცხადია, შერეული სამშვიდობო ძალები (რომლებიც კონფლიქტის ზონაში საკმაოდ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს) მკვეთრ ანტიქართულ პოზიციას დაიკავებენ.

რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ მიერ ერედვიდან დიდი ლიახვის ხეობისკენ მიმავალი შემოვლითი გზის მორიგი გადაკეტვა მიანიშნებს, თუ ვის ხელშია ინიციატივა. მით უმეტეს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ რუსული სამშვიდობო ბატალიონის დანაყოფების საფარქვეშ შემოვლითი გზის მარჯვე მაღლობებზე პოზიციებს სეპარატისტების შეიარაღებული ჯგუფები იკავებენ.

იმის ფონზე, თუ როგორ კეტავენ რუსი „ცისფერჩაფხუტიანები“ და სეპარატისტები პატარა და დიდი ლიახვის ხეობების შემაერთებელ შემოვლით გზას (ცხინვალზე გამავალი გზის დაკეტვა-გახსნა სეპარატისტების ხელმძღვანელობის ნება-სურვილზეა დამოკიდებული), რუსული სამშენებლო კომპანიები აგრძელებენ ძარის გზის სარემონტო-აღდგენით სამუშაოებს. ძარის გზა დიდი ლიახვის ხეობის ქართული სოფლების გვერდის ავლით ჯავიდან პირდაპირ ცხინვალს უკავშირდება. უამინდობისას ეს გზა დღემდე ძნელად სავალი იყო, მაგრამ თუკი იქ რუსულმა სამშენებლო ფირმებმა ასფალტი დააგეს, სეპარატისტებს, საბრძოლო მოქმედებების განახლების შემთხვევაში, უკეთესად მანევრირების საშუალება მიეცემათ. ომში კი (თუ ეს საჭირო გახდა) ხშირად გამარჯვება მისია, ვისაც უფრო ოპერატიულად შეუძლია გადაისროლოს დამატებითი საბრძოლო დანაყოფები, მძიმე ტექნიკა და ტყვია-წამალი.

ცხინვალის რეგიონში, სადაც ერთმანეთის მონაცვლეობითაა ქართული და ოსური სოფლები, გზებს სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება.




ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ იცავენ პრეზიდენტებს ცაში

## „იგლებისა" და „სტინგერების" მოსაგერიებელი საშუალებები






**ჩვენი დოსიე: აშშ-ის დაზვერვის მონაცემებით, გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან მსოფლიოში 40-ზე მეტ სამგზავრო თვითმფრინავსა და შვეულმფრენს ესროლეს სითბური დამიზნების საზენიტო რაკეტა. აქედან 30 საფრენი აპარატი ჩამოვარდა, დაიღუპა 1000-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის მიწაზე მყოფიც.**

**1994 წელს ბურუნდის პრეზიდენტის სამგზავრო თვითმფრინავი „ფალკონ-50" ჩამოაგდეს სითბური დამიზნების საზენიტო რაკეტით, ოთხი წლის შემდეგ კი კინდუს აეროპორტიდან აფრენისას კონგოს „ბოინგ-727"-ს მოხვდა „სტრელა", რასაც 40 მგზავრი ემსხვერპლა. შრი-ლანკაში ტერორისტულმა დაჯგუფება „ტამილის ვეფხვებმა" სხვადასხვა დროს სამგზავრო თვითმფრინავებისკენ 20-მდე „სტრელა" და „იგლა" გაუშვეს (დაიღუპა ოცზე მეტი ადამიანი). ისრაელის „ბოინგ-767"-ს 2002 წლის ნოემბერში კენიის აეროპორტიდან აფრენისას ორი „სტრელა" ესროლეს, თუმცა ლაინერი გადარჩა. 2003 წლის 22 ნოემბერს ბაღდადის აეროპორტიდან აფრენილ ამერიკულ სატრანსპორტო თვითმფრინავს „იგლა" ძრავაში მოხვდა. ერთი თვის შემდეგ იმავე აეროპორტიდან აფრენისას ტერორისტებმა „სტრელა-3"-ის ტიპის გადასატანი საზენიტო სარაკეტო კომპლექსიდან C-17A ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავის მესამე ძრავას სითბური რაკეტა მოარტყეს. 2004 წლის იანვარში „სტრელას" „ნადავლი" უკვე უზარმაზარი სტრატეგიული დანიშნულების სატრანსპორტო C-5A „გელაქსი" გახდა — ბაღდადის აეროპორტის შემოგარენიდან გამოშვებული „სტრელა" მის პირველ რეაქტიულ ძრავას მოხვდა. სამივე შემთხვევაში ამერიკულმა სატრანსპორტო თვითმფრინავებმა, დაზიანებების მიუხედავად, მოახერხეს წარმატებული ავარიული დაშვება.**

გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებულ სტატიას, „ვინ გადაურჩა „ნემსის" ჩხვლეტას", ბევრი მკითხველი გამოეხმაურა. აინტერესებთ, როგორ იცავენ უცხოეთში პრეზიდენტების შვეულმფრენებსა და თვითმფრინავებს ისეთი საშიში საზენიტო რაკეტებისგან, როგორებიცაა „სტრელა", „ბლოუპაიპი", „იგლა" თუ „სტინგერი".

საზენიტო რაკეტებისგან თავის დაღწევა მანევრირებად და სწრაფ გამანადგურებელსაც კი უჭირს, რომ აღარაფერი ვთქვათ სამგზავრო თვითმფრინავებსა და, მით უმეტეს, შვეულმფრენებზე.

საერთოდ, მფრინავი ობიექტისკენ შეიძლება გაშვებული იქნეს რადიოლოკაციური, ლაზერული და სითბური დამიზნების მართვადი რაკეტა.

რადიოლოკაციური დამიზნების სისტემიანი რაკეტა ასხივებს გარკვეული სიხშირის რადიოტალღებს, რომლებიც აირეკლებიან მფრინავი სამიზნიდან და რაკეტაც ამ არეკლილ ტალღებს „მისდევს". საბრძოლო თვითმფრინავებსა და შვეულმფრენებს აქვთ საგანგებო მგრძნობიარე დეტექტორები, რომლებიც მისკენ მიმართულ რადიოტალღებს აღმოაჩენენ და პილოტს კაბინაში სპეციალური ხელსაწყო ანიშნებს, რომელი მხრიდან უახლოვდება საზენიტო რაკეტა. მფრინავს ისღა დარჩენია, რამდენიმე ათეულ წამში მოახდინოს სწრაფი ანტისაზენიტო მანევრი და სპეციალური კონტეინერებიდან ისროლოს ალუმინის შემცველი ცრუ სამიზნეები საზენიტო რაკეტის რადიოლოკაციური დამიზნების სისტემის მოსატყუებლად.

დაახლოებით ანალოგიური სიტუაცია იქმნება მაშინაც, როცა საზენიტო რაკეტას დამიზნების ლაზერული სისტემა უყენია. ლაზერის სხივის მფრინავი ობიექტის ფიუზელაჟზე მოხვედრისას ირთვება საგანგებო დეტექტორები და ეკიპაჟისთვის უკვე აშკარაა, რომ ახლოვდება საზენიტო რაკეტა.

ასეთი ანტირადიოლოკაციური და ანტილაზერული დეტექტორების დაყენება სამოქალაქო თვითმფრინავებსა და შვეულმფრენებზეც შეიძლება, რაც დიდი ხანია აქვთ აშშ-ის პრეზიდენტის თვითმფრინავებსა და შვეულმფრენებს. შარშან, 10 მაისს, თბილისში ჩამოფრენილი პრეზიდენტ ბუშის „ბოინგ-747", ისევე როგორც სარეზერვო „ბოინგი", ამ სისტემით იყო აღჭურვილი, თუმცა ცხადია, ამაზე საქვეყნოდ არ ლაპარაკობენ.

რა მოხდება, თუკი მფრინავი ობიექტისკენ სითბურ საზენიტო რაკეტას გაუშვებენ და არა რადიოლოკაციური ან ლაზერული დამიზნების სისტემის მქონეს?

სითბური დამიზნების სისტემა პასიურ რეჟიმში მუშაობს. იგი არ ასხივებს რადიოტალღებს, არც ლაზერის სხივს უშვებს, ე.ი. სამიზნის ფიუზელაჟზე არ აირეკლება არც რადიოტალღები და არც ლაზერის სხივი, შესაბამისად, თვითმფრინავზე დაყენებული საგანგებო დეტექტორები არ მოახდენენ რეაგირებას და ეკიპაჟსაც არაფერი ეცოდინება მისკენ გაშვებული საზენიტო რაკეტისგან რამდენიმე წამში მოსალოდნელ საფრთხეზე; შესაბამისად, ეკიპაჟი ანტისაზენიტო მანევრს ვერ მოასწრებს.

ასე რომ, სითბური დამიზნების „სტინგერი" თუ „იგლა" ბევრად უფრო „ვერაგია" და თითქოს მისგან თავის დაღწევა შეუძლებელი ჩანს. თუმცა ეს ასე არ არის.

გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისშივე, როდესაც გამოჩნდა პირველი სითბური დამიზნების გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები — ამერიკული „რედ აი" და საბჭოთა „სტრელა-2", გამანადგურებლების პილოტებმა ერთ საინტერესო გამოსავალს მიაგნეს. თუკი სამხედრო პილოტი ასწრებდა საზენიტო რაკეტის გაშვების მომენტის დაფიქსირებას (საზენიტო რაკეტა სტარტის დროს და ფრენისას კვამლის თეთრ ზოლს ტოვებს, რაც ჰაერიდან იოლი შესამჩნევია), იგი გამანადგურებელს ჯერ მზისკენ მიმართავდა და შემდეგ ენერგიულ ანტისაზენიტო მანევრს ასრულებდა. სითბური დამიზნების სისტემა ტყუვდებოდა და საზენიტო რაკეტას (რომელიც მანამდე გამანადგურებლის რეაქტიული ძრავიდან გამოსული დიდი სიმხურვალის კვამლს მიჰყვებოდა) მზისკენ „უშვებდა".

მაგრამ პრეზიდენტების, ისევე როგორც ჩვეულებრივი სამგზავრო თვითმფრინავები და შვეულმფრენები, გამანადგურებლები არ არიან, რომ ასეთი ენერგიული ანტისაზენიტო მანევრი განახორციელონ — სამგზავრო ლაინერის ფიუზელაჟი ასეთი გადატვირთვის შედეგად ჰაერშივე დაიშლება.

გამოსავალი აქაც იქნა ნაპოვნი. თავდაპირველად, სამხედრო თვითმფრინავებსა და შვეულმფრენებს დაუყენეს ცრუ სამიზნეების გამოსატყორცნი სპეციალური მოწყობილობები, მათში განთავსებულია რამდენიმე ათეული მინირაკეტა (სასიგნალო რაკეტების მაგვარი), რომელიც თვითმფრინავის ფრენისას გვერდებზე გამოიტყორცნებიან. ეს „ცრუ" სამიზნე რაკეტები წვისას დიდ ტემპერატურას გამოყოფენ და „იზიდავენ" სითბური დამიზნების საზენიტო რაკეტას.

მაგრამ პილოტებმა ხომ არ იციან, როდის შეიძლება ესროლონ საზენიტო რაკეტა მათ თვითმფრინავსა და შვეულმფრენს და ამიტომაც „ცრუ" სამიზნეები რომ მუდმივად გაუშვან, მარაგი რამდენიმე წუთში გამოილევა.

იმის გამო, რომ „იგლათი" თუ „სტრელათი" რეაქტიული თვითმფრინავის ჩამოგდება უფრო ადვილია მისი აეროდრომიდან აფრენისას და დაფრენისას, პილოტები სწორედ ამ მომენტში უშვებენ „ცრუ" სამიზნეებს. ზოგიერთ ქვეყანაში დამატებითი დაცვისთვის პრეზიდენტის თვითმფრინავს აფრენა-დაფრენის მომენტში შვეულმფრენები და გამანადგურებლებიც აცილებენ. ასე აცილებდნენ წლების განმავლობაში პრეზიდენტ შევარდნაძის სამგზავრო ლაინერს (მაშინ ჩვენმა სპეცსამსახურებმა ეს მეთოდი აზერბაიჯანის პრეზიდენტ ალიევის თვითმფრინავის დაცვის სქემიდან გადმოიღეს). ცოტა ხანს პრეზიდენტ სააკაშვილსაც მოუწია ილუმინატორიდან ყურებამ, თუ როგორ „ამოუდგებოდნენ" მის თვითმფრინავს ორივე მხრიდან ქართული მოიერიშე თვითმფრინავები. მკითხველი იოლად მიხვდება, რომ მოიერიშეების პილოტები ერთგვარი კამიკაძეები იყვნენ, რადგან მათ თავიანთ თვითმფრინავებზე უნდა „მიეღოთ" პრეზიდენტის ლაინერისკენ გაშვებული სითბური დამიზნების საზენიტო რაკეტა...

ბოლო წლებში დასავლეთის ქვეყნებში აქტიურად მუშაობენ ტერორისტების საზენიტო რაკეტებისგან სამგზავრო თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების დასაცავად.

ექსპერტების დასკვნით, მთავარი იყო დროულად დაფიქსირებულიყო საზენიტო რაკეტის სტარტი, რათა ეკიპაჟს მოესწრო „ცრუ" სამიზნეების გაშვება და რაიმე სახის მანევრის განხორციელება. სწორედ ამ მიზნით შემუშავდა სპეციალური დეტექტორი, რომელიც რამდენიმე კმ-იდან გამოშვებული საზენიტო რაკეტის სტარტს აფიქსირებს.

ეს დეტექტორი ინფრაწითელ დიაპაზონში აღმოაჩენს საზენიტო რაკეტის სტარტისას წარმოქმნილ დიდ სიმხურვალეს, სწრაფმოქმედი პროცესორი თვალის დახამხამებაში გამოითვლის საზენიტო რაკეტის მიახლოების მარშრუტს და ავტომატურად რთავს ვიწრო, დიდი სიმძლავრის ინფრაწითელი გამოსხივების წყაროს. ინფრაწითელ დიაპაზონში „გამოტყორცნილი" სინათლის ტალღა ხვდება საზენიტო რაკეტის სითბური დამიზნების ოპტიკურ სისტემას და მწყობრიდან გამოჰყავს, საზენიტო რაკეტა კარგავს სამიზნეს და 14-17 წამის ფრენის შემდეგ თავისით ფეთქდება.

სითბური დამიზნების საზენიტო რაკეტებისგან თავდასაცავი სისტემის დაყენება თითქმის ყველა ტიპის მოზრდილ სამგზავრო თვითმფრინავზე შეიძლება, რადგან იგი ნახევარ ტონამდეც არ იწონის. შვეულმფრენებზე კი უფრო მსუბუქ და შედარებით გამარტივებულ თავდაცვის სისტემებს აყენებენ.

ჯერჯერობით, ისინი ძვირია — თითქმის 2 მლნ დოლარამდე ჯდება. მიუხედავად ამისა, პენტაგონმა უკვე დაიწყო ამ სისტემებით იმ სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავების აღჭურვა, რომლებსაც ერაყსა და ავღანეთში უწევთ ფრენა.

ისრაელი, რომელიც ასე უფრთხის კამიკაძე-ტერორისტებს ებრაული ქალაქების ქუჩებში, არც საჰაერო მგზავრების უსაფრთხოებას ივიწყებს. ებრაელებმა საკუთარი წარმოების „ინდივიდუალური თავდაცვის სისტემებით" 150-ზე მეტი მფრინავი ობიექტი აღჭურვეს.

საქართველოს ცაში მფრენ ჩვეულებრივ სამგზავრო თვითმფრინავებს (თუ მათით პრეზიდენტი არ გადაადგილდება) ჯერჯერობით არ უნდა ემუქრებოდეთ ტერორისტი მეზენიტეების „ნემსები" თუ „ისრები". მაგრამ, ეტყობა, მალე გახდება აუცილებელი (თუკი ეს დრო უკვე არ დადგა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მკვეთრად დაძაბვის ფონზე) საქართველოში გვყავდეს სითბური დამიზნების საზენიტო რაკეტების მოსაგერიებელი თანამედროვე პასიური და აქტიური თავდაცვის სისტემებით აღჭურვილი თითო-თითო სამგზავრო თვითმფრინავი და შვეულმფრენი მაინც.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***




როგორც იქნა! — თვრამეტი თვის გაყინულ პენსიებს ხვალ დავარიგებთო, — გამოუცხადეს პენსიონერებს და ბანკის თანამშრომლებმაც შვებით ამოისუნთქეს. ბოლოს და ბოლოს, ერთხანს მაინც დაგვანებებენო თავს, თორემ გული ჰქონდათ გაწვრილებული ამდენი გაჭირვებულისგან.

იმ ღამეს, ვიდრე პენსიონერები „ხვალ აღებულ ფულს" წარმოსახვაში ხან რაში და ხან რაში ხარჯავდნენ, ვიღაც-ვიღაცები ისხდნენ და თავს იმტვრევდნენ — როგორ ჩაეგდოთ ეს ფული ხელში.

— ახალდაბის ტყეში, ავტომატებით რომ გადავუდგეთ? — იკითხა ერთმა.

— არ გამოვა, საჭესთან ემზარი იქნება, კვირკველია (გვარ-სახელები აქ და შემდგომ შეცვლილია). არ დაგვზოგავს და მანქანას დაგვაჯახებს. სროლით კი ვერ ვესვრით. გაგვიხმაურდება და მდევარს ავიკიდებთ. ეს საქმე სულ რამდენიმე წუთში უნდა მოვაყომაროთ და დავითესოთ, თორემ მოგვიკითხავენ, იციან, სხვა არავინაა ამაზე წამსვლელი, — ბანდის მეთაური აშკარად კატეგორიული ჩანდა.

— ხე რომ წამოვაქციოთ გზაზე? — თავისას არ იშლიდა პირველი.

— წამოვაქციოთ, თორემ შენც ასწლოვანი მუხები არ გქონდეს ჩარიგებული გზის პირას. სადღაა მაგოდენა ხე? ისე კი, არაფერი დაშავდებოდა, ბაგირი რომ გაგვება. ბაგირს კი გაუძლებს იქაური ხეები. მანქანა რომ მოულოდნელად ბაგირს მიაწყდება, ისე გამოთაყვანდებიან შიგ მსხდომები, არავის აღარ ექნება წინააღმდეგობის გაწევის თავი. კი ასე აჯობებს. მაგ საქმეს შენ გავალებ, კოჭოია. არ დაგვალალატო, იცოდე. ხომ იცი, მანქანა ქუთაისიდან ათ საათზე წამოვა, თერთმეტზე მზად უნდა ვიყოთ.

— როგორ გეკადრება, დურუ ბატონო, შესრულებული იქნება თქვენი ბრძანება. მაგისთანა საქმეები გოუჩარხია კოჭოიას? ამაღამვე დავიჭერ თადარიგს. ის მითხარით ოღონდ, რა მანქანით მოდის ფული, ბაგირი რომ შესაფერისი ვიშოვო. არ მითხრა ახლა, „ბრანევიკით" მოდიანო, თორემ გავალ თამაშიდან.

— არა, „ჟიგულით" იქნებიან, მაგრამ მე ის მაფიქრებს, რომ საჭეს ისეთი მაიმუნი უზის, ნემსის ყუნწში რომ გაძვრება. მე კი ხმაური არ მინდა, გაიგე ხომ, საქმეს ის აიოლებს, რომ მანქანას არავინ აცილებს.

— კოჭოია მარდად წამოხტა, თავისიანებს გადახედა, იქვე განმარტოებით მდგომ თავის თანატოლ ახალგაზრდას დაადგა თვალი და დურუს მიუბრუნდა, — ლექსოს წავიყვან. დილიდან ტყეში დაგელოდებით, პასუხს აღარ დაელოდა კოჭოია. ლექსოს თვალი ჩაუკრა და მასთან ერთად ფეხით დაუყვა ბილიკს. ბანდის დანარჩენი წევრები არც განძრეულან. ეს საუბარი ტყის შუაგულში, მწყემსების ქოხში მიმდინარეობდა, სადაც ბანდას დაედო ბინა. სულ თოთხმეტ კაცს დაითვლიდით იმ საღამოს. თუმცა ეს მხოლოდ ნახევარი იყო, რამდენიმე ჯგუფად დანაწევრებული მეორე ნახევარი სხვა დავალებას ასრულებდა იმ დღეებში.

პენსიონერები ადრიანად დადგნენ რიგში. ტყის ბინადარნი კი მოგვიანებით დაეშვნენ ქვემო სამანქანო გზისკენ. კოჭოიას დავალება პირნათლად შეესრულებინა. გზის ორივე მხარეს ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ ტანადი ხე შეერჩია, ერთზე საიმედოდ ჩაება ბაგირი, მეორე ბოლოსთვის კი ისეთი მარყუჟი გაეკეთებინა, წამიც რომ არ დაეხარჯებოდათ მის დასამაგრებლად. ცოტა იქით ერთი ტანაყრილი ხეც იქამდე გადაეხერხა, ოდნავი ბიძგი და გზაზე მოადენდა ზღართანს. ხე მსხვილი არ იყო, მაგრამ თუ ავტომანქანა უკუსვლით გაქცევას დააპირებდა, მცირე ხნით მაინც შეაკავებდა.

ლოდინი კარგა ხანს გაგრძელდა. ისიც კი იფიქრეს, იქნებ აქ ტყუილად ვყურყუტებთო, მაგრამ ჯერ კიდევ გუშინ დილით მათი ინფორმატორი ისე დაბეჯითებით ამტკიცებდა, ფულს აუცილებლად ჩამოიტანენო, რომ დურუმ ისევ ლოდინი ბრძანა. ნაშუადღევი იქნებოდა, წინა მოსახვევში ჩასაფრებულმა კოჭოიას მეწყვილემ რომ დაუსტვინა. ეს უკვე მანქანის მოახლოების მაუწყებელი სიგნალი იყო და ჩასაფრებულებმა თვალის დახამხამებაში გაშალეს ბაგირი. „ჟიგული" ისე ტყვიასავით გამოვარდა მოსახვევიდან, კაცი იფიქრებდა, ამას ვერაფერი შეაჩერებსო. მაგრამ მას შემდეგ, რაც ბაგირს წამოედო, კაკანათში გაბმულ ბელურასავით „აფართხალდა" და შუა გზაზე გაჩერდა. მართალია, ბაგირს მანქანის რადიატორი შუაზე გადაეჭრა, ძრავაც დაეზიანებინა და იქიდან რაღაც ღრჭიალა, შემზარავი ხმა ისმოდა, მაგრამ მძღოლი არ დაიბნა, — უკუსვლა ჩართო და ალბათ იქაურობასაც გაერიდებოდა, მაგრამ თადარიგიანი კოჭოიას მიერ გადახერხილი ტანწერწეტა ხე ჩაიხერგა მანქანის უკან.

— ტყუილად ფართხალებ. ღმერთს მადლობა შესწირეთ, ცოცხლებს რომ გიშვებთ. აბა, გადმოდით და თავი ანებეთ უაზრო ქიჩმაჩს. პა, ვის ვეუბნები? — დურუმ მუშტი დაჰკრა მანქანის სახურავს. მანქანაში მძღოლის გარდა ორი შეიარაღებული ინკასატორიც იჯდა, მაგრამ რა აზრი ჰქონდა კბილებამდე შეიარაღებული თერთმეტი ნილბოსნის გარემოცვაში ორი საცოდავი ნაგანის გაშიშვლებას. ისინიც დურუმ აართვა ორივეს, მერე მძღოლს მიუბრუნდა და ნიშნის მოგებით უთხრა: — შენზე ამბობენ, ნემსის ყუნწში აძვრენსო მანქანას, ტყუილი უთქვამთ.

ემზარმა ნაღვლიანი თვალებით შეხედა ნილაბაფარებულ დურუს და სიტყვის უთქმელად გაეცალა იქაურობას. ბანდიტებმა კი თვალის დახამხამებაში წამოიკიდეს ფულით სავსე ტომრები და ტყის სიღრმეში ჩაიკარგნენ.

— ამას უკვე აღარ გვაპატიებენ. შემსრულებლებიც ვიცით და მათი ადგილსამყოფელიც. ჯანი გავარდეს, მოხდეს რაც მოსახდენია, ბოლოს და ბოლოს, იმ ფულთან ერთად ჩვენი ხელფასებიც გააყოლეს ხელს. მეტის მოთმენა აღარ იქნება. მე თვითონ შევარჩევ სანდო ბიჭებს და ამაღამვე მოვიმწყვდევ ალყაში დურუსა და მის ბანდას. გვეყო ამდენი სიმხდალე, — ცოფს ყრიდა პოლიციის უფროსის მოადგილე ენვერ ჯიქია, რომელიც აქამდე ითმენდა მშიშარა უფროსის უაზრო „წინდახედულებას", ასე რომ გაურბოდა დამნაშავეებთან ხელჩართულ შებმას, — გაიგეთ, ჩვენ ძალოვანი სამსახური გვქვია და ეს იმას ნიშნავს, რომ მარტო ჭკუით აქ ვერაფერს გააწყობ. მე მივდივარ და ხელს მაინც ნუ შემიშლით, თორემ იძულებული ვიქნები, სამინისტროს ხელმძღვანელობას ავუხსნა პოლიციის უსუსურობის მიზეზი.

პოლიციის უფროსი იძულებული იყო, თავი დაექნია თანხმობის ნიშნად, — მე მარტო იმას ვერიდები, სისხლი არ დაიღვაროს-მეთქი, თორემ... — ძლივს ამოიკნავლა.

— დასაღვრელი აუცილებლად უნდა დაიღვაროს. ამისთვის ვართ ჩვენ აქ, — სათქმელი დაასრულა ენვერმა. მერე სამუშაო ოთახში შევიდა, ჯანმაგარი თანამშრომლების სია ჩამოწერა და ღამის თერთმეტ საათზე ტყეში ალყაში მოაქცია მწყემსების ქოხი. თუმცა მხოლოდ გამთენიისას აღმოაჩინა, რომ ქოხი ცარიელი იყო.

# „ქართული კვალი" შუააზიურ ოქროში



— მამაძაღლია დურუ დარსალია. იცოდა, ამას რომ აღარ ვაპატიებდით და გაგვეცალა დროებით. ვნახოთ, როდემდე დამემალება, — ეს ისე, თავისთვის გაიფიქრა, თუმცა ხმამაღლა მხოლოდ ერთი სიტყვალა ჩაილაპარაკა, — წავედით...

დანა აღარ უხსნიდა პირს. ლაპარაკის თავიც აღარ ჰქონდა. მით უმეტეს ახლა, როცა ხელცარიელი ბრუნდებოდა თავის „შორსგამხედავ" უფროსთან.

## მტრის ბუნაგში

დურუს ბანდა დიდხანს აღარ გამოჩენილა ახალდაბის ტყეში. სამაგიეროდ, ტაშკენტში დაიჭირეს ვილაც მექრთამე მაღალჩინოსანი და ვითომ ნიკოლოზის დროინდელი ყალბი ოქროს თუმნიანები უპოვეს. გამოძიება მონეტების ქართულ კვალზე ალაპარაკდა, მაგრამ საქმე ამის იქით არ წავიდოდა, ენვერს რომ არ ემარჯვა. თუმცა მანამდე მოვლენები ამგვარად განვითარდა:

ენვერმა მიაღწია და პოლიციაში სამუშაოდ გადმოიყვანა პოლიციის ოფიცერი, სამტრედიელი რეზო ასკურავა, რომელიც იმხანად თბილისის ერთ-ერთი რაიონის სისხლის სამართლის სამძებროს მაძებარი იყო.

ვიდრე პოლიციაში გამოცხადდებოდა, ენვერმა და რეზომ საკმაოდ შთამბეჭდავი ლეგენდა შეთხზეს ამ უკანასკნელის კრიმინალური წარსულის შესახებ. ბანდის გამოჩენისთანავე კი რეზო მის ერთ-ერთ წევრს დაუკავშირდა და დურუსთან წარდგენა ითხოვა. დედაქალაქიდან ჩამოსული ამ „დონის" კოლეგის მიღება დურუსთვის დიდი პატივი იყო, მაგრამ ამას თავისიანებს ხომ არ გაუმხელდა და სასხვათაშორისოდ დაჰყაბულდა: — მოათრიეთ, ერთი ვნახოთ რა ჩიტია.

— ჩიტი კი არა, დურუ ბატონო, ნეტავი მოგასმენინათ რაებს ჰყვება, — დიდი საქმეები მოვარტყი და ერთხანს ქალაქში აღარ დამედგომება, თორემ აქ რა ჩამომიყვანდა, მაგრამ დურუს ამბავი გამიგია, ვიცი, რა მაგარი კაციცაა და მინდა მასთან ვიმსახუროო. ამ საღამოს თვალებს ავუხვევ და ისე მოგგვრით აქ. მერე კიდევ თქვენი საქმეა, მოგეწონებათ თუ არა.

გვიანი ღამე იყო, ფაცხას რომ მიადგნენ.

დურუს წინ ასე ოცდაათი, ოცდათორმეტი წლის მამაკაცი იდგა.

— მითხრეს, ქალაქში აღარ დაუდგომება და გულმა ჩვენკენ გამოუწიაო. მაინც მინდა ვიცოდე, რატომ აღარ გედგომება ქალაქში.

რეზომ მრავალმნიშვნელოვნად მოავლო თვალი ირგვლივ მყოფთ. დურუ მიხვდა, რას ნიშნავდა ეს და ყველანი დაითხოვა.

— ბატონო დურუ, ნუ დამძრახავთ, თუ სხვებს ვერ ვენდობი.

— არ დაგძრახავ, პირიქით, ჭკვიანი კაცის საქციელია. სწორედ ჭკვიანი ხალხი მაწყობს მეც. ახლა კი გისმენ.

— ზედიზედ სამი სეიფი წავილეთ. ამას ორი დაუგეგმავი მკვლელობაც მოჰყვა და ერთ-ერთი მოკლულის ოჯახის წევრთაგან ვილაცამ მიცნო. ახლა მეძებენ და ჩემი დახმარებით აპირებენ საქმეებში მონაწილეთა დაკავებას. არადა, სამნი ვიყავით, ორი კი იმ დღეებში ავარიაში დაიღუპა. მე კიდევ მათ ხელში ჩავარდნას არ ვაპირებ. თუ აქ დამტოვებთ, ხომ კარგი, თუ არა და გადავალ აფხაზეთში და სადმე შევაფარებ თავს.

დურუს პირველი ნახვისთანავე მოეწონა ეს „გულღია" ბიჭი, მაგრამ გულისთქმის გამჟღავნება არ სჩვეოდა ბანდიტს. გარდა ამისა, აუცილებელი „რიტუალიც" უნდა შეესრულებინა, თუმცა ახლა ამას ზედმეტად თვლიდა, მაგრამ სხვების დასანახავად მაინც უნდა გაეკეთებინა.

— ხომ არ გეწყინება, ერთი-ორი დღე პატიმრობა რომ მოგისაჯო, ხომ იცი...

— ვიცი, ვიცი, — დაასწრო რეზომ, — უამისოდ მეც უხერხულად ვიგრძნობდი თავს...

მესამე დღეს დაბრუნდა შიკრიკი თბილისიდან.

— მითხრეს, ეგ საქმეები სამმა აქაურმა კარგმა ბიჭმა გააიმასქნა. დიდი ფულიც წაიღეს, მაგრამ ორი მათგანი საავტომობილო ავარიაში მოყვა ნადავლთან ერთად და უკაპიკოდ დარჩენილი მესამე დაითესა, რადგან ერთ-ერთმა დაზარალებულმა ამოიცნოო.

— სახელიც ხომ არ უთქვამთ? — იკითხა დურუმ.

— არა, სახელი არ უთქვამთ. მეც არ მიკითხავს. ისე კი მითხრეს, ლამაზი ახალგაზრდაა, სპორტული გარეგნობისო.

პასუხით ნასიამოვნებმა დურუმ მრავალმნიშვნელოვნად ჩაუკრა თვალი რეზოს. ეს იმას ნიშნავდა, დღეიდან ჩვენი სრულუფლებიანი წევრი ხარო.

იმავე დღეს დურუმ „აღმზრდელობითი" საუბარი ჩაუტარა რეზოს.

— ამათ რომ უყურებ, ეს მხოლოდ ჩვენი ბანდის ერთი ნაწილია. დანარჩენები „საქმეებზე" არიან. მას შემდეგ, რაც ინკასატორები დავაყაჩაღეთ, ადგილზე „მუშაობას" ვერიდებით, ძველი „ბუხტა" (ქურდულად — საიმედო თავშესაფარი) გაიყიდა. არ გვინდა ესეც „დაგვეწვას", აქედან იშვიათად გავდივართ, მხოლოდ დიდ საქმეზე. მუდმივი საშვი კი ერთადერთ კაცს აქვს. რაიონში ჯერ არავინ იცის, რომ ის ჩვენს ბანდაში ირიცხება და ამიტომ თავისუფლად მიდი-მოდის. ასეთი კაცი აუცილებლად გვჭირდება, ხომ უნდა ვიცოდეთ, რა ხდება ირგვლივ. შენც კარგ დროს გამოჩნდი. აქაურები არ გიცნობენ და ეს კარგია. ხვალ დილით ვანოს გაგაცნობ და გზებს ის გასწავლის. თუ არ იუკადრისებ და საჭმელ-სასმლით მოგვამარაგებ, მადლიერი დაგრჩებით.

— არაფერსაც არ ვიუკადრისებ, ოღონდ ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, — შეაგება რეზომ.

ერთ კვირაში ბანდის ახალი წევრი ისე გაშინაურდა, ყველა თავისკენ ექაჩებოდა.

რეზომ უკვე იცოდა, რომ ბანდის „ობშჩიაკს" ვანო მალავდა სახლში, მაგრამ სად, ეს ვერ გაეგო და ახლა ამაზე იტეხდა თავს. იცოდა ისიც, რომ დურუ ამ დღეებში ბერძნებზე აპირებდა თავდასხმას.

ენვერი მაინცდამაინც არ შეუშფოთებია ამ ინფორმაციას. აქამდე არცთუ ფუფუნებაში მცხოვრებმა ბერძნებმა ამ საყოველთაო შეჭირვებისას ისეთი ძვირად ღირებული „ჯიპებით" დაიწყეს სიარული, აშკარა იყო, რაღაცით ხელი მოითბეს.

— ამ რამდენიმე თვის წინ ურალიდან ორი ნათესავი ჩამოუვიდათ, ცოტა ხანში კი სატვირთო მანქანა მიადგა მათ სახლს. საბარგულიდან მძიმე ხის ყუთი ჩამოიღეს და შინ შეიტანეს, — იტყობინებოდა ენვერის ინფორმატორი.

— ბერძნების „გაგულავება" მეც მაკვირვებს, მაგრად მოითქვეს სული. აუცილებლად გაჰყევი დურუს მაგ საქმეზე. მანდ რაღაც დიდი ძაღლის თავი უნდა იმალებოდეს. ყველაფერი გაჩხრიკე, — სთხოვა ენვერმა რეზოს, როცა ეს უკანასკნელი კონსპირაციის მიზნით ნაშუაღამევს შეხვდა ქალაქგარეთ.

## ნიკოლოზის თუმნიანები

— დურუმ ბერძნების დაყაჩაღება გადაიფიქრა. თქვა, ჯერ ვცდი, იქნებ ისედაც გადაგვიხადონ, ხოლო თუ უარს იტყვიან, მერეც მოვახერხებთ მაგათ გაწევასო, — უთხრა მორიგ შეხვედრაზე მისულ ენვერს რეზომ.

— ბერძნები კი ჩემთან მოვიდნენ, დურუ გვემუქრება, თუ ნახევარ მილიონს არ მოიტანთ, აგაწიოკებთო.

— მერე რას აპირებთ?

— არ ვიცი, რა ვქნა. სხვა შემთხვევაში „კუკლას" გავაკეთებდით და ფულის ასაღებად მოსულ რამდენიმე ბანდიტს ავიყვანდი, მაგრამ სიმართლე გითხრა, ამ წუთში დურუს ბანდაზე მეტად ბერძნები მაინტერესებს. მაინც მირჩევნია, შენ და დურუმ რომ დააწიოკოთ. იქნებ ასე აეხადოს ფარდა მათ საიდუმლოს. არ არის დურუ ისეთი სულელი, ღარიბ-ღატაკს ნახევარი მილიონი მოსთხოვოს.

— ენვერ, ბერძნებს ურჩიე, ფული არ გადაიხადონ და ბანდა აუცილებლად ესტუმრება მათ.

— ჰო, თვალთვალი უნდა დავაწესო მათ სახლზე და იქ მისული ბანდის წევრები, ანუ შენ და დურუ, ალბათ, სხვებიც, დავაკავო. მერე შენ როგორღა გამოგიყვანო საქმიდან. ეს მაწუხებს, თორემ რა პრობლემაა. ისიც შემეძლო, ალყაში, რომელსაც სახლს შემოვარტყამდი, კორიდორი დამეტოვებინა და გამეშვი, მაგრამ ამაზე არ წამოეგებიან და საფრთხის ქვეშ მოექცევი. მინდა ბანდაში მანამდე დარჩე, ვიდრე მის ყველა წევრს ავიყვანთ. მით უმეტეს, რომ ჯერ „ობშჩიაკსაც" ვერ მივაგენით.

— ვიცი, რომ ამ დილით ალმა-ატაში ნაყაჩაღარი ფული და ნივთები მიიტანეს დურუსთან. იმან კი ყველაფერი ვანოს გადასცა. მგონი, ვანო საღამოს წაიღებს შესანახავად. გზაში უნდა ავედევნო და ვნახო, სად შეინახავს.

— აბა, შენ იცი, რეზო. ვიცი, სამართებლის პირზე დგახარ, მაგრამ ასეთია ჩვენი სამსახური.

— ნუ გედარდება, ვერ გამშიფრავენ.

იმ ღამით რეზო ქალაქის შემოსასვლელში ჩაუსაფრდა ვანოს, რომელიც მცირე ბარგით მიადგა სახლს, სადაც იმჟამად მისი მოხუცი მშობლები ცხოვრობდნენ. ვანო ისე შევიდა სარდაფში, არც კი შეხმიანებია თავისიანებს. მოულოდნელად სარდაფის ერთადერთი ფანჯარა განათდა. რეზო სულმოუთქმელად მიიჭრა მასთან. ვანო სარდაფის კუთხეში მიწას თხრიდა. ცოტაც და, მიწიდან ცელოფანის მოგრძო პარკმა გამოანათა. ვანომ თავისი ბარგი გახსნა (ლამპის შუქზე დოლარები და ოქრო კარგად გაარჩია რეზომ). მერე ფულის ერთი შეკვრა ჯიბეში იკრა, დანარჩენი კი ცელოფანში ჩაჩურთა. რეზომ ფრთხილად დაიხია უკან. ახლა ერთი სული ჰქონდა, რაც შეიძლება მალე ენახა ენვერი. ვანოს სასწრაფოდ აყვანა იყო საჭირო, მისთვის რაღაც შარი უნდა მოედოთ. მეორე დღეს ვანოს ვილაც მთვრალმა ქუჩაში „ჩხუბი აუტეხა" და მანამ არ მოეშვა, ვიდრე მოჩხუბრებს პოლიციაში არ უკრეს თავი. იქ კი ჩხრეკისას ვანოს ასდოლარიანების შეკვრა აღმოუჩინეს, რომლის წარმომავლობაც ვერაფრით ახსნა დაკავებულმა და პროკურორმა „საჭიროდ ჩათვალა" მისი სახლიც გაეჩხრიკათ. იქ კი, სარდაფში, ვილაცამ „შემთხვევით" დააბიჯა ფეხი ნაყარ მიწას, ამოთხარეს და ფულითა და ნივთებით სავსე ვეებერთელა ცელოფანის პარკი ამოაძვრინეს. ნაქურდალ-ნაყაჩაღარის მეტი რა ენახა, მაგრამ ენვერის ყურადღება ნიკოლოზის დროინდელმა ოქროს თუმნიანებმა მიიქცია და რაკი იცოდა, რომ მონეტები შუა აზიაში ნაძარცვი იყო, თავისდა უნებურად გაახსენდა საინფორმაციო ბიულეტენში ამოკითხული ფრაზა ამ მონეტების ქართული წარმომავლობის შესახებ.

იმ ღამეს ბერძნების დაწიოკება იყო გადაწყვეტილი. ფული აღარ გადაიხადეს და დურუც სიტყვას აღარ ტეხდა. მართალია ამჯერად საფრთხე ერთიათად მეტი იყო — დურუს არ ეეჭვებოდა, რომ ბერძნები პოლიციელებს ჩააყენებდნენ საქმის კურსში, მაგრამ დიდად არც პოლიციელების ეშინოდა. იმაზეც მადლობა უნდა ეთქვათ, რომ ზრდილობის გულისთვის ერთხანს გაერიდა კიდეც. გარდა ამისა, მისთვის არც „ობშჩიაკის" ამბავი იყო ცნობილი. მარტო ის იცოდა, ვანო ასდოლარიანების შეკვრის გამო რომ დააკავეს და ამას სულაც არ ნაღვლობდა.

— ჯერ სადაა, გამოუშვებენ და ნახოს, რა დღეს დავაყრი ბანდის „ობშჩიაკიდან" ფულის მოტეხის გამოო, — იმუქრებოდა და ამის გამკეთებელი იყო კიდეც, მაგრამ მოვლენები ისე ვითარდებოდა, რომ უარესს ჰპირდებოდა ვანოსაც, დურუსაც და მთელ მის ბანდასაც და ეს იმ ღამით ბერძნებზე თავდასხმისას დადასტურდა კიდეც.

იმ ღამეს ენვერმა ბერძნების სახლის მოდარაჯე პოლიციელები დაითხოვა და თვითონ წავიდა სათვალთვალოდ. რეზოს გამო ნერვიულობდა. რამე არ მოიწიოსო, თორემ სხვა მხრივ ყველაფერი გარკვეული იყო.

რეზო წინასწარ მოელაპარაკა დურუს:

— მეტისმეტი სისასტიკე საჭირო არა არის. მე მაცალეთ სახლის გაჩხრეკა — იქნებ ვიპოვო სიმდიდრე, თუ არა და, დავაუთოოთ პატრონებიო და დურუც მიენდო.

სახლის ზემო სართულის ზერელე დათვალიერების შემდეგ, რეზომ და რამდენიმე კაცმა სარდაფში გადაინაცვლეს. სარდაფის შიგნით ბოქლომით საგულდაგულოდ ჩაკეტილ კარს მიაგნო და ძალაყინით შეანგრია, ჯიბის ფარნის შუქზე მის წინ ყალბი მონეტების საჭრელმა დაზგამ გამოანათა.

P. S. ახლა უკვე ირწმუნა ენვერმა, რომ მართლები ყოფილან მისი შუააზიელი კოლეგები, რომლებიც ნიკოლოზის ყალბი თუმნიანების მონეტებზე ქართულ კვალს ხედავდნენ. მონეტები აქ, საქართველოში იჭრებოდა და შემდეგ აქაური ბერძნების ურალელი ნათესავები შუა აზიის ქვეყნების ოქროს მოყვარულ მაღალჩინოსნებზე ასაღებდნენ.

ეკა გაგაშელი

# „პუტინისა და სააკაშვილის შეხვედრა განმუხტავს ვითარებას"

(დასაწყისი იხ. გვ. 7)

ერთ ამბავს მოგიყვებით: ევგენი პრიმაკოვი ამ ტერაქტის შემდეგ ერთ სამხედრო ნაწილს ეწვია. აუხსნეს თურმე, რა შეიარაღებაც ჰქონდათ. სამხედრო ნაწილს შეიარაღებაში ის ჭურვებიც ჰქონია, რომელიც მე მესროლეს. როდესაც სამხედროებს უთქვამთ, ამ იარაღით ტანკის აფეთქება შეიძლებაო, პრიმაკოვს იქედნურად უპასუხია — თუ ტანკს ააფეთქებს, „მერსედესი" რატომ ვერ ააფეთქაო. ვისაც არ სჯერა, ის აფეთქებული მანქანაც ნახოს, გადარჩენილი კი აგერ ვარ.

**— თუ ყოფილა ოდესმე, რომ უსაფრთხოების მიზნით თქვენს „მერსედესში" არ ჩამჯდარხართ?**

— არასოდეს. სულ ერთი და იმავე მანქანით დავდიოდი. დაჯავშნული „მერსედესი" გაცილებით საიმედო არ იყო, ვიდრე სხვა მანქანა? 9 თებერვლის შემდეგ „მერსედესმა" კარგი რეკლამა გაიკეთა — მანქანასაც გადაუღეს ფოტო ფირმის წარმომადგენლებმა, მეც გადამიღეს და მთელ მსოფლიოში მოიწონეს თავი, ასეთ გამძლე ავტომანქანებს ვუშვებთო.

**— 9 თებერვლის ტერაქტის მომწყობთ მხოლოდ შურისძიების გრძნობა ამოძრავებდათ თუ რაღაც სხვა მიზანიც ჰქონდათ?**

— ჩემი მოკვლის შემდეგ ქვეყნის ორიენტაცია და პოლიტიკა შეიცვლებოდა. ვფიქრობ, ეს ტერაქტი ამერიკელებისა და, საერთოდ, დასავლეთის წინააღმდეგ იყო მიმართული...

**— ანუ მასში რუსების ხელი ერია?**

— დიახ. ყველა ტერორისტმა მომზადება ჩეჩნეთში, რუსეთის სამხედრო ბაზაში გაიარა. თურმე 6 თვის განმავლობაში ემზადებოდნენ. ვინ დაიჯერებს, რომ სამხედრო ბაზაში ტერორისტებს წვრთნიდნენ და ეს არ იცოდნენ რუსეთის სპეცსამსახურებმა.

**— დანარჩენ ტერაქტებშიც რუსული ხელწერა იყო?**

— აფხაზეთში, როდესაც ჩემი ჩამოგდება უნდოდათ, რუსული თვითმფრინავი შეძვრა ჩვენი ვერტმფრენის ქვეშ, რათა საავარიო ვითარება შექმნა და ჩამოვვარდნილიყავით. ჩვენმა პილოტმა სასწრაფოდ აიღო სიმაღლე. ისე მკვეთრად ავვარდით ზემოთ, რომ ყველანი, ჩემ გარდა (მე რაღაც ძელს მოვკიდე ხელით), ძირს კოტრიალებდნენ.

1995 წლის ტერაქტი კი ჩემთან დაპირისპირების გამო მოაწყვეს მხედრიონელებმა. იცით, რით გავანაწყენე? კონსტიტუცია შევქმენით, პარლამენტის არჩევნებს ვაპირებდით, მე უკვე არჩეული ვიყავი სახელმწიფოს მეთაურად. ლეგიტიმაციის ნიშნები გაჩნდა. მანამდე კი ყველაფერს სამხედრო საბჭო წყვეტდა. ჯაბა იოსელიანი დარეკავდა და იძლეოდა განკარგულებებს — ეს პროკურორად დანიშნეთ, ის კი მოსამართლედო, ასევე იქცეოდა კიტოვანიც. ასე გაგრძელება არ შეიძლებოდა, ქვეყანაში წესრიგი უნდა დამყარებულიყო. როდესაც ამას მოვკიდე ხელი, ჯაბასთვის უთქვამს გიგა გელაშვილს, უმტკივნეულოდ მოგაცილებთ შევარდნაძესო. ჯაბას უხმოდ დაუქნევია თავი. რაკი ძალაუფლება შევუზღუდე, ვერ აიტანა. ძალიან მძიმე სენია ძალაუფლება. ხელისუფალი ძალიან ძლიერი უნდა იყო, რომ თავს მოერიო, შენს ადგილას იჯდე და ცუდ ამბებში არ გაერიო.

**— თქვენ თუ ერეოდით ძალაუფლების სენს?**

— მე ვებრძოდი და ნებისყოფის წყალობით, ვფიქრობ, ვძლიე ძალაუფლების წყურვილს. ბავშვობაში მამა მასწავლიდა, ადამიანმა საკუთარი თავი უნდა აღზარდოს, ურთულეს პირობებს შეეგუოს, ძალაუფლებამ არ უნდა გაიტაცოს და ბოროტად არ უნდა გამოიყენოსო.

**— თქვენს წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტები უშედეგო აღმოჩნდა — ყველას გადაურჩით. ეს შემთხვევითობაა თუ მაინც თქვენს იღბლიანობას მიაწერთ ამას?**

— ვერ ავხსნი, შესაძლოა, იღბალი იყო ან ღვთის ნება, რომ გადავრჩი, ან კიდევ იმან გადამარჩინა, რომ დაცვა სწორად მოქმედებდა, ან



მე ვიქცეოდი სწორად.

**— დღესაც ფიქრობთ, რომ თქვენს წინააღმდეგ ტერაქტი იგორ გიორგაძემ დაგეგმა?**

— გამოძიების საქმეში არის მტკიცებულებები, რომ გიორგაძეს კავშირი ჰქონდა ტერაქტთან. ეჭვი მასზე არცთუ უსაფუძვლოდ გაჩნდა. სხვათა შორის, ტერაქტის შემდეგ დამირეკა — ტერორისტები დავიჭირეთო. მოგვიანებით გაირკვა, ვიღაც ბიჭები დაუჭერიათ, უცემიათ და ასე მიუღიათ მათგან აღიარება — ტერაქტი მოვაწყვეთო. როდესაც პრეზიდენტს ტერაქტს უწყობენ და უშიშროების მინისტრზე რაღაც ეჭვები ჩნდება, ცხადია, ის თანამდებობას ვერ შეინარჩუნებს... ახლაც არ მაქვს საფუძველი დაბეჯითებით განვაცხადო, ტერაქტში მონაწილეობდა-მეთქი. შესაძლოა, რაღაც კი იცოდა და დამალა. ისე, გიორგაძე ძლიერი ოპერატიული მუშაკი იყო. ერთხელ კიტოვანმა განაცხადა, აფხაზეთი უნდა დავიბრუნოო (იცოდა ასეთი სულელური განცხადებები), შეკრიბა 150 კაცი, დანარჩენს სამეგრელოში მოვუყრი თავს და შევუტევ აფხაზეთსო. ამის დაშვება არ შეიძლებოდა. იგორ გიორგაძეს დავურეკე, რადაც უნდა დაგიჯდეს, შეაჩერე-მეთქი. გიორგაძე ქუთაისში გადაფრინდა, გადაუღობა გზა კიტოვანს, თავის ავტომანქანაში ჩაისვა და თბილისში ჩამოიყვანა.

**— სხვათა შორის, იგორ გიორგაძე „ქინქრის რევოლუციით" იმუქრება...**

— ვინც მართლა აპირებს რევოლუციის მოწყობას, ის წინასწარ არ ილაპარაკებს.

ისე, ბუნებრივია, ენდომება საქართველოში დაბრუნება. ამდენი ხანია მოსკოვშია, სპეცსამსახურებთან ურთიერთობა აქვს და უნარიანი კაცია. არ ვიცი, რამდენად პერსპექტიულია მისი რევოლუციის მოწყობის სურვილი. არ ეყოთ ერთი რევოლუცია?

**— ხელისუფლებაში ყოფნის ბოლო პერიოდში თქვენ თითქოს თვითდინებაზე მიუშვით პროცესები, რა იყო ამის მიზეზი — დაიღალეთ, მოგწყინდათ და საინტერესო აღარ იყო თქვენთვის პოლიტიკაში ყოფნა თუ სხვა მიზეზი არსებობდა?**

— თვითდამშვიდების საფუძველი მქონდა, რადგან ქვეყანა ქვეყანას დაემსგავსა. რეფორმები ჩავატარეთ, გვყავდა პარლამენტი, დამოუკიდებელი სახელმწიფოც შეიქმნა. ჩემი უბედურება ის იყო, რომ ნუგზარ საჯაია აღარ მყავდა გვერდით. ძალოვან სტრუქტურებს ისე კურირებდა, რომ იქით გახედვა აღარ მჭირდებოდა. ბინძური წერილის გამო მოიკლა თავი. რაღაც ხმები მასზე ადრეც დადიოდა, კომუნისტების დროს, როდესაც ცეკაში ადმინისტრაციული განყოფილების გამგე იყო. ეს ხმა მაშინ უშიშროებამ გაავრცელა. ინაურს დავურეკე და ამ ინფორმაციის წარმომავლობის გარკვევა ვთხოვე. ინაურმა ორთვე-ნახევრის შემდეგ დამირეკა და მითხრა, სიცრუეა, ყველანაირად გადავამოწმე საჯაია, ისეთი გაქნილი ხალხი მივუჩინე, უთუოდ გაამჟღავნებდა თავს, ასე რომ, ოდნავი ეჭვის საფუძველიც არ არსებობსო.

**— მაშ რატომ ვრცელდებოდა ეს ხმები, რატომ ებრძოდნენ საჯაიას?**

— იმიტომ ებრძოდნენ, რომ იცოდნენ, მის გარეშე გამიჭირდებოდა. მოუსყიდველი კაცი იყო, უჩემოდ არაფერს აკეთებდა. ზოგს კი მის ადგილზე მორჩილი კაცი სჭირდებოდა. რომ დაემორჩილებინათ, იმიტომ გაუვრცელეს ასეთი ხმა. საჯაიას სიკვდილში ჩემს მოწინააღმდეგეებს მიუძღვით ბრალი. არ ვიცი, ღირს თუ არა ამის დაწერა... როდესაც პრესაში ის ბინძური წერილი გამოქვეყნდა, მოვიდა და მითხრა, თავი უნდა მოვიკლა, მეტი გამოსავალი არ არის. არ წაიკითხეთ, რა წერია გაზეთშიო...

სხვათა შორის, მანამდე ბათუმში იყო და ძალიან განაწყენებული ჩამოვიდა — აღარ წავალ აჭარაშიო.

**— არ ჰკითხეთ მიზეზი?**

— მითხრა, მაგრამ სიტყვა მივეცი, რომ არ გავამხელდი...

**— ასლან აბაშიძემ აწყენინა?**

— ძალიან ცუდი რაღაც უთხრა ასლანმა, მაგრამ არ გინდათ ამის დაწერა, ამას დამტკიცება უნდა და ვერავინ დაამტკიცებს, რაკი ნუგზარი აღარ არის ცოცხალი.

მკითხეთ, ზედმეტად ხომ არ დაიმშვიდეთ თავიო. იმიტომ დავიმშვიდე, რომ გვერდით ისეთი კაცი მყავდა, რომელსაც არაფერი გამოეპარებოდა.

**— კარგი, ისევ თქვენს გადადგომას მივუბრუნდეთ. არაერთხელ გითქვამთ, რაკი ჟვანია იყო იმ სამეულში, რომელსაც ხელისუფლება გადავაბარე, მშვიდად ვიყავიო.**

— ჟვანია რომ არ ყოფილიყო, არ გადავდგებოდი. მისი იმედი მქონდა. გონიერი კაცი იყო. ალბათ, გახსომებათ, პარლამენტში შემოიჭრა ხალხი და მოგვიანებით საგანგებო მდგომარეობა გამოვაცხადე, მაგრამ შინ რომ წავედი, ვიფიქრე — პრეზიდენტს ასეთი რამ რომ დაგემართება, უნდა გადადგე-მეთქი. ორჯერ შევხვდი ოპოზიციას. პირველ შეხვედრაზე სააკაშვილი გარეთ გავუშვი. მეუხეშებოდა და ვუთხარი — ასეთ საუბარს ჩვეული არ ვარ, როდესაც დაწყნარდები, მერე დაგელაპარაკები-მეთქი. მეორედ ისევ დავიბარე სამივე, მაგრამ ბურჯანაძე არ მოვიდა. მორიდებულად მელაპარაკებოდა ზურაბი, სააკაშვილიც უკვე ზრდილობიანად იქცეოდა, ხომ გახსოვთ, როგორი აღელვებულები გამოვიდნენ ჩემგან.

**— რატომ ღელავდნენ?**

— კი მითხრეს, გამოსავალი პრეზიდენტის გადადგომააო, მაგრამ ჩემი აზრით, სხვა ვარიანტი ჰქონდათ ჩაფიქრებული. რაღაცის გაკეთება უნდოდათ ჩემი ხელით. არ ვიცი, — რამდენიმე თვის შემდეგ ხელახალი არჩევნების დანიშვნა თუ სხვა რამ... არ ეგონათ, რომ გადავდგებოდი...

**— პოლიტიკური კარიერის მანძილზე არაერთი მოწინააღმდეგე გყოლიათ, რომელი იყო მათგან ყველაზე საინტერესო და ღირსეული?**

— გორბაჩოვთან ვმეგობრობდი, მაგრამ მერე თავში აუვარდა და იძულებული გავხდი, გადავმდგარიყავი. ერთხანს აღარ გვქონდა ურთიერთობა, მაგრამ მერე რომ გაუჭირდა და მარტო დარჩა, მე და იაკოვლევმა მივაკითხეთ. ლამის ბოდიშები იხადა, ბევრ რამეში ვარ დამნაშავეო. მაინც არ ვთვლი, რომ ერთმანეთის მოწინააღმდეგეები ვიყავით, ბოლოს ხომ მაინც შევრიგდით. აქ, საქართველოში, ჭკუითა და გონებით ჯაბა იოსელიანი გამოირჩეოდა. ჩემი მოწინააღმდეგე თავიდან არ ყოფილა, მაგრამ ბოლოს უკვე აშკარად გამოხატავდა ხოლმე უკმაყოფილებას. ჯაბა იყო საქართველოში ჩემი ჩამოყვანის ინიციატორიც და სოხუმიც მისი დაჟინებული მოთხოვნით დავტოვე — აფხაზეთის დაკარგვა საქართველოს დაკარგვა არ არის, თბილისში დაბრუნდით, ქვეყანას პატრონობა უნდაო. თბილისში რომ ჩამოვედი, პარლამენტში არ მინდოდა მისვლა, მაგრამ რას ვიზამდი. როცა იქ შევედი, მთელი დარბაზი ფეხზე დადგა და ტაში დამიკრეს. მარტო მე კი არ მიკრავდნენ ტაშს, ფიქრობდნენ, რაკი დაბრუნდა, ე. ი. რაღაც საშველი კიდევ არისო.

**— ბოლო დროს რუსეთთან ძალიან გამწვავდა ურთიერთობა. ენერგობლოკადამ ცხადყო, რომ რუსეთი ნებისმიერ საშუალებას აამოქმედებს ჩვენს წინააღმდეგ, თუკი დასჭირდა. ასევე გაუთავებელ პროვოკაციებს აწყობენ კონფლიქტის ზონაში მყოფი მშვიდობისმყოფლები. ასეთ ვითარებაში როგორ უნდა ვიმოქმედოთ?**

— კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ბაქოჯეიჰანის ნავთობსადენისა და გაზსადენის მშენებლობის დაწყება სწორი გადაწყვეტილება იყო. რუსეთზე არ უნდა ვიყოთ დამოკიდებულნი. ამ პროექტების განხორციელებაში პრობლემები ჩემი გადადგომის შემდეგ შეიქმნა. ზოგიერთ ხელმძღვანელ პირს უთქვამს — რა საჭირო იყო ნავთობსადენისა და გაზსადენის მშენებლობაო. ერთხელ ჟვანიამ, როდესაც უკვე პრემიერმინისტრი იყო, შტატებიდან დამირეკა — ვიცეპრეზიდენტთან მოულოდნელად შეხვედრა დაინიშნა და რა კითხვებისთვის უნდა ვიყო მზადო. არ გამოვრიცხავ, რომ გაზსადენსა და ნავთობსადენზე გკითხონ-მეთქი. რატომო, გაუკვირდა. ვაშინგტონიდან რომ დაბრუნდა, ზურაბმა დამირეკა — გულთმისანი ხომ არ ხართ. ჩეინიმ მკითხა, მართლა ნავთობსადენის წინააღმდეგი ხართო? ხომ არ გგონიათ, რომ ამ პროექტის მშენებლობის დაწყების შესახებ დოკუმენტზე შემთხვევით არის კლინტონის ხელმოწერა? აშშის პრეზიდენტის ხელმოწერა, გინდ დემოკრატი იყოს, გინდ — რესპუბლიკელი, კანონია ჩვენთვის და ჭკუით იყავითო.

რაც შეეხება მშვიდობისმყოფელთა თემას, აფხაზეთიდან მართლაც გასაყვანი არიან, მაგრამ უთუოდ ჩანაცვლება უნდა მოხდეს. მეც მინდოდა მათი გაყვანა, პუტინიც თითქმის დავითანხმე, მაგრამ ჩამნაცვლებელი ვერ მოვნახეთ. უკრაინელებმა თავი შეიკავეს, ევროპელებთანაც ვერ გამოვიდა ამ საკითხზე მოლაპარაკება. დღეს იმდენად დაძაბულია ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის, რომ ვფიქრობ, აუცილებელია ქვეყნის პირველი პირების შეხვედრა. პუტინისა და სააკაშვილის შეხვედრა განმუხტავს ვითარებას. მაინც მეზობელია და მასზე ვართ დამოკიდებულნი. ერთხანს ახალქალაქიდანაც ვფიქრობდი რუსების გაყვანას, მაგრამ ბოლოს თავი შევიკავე. არის იქ ისეთი გარემოება, რომელსაც გაზეთში დასაწერად ვერ გეტყვით.

*იზო რუკაძე*


# თუ ტვინს დახმარება სჭირდება...

ჯეოვიტი

ვიტამინი-ცენტრი „ჯეოვიტი" გთავაზობთ თავის ტვინის ფუნქციური შესაძლებლობების აღდგენის სრულ პროგრამას ბუნებრივი პრეპარატებით:




**DHA ნეირომინზი**
აძლიერებს სისხლის მიმოქცევას ტვინში და აკომპენსირებს ჟანგბადოვან შიმშილს.

**მემორი კომპლექსი**
ზრდის ყურადღების კონცენტრაციას და აუმჯობესებს მეხსიერებას;




**სეროტეინი**
ამჟღავნებს, მდგრად ანტიდეპრესანტულ ეფექტს, მიჩვევის ფენომენის გარეშე!




პრეპარატები რეკომენდებულია თავის ტვინის მეტაბოლიზმის და მიკროცირკულაციის გაუმჯობესებისთვის, ინსულტების პროფილაქტიკა-რეაბილიტაციისთვის და აგრეთვე, ინტელექტუალური შესაძლებლობების სტიმულაციისთვის მომატებული გონებრივი დატვირთვისას.

*„ჯეოვიტი" - თქვენი ჯანმრთელობის თანამგზავრი*

მის: ილ ჭავჭავაძის გამზ. 41,
აფთიაქები: თამარაშვილის 1, თამარ მეფის გამზ. 19, თამარ მეფის გამზ. 32. აღმაშენებლის გამზ. 142 ქ. ზუგდიდი, გამსახურდიას გამზ. 29, აფთიაქი „ციბა"
სპეციალისტების ყოველდღიური კონსულტაცია
ტელ: 29-20-91; 899-10-99-20; 899-14-35-56



# GMP კვლავ ერთადერთია!

**ISO 9001-2000** საკონტროლო აუდიტის შესახებ ქართულ ფარმაცევტულ საწარმო "GMP"-ში

"ჯი-ემ-პი" დღემდე კავკასიაში პირველი და ერთადერთი საწარმოა, სადაც საერთაშორისო სტანდარტით მიმდინარეობს წამლის წარმოების სრული ტექნოლოგიური პროცესი.

ფარმაცევტული საწარმო "ჯი-ემ-პი"-ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას 2004 წელს საერთაშორისო მასერტიფიცირებელი ორგანოს "TUV Managment Servise" ექსპერტთა მიერ (გერმანიიდან) მიენიჭა საერთაშორისო სერტიფიკატი ISO 9001-2000.

მსოფლიოს ნებისმიერ წამყვან ქვეყანაში ISO სერტიფიკატი არის დასტური, რომ კომპანიაში მიმდინარე ყველა პროცესი (არა მარტო ტექნოლოგიური) ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მიმდინარეობს.

ხარისხის მართვის სტანდარტის დანერგვა საწარმოს წინსვლის და წარმატების უდავო დასტურია, ამასთან უდიდესი პასუხისმგებლობაა მთელი პროფესიული გუნდისთვის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხარისხის მართვის პროცესების ეფექტურობის შენარჩუნება დროში. ამ მიზნით მასერტიფიცირებელი ორგანო ყოველწლიურად ამოწმებს უკვე დანერგილი სისტემის ეფექტურობას. სწორედ ასეთი საკონტროლო აუდიტი ჩატარდა "ჯი-ემ-პი"-ში, მიმდინარე წლის იანვარში, დასავლეთგერმანელი ექსპერტების მონაწილეობით.

აუდიტორების მიერ სათანადო კვლევის შედეგად დადებითად შეფასდა 2005 წლის მანძილზე საწარმოში განხორციელებული პროექტები:

- ახალი სიმძლავრეებით და უახლესი გერმანული მანქანა-დანადგარებით (ფეტე, ბოში და ა.შ.) მაღალტექნოლოგიური პროცესების წარმართვა;
- ამერიკული და ევროპული კომპანიების უახლესი მოდელის აპარატურით (ეჯილენტი, ერვეკა, შიმადზუ და ა.შ.) აღჭურვილ ლაბორატორიაში (როგორც მზა პროდუქციის, ასევე ნედლეულის) ხარისხის სისტემის რეორგანიზაცია;
- დასუფთავების და დეზინფექციის პროცესების ვალიდაცია;
- ანალიზური მეთოდების აპრობაციის და ვალიდაციის პროექტები.

სწორედ ამ შემოწმების შედეგია, რომ დღესაც ქართული ფარმაცევტული საწარმო "ჯი-ემ-პი" ამ სერტიფიკატის ერთადერთი მფლობელი ფარმაცევტული საწარმოა საქართველოში.

საუფლო დღესასწაული

# მირქმა

15 თებერვალი



შობიდან მეორმოცე დღეს, ე.ი. 1/15 თებერვალს მარიამმა და მართალმა იოსებმა ღვთიური ყრმა იერუსალიმს აიყვანეს უფლის წინაშე წარსადგენად. ამასთან, რჯულისამებრ, 2 გვრიტი შესწირეს ტაძარს. მირქმის ხატზე ჩვენ ვხედავთ უფლის მიმრქმელებს — მოხუც სვიმეონს (რომელსაც ჯერ კიდევ სამი საუკუნის წინ ეუწყა, რომ არ მოკვდებოდა მანამ, სანამ მესიას — იესო ქრისტეს არ იხილავდა) და ანა წინასწარმეტყველს. უსაზღვრო მადლიერებითა და ბედნიერებით ალსავსე სვიმეონი მიირქვამს ყრმას და სიხარულით შეჰღაღადებს...

*— აწ განუტევე მონას შენსას, მეუფეო, თანახმად შენი სიტყვისა, მშვიდობით, რადგანაც იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარი შენი...*

გადმოცემით, სვიმეონი 380 წლისა აღესრულა.

მირქმა უფლისა ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი უძველესი დღესასწაულია, მაგრამ VI საუკუნემდე იგი გამორჩეული ზეიმით არ აღინიშნებოდა. 528 წელს, იმპერატორ იუსტინიანეს (527-565) დროს, ანტიოქიას თავს დაატყდა საშინელი მიწისძვრა, რომელსაც მრავალი ადამიანი ემსხვერპლა. ერთ უბედურებას სხვა დაერთო — შავი ჭირის ეპიდემია. ამ განსაცდელის ჟამს ერთ კეთილმსახურ ქრისტიანს ზეციდან ეუწყა, რომ მირქმის დღესასწაული უფრო საზეიმოდ აღენიშნათ და, როცა ამ დღეს ღამისთევის ლოცვები და ლიტანიობა აღასრულეს, ბიზანტიაში უბედურებათა წყება შეწყდა. ღვთისადმი მადლიერების ნიშნად 544 წელს ეკლესიამ განაჩინა, მირქმა (მიგებება) უფლისა ღვთისა და მაცხოვარისა ჩვენისა იესო ქრისტესი აღენიშნათ უფრო საზეიმოდ.

ვუსურვებთ ჩვენს მკითხველებს, ძველი აღთქმის უკანასკნელი მართლების — წმ. ანასა და სვიმეონის მსგავსად მოეხვეჭოთ საკუთარი „მირქმა" — გულის კარი გაეღოთ და სიხარულით მიგებებოდნენ, შეხვედროდნენ უფალს.




# ქვამარილი ირმებისათვის



ანტონ მარტყოფელი

მარტყოფის მამათა მონასტერში ჩასულ სტუმრებს ურჩევენ მოილოცონ ის მადლიანი ადგილი, სადაც ღირსი მამა ანტონ მესვეტე, მარტყოფელი იყო დაყუდებული.

ღირსი ანტონი ერთ-ერთია იმ ცამეტ ასურელ მამათა შორის, რომლებიც საქართველოში ჩამოვიდნენ. წმინდა იოანე ზედაზნელის კურთხევით ანტონი კახეთს დაემკვიდრა სამოღვაწეოდ. მისმა მადლმოსილმა ლოცვამ და სასწაულებმა უამრავი ხალხი მიიზიდა. ანტონმა მათთვის ეკლესია ააშენა ალაზნის გაღმა, თვითონ კი მივარდნილ ადგილას დაეყუდა. იგი მუდამ თან ატარებდა მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს. ღირსი მამა დღედაღამ ლოცულობდა სასწაულთმოქმედი ხატის წინ და ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას ავედრებდა უფალს.

უკაცრიელ ადგილას დამკვიდრებულ მოღვაწესთან ყოველ საღამოს მიდიოდნენ ირმები და თავიანთი რძით კვებავდნენ. ერთ საღამოს ირმები ადრე მივიდნენ, დაფეთებული. უკან დაჭრილი ნუკრი მისდევდათ. გაოცებული ანტონი ირმებს კვალში ჩაუდგა და ნახა, რომ მთის ძირას, ველზე ვილაც წარჩინებული ნადირობდა. ის აღმოჩნდა მახლობელი დაბის მამასახლისი. გაოგნებულმა მონადირემ დაინახა მხცოვანი ბერი, რომელსაც გულზე ხატი ეკიდა და ისე იდგა ირმების ჯოგში. მამასახლისმა საშიშ კაცად ჩათვალა უცნობი და მხლებლებს უბრძანა, წმინდანი მჭედელთან წაეყვანათ ხელის მოსაჭრელად. მჭედელმა შანთი გაახურა, მაგრამ, როგორც კი აღმართა, წმინდა მამის ხელის მოსაჭრელად, „დავარდა ქვე და ხელნი, ვითარცა შეშანი შეექმნნეს". მომხდარით გაოგნებულ მჭედელს ენა ჩაუვარდა, წმინდა ანტონმა კი მას ჯვარი გადასახა და განკურნა.

ეს სასწაული სასწრაფოდ აუწყეს მამასახლისს. ის მიხვდა, რომ მის წინაშე ღვთის მადლით შემოსილი კაცი იდგა, თაყვანი სცა და, შეევედრა: „რაი გნებავს სთქუ და ყოველი მიგცე", ანტონმა ქვამარილის ნატეხი ითხოვა. ღირს მამას მაშინვე მარილის ორი ლოდი მიართვეს. მან მხოლოდ მცირეოდენი ჩამოტეხა და კვლავ თავის სადგომს მიაშურა, ქვამარილი კი სენაკის ახლოს დადო ირმებისათვის. წმინდა ანტონის სახელი მახლობელ სოფლებს მოეფინა. მასთან აუარებელმა ხალხმა იწყო სიარული. ბევრს ისე მოეწონა მისი ცხოვრება, რომ იქვე დარჩა სამოღვაწეოდ. მამა ანტონმა მათთვის მონასტერი ააშენა, თვითონ კი მთის მწვერვალზე, სვეტზე დაეყუდა და იქ მოღვაწეობდა თხუთმეტი წლის განმავლობაში.

ღირს მამას უფლისაგან წინასწარ ეუწყა ხორცთაგან განსვლის დღე, დაიბარა მოწაფეები, უკანასკნელად დაარიგა და აკურთხა ისინი, თვითონ კი ხატის წინ დაჩოქილი აღესრულა.

ღირსი ანტონის გვამი სვეტიდან ჩამოასვენეს და მის მიერ დაარსებულ მონასტერში დაკრძალეს, ღვთისმშობლის ხატის წინ.

## რას გვეტყვი, მამაო?

**— შეიძლება თუ არა 25 თებერვალს, ხორციელის კვირაში ჯვრისწერა?**

— ზოგადად საეკლესიო ტიპიკონის მიხედვით, ამ დროს უკვე შეზღუდულია ჯვრისწერა, მაგრამ თუ ეს აქტი არგუმენტირებულად გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს (მაგ. საზღვარგარეთ გამგზავრება ან სხვა), მაშინ სადაც ცხოვრობთ, იმ ეპარქიის ეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევით ჯვარს დაგწერენ.

**— ძალზე განვიცდი რამდენიმე სულიერი მოძღვრის გამოცვლას. ჩემი არასწორი აზროვნების გამო ყველასთან დავბრკოლდი. როგორ მოვინანიო ეს ფაქტი და ვინ არის ჩემი ნამდვილი წინამძღვარი, მოძღვარი?**

— უპირველეს ყოვლისა, ამპარტავნება გვერდზე გადადეთ და სიმდაბლით მიეახლეთ მოძღვარს. გახსოვდეთ, რომ მოძღვარი თქვენი მეგობარი უნდა გახდეს. ისევე როგორც მეგობარს ირჩევთ თქვენი ხასიათის, ურთიერთგაგების, შეწყობის, სიახლოვის მიხედვით, ასევე უნდა აირჩიოთ მოძღვარი, ვისთანაც უკეთ გაიხსნებით. თუ ამ გზაზე სასურველ პიროვნებას ვერ მიაგენით, არ დაკარგოთ იმედი, გააგრძელეთ ძიება და აუცილებლად მიხვალთ თქვენს მოძღვრამდე.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით. მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

# არის თუ არა ვალენტინობა ქრისტიანული დღესასწაული?!

ბოლო რამდენიმე წელია, არაეკლესიური საზოგადოების ერთმა ნაწილმა „აღმოაჩინა", რომ 14 თებერვალი წმინდა ვალენტინის ხსენების დღეა. საქართველოში 14 თებერვლის, როგორც „სიყვარულის დღის" აღნიშვნის ტრადიციას, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასის" „სიყვარულის საღამოებმა" დაუდო სათავე. მომდევნო წლებში „შეყვარებულთა დღის" აღსანიშნავად (უფრო მეტად კი კომერციული მიზნებით) 14 თებერვალს დაიწყო გრანდიოზული კონცერტებისა და სხვა ღონისძიებების გამართვა, რომელთაც მასმედია განსაკუთრებულ „პრომოუშენს" უკეთებს ხოლმე. მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ მართლმადიდებელი ეკლესია 14 თებერვალს წმინდა ვალენტინს სრულებით არ მოიხსენიებს და ეს უცხოური ტრადიციაა, მაგრამ წამხედურობით ცნობილ ქართველთა ერთ ნაწილს (განსაკუთრებით თინეიჯერებს) ისე „გაუსწორდა" ეს დღესასწაული, რომ არც ეკლესიის პოზიცია აღელვებთ და არც ქართული ტრადიციები. ალბათ ამიტომაც აღნიშნა მწერალმა ზაალ სამადაშვილმა: „ეს უბრალო წამხედურობაა, სხვა თუ არაფერი, საქართველოში, მგონია, ვალენტინი არავის რქმევიაო". ეს „წამხედურობა" ზოგჯერ იქამდეც კი მიდის, რომ ზოგიერთი შეყვარებული წყვილი 14 თებერვალს ეკლესიებში წმინდა ვალენტინის ხატს ეძებს ხოლმე სანთლის დასანთებად.

რაც შეეხება თავად „ვალენტინობის" წარმომავლობას, ამასთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია და მრავალი ლეგენდა არსებობს. ერთ-ერთის თანახმად, ეს დღესასწაული III ს-ში მცხოვრებ წმინდა ვალენტინს უკავშირდება. ლეგენდის მიხედვით, ვალენტინი რომის ერთ-ერთ ციხეში სასჯელს ელოდებოდა, როცა ზედამხედველის უსინათლო ქალიშვილი შეუყვარდა და სასწაულებრივად განკურნა სიბრმავისგან. მეორე ვერსიით, ეს დღესასწაული სხვა წმინდა ვალენტინს უკავშირდება, რომელიც მღვდელი იყო და იმპერატორ კლავდიუს II-ის დროს ცხოვრობდა. იმპერატორმა კლავდიუსმა რომაელ ჯარისკაცებს დაქორწინება აუკრძალა, რადგან მიაჩნდა, რომ დაოჯახებული მეომრები ცუდად იბრძოდნენ. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ იმპერატორის ბრძანების მიუხედავად, მღვდელი ვალენტინი შეყვარებულ წყვილებს ფარულად სწერდა ჯვარს. ამის გამო იგი შეიპყრეს, 14 თებერვალს კი თავი მოჰკვეთეს. სხვათა შორის, არსებობს ერთი ძველი ლეგენდაც, რომლის მიხედვით 14 თებერვალს ფრინველებიც წყვილდებოდნენ.

წმინდა ვალენტინის სასიყვარულო ურთიერთობებთან კავშირს კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიის ისტორიკოსებიც უარყოფენ და მის წარმართულ წარმოშობაზე მიუთითებენ. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ 14 თებერვლის ვალენტინობას რომაული წარმართული ფესვები უნდა ჰქონდეს. ამ დღეს ძველ რომში ქალღმერთ იუნონას დღესასწაულს აღნიშნავდნენ, რომელსაც რომაელები ქალებისა და ოჯახის მფარველად თვლიდნენ.

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრმა ჯერ კიდევ 2001 წლის თებერვალში გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო: „14 თებერვლის „სიყვარულის დღესასწაულს" შეცდომით უკავშირებენ კათოლიკური ეკლესიის წმინდანის სახელს: ეკლესიის ისტორია იცნობს რამდენიმე ვალენტინს, რომელთაგან არც ერთის ცხოვრება არ უკავშირდება სასიყვარულო ურთიერთობებს...

მართლმადიდებელი ეკლესიისთვის უცხოა ეს დღესასწაული. მისი წარმართული და მოგვიანებით დასავლეთში შექმნილი ლეგენდარული ისტორიის გამო, ვალენტინობა ევროპულ ხალხურ დღესასწაულად ითვლება. იგი არც კათოლიკური ეკლესიის მიერ აღინიშნება, რაც დაგვიდასტურა ვატიკანის საელჩომ საქართველოში".

ვალენტინობასთან დაკავშირებით თავისი პოზიცია დააფიქსირა სომხეთის მონოფიზიტურმა ეკლესიამაც: წმინდა ვალენტინის დღე სომხეთში არ უნდა აღინიშნებოდეს, რადგან ჩვენი დღესასწაულებიც ბევრი გვაქვს და თანაც უფრო ძველი, ვიდრე რაღაც გაუგებარი ისტორია შეყვარებულებზე, — განაცხადა ეჩმიაძინის პრესმდივანმა ვაგრამ ველიქიანმა.

**სერგო კერესელიძე**




იოანე ოქროპირი

# რატომ არ გვისრულდება სათხოვარი ყოველთვის...

ღმერთი ზოგჯერ გვაძლევს, ხოლო ზოგჯერ არ გვაძლევს; მაგრამ იმასაც და ამასაც სარგებლობით იქმს ისე, რომ დღეს თუ შენ არ იღებ, — იღებ იმით, რომ არ იღებ; აღწევ სასურველს თუ არ აღწევ, — შენ იმითაც აღწევ, რომ არ აღწევ, რამეთუ არ მიილო ის, რასაც ითხოვ, ხშირად უფრო სასარგებლოა, ვიდრე მიილო. ჩვენთვის რომ ხშირად სასარგებლო არ იყოს არმიღება, მაშინ, რა თქმა უნდა, ღმერთი ყოველთვის მოგვცემდა; ხოლო არ მივიღოთ სარგებლობით ნიშნავს, მივაღწიოთ იმას, რასაც ვთხოვთ, ამიტომაც იგი ხშირად აყოვნებს მოგვანიჭოს ის, რასაც ვითხოვთ, არ სურს რა, ვიტანჯებოდეთ დაყოვნებით, გარნა გვასწავლის, საბოძვარის დახანებით, მუდმივად ვფხიზლობდეთ. რადგანაც სათხოვარის ასრულების შემდეგ ვანელებთ ლოცვაში გულმოდგინებას; ამიტომაც იგი, სურს რა ჩვენი ლოცვითი გულმოდგინების გაძლიერება, ახანებს ხოლმე რაიმეს მონიჭებას. ასევე იქცევიან მოყვარული მშობლებიც: ზარმაცსა და ცელქ შვილებს ისინი ხშირად დიდი საჩუქრების დაპირებით აკავებენ და ზოგჯერ ახანებენ ჩუქებას, ხოლო ზოგჯერ კი არაფერს აძლევენ. ისეც ხდება, რომ ჩვენთვის რაიმე მავნესაც კი ვითხოვთ, მაგრამ ღმერთი, რომელმაც უწყის რაი არს ჩვენთვის სასარგებლო, არ გვისრულებს ლოცვას,



იოანე ოქროპირი

განგვიმზადებს რა სასარგებლოს ისე, რომ ჩვენ არც კი ვიცით... მაშ განვეწყოთ ვმადლობდეთ მას ერთისთვისაც და მეორისთვისაც: აღგვისრულებს ღმერთი, თუ არ აღგვისრულებს სათხოვარს, რამეთუ ყველა შემთხვევაში იგი ჩვენთვის სასარგებლოს იქმს. თუკი მის ხელმწიფებაშია მოცემა, მისივე ხელმწიფებაშია ისიც, თუ როდის მოგვცეს, რა მოგვცეს, ანდა სულაც არ მოგვცეს. შენც არ იცი ისე კარგად, რა არის შენთვის სასარგებლო, როგორც მან უწყის. შენ ხშირად შენთვის უსარგებლოსა და ზიანის მომტანსაც კი ითხოვ; ის კი ზრუნავს რა შენი ცხონებისათვის უკეთესად, ვიდრე შენ, უყურებს არა თხოვნა-ვედრებას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმას, რაც შენ სარგებლობას მოგიტანს. თუკი ხორციელი მშობლები ყველაფერს არ აძლევენ შვილებს, რასაც ისინი ითხოვენ, არა იმიტომ, რომ ყურადღებას არ აქცევენ მათ, არამედ იმის გამო, რომ ფრიად ზრუნავენ მათზე; მით უფრო ღმერთი, უმეტესად მოყვარული და ყველაზე უკეთ მცოდნე, რა არის სასარგებლო, მოიქცევა ამგვარად. მაშ განუწყვეტლივ ვილვწოდეთ ლოცვათა შინა არა მარტო დღისით, არამედ ღამითაც... ლოცვა — დიდებული იარაღია; ლოცვა — ჩინებული სამკაულია, ზღუდე და ნავსაყუდელი, სიკეთეთა საგანძური და გაუქურდავი სიმდიდრე.

**გვერდი მოამზადა მანანა ჯანელიძემ**

ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი" გვერდის ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა იხ. გვ. 40.

# თურქეთთან უვიზო მიმოსვლა რუსეთის წინააღმდეგ...

„პროვოკაციის შემთხვევაში სამაჩაბლო აივსება კაზაკებითა და ჩრდილოკავკასიელი მოხალისეებით“

(დასაწყისი იხ. გვ. 8)



„ოფიციალური თბილისი იძულებული იქნება დათმოს ცოტა, რათა ბევრი არ დაკარგოს“

ქართული მხარე მათ არც ვიზებს დაუკავებდა და პირიქით, დახმარებასაც აღმოუჩენდა გამოძიებაში, მაგრამ რუსმა სამხედროებმა ეს არ ჩათვალეს საჭიროდ და დაკავებისას მათ ვიზები კი არა, პირადობის დამადასტურებელი საბუთებიც არ ჰქონდათ. ამან კი, ცხადია, ეჭვი გამოიწვია, რომ მათი ვიზიტის მიზანი სხვა რამ იყო. კონკრეტულად რა, ამაზე ქართველი ძალოვნებიც არ ლაპარაკობენ. თუმცა კულუარული ინფორმაციით, დაკავებულები გრუ-ს ოფიცრები არიან და ისინი ცხინვალში დე ფაქტო ხელისუფლების შეიარაღებული ძალებისთვის ინსტრუქტაჟის ჩასატარებლად იყვნენ ჩამოსულნი. ასეა თუ ისე, ინციდენტი მალევე ამოიწურა და დაკავებულთა გათავისუფლებას რუსმა სამშვიდობო ძალებმა იმით უპასუხეს, რომ დიდი ლიახვის ხეობაში გაყვანილი მძიმე სამხედრო ტექნიკა დისლოკაციის პირვანდელ ადგილს დაუბრუნეს.

სამაჩაბლოში სიტუაციის გართულებას ისევ ელიან. როგორ განვითარდება მოვლენები, ეს იმ გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული, რომელიც საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს. ექსპერტების აზრით, რუსი სამშვიდობო ძალების გაყვანის საკითხზე მსჯელობის დაწყებასაც კი დაუყოვნებლივ მოჰყვება სიტუაციის გამწვავება რეგიონში. მათივე შეფასებით, ეს შეიძლება ქვეყნისთვის სავალალოდ დასრულდეს. ექსპერტები სხვადასხვა ვერსიას განიხილავენ.

„კვირის პალიტრასთან“ საუბრისას კონფლიქტოლოგი **გელა დვალიშვილი** ამბობს, რომ გამორიცხული არ არის რეგიონში შეიარაღებული დაპირისპირების ახალი ძალით აფეთქება: — თუკი სამაჩაბლოში შეიარაღებული კონფლიქტი განახლდება, ეს ნიშნავს, რომ მცდელობის მიუხედავად, პროვოკაციაზე მაინც წამოგვაგეს; ანუ განმეორდება ორი წლის წინანდელი სცენარი — სამაჩაბლო აივსება კაზაკებითა და ჩრდილოკავკასიელი მოხალისეებით. ისინი რუსი სამშვიდობო ძალების დახმარებით შეეცდებიან სამაჩაბლოს რეგიონის იზოლირებას.

— **რამდენად შესაძლებელია ამ ჩანაფიქრის განხორციელება?**

— ეს არის საკმაოდ მარტივი, მაგრამ ამავდროულად ჭკვიანური ჩანაფიქრი. შეიარაღებულ დაპირისპირებაში რუსეთი საქართველოს იმის საშუალებას არ მისცემს, რომ თავისი სამხედრო პოტენციალი სრულად გამოიყენოს და სამაჩაბლოს ტერიტორია დაქირავებული რაზმებისგან სწრაფად გაწმინდოს. სამაგიეროდ, თვითონ იტვირთებს მთავარი მშვიდობისმყოფლის ფუნქციას და რეგიონში შესასვლელ გზებს ჩაკეტავს. ამაში კი მას ვეღარც „ეუთო“ გაუწევს წინააღმდეგობას და მხოლოდ რუსეთილა იქნება რეგიონში მშვიდობის შენარჩუნების „გარანტი“. ასეთ შემთხვევაში კი პარლამენტის გადაწყვეტილებას რუს მშვიდობისმყოფელთა რეგიონიდან გასვლის შესახებ აღარავინ აღარ მოუსმენს. სხვათა შორის, ამგვარი პროვოკაციის წამოწყების მცდელობა რუსი სამხედროების დაკავებისას დაფიქსირდა. დიდი ლიახვის ხეობის სოფლებში პოზიციების დაკავებაში რუს მშვიდობისმყოფელებთან ერთად ცხინვალის ე. წ. შეიარაღებული ძალებიც მონაწილეობდნენ. ეტყობა, იმედი ჰქონდათ, რომ ქართველი ძალოვნები რუსების ძალით გაყრას შეეცდებოდნენ, რასაც უთუოდ მოჰყვებოდა შეიარაღებული დაპირისპირება და სიტუაცია უმართავი გახდებოდა. საბედნიეროდ, ქართული მხარე პროვოკაციას არ წამოეგო, მაგრამ რა მოხდება ხვალ, ძნელი სათქმელია.

როგორი გადაწყვეტილებაც უნდა მიიღოს ქართულმა მხარემ, რუსეთი ყოველნაირად შეეცდება გაყვანის პროცესის გაჭიანურებას. ოფიციალური თბილისიც იძულებული იქნება დათმოს ცოტა, რათა ბევრი არ დაკარგოს და სეპარატისტულ რეგიონში წესრიგის დამყარების ხელსაყრელ დროს დაელოდოს...

მეორე ვერსიით, თუკი ქართული მხარე პოზიციებს არ დათმობს და რუსი მშვიდობისმყოფელების გაყვანას კატეგორიულად მოითხოვს, რუსეთი იძულებული გახდება, მოთხოვნა დააკმაყოფილოს და სამშვიდობო ძალები რეგიონიდან რაც შეიძლება მშვიდად გაიყვანოს.

კიევში გამართულ დსთ-ის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სხდომაზე რუსეთის დუმის სპიკერმა სერგეი მირონოვმა პუტინის ნათქვამის შერბილება სცადა და განაცხადა, რომ აფხაზეთიც და სამხრეთ ოსეთიც საქართველოს ორგანულ ნაწილს წარმოადგენენ და რუსეთი საქართველოსგან არა მათი გამოყოფის, არამედ კონფლიქტური სიტუაციის განეიტრალებისთვის იბრძვის.

მირონოვის ამ განცხადების შემდეგ შეიძლება ვინმემ იფიქრა კიდეც, რომ რუსეთი პოზიციის დათმობას აპირებს, მაგრამ რუს პოლიტიკოსებს მსგავსი განცხადებები ადრეც გაუკეთებიათ, თუმცა საქართველოსთვის ამას შედეგი არ მოუტანია. აქ მთავარია ის ბერკეტები, რომელთა მეშვეობით საქართველოს მეგობარი ქვეყნები რუსეთს კავკასიის ამ რეგიონში კონტროლის შენარჩუნების მცდელობაზე ხელის აღებას აიძულებენ. ექსპერტების აზრით, ეს საკმაოდ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს. პირველ რიგში დღის წესრიგში დგას რუსეთის, როგორც მთავარი ენერგომომმარაგებლის ფუნქციის გაუქმების საკითხი. საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ენერგოდივერსიის შემდეგ ევროპა დარწმუნდა, რომ ხვალ საქართველოს ადგილას შეიძლება თვითონ აღმოჩნდეს. ამიტომ, უკანასკნელი ინფორმაციით, ევროსაბჭოს გენერალურმა ასამბლეამ ევროკავშირში შემავალ ქვეყნებს წინადადებით მიმართა, დაიწყონ მუშაობა ფინანსთა მოძიებაზე. ამ თანხებით ევროპა გეგმავს რუსეთის გარეშე აზიური გაზის მიღებას. ამ ჩანაფიქრში ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ ყაზახეთიდან და თურქმენეთიდან წამოსული გაზი საქართველოს ტერიტორიაზე გაივლის, რუსეთი თამაშგარე მდგომარეობაში დარჩება და საქართველო მნიშვნელოვნად გაიმყარებს პოზიციას. რუსეთი ვეღარ შეძლებს როგორც ახლო მყოფი, ასევე ევროკავშირის ქვეყნების დაშანტაჟებას. ამ გეგმის განხორციელების შემთხვევაში ის წააგებს არა მარტო პოლიტიკურად, არამედ დაკარგავს იმ უზარმაზარ შემოსავალსაც, რომელიც ენერგოსადენებიდან აქვს. ასე რომ, რუსეთს ერთადერთი გამოსავალილა რჩება — პოლიტიკური ამბიცია დაიცხროს და ამერიკა-ევროკავშირის თამაშის წესები მიიღოს. ჩვენთვის, კონკრეტულად, ეს ნიშნავს, რომ რუსეთი იძულებული გახდება აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მთავარ მედიატორობაზეც ნელ-ნელა, მაგრამ მაინც თქვას უარი და ამ რეგიონებში საომარი მოქმედებების განახლების მცდელობაზე საბოლოოდ აიღოს ხელი. სხვათა შორის, მოვლენათა ასეთი განვითარების სურვილი რუსეთს იმითაც აგრძნობინეს, რომ საქართველო-თურქეთს შორის სავიზო რეჟიმი სამი თვით გაუქმდა. როგორც ვარაუდობენ, უვიზო მიმოსვლა სამი თვის შემდეგაც გაგრძელდება და ეს მაშინ, როცა საქართველოდან რუსეთში უვიზოდ ჩიტიც ვერ შეფრინდება ანუ ევროპამ ამ ნაბიჯით რუსეთს აგრძნობინა, რომ მისთვის საქართველო მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორია და მის დათმობას არ აპირებს.

***დავით დევიძე***

# „ფაზენდას“ ქათამი — გემრიელი, უსაფრთხო და რაც მთავარია — ჯანმრთელობისათვის სასარგებლო

დიეტოლოგები ყოველთვის აღიარებდნენ, რომ ქათმის ხორცი შეუცვლელი და სასარგებლო საკვები პროდუქტია. მისი ენერგეტიკული ღირებულება (კალორიულობა) გაცილებით დაბალია (144 კკალ), ვიდრე საქონლის (201 კკალ) ან ღორის (360 კკალ) ხორცისა. ამიტომ ქათმის ხორცი თამამად შეუძლია მიირთვას იმანაც, ვინც თავის წონას ზედმიწევნით აკონტროლებს, ზრდასრულმაც და პატარამაც, რომელსაც ორგანიზმის გაძლიერება სჭირდება. ქათმის ხორცს კიდევ ერთი ძვირფასი თვისება აქვს. ის გაცილებით მეტ პროტეინს (ცილებს) შეიცავს, რომელიც ასე საჭიროა ადამიანის ორგანიზმისთვის. 100 გ ქათმის ხორცში 20,6 პროტეინია, მაშინ, როცა ღორის 100 გ ხორცი მხოლოდ 15 გ-ს, ძროხის ხორცი კი 19,8 მგ ცილებს შეიცავს.

ქათმის ბულიონი საუკეთესოდ მოქმედებს გრიპის ვირუსითა თუ სხვა დაავადებებით დასუსტებულ ორგანიზმზე. პედიატრები ამიტომაც ურჩევენ დედებს პატარის კვების რაციონში ფრინველის ნახარშის თუ ხორცის შეტანას. გაუმართლებელი შიშის გამო ამ პროდუქტზე უარის თქმა კარგს არაფერს უქადის არც ქვეყანას (დიდი ზარალი მიადგება ეკონომიკას) და არც თითოეულ ჩვენგანს.

მას შემდეგ, რაც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ განაცხადა, რომ ქათმის გრიპი დიდ საფრთხეს უქმნის მსოფლიოს, ჩვენს ქვეყანაშიც, შეიძლება ითქვას, პანიკური შიში გაჩნდა. ბევრმა სულ ამოიღო ქათმის სასარგებლო ხორცი კვების რაციონიდან. როგორც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი, იმუნოლოგი **პაატა იმნაძე** გვიდასტურებს: „ქათმის გრიპის ვირუსი მაღალ ტემპერატურაზე, მდუღარე წყალში ან გახურებულ ტაფაზე რამდენიმე წუთში იღუპება. მეტიც, 70 გრადუსი ტემპერატურაც კი კლავს ვირუსს. სათანადოდ დამუშავებული ხორცი საშიშროებას არ წარმოადგენს მომხმარებლისთვის. საშიშია გრიპით დაავადებულ ცოცხალ ან მკვდარ ფრინველთან შეხება, უმი ხორცის გამოყენება. ჯერჯერობით მსოფლიოში არ დადასტურებულა არც ერთი შემთხვევა, როცა საკვებად მიღებული ფრინველის ხორცისგან ადამიანს დაავადება გადაედო. საერთოდ კი ნებისმიერი ფრინველის ფერმა ზედმიწევნით დაცულია, სივრცე — გადახურული. მაღაზიისა და ბაზრის დახლზე მოხვედრილი ქათამი ყველა შემთხვევაში შემოწმებული და უსაფრთხოა.

ადამიანის ამ ვირუსით დაავადების მიზეზი დაავადებულ ცოცხალ შინაურ ფრინველთან კონტაქტი ან თერმულად დაუმუშავებელი ფრინველის საკვებად მიღებაა





(მაგალითად, ვიეტნამში არსებობს ბატის სისხლის სმის ტრადიცია). აღნიშნულის გამო აიკრძალა ცოცხალი ფრინველების ბაზრობების გამართვა. დაწესდა სავაჭრო შეზღუდვები იმ ქვეყნებთან, სადაც ვირუსი დაფიქსირდა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ დამუშავებული ფრინველის ხორცი (როგორც გაყინული, ისე მოშუშული) მოწოდებული იმ ქვეყნებიდან, სადაც მიმდინარეობს ეპიზოოტია, არ წარმოადგენს რისკს ადამიანის ჯანმრთელობისათვის. მე და ჩემი ოჯახი ახლაც ვიკვებებით ქათმის ხორცით, მეტიც, თურქეთში ვიყავი მივლინებით და არც იქ ვამბობდი უარს ქათმის ხორცის მირთმევაზე.

ქართველ კაცს უთქვამს, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, — მართალიც არის. უნდა გაუფრთხილდეთ თქვენს ჯანმრთელობას, უარი თქვათ შეუმოწმებელ პროდუქციაზე და მხოლოდ სანდოს ენდოთ. ეს საშუალებას მოგვცემს, ვიკვებოთ სრულფასოვნად, მივირთვათ ეკოლოგიურად სუფთა და გემრიელი კერძები. ამისი გარანტი გახლავთ შპს „კანტის“ მიერ ბრაზილიიდან შემოტანილი ფირმა „ფაზენდას“ ქათმის პროდუქცია. ფირმის გენერალურ დირექტორს, **ალეკო ხომერიკს** ვკითხეთ, რამდენად სანდოა ფირმა „ფაზენდას“ ქათმის პროდუქცია.

— ვიდრე ქათმისა და მისი სხვადასხვა პროდუქციის შემოტანას დავიწყებდით, ჩვენი წარმომადგენლები იყვნენ თურქეთშიც, რუსეთშიც, ევროპის ქვეყნებშიც და ბრაზილიაშიც. ყველაზე მეტად ფირმა „ფაზენდას“ ფერმები მოგვეწონა. მათი პროდუქცია იყიდება ჰოლანდიაში, ინგლისში, საფრანგეთში, იაპონიაში, ჩინეთში. ამ ქვეყნებში თავიანთი ქათმის პროდუქციასაც აწარმოებენ, მაგრამ ითვლება, რომ ამ ბრაზილიური ფირმის პროდუქტი გაცილებით ხარისხიანია. სხვათა შორის, ეს პროდუქცია ძვირიც ღირს, მაგრამ მაინც დაუბრკოლებლად იყიდება ევროპისა თუ აზიის სუპერმარკეტებში.

— ***მაინც განსაკუთრებით რით მოგეწონათ ამ კომპანიის პროდუქცია?***

— ეს კომპანია 70 წლისაა. რაც ყველაზე მთავარია, ქათმის საუკეთესო ჯიში სელექციის მეთოდით გამოჰყავთ და არა რაიმე ქიმიური პრეპარატით. შეარჩევდნენ ჯანმრთელ ქათმებს და აჯვარებდნენ. ასე გამოიყვანეს ჯიშიანი ქათამი. აქვთ თავიანთი ფერმები. ქათმებს მხოლოდ სიმინდითა და ბოსტნეულით კვებავენ. მათ ქათმებს არანაირი დანამატი არ სჭირდება. ამიტომაც არის, რომ მსოფლიოს უდიდესი ქვეყნები აღიარებენ ამ პროდუქციას.

— ***როცა ფრინველის ვირუსის გავრცელების საშიშროება თანდათან იზრდება, რამდენად დაცულია ბრაზილიური ქათმის პროდუქცია ფრინველის გრიპისგან?***

— ვიდრე ეს პროდუქცია ქარხნიდან გამოვა, მოწმდება, ეძლევა სერტიფიკატი. როცა ტვირთი იტალიას მიაღწევს, იქაც დიდი ყურადღებით სინჯავენ, რათა ქვეყნის საზღვარი დაავადებულმა ხორცმა არ გადალახოს, მესამედ კი საქართველოში ამოწმებენ ამ ტვირთს. ამიტომ სამმაგი კონტროლის შემდეგ წარმოუდგენელია, უხარისხო პროდუქცია აღმოჩნდეს ჩვენი სუპერმარკეტის დახლებზე. რაც შეეხება ბრაზილიაში ქათმის დაავადების შესაძლებლობას, ის არ არსებობს. ჯერ ერთი, ფერმის შენობა გადახურულია, მეორეც, მთელი ფერმის ტერიტორიას იცავს კიდევ ერთი — თხელი ბადე, რომელიც სივრცეში უცხო ფრინველის შეღწევას გამორიცხავს. შესაბამისად, შეუძლებელია, დაინფიცირებული ფრინველი კონტაქტში შევიდეს „ფაზენდას“ ქათმებთან და დააავადოს ისინი.

— ***როგორ ეკოგარემოშია ფერმა „ფაზენდა“?***

— ბრაზილიაში ეს ფერმები სამხრეთით არის განთავსებული, სადაც მკაცრი და ცივი კლიმატია. ისეთი ადგილია, გადამფრენი ფრინველები საერთოდ არ ხვდებიან. იქ მე აგვისტოში ჩავედი და +5 გრადუსი დამხვდა, თუმცა ბრაზილიას ცხელი რეგიონებიც აქვს, სადაც იმავე დროს +30, +35 გრადუსი სითბო იყო.

— ***რაც შეეხება ქათმის დამუშავებას, გაყინვას, რა ტექნოლოგიას იყენებენ საამისოდ?***

— ცნობილია, რომ გაყინული პროდუქცია 10 წელსაც კი ინახება, მაგრამ „ფაზენდას“ ქათამს შენახვის ვადა მხოლოდ 1 წელი აქვს, სწორედ იმიტომ, რომ ყოველგვარი ქიმიური დამუშავების გარეშე ყინავენ მას.

P.S. ნუ ეტყვით უარს სასარგებლო პროდუქტების მიღებაზე ნურც ოჯახის წევრებს, ნურც საკუთარ თავს. შპს „კანტი“ ზრუნავს თქვენს ჯანმრთელობაზე და სწორედ ამიტომ გთავაზობთ „ფაზენდას“ უსაფრთხო პროდუქციას.

R



# ვის დარჩება უნივერსიტეტი

## „მთელმა ქვეყანამაც რომ იშიმშილოს, მერწმუნეთ, ეს აუცილებლად გასაკეთებელი საქმეა“

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები უნივერსიტეტის გადარჩენისა და მისი ავტონომიის მოთხოვნით შიმშილობენ. არადა, წესით, უნივერსიტეტის დანგრევის მოსურნე არც მისი რექტორი უნდა იყოს და არც განათლების და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელობა. უნივერსიტეტის რექტორის თქმით, მას უნდა, რომ უნივერსიტეტი უფრო თანამედროვე იყოს და დროის მოთხოვნებსაც უპასუხოს. თუ სიტყვაზე ვენდობით, რეფორმის მოწინააღმდეგენი არც მოშიმშილე პროფესორ-მასწავლებლები არიან. ვინ არის სინამდვილეში უნივერსიტეტის ნამდვილი ჭირისუფალი? ვინ არის განათლების ქომაგი და გადამრჩენი საქართველოში, ალბათ ეს მოგვიანებით გამოჩნდება, როდესაც რეფორმების შედეგს მოვიმკით, დღეს კი ორივე დაპირისპირებულ მხარეს, აქციის მონაწილე პროფესორებსაც და უნივერსიტეტის რექტორსაც, თავთავიანთი სიმართლე აქვთ.

**ნესტან კირთაძე,** თსუ პროფესორი: — მერვე დღეა უნივერსიტეტში პროფესორები შიმშილობენ, დაგვიკავშირდნენ საზოგადოების წარმომადგენლებიც, მწერალთა კავშირის წევრებიც. სტუდენტებიც ფიქრობენ, რომ ჩვენს აქციას შემოუერთდნენ.

აქციის მონაწილეები უნივერსიტეტის ავტონომიის აღდგენას ვითხოვთ, რომელიც პრეზიდენტმა საგანგებო ბრძანებულებით გააუქმა. ვიცი, რომ პრეზიდენტი და მისი ოჯახის წევრები თქვენს გაზეთს კითხულობენ, ამიტომ მინდა მივმართო ბატონ მიხეილ სააკაშვილს: აქტი, რომელიც მან განახორციელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ, იყო აქტი ქართული ეროვნული სახელმწიფოებრივი სიმბოლოს, ქართული ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ. მან გააუქმა უნივერსიტეტის ავტონომია, წესდება, დაითხოვა დიდი სამეცნიერო საბჭო, რითაც ფაქტობრივად ხელყო უნივერსიტეტი. სანამ კიდევ ჰყავს პრეზიდენტს გონიერი მრჩეველი ოჯახში, თავადვე უნდა გააუქმოს ეს ბრძანებულება, აღადგინოს უნივერსიტეტის ავტონომია, წესდება და მიეცეს უნივერსიტეტს საშუალება, განაგრძოს მოდერნიზება, რეფორმირება და განვითარება.

ჩვენი პროტესტის ადრესატი ნამდვილად არ არის ქალბატონი რუსუდან ლორთქიფანიძე, რომელიც არც რექტორია, არც ხელმძღვანელი და არც მეცნიერი. ის პოლიტიკური კომისარია, რომელიც მუდამ მზად არის ხელისუფლების დამანგრეველი გადაწყვეტილებების შესასრულებლად.

**— რექტორი ირწმუნება, რომ რეფორმების შემდეგ უნივერსიტეტის ავტონომია გაიზრდება.**

— უნივერსიტეტი არის სამეცნიერო და სასწავლო ერთობა და არა საექსპერიმენტო ადგილი. თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა მივმართო ქალბატონ რუსუდან ლორთქიფანიძეს — მან უკადრებელი იკადრა, როდესაც ჩვენი აქცია პოლიტიკური ძალებისაგან მართულად შეაფასა. ქალბატონო რუსუდან, ყველაზე დიდი, უპრეცედენტო პოლიტიკური ძალადობა მაშინ განხორციელდა, როდესაც ნაციონალურმა მოძრაობამ და თავად სააკაშვილმა თქვენ, პოლიტიკური ფიგურა და არაუნივერსიტეტელი მოგიყვანათ უნივერსიტეტში და დიდი სამეცნიერო საბჭო აიძულა, რომ თქვენ ჯერ პრორექტორი გამხდარიყავით, მერე კი რექტორი. ამის შემდეგ რომელ პოლიტიკასა და პოლიტიკურ ძალებზე ლაპარაკობთ?

**— მაგრამ პოლიტიკური ძალების გამოჩენა უნივერსიტეტთან მაინც აჩენს ეჭვს, რომ თქვენი აქცია პოლიტიზებულია.**

— უნივერსიტეტში მოსვლა და თანაგრძნობის გამოხატვის უფლება პოლიტიკურ ძალებს კი არა, ყველა ქართველს, ყველა უნივერსიტეტელს აქვს. ჩვენ ქართული, ეროვნული ტაძრის ხელშეუხებლობისათვის ვიბრძვით. უნივერსიტეტში მისი დაარსების დღიდან ეკლესია ფუნქციონირებდა და მის გუმბათზე ჯვარი იყო გამოხატული. უნივერსიტეტი თავის დროზე კათოლიკოს-პატრიარქმა, მღვდელმონამე კირიონმა აკურთხა. ორშაბათს საგანგებო საბჭო ჩვენი საზოგადოების მონაწილეობით მიიღებს გადაწყვეტილებას უნივერსიტეტში არსებული ეკლესიის კვლავ ამოქმედების თაობაზე. ეს ეკლესია იქნება დამცველი არა მარტო უნივერსიტეტისა, არამედ მისი ეროვნული შინაარსისა.

**— რუსუდან ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ თქვენი აქცია ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ძალებისგან იმართება და უნივერსიტეტის ავტონომიის მოთხოვნა მხოლოდ საბაბია.**

— ვინ ამბობს ამას, რუსუდან ლორთქიფანიძე, რომელსაც ერთი კვირის წინ 53-ათასდოლარიანი მანქანა უყიდეს, რათა კომფორტულად გადაადგილდეს, ის ხომ ფაქტობრივად მივლინებით ჩამოდის საქართველოში და, ძირითადად, უცხოეთშია. ჩვენ კარგად ვიცით, რისთვისაც ვიბრძვით. რაც უნდათ, ის თქვან, რომელ ძალასთანაც უნდათ, იმასთან გაგვაიგივონ, ოღონდ თავი დაანებონ უნივერსიტეტს. უნივერსიტეტი თავად გადაწყვეტს, როგორი უნდა იყოს მისი მომავალი.

**რუსუდან ლორთქიფანიძე,** უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი:

— განვითარებული მოვლენების შედეგად მიჩნდება აზრი, რომ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების აქცია პოლიტიზებულია და გარედან იმართება.

**— რომელ გარე ძალებს გულისხმობთ?**

— ეს რომელი ძალებია, არ ვიცი. უნივერსიტეტის პრობლემებზე მეტად ეს ხალხი ამბოხების თემით უფრო არის დაინტერესებული.

ამბობენ, რეფორმები ჩვენც გვინდაო, მაგრამ რეფორმა ცვლილებას ნიშნავს. ნებისმიერ ცვლილებაზე რომ ტრანსპარანტებით დადიხარ და აქციაზე ხალხს კრებ, ეს არ ნიშნავს, რომ რეფორმა გინდა. რეფორმა, რომლის ჩატარება გვსურს, ძალზე პროგრესულია, ის უნივერსიტეტის გათანამედროვეობას, გარდაქმნას ისახავს მიზნად. სამწუხაროდ, ბევრი ვერ მოიაზრებს თავის თავს განახლებულ უნივერსიტეტში, ეჭვობს, შესაძლოა, აქ აღარ ვიყოო და რაკი ეს საფრთხე ემუქრება, ისლა რჩება, რომ სიტუაცია არივ-დარიოს.

**— 600 პროფესორ-მასწავლებლის შემცირება მართლაც იგეგმება?**

— ჩვენი საშტატო განრიგის ამოქმედება განათლების და მეცნიერების სამინისტრომ შეაჩერა. ალბათ, შემცირება იქნება, მაგრამ ლოგიკურად დასაბუთებული და არა — შემცირება შემცირებისთვის.

**— უნივერსიტეტში დასატოვებელი ხალხი რა პრინციპით შეირჩევა?**

— კონკურსით...

**— რამდენადაც ვიცი, კონკურსის შედეგები გაუქმებულია.**

— კონკურსის შედეგები არ გაუქმებულა, უბრალოდ, კონკურსი შეჩერდა 4 ფაკულტეტზე. 2 ფაკულტეტზე ჩატარებული კონკურსის შედეგები კი ისევ ძალაში რჩება.

**— თქვენი მოსვლის დღიდან უნივერსიტეტში პერმანენტული საპროტესტო აქციები იმართება, როგორ ფიქრობთ, რატომ არ მიგიღოთ უნივერსიტეტმა, პრობლემა თქვენშია თუ...**

— რამდენადაც ვიცი, ბოლო 10 წლის განმავლობაში, ძირითადად, აქციებით იყვნენ დაკავებულნი და ეს ჩვევად, ერთგვარ ტრადიციად იქცა.

როგორც წესი, გარდამავალი პერიოდი მძიმეა ხოლმე, მაგრამ გარდაქმნა უკეთესი მომავლისთვის კეთდება. აქციის მონაწილეთა მოთხოვნების შესრულება ჩემზე არ არის დამოკიდებული. მათი გაზიარება კი ფაქტობრივად იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უარი თქვას რეფორმაზე, რომელიც დაიწყო. ეს კი წარმოუდგენელია, მოხდეს. ამიტომ მოვუწოდებ მათ, თავი დაანებონ ასეთ აქციებს.

სხვათა შორის, უნივერსიტეტის ძველ წესდებაში ეწერა, თუ პირი პოლიტიკურ პროპაგანდას ეწევა სასწავლებელში, ის კანონით ისჯებაო. ძველი წესდება რომ მოქმედებდეს, ეს ხალხი სასჯელს დაიმსახურებდა.

**— მოშიმშილე პროფესორებთან ხომ არ აპირებთ შეხვედრას?**

— მათი მოთხოვნები განათლების და მეცნიერების სამინისტროს ეხება. სამინისტრო რომ მოლაპარაკებაზე არ წავა, ცხადია. ეს მოთხოვნები არარეალურია, შეუძლებელია, ისინი შესრულდეს.

**— მაშ, რა განმუხტავს ვითარებას უნივერსიტეტში?**

— აქციაში უნივერსიტეტის პედაგოგების ძალზე მცირე ნაწილი მონაწილეობს. მთელმა ქვეყანამაც რომ იშიმშილოს, მერწმუნეთ, ეს აუცილებლად გასაკეთებელი საქმეა. რეფორმა ჰაერივით სჭირდება უნივერსიტეტს. ის ხალხი, რომელიც დღეს აქციაზეა, სიახლეს უნდა შეეგუოს და უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებში ჩაერთოს — გამოსავალი მხოლოდ ეს არის.

*მარი ზანდუკელი*


ლივერ ფორმულა

GV ჯეოვიტი

ღვიძლის დაცვა თანამედროვე სამყაროსგან




ღვიძლი დაზიანებული აქვს ყველას, ვინც თანამედროვე სამყაროში ცხოვრობს. ყველას გვიყვარს გემრიელი კერძები, სასმელი. დაძაბული სამუშაო დღის განმავლობაში ჭიქა ყავასა და თამბაქოზეც არ ვამბობთ უარს. ყველა მეტნაკლებად ვიღებთ წამლებს. სამწუხაროდ, ბევრი ბოროტად იყენებს ნარკოტიკულ საშუალებებს.

„ლივერ ფორმულა“ დაგეხმარებათ იცხოვროთ ჯანმრთელად!

„ლივერ ფორმულა“ ერთდროულად სამ პრობლემას გადაგიჭრით ღვიძლის უჯრედების გაწმენდა, დაცვა და აღდგენა. პრეპარატის შემადგენლობაში შემავალი რძიანი ნარშავის თესლის ექსტრაქტის აქტიური კომპონენტები იცავს ღვიძლის უჯრედებს ალკოჰოლით, ნარკოტიკებით, წამლებით, შხამებითა და ტოქსინებით დაზიანებისგან. ხოლო ესენციალური ტოქსოლიპიდები აღადგენენ ღვიძლის უჯრედებს.

„ლივერ ფორმულა“ - მოგიხსნით მწვავე და ქრონიკულ ინტოქსიკაციას, დაგეხმარებათ ღვიძლის დისტროფიისა და ციროზის შემთხვევაში, თავიდან აგაცილებთ ვირუსული ჰეპატიტების არასასურველ შედეგებს. ნატურალური საშუალება „ლივერ ფორმულის“ დახმარებით, ღვიძლი თავად ართმევს თავს სა-კუთარ ფუნქციებს და ანეიტრალებს მასზე არასასურველ ზემოქმედებებს.

ჰეპატიტებისას, მათ შორის „C ჰეპატიტისას“, განსაკუთრებით ეფექტურია „ლივერ ფორმულასა“ და ნატურალური პრეპარატის „იმუნეშუას“ კომბინაცია, რომელიც 500მგ ინტერფერონს შეიცავს. კლინიკურმა დაკვირვებებმა დაადასტურეს, რომ პრეპარატების მოცემულმა კომბინაციამ გამოიწვია ღვიძლის ფუნქციის გააქტიურება და ტრანსამინაზების დონის დაქვეითება ავადმყოფების 68%-ში, შესაბამისად, გააუმჯობესდა ავადმყოფების საერთო მდგომარეობა.

„ლივერ ფორმულა“ – ყველას სჭირდება!





„ჯეოვიტი“ - თქვენი ჯანმრთელობის თანამგზავრი

მის: ილ ჭავჭავაძის გამზ. 41.
აფთიაქები: თამარაშვილის 1, თამარ მეფის გამზ. 19,
თამარ მეფის გამზ. 32. ალმაშენებლის გამზ. 142
ქ. ზუგდიდი, გამსახურდიას გამზ. 29, აფთიაქი „ცება“
სპეციალისტების ყოველდღიური კონსულტაცია
ტელ: 29-20-91; 899-10-99-20; 899-14-35-56



ონიქსი
გრანიტი
პარკეტი
მარმარილო
რბილი იატაკი
ხელოვნური ქვა
ხალიჩები
კერამოგრანიტი
კაუჩუკის იატაკები

შ.პ.ს. ფენიქსი
www.phoenix.ge

თბილისი 0160, ყაზბეგის გამზ. 12ა
ტელ.: +995 32 339 777
ფაქსი: +995 32 335 888
E-mail: info@phoenix.ge





მსოფლიო და ამერიკის თმის გადანერგვის ასოციაციების მიერ სერტიფიცირებული ერთადერთი კლინიკა ამიერკავკასიაში

ხელმძღვანელი
პროფ. თამაზ თამაზაშვილი

- უახლესი ატრავმატული ამერიკული ტექნოლოგიები
- უფასო კონსულტაცია, მათ შორის პროფესორის კონსულტაცია ამერიკიდან
- თმის დაზიანებათა კომპიუტერული დიაგნოსტიკა
- გარანტირებული შედეგები
- შესაძლებელია თმის გადანერგვა ნაწიბურებში ტრამვისა და დამწვრობის შემდეგ
- კონფიდენციალურობა



თმის აღდგენითი მედიცინის სამკურნალო სამეცნიერო ცენტრი
ჰეალაინ ინტერნეიშნლ
HAIRLINE International
ქავთარაძის 16 (სამკერვალო კომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62
www.hairline.ge

# თუ რაჭა დაცარიელდა...

## გამგებელმა მაცალეო, დეპუტატმა მაცალეო, პრეზიდენტმაც გვაცალეთო!.. არადა არ იცდის ეს ოხერი სიცოცხლე...

...რომ გაიგო სოფელში ვიყავი, იმავე საღამოს გადმოვიდა ლამარა ბიცოლა თეთრ, ქათქათა ტილოში გახვეული ცხელ-ცხელი ლობიანებით. დიდხანს მეფერებოდა, მაგრამ რად გინდა, ჩემგან ისე მოითხოვდა „ქვეყნის აშენებას“, თითქოს პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი თუ არა, პარლამენტის თავმჯდომარე მაინც ვიყო.

— თუ ქვე აღარ უნდათ რაჭა, გვითხრან და რამეფრად ვუსაშველებთ თავს... „ვარდების რევოლუციაო“, რეფორმებიო, გზები და ხიდებიო... ჩვენ?! ჩვენ აღარ ვართ მთავრობის სიაში თუ რავაა ჩვენი საქმე?! სანამ უნდა ვიყოთ ასე უგზო-უკვლოდ, რუსთაველზე დაგებული ასფალტით და ბათუმში ამღერებული შადრევნით რაფერ დევიმშვიდოთ გული! რავარც ჩემს ბოვშობაში შეიყრებოდა თელი სოფელი მანქანის გამოჩენაზე, ისე ვიქნებით მალე... მანქანა აქა-იქ კიდევ ყავთ ჩვენთან, მარა წყალს ხო არ ჩავასხამთ შიგნით, რომ მოუკიდეს ცეცხლი ნავთს და ბენზინს, სინათლე ქონდათ გაჩახჩახებული რაჭაში თუ გაზის „ტრუბა“ გადმოქაჩეს პირდაპირ რუსეთიდან!..

— სულის მოთქმა მაცალე-მეთქი?! — როგორც იქნა, ჩავურთე სიტყვა გრძელ მონოლოგში.

— გამგებელმა მაცალეო, დეპუტატმა მაცალეო, პრეზიდენტმაც გვაცალეთო!.. არ იცდის ეს ოხერი სიცოცხლე... ერთ ტომარა ფქვილს ერთი თვის პენსიაც არ ყოფნის... „ჭკუა დაგვარიგა“ ჩვენმა დეპუტატმა, სოფელი უნდა! მარტო ბალახზე მყოფი ძროხა კი ორ ჭიქა რძეს იძლევა დღეში, კომუნისტები გიჟები კი არ იყვნენ, მენიუს რომ უდგენდნენ ფერმებს... მშიერი ქათამი რომ არ დებს კვერცხს, ეს თუ იცით? ბანრით ველარ დავაბი ჩემი ბიჭები თუ არა, არ დამიკლია არანაირი ხერხი და ცდა, მაინც დასტაცეს ცოლ-შვილს ხელი და „გარეკეს“ თბილისში, იმათ კი არ ვამტყუნებ, მარა, რა ვქნა მე და რა ქნას სოფელმა: დავბერდით, დავჩაჩანაკდით და ვქრებით შარშანდელი თოვლივით!.. — არ იშლიდა სანუხარს შრომაში გაჭალარავებული ქალი.




...არადა, მეც კარგად მახსოვს, როგორი იყო არცთუ ისე დიდი ხნის წინ რაჭის სოფელი და ახლა რა დღეშია! ზაფხულობით კიდევ არა უშავს, არც უგზოობა აკავებთ ფუძის ანგელოზის მოყვარულ რაჭველებს და არც სხვა გაჭირვება, მსოფლიოს საუკეთესო აგარაკებს ურჩევნიათ აქაური მთების მადლიანი ჰაერი და წყალი, მაგრამ გაიკრიფებიან „დაჩნიკები“ და მერე ერთმანეთს მონატრებისგან აცრემლებულ თვალებს ველარ უსწორებენ ხანში შესულები, რომლებიც მომავალ ზაფხულამდე დარჩენილ დღეებს ითვლიან და სექტემბრიდან ღმერთს ეხვეწებიან, — როგორმე ეს ზამთარიც გადაგვატანინეო! ლხინი და ქორწილი აღარც ახსენდებათ, ჭირს კი ერთად ებრძვიან.

ერთმა აქაურმა მოხუცმა ანდერძად დატოვა და ასეც დააწერეს მისი საფლავის ქვაზე: „მორჩა... მეისვენა...“

...საფლავის ქვაზე ფიქრისას ისევ ბიცოლაჩემი გამახსენდა, რომელმაც ქმარი დაკარგა ამ ათიოდე წლის წინ.

შვილებმა ველარ მოახერხეს საფლავის ქვის დროზე გაკეთება და „გაიბუტა“ ბიცოლაჩემი: — მეტის ღირსი არა ვართ თქვენგან, თან გყვებოდითო! ხან საჭმელი მოიკლო, ხან წამლის ფული და სითბო, ჰოდა, თავად შეაკოწიწა ფული, ქუთაისში ჩავიდა და ოსტატს ქმრის ფოტოსთან ერთად თავისიც დაახატვინა ქვაზე, სოფელშიც ჩამოიტანა და დიდი ამბით დადგა საფლავზე, სიამაყით გადახედა დამხმარეებს — ახლა სიკვდილსაც მზად დავხვდებიო!..

ბაბუას საფლავზე მისულმა შვილიშვილმა კი საყვედურიც შეაპარა: — ერთი აქ ვიყავი ცოტა სერიოზული და აქაც მხიარულ ხასიათზე დავდექი, ქვაზე დახატული რომ დაგინახეო!.. ეგ კიდევ არაფერი, ლამის სულ დაკარგა გონი შიშისგან თბილისიდან ჩამოსულმა ერთმა ახალგაზრდა კაცმა, როცა წინაპრების საფლავზე ასულმა დაინახა საკუთარ ფოტოსთან მოფუსფუსე ქალი — მიცვალებული ადგა, მიშველეთო!

ამ ბოლო ხანს ერთი დიდი სადარდებელი გასჩენია ლამარა ბიცოლას:

— ყველა ქალაქში ხვარ იცხოვრებს, ბოლოს და ბოლოს, ვის უტოვებთ ამ მიწა-წყალს, მთებს და ტყეებსო!.. ვალიკუნას შვილიშვილი გერმანელზე გათხოვდა და რომ ნახა ეს ჩვენი სოფელი, გედეირია, წელიწადში ოთხ-ხუთ თვეს აქ ატარებს და თუ მივყიდით, თლად უნდა სამოსახლოების ყიდვა, — ჩემს ნათესავებს დოვურიგებ, აგერ ყოფილა სამოთხე, მე რომ ზღაპარი მეგონაო! — იმან, უცხო ქვეყნიდან ჩამოსულმა ააშენა რიკულებიანი რაჭული სახლი, ბუხარიც გამართა, თონეც, ქოხ-ბოსელიც და მარანიც, გზაც ქვე გეიყვანა ჭიშკრიდან სოფლის ცენტრამდე, მარა იმას სამუშაო ქონია იმფერი გერმანიაში, ნახევარი წლის ხელფასით შეიძლო ამდენი და ჩვენ რა ვქნათ, ქართველებმა. ჩემი შვილები საჭმელსაც რომ ვერ ჭამენ რიგიანს მთელი წლის ნაჯახირებით. როდის მოიცლის მთავრობა ფაბრიკებისა და ქარხნების ასაშენებლად, ჩემი შვილებისა და ათასობით უმუშევარის დასასაქმებლად...

...ვისმენდი ამ მწარე სიმართლეს და ყელში არ გადამდიოდა ლუკმა, რაც სხვა დროს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა გულისხმიერ ქალს, მაგრამ ახლა უიმედობას დაეფრთხო და შეეშინებინა. მეც გადმომედო მისი ტკივილიანი განწყობილება...

დამნაშავედ ვიგრძენი თავი სოფლის წინაშე, რომელსაც მართლა აკლია მოფერება და მხარში დგომა... მახსოვს ის დროც, სტუმარს ერთმანეთს რომ „პარავდნენ“ გულკეთილი რაჭველები, არც უპურობის ეშინოდათ და არც ულვინობის, ახლა კი მოგესალმებიან და დამნაშავესავით მოგარიდებენ მზერას, გაცლას იჩქარებენ თავჩაქინდრულები და „დაპატარავებულები“...

**ინგა ჯაყელი**


## საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო გაცნობებთ:

## მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზების პროცესი

- ✔ გახდი მიწის მესაკუთრე
- ✔ შექმენი და განავითარე საკუთარი ფერმერული მეურნეობა

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო

არსებულ მოიჯარეებს საშუალება ეძლევათ გამოიყენონ (*სოფლად არსებული*) მიწის გამოსყიდვის უფლება! მხოლოდ შესაბამისი საკრებულოს მოსახლეობას გენიჭებათ იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო მიწების შესყიდვის პირველადი უფლება! გამოიყენე კანონით მონიჭებული უფლება! გახდი სრულუფლებიანი მესაკუთრე!

**დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:**
**38-71-50 ან 899 41-77-66** (მაგთის აბონენტებისათვის ზარი უფასოა)

## მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია

თბილისის ოფისი
ქ. თბილისი
გაგარინის I შესახვევი №8
ტელ: 98-62-91, 93-12-76,
93-16-81, 91-21-59

თეთრიწყაროს ოფისი
თეთრიწყარო
თამარ მეფის ქ. №12
ტელ: 899 53-20-96

სენაკის საინფორმაციო ცენტრი
ქ. სენაკი
ჭავჭავაძის ქ. №105
ტელ: 899 32-05-66

ქუთაისის ოფისი
ქ. ქუთაისი
წმინდა ნინოს ქ. №7
ტელ: 8(231)4-14-60,
899 58-70-94, 893 99-54-32

ახალქალაქის საინფორმაციო ცენტრი
ქ. ახალქალაქი
ნალბანდიანის ქ. №45
ტელ: 899 46-96-45

ახალციხის ოფისი
ქ. ახალციხე
რუსთაველის ქ. №26
ტელ: 899 58-48-79
8(265) 2-12-23, 899 49-28-92

ბათუმის ოფისი
ქ. ბათუმი
ლერმონტოვის ქ.№14,
მე-2 სართული, ბინა 7
ტელ: 899 50-68-58
888 222 3-08-26

გურჯაანის ოფისი
ქ. გურჯაანი
რუსთაველის ქ. №4
ტელ: 899 42-12-03,
8(253)2 21 67
899 23-64-11

# ამ ქვეყანას ველარავინ დააჩოქებს!

**THE WALL STREET JOURNAL**

პრობლემების მიუხედავად, თბილისს დაეტყო „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი მიღწევები — ხალხს მომავლის იმედი ცოტათი მაინც მიეცა. თანაც, ადრინდელისგან განსხვავებით, დენიც ჰქონდა და გათბობაც. სამწუხაროდ, რუსეთის ტერიტორიაზე, მთებში, 21 იანვარს მომხდარმა ავარიამ საქართველო და სომხეთი რამდენიმე დღით გაზისა და ნაწილობრივ სინათლის გარეშე დატოვა.

რუსეთის სპეცსამსახურები აფეთქებებს კრემლის მოწინააღმდეგე მეამბოხეებს აბრალებდნენ, საქართველოში კი მიაჩნიათ, რომ რუსეთი დასავლური კურსის გამო სჯის მათ. საქართველოს რეაქცია უფრო გასაგები იქნება, თუ 2004 წლის ანალოგიურ ინციდენტს გავიხსენებთ. მაშინ საქართველოს ტერიტორიაზე აფეთქდა ორი გაზსადენი და რუსეთმა დივერსიაში ქართველი ტერორისტები დაადანაშაულა. მაგრამ ამის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ აღმოაჩინა კავშირი აფეთქებებსა და რუსეთის უსაფრთხოების ფედერალურ ბიუროს შორის. ეჭვმიტანილები რუსეთში გაიქცნენ, ხოლო იქაური ხელისუფლება უარს ამბობს მათ უკან დაბრუნებაზე. იანვრის მთავარი კატასტროფის შემდეგ ნებისმიერი ნორმალური ქვეყანა დაზარალებული სახელმწიფოების ხელმძღვანელებს მაინც დაუკავშირდებოდა. მაგრამ კრემლს ბოდიშიც კი არ მოუხდია ორი გაყინული ქვეყნისთვის. „გაზპრომმა“ კი მანამდე არ დააყენა საშველი გაზსადენის აღდგენას, ვიდრე საქართველომ ენერგიის ალტერნატიული წყაროები არ იპოვა თურქეთსა და ირანში.

ქართველებმა ყველას დაანახვეს, რომ სიძნელეების დაძლევა შეუძლიათ. აშკარაა, რომ ამ ქვეყანას ველარავინ დააჩოქებს. ამ კრიზისიდან გამომდინარე საქართველომ ორი დასკვნა უნდა გააკეთოს: 1. უნდა განაგრძოს დასავლეთთან ინტეგრაცია, ეკონომიკაში კონკურენცია განავითაროს, მიიზიდოს ინვესტიციები, განამტკიცოს კანონიერება და შექმნას სახელმწიფოს ეფექტიანი მართვის სისტემა. 2. კრიზისმა აჩვენა — საქართველომ ბოლო უნდა მოუღოს რუსეთზე ენერგოდამოკიდებულებას. რუსეთმა დაამტკიცა, რომ ის ენერგიის სანდო მიმწოდებელი არ არის. ეს ევროპამაც დაინახა და მან ამ სფეროში რუსეთის გარდა, თავის აღმოსავლელ „ახალ მეზობლებთან“ უნდა ითანამშრომლოს.

საქართველო ყურადღებასა და მხარდაჭერას იმსახურებს. მან აუცილებლად უნდა იპოვოს თავისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მშვიდობიანი საშუალებები. ე.წ. რუსი „სამშვიდობოები“ საქართველოსგან მოწყვეტილ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მშვიდობას კი არ იცავენ, არამედ რუსული იმპერიის ნამსხვრევებს. სიტუაციის მოსაწესრიგებლად მათი შინ გაშვებაა საჭირო. არ შეიძლება საქართველოს ისე მოეპყრო, როგორც კიდევ ერთ ნაკლებად ცნობილ ქვეყანას, რომელიც ძალიან შორს არის დასავლური სამყაროსგან.

# თბილისს ომი აღარ უნდა

**НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА**

საქართველოს ხელისუფლებამ ერთი ხელის დაკვრით დააშოშმინა პარლამენტის დეპუტატები, რომლებიც ითხოვდნენ ცხინვალის რეგიონიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის პროცედურის დაუყოვნებლივ დაწყებას.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა პარლამენტის ბიუროს სხდომის დაწყებამდე განაცხადა, — რუსი სამშვიდობოების გაყვანა თბილისისთვის თვითმიზანი არ არისო. სახელმწიფო მინისტრ გიორგი ხაინდრავას აზრით კი სამშვიდობოების გაყვანის გადაწყვეტილების მიღებამდე საჭიროა იმის გააზრება, თუ რა შედეგებს მოუტანს ეს საქართველოს. აზრთა გაზიარების შემდეგ აღმოჩნდა, რომ „საკითხი აწონ-დაწონას“ მოითხოვს და საბოლოო გადაწყვეტილებას პარლამენტი 15 თებერვალს გამოიტანს.

საქმის ასეთმა შემობრუნებამ ქართველი პარლამენტარები შოკში ჩააგდო. არავის ეეჭვებოდა, რომ პარლამენტის ბიურო სამშვიდობოების გაყვანის დადგენილებას კენჭს უყრიდა, მაგრამ ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, — გართულებების თავიდან ასაცილებლად საკითხი საპარლამენტო კომიტეტებში უნდა განვიხილოთო.

ამ საეჭვო პოზიციამ ქართულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში განხეთქილება გამოიწვია. საპარლამენტო ფრაქცია „ახალი მემარჯვენეები“ აცხადებს, — სააკაშვილის მთავრობა სამშვიდობოების გაყვანაზე ჭოჭმანობსო. ამბობენ, რომ გადამწყვეტ მომენტში პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დასავლელმა პარტნიორებმა გააჩერეს და ურჩიეს, უფრო მარჯვე დრო მოენახა ცხინვალზე გასალაშქრებლად. ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ საქართველოს ხელისუფლების ტონის შერბილება საქართველოში აშშ-ის ელჩთან ჯონ ტეფტთან კონსულტაციის შედეგია.

მიუხედავად ამისა, ქართველი დეპუტატების დამოკიდებულება სამშვიდობოების მიმართ არ შეცვლილა. 15 თებერვალს, პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე, ისინი საქართველოდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის პროცედურის დაწყებას მოითხოვენ.

„სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით ეს უფრო იოლად მოხდება, აქ სამშვიდობოები ქართულ-რუსული შეთანხმებით დგანან და მისი დენონსირება თბილისს თავისუფლად შეუძლია. აფხაზეთიდან მათ გაყვანას დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა საბჭოს დასკვნა დასჭირდება. მაგრამ თუ საქართველო დსთ-იდან გავა, მაშინ, იურიდიული თვალსაზრისით, აფხაზეთიდან სამშვიდობოების გაყვანა ავტომატურად გადაწყდება,“ — ამბობს მშვიდობისა და დემოკრატიის განვითარების კავკასიური ინსტიტუტის წამყვანი ექსპერტი პაატა ზაქარეიშვილი.

მაგრამ არც სამხრეთ ოსეთთან არის ასე ადვილად საქმე. მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე ამ აუღიარებელი რესპუბლიკის მეთაურმა ედუარდ კოკოითმა განაცხადა, რომ სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში მათ ჩრდილო კავკასიის მხარდაჭერის იმედი აქვთ. ის რუსი სამშვიდობოების გაყვანის კატეგორიული წინააღმდეგია და საქართველოს ყველანაირ ქმედებებს სამხედრო აგრესიას უწოდებს.

„კოკოითს მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრა ქვლავ სურს, მაგრამ თავად საქართველოს პრეზიდენტს არ უნდა, — დარწმუნებულია მისი მუდმივი ოპონენტი, „სამართლიანობის“ პარტიის ლიდერი იგორ გიორგაძე. „საქართველოს ოფიციალური განცხადება — კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების შესახებ, შირმაა, რომლის უკან ომი მზადდება. როგორი იქნება ომი აფხაზეთთან თუ ოსეთთან, ჩემთვის ნათელია: ეს საქართველოს კრახით დასრულდება, ეს იქნება საქართველოს დასასრული“, — აღნიშნა გიორგაძემ. გიორგაძე ტელეხიდით პასუხობდა, მაგრამ საიდან, არავინ იცის. ამ გადაცემაში გაირკვა, რომ ის წელს აპირებს საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლას. „ყველაზე მისაღები იქნება ხელისუფლებაში ისევე მისვლა, როგორც ეს სააკაშვილმა გააკეთა. მაგრამ ეს „ვარდების“ კი არა, „ჭინჭრის რევოლუცია“ იქნება. საქართველოს ყოფილი უშიშროების მინისტრის ეს განცხადება მის სამშობლოში სერიოზულად არავის მიუღია.

**ამერიკულმა ჟურნალმა FORBES-მა გამოაქვეყნა იმ 135 ქვეყნის ნუსხა, რომლებიც საერთაშორისო ინვესტიციებისთვის არიან მიმზიდველი. სიაში საქართველო 82-ე ადგილზეა. პირველი ხუთი ადგილი ესტონეთს, დანიას, ფინეთს, ისლანდიასა და აშშ-ს უკავია.**

**პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან საქართველოს მოსდევენ: რუსეთი (103-ე ადგილი), უკრაინა (107-ე), აზერბაიჯანი (122-ე) და ბოლოს — უზბეკეთი (125-ე).**


**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრი იწვევს:**

I. აბიტურიენტებს, ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებლად (სრული პაკეტი);

II. გადამზადება – მეორე ახალი სპეციალობის მისაღებად (1 ან 2 წელი): *საერთაშორისო ბიზნესი, საერთაშორისო მარკეტინგი, საერთაშორისო მენეჯმენტი, საერთაშორისო ტურიზმი, ბიზნესის ადმინისტრირება, ფინანსური მენეჯმენტი, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი, საბაჟო და საგადასახადო ბიზნესი და სხვ.*

III. მოსამზადებელ 1-2-თვიან კურსებზე: კომპიუტერი (ყველა პროგრამა), ბიზნეს-ინგლისური, ბუღალტერია, ფინანსები, საბანკო საქმე, მენეჯმენტი, მარკეტინგი, ოფისის მენეჯერი და სხვ.

*გაიცემა უნივერსიტეტის დამთავრების შესაბამისი მოწმობა (დიპლომი ან სერტიფიკატი)*

თსუ მაღლივი კორპუსი, X სართული

☎ (822) 30 51 07; (899) 58 99 50; ფაქსი: (822) 30-89-64


# „ჩვენ ძალის გამოყენების მანდატიც გაგვაჩნია...“

**Коммерсантъ**

ქართული პარლამენტი სამხრეთ ოსეთიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის საკითხს განიხილავს. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მშვიდობის განმტკიცების მიზნით მყოფი შერეული ძალების მეთაური **მარატ კულახმეტოვი** აცხადებს, — დეპუტატებმა, რაც უნდათ, ის გადაწყვიტონ, სამშვიდობო კონტინგენტი მაინც არ გავაო.

**— ალბათ საქართველოს პარლამენტი სამშვიდობოების გაყვანის გადაწყვეტილებას მიიღებს. რა მოხდება მერე?**

— არაფერი. სამშვიდობოები თავის საქმეს გააგრძელებენ, რადგან პარლამენტის გადაწყვეტილება სამშვიდობოებისთვის სამოქმედო გეგმა არ არის. ჯერ ერთი, ჩვენ შერეულ საკონტროლო კომისიას ვემორჩილებით და მათ ბრძანებებს ვასრულებთ, მეორე — სამშვიდობოების შეყვანა გადაწყდა 1992 წელს პრეზიდენტების დონეზე, ანუ ეს საერთაშორისო დებულებაა და მხოლოდ მის შესაბამისად შეიძლება მოქმედება.



**— გგონიათ, ქართულმა მხარემ ეს არ იცის?**

— ცხადია, იცის, მაგრამ ხელოვნურად ქმნის პრობლემას. ეს ბოლო 12 წელია, კონფლიქტის ზონაში მხოლოდ დადებითი ძვრები შეინიშნება, მდგომარეობა სტაბილური იყო, მაგრამ ოქტომბერში ქართულმა მხარემ განაცხადა, — თებერვალში სამშვიდობოების გაყვანის საკითხს განიხილავს პარლამენტიო და მიჰყვა ერთმანეთს პროვოკაციები.

**— საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა გივი თარგამაძემ თქვა, — თუ სამშვიდობოები თავისი ნებით არ გავლენ, ძალით გავიყვანთო.**

— ერთი მანახვა, როგორ გააკეთებენ ამას. არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენ კონფლიქტის ზონაში ძალის გამოყენების მანდატი გვაქვს, მათ კი არა. თუ ქართული მხარე თავდაცვის ან შსს-ს ძალების გამოყვანას აპირებს, უნდა იცოდეს, რომ ეს მხოლოდ საზარბაზნე ხორცი იქნება და მათი მხრიდან უკანონო ოპერაცია, ხოლო ჩვენი მხრიდან — კანონიერი, რადგან საკუთარ თავს დავიცავთ.

**— იარაღის გამოსაყენებლად მზად ხართ?**

— არის ხელშეკრულებით განერილი კონკრეტული შემთხვევები. თუ პროვოკაცია ხდება და იარაღის ხმარებაა საჭირო, ვიხმართ კიდევაც.

**— რა შემთხვევებზეა ლაპარაკი?**

— თუ ჩვენს სამხედროებს დაემუქრება რამე. ვიმედოვნებ, საქმე აქამდე არ მივა. ყოველდღე ვეუბნები ჩემს ჯარისკაცებს, რომ აქ ტყვიის სასროლად კი არა, მშვიდობის დასაცავად ვართ.

**— როგორ გგონიათ, აქ თქვენ მაგივრად სხვა „ცისფერჩაფხუტიანები“ რომ ჩადგნენ, შეძლებენ სიტუაციის გაკონტროლებას?**

— კერძოდ ვინ?

**— თუნდაც უკრაინის სამშვიდობო კონტინგენტი.**

— ამისთვის, უპირველესად, ორივე მხარის თანხმობაა საჭირო. საქართველო ამბობს, — ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც მე მინდაო. მაგრამ ასე არ ხდება. ორივე მხარეს აქვს აზრის გამოთქმის უფლება.

**— ქართველი სამხედროების მიერ აღმოჩენილი საზენიტო სარაკეტო კომპლექსი „იგლაც“ თქვენ დაგბრალდათ. ამბობენ, ოსებს ამ იარაღით საქართველოს პრეზიდენტის თვითმფრინავის ჩამოგდება უნდოდათ, სამშვიდობოები კი ხელს უწყობდნენო.**

— ჯერ ერთი, ეს კომპლექსი მდინარეში ნახეს და ამიტომ იგი სასროლად უვარგისია. მეორე — საქართველოს პრეზიდენტის თვითმფრინავის ჩამოგდება ამ იარაღით შეუძლებელია, მანძილი არ იძლევა ამის საშუალებას. ამ მხრივ ქართულმა მხარემ ბევრი შეცდომა დაუშვა. არსებობს ამ კომპლექსის გამოყენების ტექნიკური თავისებურებები, რისი ცოდნაცაა საჭირო და თუ არ იცი, არ უნდა ილაპარაკო.

**— საქართველოს ხელისუფლებიდან ვისთან გაქვთ დიალოგი?**

— ურთიერთობა მაქვს ბატონ ხაინდრავასთან. საქართველოს შს სამინისტრო ხანდახან მაინც გვეხმიანება, სამწუხაროდ, თავდაცვის სამინისტროსთან არანაირი კონტაქტი არ გვაქვს.

**— თბილისში მიაჩნიათ, რომ თქვენ პროოსურ პოზიციაზე დგახართ.**

— იგივე მესმის ოსებისგანაც — ქართული მხარის დარღვევებს მკაცრად არ ეკიდებითო, ქართველები ამბობენ, ოსების მიმართ ლმობიერებას იჩენთო... მე არავის მხარეს არ ვიჭერ. ჩვენი შტაბი გორში რომ იყოს, მაშინ ყველა პროქართულობას მოგვაწერდა.

**— როდის შეძლებენ სამშვიდობოები კონფლიქტის ზონის დატოვებას?**

— ჩვენ უვადო მანდატი გვაქვს. მანდატის მოქმედება მაშინ შეწყდება, თუ სამმხრივი კომისია საერთაშორისო დონეზე გადაწყვეტს, რომ მისია დასრულდა. ჯერ ამაზე ლაპარაკიც არ არის, ხოლო სიტუაციის ხელოვნურად დაძაბვა მხოლოდ აშორებს ამ პროცესს...

# საქართველო ზურგს აქცევს რუსეთს

**Frankfurter Allgemeine**
ZEITUNG FÜR DEUTSCHLAND

ქართულ-რუსულ ურთიერთობაში სასიკეთო არაფერი ჩანს. კავკასიონის ქედი სულ უფრო ხშირად მოგვაგონებს ფრონტის ხაზს, სადაც ორი მოწინააღმდეგე ერთმანეთს უიმედოდ შერკინებია.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიუნხენში საზოგადოებას თავისი პოლიტიკის მთავარი მიზნები გააცნო: მშვიდობიანი გზებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ქვეყნის ენერგომომარაგების განმტკიცება. ორივე ამოცანის მიზანია რუსეთისგან თავდახსნა. მაგრამ ეს არ მოხდება მანამ, ვიდრე მოსკოვსა და თბილისს შორის დაპირისპირება გრძელდება.

ამჟამად საქართველოს, როგორც არასდროს, ისე გაუჭირდება ამბოხებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემოერთება. მაგალითად, არავისგან არაღიარებულმა აფხაზეთის მთავრობამ 20 იანვრიდან საკუთარი პასპორტების გაცემა დაიწყო.

თბილისი რუსეთს აფხაზების მხარდაჭერაში ადანაშაულებს, სამხრეთ ოსეთში მდგარი რუსი სამშვიდობოები ნამდვილად არ უწყობენ ხელს რეგიონში შერიგების პროცესს. მაგრამ საერთაშორისო სამშვიდობო ძალების შეყვანა, რომელსაც საქართველო ითხოვს, პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან რუსეთს გაეროს უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლება აქვს.

# ფინეთი საიმედო პარტნიორია

**BBC**

ჰელსინკში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გელა ბეჟუაშვილის ვიზიტის მიზანი იყო ფინეთის, როგორც ევროკავშირის მომავალი თავმჯდომარე ქვეყნის, მხარდაჭერის მოპოვება საქართველოს ინტეგრაციისა და კონფლიქტების მოგვარების პროცესში. ამასთან დაკავშირებით გელა ბეჟუაშვილი შეხვდა ფინეთის საგარეო საქმეთა, თავდაცვის, ვაჭრობისა და ინდუსტრიისა და ენერგეტიკის მინისტრებს.

ფინური მხარე დაინტერესებულია საქართველოში მიმდინარე პროცესებით და მზად არის ევროინტეგრაციისა და კონფლიქტების მოგვარების პროცესში თბილისს მხარი დაუჭიროს.

საქართველოში ფინური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით გელა ბეჟუაშვილი შეხვდა „ნოკიას“ ვიცეპრეზიდენტს. შეხვედრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ წელს თბილისში გაიხსნება „ნოკიას“ რეგიონული წარმომადგენლობა.

*გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა*



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიხუმრობენ

თბილისში ენერგოკრიზისის გამო სკოლები და საბავშვო ბაღები ერთი კვირით დაიხურა.

ბაბუამ ექვსი წლის **მარი** გვერდით მოისვა და ჰკითხა:

— ბაბუ, დაგითხოვეს ბაღიდან?

— არა, ბაბუ, კი არ დაგვითხოვეს, ყველა ბავშვი უფასო შვებულებაში გაგვიშვეს!

***

**თამუნამ** სრული სერიოზულობით განაცხადა:

— ავთო პაპას ამხელა მუცელი რომ აქვს, დიეტაზე უნდა დაჯდესო. იქვე მდგომმა ორი წლის **გიო ძიძიაშვილმა** კი წამოიძახა:

— პაპა დიეტაზე კი არა, სკამზე უნდა დაჯდეს, გაიგე?

**მიიყვანე მატლი ვაშლის გულთან**



## II ანა, გამოიცანი

**1. ვის ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალ-ისა"?**

ა) აკაკი წერეთელს; ბ) ილია ჭავჭავაძეს; გ) ვაჟა-ფშაველას; დ) გრიგოლ ორბელიანს.

**2. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია შინაარსით განსხვავებული სიტყვა?**

ა) უხამსი; ბ) უწმაწური; გ) უშვერი; დ) უმწიკვლო.

**3. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი სიტყვა აღნიშნავს საკურთხევლის ტახტს და საეკლესიო სადილს?**

ა) ტრაპეცია; ბ) ტრაქტატი; გ) ტრაპეზი; დ) ტრაფარეტი.

**4. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია წიწვოვანი ხე?**

ა) ურთხელი; ბ) ურსქელი; გ) ურწვრილი; დ) ურმსხვილი.

**5. ვინ იყო დავით აღმაშენებლის მამა?**

ა) გიორგი III; ბ) დემეტრე I; გ) ბაგრატ IV; დ) გიორგი II.

**6. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი არ არის თევზი?**

ა) ქარიყლაპია; ბ) ქაფშია; გ) ქაფურა; დ) ქარსალა.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: **„ხისგან არის გამოთლილი, სახეზე აქვს გრძელი ცხვირი".**

## I



## ხარი და ცხენი

**არაკები**

ხარი და ცხენი შეკამათდნენ:

— შენ ვინა ხარ, ან რა სარგებლობა მოგაქვს? მე ოქროს უნაგირს მადგამენ მეფენი და ზედ ისე მასხდებიანო, — უთხრა ცხენმა ხარს.

— მე ოქროს უნაგირს არავინ მადგამს, მაგრამ იმ ოქროს უნაგირზე მსხდომნი ჩემი ნაოფლარით ცხოვრობენო, — მიუგო ხარმა.

## ხელმწიფის სამი შეგონება

ერთმა ხელმწიფემ სიკვდილის წინ შვილს ანდერძი დაუტოვა:

როგორც შენ შენი ყმის ბატონი ხარ, ასევე ჭკუა შენი ბატონი არის. როგორც ყმას შენს სურვილს შეასრულებინებ, ასევე შენ შენი ჭკუის ნება შეასრულე.

როცა რაიმეს გაკეთება გინდოდეს, დაწყნარდი და ნუ აჩქარდები.

თუ გინდა ხალხს შენი რიდი ჰქონდეს, ტყუილს ნუ იტყვი, რადგან ცრუ კაცი ყველას წინაშე უპატიური არის და მატყუარა მეფის შიში არავის ექნებაო.

## III

განალაგე უჯრებში 7 თხა, 7 მგელი და 7 კომბოსტო ისე, რომ თხებმა ვერ შეჭამონ კომბოსტო, ხოლო მგლებმა – თხები. სამი მათგანისთვის ადგილი უკვე ნაპოვნია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 11 | 12 | 13 | 14 |  |
| 16 |  | 18 | 19 | 20 |
| 21 | 22 | 23 |  | 25 |

პასუხები იხილეთ 35-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა




შემეცნებით-გასართობი ჟურნალი პატარებისთვის



# 13-დან 19-მდე

## გამოხმაურება



*ნინა ნომერში „გულახდილთა კლუბმა“ დაქალების თემა შემოგთავაზათ. თეკლეს აინტერესებდა, როგორ გაეგრძელებინა ურთიერთობა ბავშვობის მეგობარ ნინისთან, რომელიც თანაკლასელებთან მეგობრობას არ ურჩევდა.*

*გთავაზობთ ეს-ემ-ეს-ებს და წერილებს მეგობრული რჩევებით:*

თეკლე, გირჩევ გაუფრთხილდე ბავშვობის მეგობარს. ნინის ადგილზე წარმოიდგინე თავი და იქნებ გაუგო კიდეც.

**სოფიო, 18 წლის**

თეკლე, მინდა გითხრა, რომ ალბათ ნინის და შენი მეგობრების ქცევები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. კამათს სჯობია, ნინის ყველაფერი მშვიდად აუხსნა, გარკვევით და აუღელვებლად. შეაგნებინე, რომ შეცდომა დაუშვა...

**ნათია, 17 წლის**

თეკლე, ნინი აშკარად ეჭვიანობს, აუხსენი, რომ თქვენს მეგობრობას საფრთხე არ ემუქრება, ეცადე, დაუახლოვდნენ ნინი და შენი დაქალები ერთმანეთს.

**მარიკა, 15 წლის**

ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს შენს დაქალს, ნინის უნდა თავის ნებაზე გატაროს. არ ვიცი, როგორი დაქალები გყავს, მართლა „ავარდნილები“ არიან თუ არა, მაგრამ შენ ხომ გაქვს შენი მე, შეაფასე სიტუაცია, აწონ-დაწონე ყველაფერი და ეცადე, შენი სიმართლე გაიტანო.

**ლევანი, 19 წლის**

მეც მიშლიდნენ სკოლაში ჩემს ორ დაქალთან ურთიერთობას, ხან რას აბრალებდნენ და ხან რას, მაგრამ მე მათთან ურთიერთობა არ შემიწყვეტია, პირიქით. არა მგონია, შენი დაქალების ყალბი საქციელი ვერ შეამჩნიო... ამიტომ საყვარელ ადამიანებთან ნუ გაიფუჭებ ურთიერთობას. ჩემგან არ გესწავლება, რომ მეგობრებზე უკეთესი არავინ არის.

**სალომე, 17 წლის**

***ნიკუშა ანთაძის ნოველას „მობილური ტელეფონი“, რომელიც დაიბეჭდა „კვირის პალიტრის“ №2(567)-ში, დიდი გამოხმაურება მოჰყვა. გთავაზობთ ერთ წერილს.***

### „მათ ჩვენი მეგობრობა მივუსაჯეთ“

სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგის საშუალო სკოლის მეშვიდე კლასელებმა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთან ერთად დისკუსია მოვაწყვეთ. თემა ნიკუშა ანთაძის ნოველამ შთაგვაგონა.

ჩვენ „გავასამართლეთ“ თემო და მამუკა.

რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, ომარ ალხანაშვილმა, შოთიკო დემეტრაშვილმა, გიორგი სიყმაშვილმა, ილვერდი ახმეტელაშვილმა თემოსა და მამუკას თავიანთი მეგობრობა „მიუსაჯეს“: ჩვენი კეთილშობილებით დავამარცხებთ ამ ბიჭებში ბოროტებასო!

ნანიკო გოშნიაშვილმა, ლიკა სიყმაშვილმა, ნინო ბალაშვილმა, ქეთი ხანიაშვილმა და იზა ბეროშვილმა კი პრობლემა თემოსა და მამუკას აღზრდაში დაშვებულ შეცდომებს დაუკავშირეს.

სხვათა შორის, მარტო თემოსა და მამუკას მიმართ არ ვყოფილვართ მკაცრები. გუგასაც არ მოვუწონეთ საქციელი, — უხეშად რომ არ ეპასუხა ბიჭებისთვის, შეიძლება დანებით შემოტევაც აერიდებინა.

ბოლოს ამ დასკვნამდე მივედით:

ნუ უჩვენებთ ყოველდღე ბავშვებს საშინელებათა ფილმებს! ნუ გაყიდით იარაღს!

მოკრძალებული თხოვნა „კვირის პალიტრას“: ჩვენი კლასის სურვილია დაუმეგობრდეს ნიკუშა ანთაძეს და მის თანაკლასელებს. გთხოვთ დაგვეხმაროთ.

*მთელი კლასის სახელით: ნინიკო გონიაშვილი და ომარ ალხანაშვილი*

## გულახდილთა კლუბი



### მისამართი შეგეშალა..

ერთი გოგონა მომწონდა, თუმცა გაცნობიდან ოთხი თვის შემდეგ ერთმანეთს დავშორდით. მიზეზი ის იყო, რომ არ მოეწონა, როცა ვუთხარი, გოგონას ბიჭური ქცევა და ლაპარაკი არ უხდება-მეთქი. ვის უბედავ, ეგღა მაკლია, შენ მიკარნახო, როგორ მოვიქცე ან რა ვთქვაო, კინაღამ მცემა. თუ ნაზი და დედიკოს გოგონები მოგწონს, მიბრძანდი, მისამართი შეგეშალაო...

*„გულახდილთა კლუბის“ წევრთა აზრი მაინტერესებს, რას ფიქრობთ, უხდებათ გოგონებს უხეშობა, ჟარგონებით, გინებით ლაპარაკი, მოგწონთ, როცა გოგონები ამდენ უფლებას აძლევენ თავს?*

**გიგა, 19 წლის**

### თემა: შენიშვნა

ყველა გოგონა არ არის ისეთი, როგორც შენ ამბობ, თუმცა არიან ისეთებიც, ვინც ბიჭებს ბრმად ბაძავენ. ზოგი ასე იმიტომ იქცევა, რომ ბიჭებთან უფრო ადვილად დაამყაროს ურთიერთობა! ზოგი კიდევ, უბრალოდ მეგობრების ზეგავლენის ქვეშ ექცევა, ზოგს ეჩვენება, რომ ასეთი საქციელით უფრო გამორჩეული გახდება... გიგა, შეიძლება შენიშვნის მიცემისას კატეგორიული იყავი და გოგონამ ეს არ გაპატია, პირდაპირ რომ არ მიგეხალა, ვინ იცის, იქნებ სიტუაცია ასე არ დაძაბულიყო. პრობლემის მოგვარებისას სიჩქარე და რადიკალურობა მხოლოდ სიტუაციის საზიანოდ იმოქმედებს.

„გულახდილთა კლუბის“ წევრები გამოგეხმაურებიან და დასმულ კითხვებზე გიპასუხებენ. გოგონებო, მიიღეთ აქტიური მონაწილეობა, თავად გაეცით პასუხი მათ, ვისაც თქვენი საქციელი აღელვებს და სურს უკეთესები იყოთ. ბიჭებო, თქვენც გიგასავით ფიქრობთ თუ ამ საკითხს ასე მტკივნეულად არ უყურებთ?

წერილები და ეს-ემ-ესები გამოგვიგზავნეთ ჩვეულებრივად. ოღონდ გაითვალისწინეთ, რომ სასურველია თქვენი აზრი ხუთშაბათამდე მოგვაწოდოთ.

## საინტერესო კითხვა

*გასულ კვირას შემოგთავაზეთ ინტერვიუ ნინო დარასელთან. მან გვითხრა, როგორ პასუხობდა მისი თაობა კითხვას — „გიყვარვარ?“*

*საინტერესოდ ჩავთვალეთ გაგვეგო, როგორ პასუხობენ ამ კითხვას დღეს. გთავაზობთ რამდენიმე გამოხმაურებას:*

გიყვარვარ? დღეს ამ შეკითხვას გოგონები უფრო სვამენ, ვიდრე ბიჭები... ან კიდევ, პირდაპირ გეუბნებიან „მევასები“ ან „მინდიხარ“, რაც ჩემი აზრით, საშინელებაა. „მიყვარხარ“ — ეს სიტყვა გაუფერულდა... თინეიჯერებო, გავუფრთხილდეთ სიყვარულს...

**მარი, 17 წლის**

როცა ჩემმა პირველმა შეყვარებულმა სიყვარული ამიხსნა, თავიდან პასუხი არ ვუთხარი. კაი ხანი ვაწვალებდი და ვეუბნებოდი, რომ არ მჯეროდა მისი სიტყვების. ბოლოს მეც მომბეზრდა და მესიჯი მივწერე სიტყვებით: I love you.

**ნატა, 16 წლის**

ვინც არ მევასება, ულაპარაკოდ და ყოველგვარი მესიჯის გარეშე უარით ვისტუმრებ ხოლმე.

**სალომე, 17 წლის**

# სკოლა, ჩეთი და თინეიჯერები



*სერგი თვალჭრელიძე თანაკლასელებთან ერთად*

*თბილისის 53-ე საშუალო სკოლის X[4] კლასის მოსწავლეებს, დიტო კინტრაძეს და სერგი თვალჭრელიძეს, შარშან ზაფხულს იდეა გაუჩნდათ — სკოლის სახელი წარმოეჩინათ. ჯერ გაზეთის, შემდეგ ჟურნალის გამოცემა სცადეს, მაგრამ ბოლოს ე. წ. კომპიუტერულ ჩეთზე შეჩერდნენ — გადაწყვიტეს ტექნიკის საუკუნეში ინტერნეტის საიტებზე 53-ე სკოლის სახელიც შეეტანათ. დიტომ საქმეს მალე მოაბა თავი და ახალ სასწავლო წელს ძმაკაცებმა თანასკოლელებს სიურპრიზიც დაახვედრეს. მოკლედ, ვისაც ჩეთაობა მოუნდება, მისამართი ცნობილია:* ***www.53skola.ge***

*რა ხდება ამ მისამართზე და საერთოდ, ბარნოვის ქუჩის 46 ნომერში,* **სერგი თვალჭრელიძე** *მოგიყვებათ.*

*მინი დოსიე:*

ძალიან უყვარს მეგობრები. ჰობი — ფოტოს გადაღება, თუმცა საიტზე თავისი ფოტო არ განუთავსებია. სწავლობს იმ საგნებს, რომლებიც აინტერესებს. შედეგი — არ იცის წყლის ფორმულა.

მომავალი პროფესია — იურისტი. არ ეშინია სიმართლის თქმის, მაგრამ ეშინია მობილურის ტარების.

მასწავლებლებთან მეგობრობა სასურველად არ მიაჩნია. თუმცა მათ ნებისმიერ თხოვნას უსიტყვოდ ემორჩილება. მაგ., „სერგი, ნაგავს გადაყრი? — დიახ, მასწ.!..“

ვიღაცას ეძებს ანუ იმას, ვინც ჩეთში სიყვარული აუხსნა, ჯერ ვერ იპოვა.

**— როგორი ჩანაფიქრი გქონდათ შენ და დიტოს, რა ფუნქცია უნდა შეესრულებინა საიტს, ჩეთს?**

— ჩვენს სკოლაში 1200-მდე ბავშვი სწავლობს, ამიტომ ბუნებრივია, ყველა ერთმანეთს ვერ ვიცნობთ. ჩეთით, პირველ რიგში, მეგობრებს შევიძენთ, გავიცნობთ არა მარტო თანასკოლელებს, სხვებსაც... ვისაც აინტერესებს, რა ხდება 53-ე სკოლაში, ამ საიტზე შემოვა... აქ განვათავსეთ როგორც მოსწავლეების, ასევე მასწავლებლების ფოტოები (რა თქმა უნდა, მათი სურვილის მიხედვით) და კიდევ ბევრი რამ... იცით, მე ჩეთით თითქმის მთელი სკოლა გავიცანი.

**— მარტო დამეგობრების მსურველები ჩნდებიან თუ?**

— ბუნებრივია, არა. ზოგი შემოვა თუ არა, გინებას და ჩხუბს იწყებს(!). ვინც ასე მოიქცევა, ჩეთის ადმინისტრატორები „ბანს“ ვადებთ, ანუ ჩეთიდან ისე ვაგდებთ, რომ მეორეჯერ ვერ შემოვიდეს.

სხვათა შორის, თავიდან მე და დიტო ვაკონტროლებდით ურთიერთობებს, მაგრამ მსურველთა რიცხვი რომ გაიზარდა, კიდევ ხუთი „ჩეთის ადამიანი“ დავამატეთ.

**— იჩხუბონ, თქვან რაც უნდათ...**

— ცალკე ოთახში კი, რაც უნდათ ის თქვან, არავინ გააკონტროლებს, მაგრამ საიტი ხომ ჩვენი სკოლის სახელზეა, სკოლის სახელს კი გაფრთხილება სჭირდება. თან, ვისაც ჩვენთან მეგობრობა უნდა, გინებით არ დაიწყებს!

**— ჩეთი და სიყვარული... ამბობენ, ვირტუალური სიყვარული უფრო ამართლებსო.**

— გეტყვით, ახლავე... ჩეთის დროს უფრო გულახდილი ხარ, არ გრცხვენია სათქმელი პირდაპირ დაწერო. ვთქვათ, ვიღაცის გაცნობა გინდა, ხომ ვერ მიეჭრები და ვერ ეტყვი, თან უცებ კითხვებსაც ხომ ვერ მიაყრი, იფიქრებს გიჟიაო. ჩეთში კი ყველაფერი წამებში ხდება, ურთიერთობის პრობლემა არ არის.

**— სიყვარულის ახსნაც ადვილად „იწერება“?**

— სხვების არ ვიცი, მაგრამ გუშინ ერთმა გოგონამ სიყვარული ამიხსნა. შემოვიდა ჩეთში და მკითხა, სერგი ხარო? დიახ-მეთქი და კითხვა შევუბრუნე, შენ ვინა ხარ-მეთქი. არ მიპასუხა, მრცხვენიაო. 53-ე სკოლელი ხარ-მეთქი? კიო. ვისი დაქალი ხარ-მეთქი. არ გეტყვიო. მერე უცებ, მომწონხარო. რა-მეთქი? დიდი ხანია მიყვარხარო.

**— რა რეაქცია გქონდა, გაგიხარდა?**

— გამეცინა, ოღონდ არ ვიცი, იმ წუთში გამიხარდა თუ გამიკვირდა... ვეძებ, ჯერ ვერ ვიპოვე. ვეჭვობ, ვინ შეიძლება იყოს, მაგრამ „მის“ დაქალებს სიტყვა ვერ დავაცდენინე (იცინის).

**— მესიჯით სიყვარულის ახსნა ამართლებს?**

— პირველად წერილით ავუხსენი გოგოს სიყვარული, ტელეფონით მესიჯი გავუგზავნე. ახლა ვნანობ, შეცდომა დავუშვი. წერილი კი გავუგზავნე, მაგრამ მერე „ლაივში“ რომ ვხვდებოდი, თვალებში ვერ ვუყურებდი, მერიდებოდა.

**— სკოლაში რა ხდება, პრობლემებია თუ ყველაფერი კარგადაა?**

— ადრე იყო პრობლემები, აი, დანის ტარებასთან დაკავშირებით, მაგრამ რაც ახალი დირექტორი მოვიდა, მკაცრად გააფრთხილა ყველა.

**— ანუ?**

— ვისაც დანას აღმოუჩენენ, მკაცრად დასჯიან. შანსი არაა, ვინმეს ხელი დააფაროს. დასჯის პრინციპი მგონი ამერიკულია (ამართლებს!): პირველად ხუთი დღით გეკრძალება სკოლაში მოსვლა, მეორედ — ათი დღით, ბოლო ეტაპი — სკოლიდან გარიცხვაა!

**— გავიგე, რომელიღაც ფირმის დანას ატარებენ თინეიჯერებიო. სერგი, შენი აზრით, დანა საჭიროა?**

— „ოპინელის“ ფირმის დანები დააქვთ, ძალიან ბასრი დანაა, თან ძვირი ღირს. ფასი ზომის მიხედვით არის. დანა საჭიროა? — რა ვიცი, ლამაზია. მე, როგორც ნივთი, ისე მომწონს... ზოგი თავდაცვის მიზნით ატარებს, ზოგიც მარიაჟობს.

**— თავდაცვის საჭიროება არსებობს?**

— საშიშროება მართლა არის, აღარც იცი, ვინ სად დაგხვდება. რაც უნდა მაგარი იყო, დანის და იარაღის წინაშე უძლური ხდები. მაგალითად, ორი წლის წინ, მობილური წამართვეს და მის შემდეგ მობილურს აღარ ვატარებ, მეშინია. ისე, აზრადაც არასოდეს მომივა, იარაღი ვატარო, თუნდაც თავდაცვის მიზნით...

**— არ გინდა, სკოლის ვებგვერდზე ფორუმი მოაწყოთ — როგორ უნდა შეფასდეს დანის ტარება?**

— როგორ არა, შეიძლება, მაგრამ სიმართლე გითხრათ, მეეჭვება ამ თემის განხილვაში ბევრმა მიიღოს მონაწილეობა — 1200 მოსწავლიდან ოცი პროცენტი განიცდის ამ პრობლემას. ვთქვათ, იტყვიან, ვიღაცამ ვიღაცა დაჭრაო, არანაირი რეაქცია არა აქვთ. მოკლაო, — მერე, რაო!.. ძალიან გულგრილები არიან...

**— შენი აზრით, რა არის იმის მიზეზი, რომ თინეიჯერებს ერთმანეთის ბედი არ განაღვლებთ?**

— ერთხელ ინტერნეტში წავიკითხე, რომ ზოგიერთი ინტერნეტთამაში ადამიანის ფსიქიკაზე ცუდად მოქმედებს. ასეთი თამაშიც არის — რაც უფრო მეტ ადამიანს მოკლავ, რაც უფრო მეტ საშინელებას ჩაიდენ, მით მეტი ქულა გეწერება(?!)... ზოგიერთები თურმე ისე ერთვებიან თამაშში, რომ მერე რეალობასა და თამაშს შორის ზღვარი „ეკარგებათ“... მართლა ასეა, ერთხელ მსგავსი თამაში მეც წავაგე და შინ უმიზეზოდ ვიჩხუბე...

**— როგორ სწავლობთ?**

— გაკვეთილებზე დასწრება აუცილებელია, მაგრამ... კლასში 36 მოსწავლე ვართ, აქედან მცირე ნაწილი ფიქრობს ცოდნის მიღებაზე. მასწავლებლებმა კიდევ რა ქნან, ჩვენთვის მაქსიმალურად იხარჯებიან, მაგრამ ვინ უსმენს...

**რედაქციისგან: თინეიჯერთა ეს-ემ-ესებისა და წერილების სტილი მაქსიმალურად დაცულია.**

***რუბრიკა მოამზადა ინგა უბილავამ***

***ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ — 899 22-52-15***

# მამულ-დედული

## თოვლი ჩვენს მამულში

ზედმეტი თაფლიც მაწყინარიაო, უთქვამს ბრძენკაცს, არათუ თოვლი. არადა, ამ ზამთარს თოვლი მართლაც უხვად მოვიდა მთელ საქართველოში. თუმცა დიდმა თოვლმა არ უნდა შეგვაშინოს. პირიქით, თოვლი ნამდვილი საჩუქარია ჩვენი მამულ-დედულისთვის. რაც უფრო დიდი თოვლი მოვა, მით უფრო დიდ მოსავალს უნდა ველოდოთო, ესეც ბრძენის სიტყვებია. მაგრამ ისეც არ უნდა ვიფიქროთ, რომ რადგან დიდი თოვლი მოვიდა, ბაღ-ვენახს გარედან ვუყუროთ.

თოვლით დაბარდნილ ბაღებს ასე „უშველით" — აიღეთ მოზრდილი კეტი, დაახვიეთ ზედ ჯვალოს ტომარა, დაამაგრეთ კანაფით და ჩამოუარეთ ხეებს. ტოტებიდან მაქსიმალურად ჩამობერტყეთ თოვლი, შემდეგ შემოაყარეთ თითოეული ხის ირგვლივ. რაც მეტს შემოაყრით, მით უკეთესი. ასე რომ, ადრე გაზაფხულზე თქვენი ბაღვენახი მორწყული იქნება.



იცოდეთ, რაც უფრო დიდხანს იქნება თქვენს მამულში თოვლი, რაც უფრო კარგად გაიჟღინთება ნიადაგი, მით უფრო გვიან გაიღვიძებენ მცენარეები. ეს კი გარანტიაა საგაზაფხულო წაყინვების თავიდან აცილებისა.

### მათთვის, ვისაც სათბური აქვს

სათბურებისა და კვალსათბურების ნიადაგში გროვდება დაავადებათა გამომწვევი მიკროორგანიზმები. ამიტომაც ნიადაგი ან მთლიანად უნდა განახლდეს, ან ძველი უნდა გაიწმინდოს მავნე ორგანიზმებისგან. არსებობს ნიადაგის დამუშავების ბიოლოგიური, თერმული და ქიმიური მეთოდები.

*ბიოლოგიური* მეთოდის გამოყენებისას ნიადაგი გამოგვაქვს გარეთ და ვყრით 1-1,5 მ სიმაღლის შტაბელებად, რომელშიც ფენებად ვაყოლებთ ახალ ნაკელს და ვასხამთ წუნწუხს.

*თერმულად* ამუშავებენ მცირე რაოდენობის ნიადაგს, მაგალითად ჩითილების გამოსაყვანი ყუთებისა და ქოთნების მიწას. ნიადაგს ყრიან სინებზე, კარგად ასველებენ და შემდგომ აცხელებენ არაუმეტეს 100 გრადუს ტემპერატურაზე. ასევე შეიძლება დაესხას მდუღარე წყალი.

*ქიმიური* მეთოდით დამუშავებისას იყენებენ ქლოროვან კირს, რომელიც პრაქტიკულად ყოველგვარი მავნებლების საწინაალმდეგოა. გამოიყენება მშრალი სახით 100-200 გრამი 1 კვმ-ზე.

ერთი სვეტი შეკითხვებისთვის

## ლოქორას მოსაშორებლად



**— ზაფხულობით ჩემს ბაღ-ბოსტანში ვერაფერი მოვუხერხე ლოკოკინებს, რომლებიც ბოსტნეულს თითქმის მინადგურებენ. იქნებ თქვენ დამეხმაროთ, რომ აქედანვე დავიჭირო თადარიგი მათ მოსაშორებლად.**

***ტ. კუბლაშვილი, ზესტაფონი***

— „ლოკოკინა", რომელმაც ბოსტანი გაგინადგურათ, სინამდვილეში გახლავთ ლოქორა ანუ ლოფორთქინა. საქართველოს ტერიტორიაზე დაახლოებით 50-მდე სახეობის ლოქორას შეიძლება შეხვდეთ. მას მოსწონს ნესტიანი ადგილები, მრავლდება წვიმიან ამინდში. ლოქორას სიგრძე სახეობების მიხედვით 3 მმ-დან 15 სმმდეა. ლოქორასთან ბრძოლის მთავარი ღონისძიებაა ნაკვეთის გასუფთავება სარეველებისგან. ასევე შედეგიანია ნიადაგის ადრე გაზაფხულზე ან გვიან შემოდგომით დაბარვა. ღამის საათებში, როცა ლოფორთქინები საკვებად გამოდიან, ნაკვეთს უნდა მოაფრქვიოთ ახალჩამქრალი კირის პუდრი (100 კვმ-ზე 2-3კგ). ეფრქვევა ორჯერ — 10-15 წუთის ინტერვალით. პატარა ნაკვეთებში ლოქორას დაჭერაც შეიძლება: ფიცრის, ლინოლეუმის ან რეზინის ნაჭრების დაფენით, რომლის ქვეშაც ისინი იყრიან თავს.

## კარჩხანა ყველაფერს ემუება

დიახ, არსებობს ასეთი თევზი — ჩვეულებრივი კარჩხანა, ანუ „კარასი". ეს ის სახეობაა, რომელსაც შეუძლია იცხოვროს იქ, სადაც ვერ ძლებენ სხვა სახეობის თევზები უჟანგბადობის გამო: ლამიან, დასარეველიანებულ გუბურებში, მცირე ზომისა და სიღრმის გუბეებში, ხანდახან შრობად გუბეებშიც კი. კარჩხანა სითბოშიც მშვენივრად გრძნობს თავს და უძლებს ისეთ დაბალ ტემპერატურასაც, როცა ტბა თითქმის ფსკერამდე იყინება. არა მარტო ლამში, არამედ ყინულშიც(!) კი ინარჩუნებს ცხოველმყოფელობას. ყოფილა შემთხვევა, როცა ლამში 0,5-მ-მდე ჩაფლული კარჩხანა წყალში გადაყვანისთანავე გაცოცხლებულა. კარჩხანა ძალიან გემრიელიც არის და გამოკვება თითქმის არ სჭირდება. მისი საკვებია წყალმცენარეები და მწერები.



კარჩხანა ზომით პატარაა — 0,5 კგ-მდე იწონის (იშვიათად 1-3კგ-მდე). სქესობრივად მწიფდება 4 წლის ასაკში, ყრის 300 000-მდე ქვირითს, რომელიც ეწებება ლელქაშის ღეროფოთლებს, ფესვებს და თევზსაჭერ ბადეებსაც კი. ქვირითის დაყრა იწყება მაისის მეორე ნახევარში, როცა წყლის ტემპერატურა 16-17 გრადუსს მიაღწევს. ქვირითის დაყრის, ანუ ტოფობის დროს, კარჩხანები იკრიბებიან დიდ ქარავნებად და შედიან ლელქაშებში. ამ დროს მდედრების უმრავლესობა ფსკერზეა. ჩვეულებრივის გარდა არსებობს ვერცხლისფერი კარჩხანაც, რომლის ქარავნებშიც დედლები გაცილებით ჭარბობენ მამლებს. საქმე ის არის, რომ ვერცხლისფერი კარჩხანების ქვირითს, გარდა ჩვეულებრივი კარჩხანისა, სხვა სახეობის თევზებიც ანაყოფიერებენ (როგორიც არის კობრის სხვადასხვა სახეობა და ლოქორია. საინტერესო ის გახლავთ, რომ არც ერთ შემთხვევაში ჰიბრიდები არ გამოდიან, იბადებიან კარჩხანები და აბსოლუტურად ყველა მდედრობითი სქესისა! ხდება ისეც, რომ წყალსატევებში, რომელშიც თევზი არასოდეს ყოფილა, მოულოდნელად გაჩნდება კარჩხანა და თანაც, არც ისე ცოტა. საქმე ის გახლავთ, რომ კარჩხანას მიერ დიდი რაოდენობით დაყრილი ქვირითი წყალში მცურავი ფრინველების ფეხებსა და ფრთებს ეწებება და მათ გადააქვთ სხვადასხვა წყლებში.

ასეული წლების წინ დაიწყო და დღემდე გრძელდება კარჩხანის გამრავლება სხვადასხვა ქვეყანაში. რატომ არ უნდა ვცადოთ ჩვენს მამულშიც! სცადეთ, აუცილებლად გაგიმართლებთ.

## მოზაიკა

* * *

*სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, იავაზე ბუდობს ჩიტიჭამია ობობა, რომელიც ყველაზე დიდია დედამიწაზე — სიგრძით 10-12 სმ-ს აღწევს. სხეული დაფარული აქვს გრძელი ბუსუსებით. 6 თვალი ირიბული ჯვრის მსგავსად აქვს განლაგებული. ობობას დღისით სძინავს, დაბინდებისას სანადიროდ გამოდის. მის ქსელში მწერების გარდა პატარა ჩიტები, ხვლიკები და ბაყაყებიც ებმებიან. ქსელი იმდენად მაგარია, რომ 300 გრამამდე ტვირთს უძლებს. ქსელის ქსოვისას ობობას სასიგნალო ძაფი გაჰყავს, რომელიც ფეხზე აქვს გამობმული. გაებმება თუ არა მსხვერპლი, ძაფი დაიჭიმება, ობობაც ფეხს გამოსწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ „ვახშამი" მზად არის!*

* * *

*შეიძლება ბევრმა არც იცოდეს, მაგრამ „ჩიტის რძე" მართლა არსებობს: კრუხობიდან მე-8 დღეზე მდედრი მტრედი ჩიჩახვში რძისმაგვარ თეთრ ნივთიერებას გამოიმუშავებს, რომელსაც „ჩიტის რძესაც" ეძახიან. 26-ე დღემდე ჩიტის რძე ერთადერთი საკვებია ხუნდებისთვის. ამის შემდეგ კი ხუნდებს ისევე კვებავენ, როგორც სხვა ფრინველების ბარტყებს.*

## კალენდარი მემამულეთათვის




მკითხველის ფოტო



— თოვლი მოსულა!..

***გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიტოთერაპევტმა ნიკოლოზ იოსებიძემ***

### რედაქციისაგან:

ბატონო მკითხველო! მოგვწერეთ ამ რუბრიკიდან გამომდინარე, რა გაინტერესებთ.

გაგვიზიარეთ თქვენი დაკვირვება, გამოცდილება; მოგვაწოდეთ საკუთარ მამულ-დედულში გადაღებული უცნაური, საინტერესო ფოტოები (ამ ნომერში კიდევ ერთ ფოტოს გთავაზობთ).

წერილები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით.



# ირაკლი ჭკუასელი ჰოლივუდში თუ ჰარი პოტერი საქართველოში?!

*სულ რამდენიმე დღის წინ **Warner Bros. Studios**-ის ერთ-ერთი სატელიტი კომპანიიდან მივიღე ძალზე საინტერესო წინადადება, — „ჰარი პოტერის“ ერთ-ერთი ფილმის პროდიუსერი დაინტერესდა „ჭკუას“ ისტორიით.*

მწერალი, სცენარისტი **ამირან ჭიჭინაძე** ქართველი საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი. მისი სცენარების მიხედვით არის გადაღებული კინოფილმები „რეკორდი“, „შვიდი ამბავი სიყვარულზე“, „თუში მეცხვარე“, „გიორგობისთვე“...

„მაშინაც იმას ვწერდი, რაც მომწონდა. ახლაც იმას ვწერ“, — ამბობს ბატონი ამირანი. ამისი დასტურია ის სცენარები და ნოველები, რომლებიც დროის გასვლის შემდეგაც ყავლგასულად არავის ეჩვენება.

ამჯერად ამირან ჭიჭინაძემ ბავშვებისათვის დაწერა სათავგადასავლო-საყმაწვილო რომანი „ჭკუა“, რომლის პირველი წიგნი უკვე გამოვიდა. გაგრძელებაზე კი მწერალი ისევ მუშაობს.

კარგი საბავშვო ლიტერატურის შექმნას დიდი გემოვნება და მწერლის განსაკუთრებული ხელოვნება სჭირდება. სასიამოვნოა, რომ ბატონმა ამირანმა სწორედ ასეთი წიგნი დაუწერა ყმაწვილებს. სხვათა შორის, ამბობენ, რომ „ჭკუას“ მთავარი პერსონაჟი ირაკლი ჭკუასელი, იგივე „ჭკუა“ შესაძლოა ქართველი მკითხველისთვის საყვარელ გმირად იქცეს.

— რატომ მარტო ქართველი? — ღიმილით გვკითხა ავტორმა, — ჭკუა შეიძლება ყველა ეროვნების ბავშვებისათვის ახლობელი და უსაზღვროდ საყვარელი გახდეს.

**— ბატონო ამირან, რამდენად რთულია საბავშვო ლიტერატურაზე მუშაობა? თქვენი შემოქმედება ადრე ყოველთვის უფროსი ასაკის ხალხზე იყო ორიენტირებული...**

— ჩემი პირველი პატარა წიგნი სწორედ საბავშვო იყო და „ზაფხული ჩემს უბანში“ ერქვა. იქ ჩემს ბავშვობაზე ვლაპარაკობდი. ერთხელ ჩემმა მეგობარმა, ცნობილმა პოეტმა ანზორ სალუქვაძემ იხუმრა, ეს ბავშვის მემუარებიაო. ასეც იყო...

ბავშვებისთვის წერა სასიამოვნოა, თანაც ყმაწვილებმა წიგნები აუცილებლად უნდა იკითხონ... სიამოვნებით ვწერდი „ჭკუას“, ოღონდ იმაზე არც ვფიქრობდი, რომ წიგნად გამოვიდოდა... სხვა მიზანი მქონდა.

**— რომანის წერის დროს, სხვა რა მიზანი გქონდათ?**

— მოგეხსენებათ, სცენარისტად უფრო ვარ ცნობილი, ვიდრე მწერლად, ჰოდა სწორედ კინოსცენარად წარმოვიდგინე „ჭკუა“. რადგან დღეს საქართველოში კინოს გადაღების საშუალება თითქმის აღარ არსებობს, ბედი ისევ საზღვარგარეთ, ინტერნეტის მეშვეობით ვცადე. მართლაც ძალზე საინტერესო და, გავბედავ და ვიტყვი, უპრეცედენტო რამ მოხდა. სულ რამდენიმე დღის წინ Warner Bros. Studios-ის ერთ-ერთი სატელიტი კომპანიიდან მივიღე ძალზე საინტერესო წინადადება, — „ჰარი პოტერის“ ერთ-ერთი ფილმის პროდიუსერი დაინტერესდა (ჯერ არ დავასახელებ) „ჭკუას“ ისტორიით.

**— რატომ, ირაკლი ჭკუასელი ქართველ ჰარი პოტერად მიიჩნიეს?**

— მე მას ტომ სოიერს უფრო შევადარებ. თუმცა მთავარი გმირი — „ჭკუა“ უცნაური ნიჭის წყალობით დიდ ფათერაკებში ეხვევა და თან კრიმინალურ სამყაროსაც უპირისპირდება. ამიტომ იგი თანამედროვე, რეალურ ყოფაში „მოღვაწე“ ჰარი პოტერს მიამსგავსეს და ალბათ მისი ბედიც უწინასწარმეტყველეს... ამით აიხსნება მათი ინტერესიც.

სიუჟეტის განვითარებისთვის რამდენიმე ქალაქი შემომთავაზეს. ვნახოთ, რა გამოვა.

**— თბილისი ეპატარავათ?**

— ეპატარავათო, ვერ ვიტყვი, მაგრამ მათი აზრით, ის, რაც თბილისში ირაკლი ჭკუასელს გადახდა თავს, პრაღის, ან პარიზის ქუჩებში უფრო შთამბეჭდავი იქნება.

**— ესე იგი ჭკუას კინოთავგადასავალი ევროპაში განვითარდება?**

— ჯერ ვერ გავამჟღავნებ, — იღიმება ბატონი ამირანი, — ღმერთმა ქნას, სიუჟეტის ფანტასტიკური ჟანრის გამძაფრება შევძლო. მოლაპარაკება გრძელდება...

**— ასე რთული ამოცანაა?**

— დიახ, ყველაფერს გამოცდილება სჭირდება. თან ჩემი ასაკი...

**— ასაკი რა შუაშია?**

— ალბათ უფრო მსოფლმხედველობა... ირაკლი ჭკუასელი ჯანსაღი თაობის გმირია... ქართულ, „ვეფხისტყაოსნის“ ტრადიციებზე გაზრდილი. არაქართველისთვის ეს უცხოა, თუმცა საინტერესოც. ვშიშობ, რომ ფილმისთვის „ჭკუას“ გაევროპელობასაც მომთხოვენ. თუმცა ჩვენც ხომ ევროპელები ვართ...

**— თქვენი ძველი პერსონაჟები ყოველთვის უბრალო ხალხია, გმირობის პრეტენზია არ აქვთ, მაგრამ კეთილსინდისიერებისა — აუცილებლად... „ჭკუა“ კი ნამდვილი გმირია...**

— ჩემი გმირები აუცილებლად ემორჩილებიან ზნეობრივ ნორმებს. თუ რომელიმე უზნეოა, ამის გამო „ვსჯი“ კიდეც. ახლაც ამ წიგნში — „ჭკუაში“ რამდენიმე პერსონაჟი, რომლებიც უზნეოებად მიმაჩნდა, ან მხოლოდ სახელით შევიყვანე, ან უკადრისი საქციელით წარმოვადგინე და ამგვარად დავსაჯე. ეს არის ჩემი „შურისძიება“...

**— თქვენ მეორე წიგნზე მუშაობთ. შეიძლება, წინასწარ გვითხრათ, სად გაგრძელდება „ჭკუას“ თავგადასავალი?**

— გინდათ, საიდუმლო დამაცდენინოთ? მხოლოდ ერთს გაგიმხელთ — მეორე ნაწილში „ჭკუას“ ჩვენი პრეზიდენტიც შეხვდება...

**— შემთხვევით პოლიტიკაც ხომ არ იქნება მეორე ნაწილში?**

— რა თქმა უნდა, არა! არავითარი პოლიტიკა.

**— ბატონო ამირან, წიგნზე მუშაობის გარდა კიდევ რაზე იხარჯება თქვენი დრო?**

— ძალიან მიყვარს ცხოველები, მცენარეები, მათი მოვლა. კარგი მზარეულიც ვარ. მიყვარს გემრიელი კერძები, ვწურავ ღვინოს, ვაყენებ არაყს, ლიქიორს. დღის განმავლობაში არასოდეს არ მყოფნის დრო. მიკვირს, ჩემი ასაკის ხალხი რომ განიცდის, რა ვაკეთოთ, არ ვიცითო. არაფერს აკეთებენ გარდა იმისა, რომ განიცდიან, საქმე არ გვაქვსო. დილიდან საღამომდე სულ საქმე მაქვს. შინ ყველაფერს სიამოვნებით ვაკეთებ. მყავს ძაღლი, თევზები, ჩიტი... იყო დრო, როცა 40 ჩიტის გალია მქონდა. მყავდა კურდღლები, ბოცვრები. მაქვს პატარა ბაღიც, რომელსაც ვუვლი... მიყვარს მეზობლის ბავშვებთან ერთად სეირნობა. ვმეგობრობდი მათთან, დამყავდა სოკოზე, ბაღში. მიყვარს ბუნებაში სიარულიც. ახალგაზრდობაში ნადირობა მომწონდა. 15 წლის ვიყავი, პირველად რომ ვინადირე. შირაქში გავყევი მამაჩემს, იქ ბუღალტრად იულონ ხმალაძე, ვახტანგ ხმალაძის მამა მუშაობდა. მან მათხოვა თოფი. თვითონ ცნობილი მონადირე იყო. გამიწია რეკომენდაცია და მიმიღეს მონკავშირში. შირაქიდან რომ დავბრუნდი, მამამ სკივრიდან ამოიღო შეხვეული ძველი თოფი „ლე პაულიეჟი“ და მაჩუქა. მას მერე ხშირად წავსულვარ მარტო სანადიროდ. ისე, ნამდვილი მონადირე არასოდეს ვყოფილვარ.

**— დასასრულ, რა გენატრებათ?**

— მენატრება კარგი წიგნის კითხვა... ეს ასახდენი ნატვრაა. ვიცი კარგი ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც კარგ წიგნებს წერენ. კარგი წიგნი — დიდი სიამოვნებაა.

*ლელა ჯიყაშვილი*




320 გვერდი, რბილი გარეკანი, ფასი: 5 ლ.

უცნაური შემთხვევის წყალობით თბილისელი ბიჭი — „ჭკუა“ განსაკუთრებულ ნიჭს შეიძენს. მისი ფათერაკებით სავსე თავგადასავალი სიყვარულზე, ბანდიტებთან ბრძოლასა და მეგობრებისთვის ჩადენილ გმირობაზე მოგვითხრობს.



## „კვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლის წიგნები

წიგნში შეკრებილია „კვირის პალიტრაში“ წლების განმავლობაში გამოქვეყნებული კითხვები რელიგიურ თემაზე, რომელთაც მართლმადიდებელი მამები პასუხობენ.




336 გვერდი, რბილი გარეკანი, ფასი: 5 ლ.

წიგნში შევიდა ოტია იოსელიანის თორმეტი ახალი ზღაპარი.

წიგნი საუკეთესო საახალწლო საჩუქარი იქნება თქვენი პატარებისთვის...




124 გვერდი, მაგარი გარეკანი, ფასი: 8 ლ.

წიგნების შეძენა შეგიძლიათ წიგნის მაღაზიებში და პრესის გამავრცელებლებთან

ან

დაუკავშირდით „ელვასერვისს“ და მიიღეთ წიგნები სახლში, ფასნამატის გარეშე. ტელ: 42-43-40; 33-26-73

ახალი წიგნები

წიგნი მოიცავს ენციკლოპედიურ მონაცემებს იმ თემებზე, რაც კი შეიძლება ადამიანს ცხოვრებაში დასჭირდეს. ის საუკეთესო მეგზური იქნება, როგორც თქვენთვის, ისე თქვენი შვილებისთვის...




888 გვერდი, რბილი გარეკანი, ფასი: 12 ლ.

კრებულში თავმოყრილია საუკეთესო მინიატურები გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან. „ანტიდეპრესანტები“ კარგ გუნებაზე დაგაყენებთ და ბევრ საინტერესო რამეს გამცნობთ იუმორითა და მსუბუქი სტილით...




288 გვერდი, რბილი გარეკანი, ფასი: 5 ლ.

წიგნი განკუთვნილია თავგადასავლებისა და მოგზაურობის მოყვარულთათვის. ავტორი უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში თავგადახდენილ ისტორიებსა და შთაბეჭდილებებს გვიზიარებს...



360 გვერდი, რბილი გარეკანი, ფასი: 5 ლ.

ახალი წიგნები

## სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე!

| გამომცემლობა „კვირის პალიტრა“ | |
|---|---|
| ამირან ჭიჭინაძე – „ჭკუა“ | 5 |
| „რას გვეტყვი, მამაო“ | 5 |
| თემურ ყიფიანი – სამაგიდო ენციკლოპედია: „ყველაფერი ყველაფერზე“ | 12 |
| ოტია იოსელიანი – „ზღაპრად გაუგონარი ზღაპრები“ (მგ.ყდ) | 8 |
| აკაკი გეგენავა – მოგზაურის დღიურები | 5 |
| ყველაზე სასაცილო (კურიოზების კრებული) | 5 |
| გოჩა დვალი – ანტიდეპრესანტი | 5 |

| გამომცემლობა „ლიტერა“ | |
|---|---|
| დათო ტურაშვილი – | |
| გურჯი ხათუნი | 14 |
| ჩამირული ქალაქის ღამე | 5,50 |
| აჩიბაბა და 40 ყაჩაღი | 7 |
| აკა მორჩილაძე – | |
| მელქისეთ-ბაშის თბილისი | 12 |
| მ. სურგულაძე – | |
| საქართველოს ისტორია ბავშვებისათვის | 15 |

| გამომცემლობა „დიოგენე“ | |
|---|---|
| სანდრა რულოვსი – | |
| „იდეალისტის ნაამბობი“ | 12 |
| „საქართველოს ატლასი მოზარდთათვის“ | 15.6 |
| ვახუშტი კოტეტიშვილი – | |
| „მოუკრეფავნი“ | 6 |
| ა. ლინდგრენი – | |
| „კარლსონი ისევ მოფრინდა“ | 8.90 |
| „კარლსონი ისევ ოინბაზობს“ | 8.90 |

| „ელფის“ გამომცემლობა | |
|---|---|
| „ჩვენი გალაქტიკა“ | 18 |
| „საქართველოს დიდი მეფეები“ | 16 |
| „ჩემი საქართველო“ | 20 |
| „მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები ფეხბურთში“ | 7 |
| შუშანიკი | 5,90 |
| იასონი და ოქროს საწმისი | 5.90 |
| ქრისტეფორე კოლუმბი | 5.90 |
| კლეოპატრა | 5.90 |
| რაინდების ისტორიები | 5.90 |

| | |
|---|---|
| ბესიკ ალადაშვილი – | |
| „სპეცსამსახურები და შპიონაჟი“ | 10 |

| გამომცემლობა „საბავშვო ენციკლოპედია“ | |
|---|---|
| საბავშვო თემატური ენციკლოპედიების „რა არის რა“ 50 ტომი | |
| ინდიელები მე-5 ტომი | 16 |
| მსოფლიოს 7 საოცრება 21-ე ტომი | 16 |
| ძველი ჩინეთი 42-ე ტომი | 16 |
| ვულკანები 50-ე ტომი | 16 |

| ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | |
|---|---|
| საბავშვო | |
| მსოფლიოს ატლასი | 20 |
| ბიბლიის ატლასი | 23 |
| ჰარი პოტერი I ნაწილი | 5 |
| ჰარი პოტერი II ნაწილი | 9 |
| ჰარი პოტერი III ნაწილი | 12 |
| ჰარი პოტერი IV ნაწილი | 15 |
| ჰარი პოტერი V ნაწილი | 19 |
| პროზა | |
| აკა მორჩილაძე – | |
| „მისტერ დიქსლის მდუმარე ყუთი“ | 25 |
| „სანტა ესპერანსა“ | 19 |
| „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ | 5 |
| ლაშა ბუღაძე – | |
| „25 პატარა პიესა“ | 6 |
| „ბოლო ზარი“ | 6,50 |
| პაოლო კოელიო – „ალქიმიკოსი“ | 6 |

| გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ | |
|---|---|
| ლექსიკონები | |
| ი. გვარჯალაძე – ინგლ.-ქართ.–ქართ.-ინგლ. (80 000 სიტყვა) | 28 |
| საბავშვო ლიტერატურა | |
| ქართული ხალხური ზღაპრები (6 წიგნად) | 15 |
| პინოქიოს თავგადასავალი | 10 |

| გამომცემლობა „თბილისელები“ | |
|---|---|
| გოჩა მანველიძე – | |
| „მგლები I“ | 7 |
| „მგლები II“ | 7 |
| „სარანგი“ | 7 |
| „მორიელი“ | 7 |
| ნინო წულუკიძე – | |
| „მწვანეთვალება ანგელოზი“ | 7 |
| „სულის ყვირილი“ | 7 |
| ნათია საავაშვილი – | |
| „ანანოს და კიკის თავგადასავალი“ | 5 |

| გამომცემლობა „ნეკერი“ | |
|---|---|
| სარგის კაკაბაძე – | |
| „ქართველი ხალხის ისტორია“ | 13 |
| დ. კაკაბაძე | |
| „კულტურული მემკვიდრეობა“ | 13 |

| გამომცემლობა „არტანუჯი“ | |
|---|---|
| საქართველოს ისტორია XIXსაუკუნე | 15.60 |
| საქართველოს ისტორია XXსაუკუნე | 15.60 |
| მსოფლიო რელიგიები | 15.60 |
| ქართლ-კახეთის თავადაზნაურები | 7.80 |

ტელ: 42-43-40 33-26-73

იბეჭდება პირველად

გოდერძი ჩოხელი

# საქართველოს გადმოსახედი



გუდამაყარში, სოფელ ჩოხის ალმოსავლეთით ერთი შუბლწამოშვერილი მთა დგას, რომელსაც გუდამაყრელები საქართველოს გადმოსახედს ეძახიან. სხვა მთებსაც ჰქვიათ სახელები: ჩაჭრილაი, ოზანო, შირიმი, ქიდაქი, კანჩხი, ნაროვანი, საჯიხვე და კიდევ სხვა მთები, რომელთაც შემოუზღუდავთ გუდამაყრის ხეობა და გუდამაყრელები გარსშემოჯარული მთებისა და მათ წვერებზე ჩამოყრდნობილი ცის გარდა, ვერაფერს ხედავენ. ადრე იშვიათად თუ წავიდოდა გუდამაყრელი სხვაგან, მაგალითად ხევსურეთისა და მთიულეთის სალოცავებში, ან ცხვარს გარეკავდა კასპიისპირეთისაკენ ხევის გავლით, ან სასიგნალო კოშკებზე ცეცხლები აენთებოდა და ეს ნიშანი იყო, რომ საქართველოს მტერი შემოესია. შეკაზმავდნენ ცხენებს რჩეული ვაჟკაცები, ხატის კარზე დაამწყალობნებდა ხევისბერი და მიდიოდნენ სამშობლოს დასაცავად. ახლა წარსულის უტყვ მოწმეებადღა დგანან ფუნქციადაკარგული, კედლებჩამორღვეული სასიგნალო კოშკები.

ბრძოლებიდან ბევრი უკან აღარ ბრუნდებოდა და რაკი დასატირებლად დედებს მათი საფლავები არ ჰქონდათ, სატირლად სწორედ ის მაღალი მთა ჰქონდათ ამორჩეული, რომელსაც საქართველოს გადმოსახედს ეძახიან. ამ მთის წვერიდან, ოთხივ კუთხივ, ხელისგულივით მოჩანდა თითქმის მთელი საქართველო. ომში დაღუპულ შვილებსდანატრებული დედები, წაიღებდნენ შვილების ნაქონ ტალავარს, ავიდოდნენ მთის წვერზე, გადახედავდნენ საქართველოს, მთის ყვავილებით მოქარგულ მოლზე დააფენდნენ შვილის ტალავარს, თვალცრემლიანნი გაჰყურებდნენ მთებს, მთების გადაღმა ველებს, იქამდის სადამდისაც კი მზერა მიუწვდებოდათ და სადღაც შორს წარმოიდგენდნენ შვილის საფლავს, მიაჩერდებოდნენ და დაიტირებდნენ ხმით.

საქართველოს გადმოსახედიდან ღამღამობით, მოწმენდილ ამინდში თბილისიც მოჩანდა და ბავშვობაში რამდენჯერ ავხულვართ მე და ჩემი ტოლები თბილისის სანახავად ამ მთის წვერზე. ოდესაც ამ მთაზე ბერებსაც უცხოვრიათ და ახლა იქ მათი მიწაში ჩამარხული სენაკებია შემორჩენილი. იქვე ახლოს ცივი წყაროც მოჩუხჩუხებს და რამოდენიმე ქვის ჯვარიცაა მიწაში ჩარჭობილი.

აქ მაცხოვრებელი ბერები ისეთი წმინდა ყოფილან, რომ ფრენა შესძლებიათ. მერე რწმენა შერყევიათ და ფრენის ნიჭი დაუკარგავთ. მას მერე მიტოვებულია მათი სენაკები და წლითიწლობით მიწაში იფარება. ალბათ როდესმე მთლიანად შესჭამს, ერთიანად გადაუვლის მიწა. არა და აქ ამოსულს რამდენჯერ მიოცნებია ბავშვობაში, იმ ბერებივით მეც შემძლებოდა ფრენა და იქით და აქეთ მეფრინა საქართველოს ცაზე. ეს სურვილი ისეთი ძლიერი იყო, რომ სიზმარში ხშირად დავფრინავდი.

ვინ იცის, რამდენ დედას დაუტირნია აქედან შვილის საფლავი. საქართველოს ხომ მტერი არასოდეს არ ელეოდა და ხან დიდგორი იყო, ხან შამქორი, ხან მარტყოფი, ხან ბასიანი და იმ უთვალავ ბრძოლებს შორის ბოლო იყო აფხაზეთი და რომ მეგონა გუდამაყარი ხალხისგან დაიცალა, რომ მეგონა საქართველოს გადმოსახედმა ფუნქცია დაკარგა, ერთ მზიან დილით სათიბზე მიმავალი, მოხუც ქალს და მის ორ პატარა შვილიშვილს წამოვეწიე. ისინი მე ვერ მხედავდნენ და ბილიკით საქართველოს გადმოსახედისაკენ მიდიოდნენ ზემოთ.

— ბებო, იმ მთის წვერიდან გამოჩნდება აფხაზეთი? — ეკითხებოდა შვილიშვილი ქალს.

— კი, ბებო გენაცვალოს, იმ მთიდან მთელი საქართველო გამოჩნდება.

— აფხაზეთი ხომ საქართველოა, ბებო?

— საქართველოა, მა რა არის, შენ შემოგევლოს ბებო!

— მაშ რატო არ შეიძლება იქ წასვლა და მამიკოს საფლავის მოძებნა?

— იმიტომ, რომ არ გვიშვებენ.

— ვინა?

— მტრები, ჩვენი მტრები.

ბავშვი გაჩუმდა.

ქალს ხელში ფუთა ჰქონდა გამოკრული, ეტყობა, შვილის ნაქონი ტანსაცმელი ეწყო შიგ.

მერე მე თიბვა დავიწყე და ისინი დიდხანს მიდიოდნენ აღმა, წერტილებივითღა ეტყობოდნენ შუბლწამოშვერილ მთაზე.

საღამოს, მზემ რომ აიკრიფა, ნაგრილები ისევ გამოჩნდნენ. ქალი მოდიოდა მსუბუქად, იმის უკან კი პეპლებივით მოფარფატებდა ორი პატარა გოგო.

შუბლწამოშვერილი მთა იდგა გოროზად აზიდული, თან ამაყი, თანაც სევდიანი. დღეს ხომ მაგან კიდევ ერთხელ აასრულა თავისი ვალი და „დაანახვა“ დედას „შვილის საფლავი“.

მზეც ჩადიოდა და გუდამაყრის ვიწრო ხეობას ნელ-ნელა ღამის ბინდი ეპარებოდა.

# თუში

ამ დედამიწის ზურგზე იშვიათად შეხვდებით ისეთ ბუნებით კეთილ და სიცოცხლით სავსე ხალხს, როგორც თუშები არიან.

საუკუნეების მანძილზე, სოფლიდან-სოფელში მიმავალ ვიწრო ბილიკებზე დააჭენებენ თუში მხედრები ცხენებს და ისეთი ჟინითა და გახელებით აკეთებენ ამას, ერთთავად სიკვდილ-სიცოცხლეს ეთამაშებიან, თითქოს უნდათ ამ ქარაფებზე ცხენის ჭენებით სიკვდილი დააშინონ. სიკვდილი ხომ სულ უკან დასდევს მათ, ხან ზვავით, ხან აბობოქრებული ალაზნით და ხანაც მომხდურის ტყვიით.

თუშეთის ბუნება აქაურმა მთებმა ჩამოაყალიბა, სანთელივით ჩამოქნა, ჩამოხვეწა, აანთო და როგორც ხატისკარს ანთებული სანთელი ანათებს ბნელს, ისე თუშის ლაღი ხასიათი ანათებს და ამშვენებს ადამიანთა მოდგმას.

ზაფხულობით თუშები ეძლევიან ლხინს. იხდიან დღეობებს; დღეს რომ დანოშია დღეობა, ხვალ ფარსმაში, ზეგ გირევში, მერე დართლოში, შენაქოში, ჩილოში და ასე გადაბმულად, ერთიმეორის მიყოლებით.

სწორედ ასეთ დღეობებში გავიცანი ერთი უცნაური თუში. დანოში ვისხედით წყაროგორზე და ვდღესასწაულობდით. ფერდობზე ერთი ახალგაზრდა თუში ჩვენსკენ მოაჭენებდა ცხენს. მოვიდა, ჩვენგან მოშორებით უცებ შეაყენა ცხენი და ხმამაღლა შემოგვიძახა:

— ნუ გეშინიათ, ხალხო, კაცი სანამ ცოცხალია, არ მოკვდება!

მერე სწრაფად შეაბრუნა ცხენი და გააჭენა. მისმა შეძახილმა უფრო მეტი მხიარულება შემატა თუშებს და უფრო გალაღდნენ, გააჩაღეს ცეკვა-თამაში.

შემდეგ დღეებშიც, ხატობების დროს, საიდანღაც უცებ მოაჭენებდა ხოლმე ის თუში ცხენს, ყალყზე შეაყენებდა და იმედიანად დაგვძახებდა:

— ნუ გეშინიათ, ხალხო, კაცი სანამ ცოცხალია, არ მოკვდება!

და ლაღობდნენ თუშები...

მე კი, როცა გამიჭირდება, იმ ნუთას ის ცხენოსანი თუში ამომიხტება ხოლმე მეხსიერებაში და ნახევრადხუმრობით, იმედიან ხმაზე დამძახებს:

— ნუ გეშინია, კაცი სანამ ცოცხალია, არ მოკვდება!


დასასვენებელი სახლი
ჰაუზ დე მარი
გეპატიჟებათ ბაკურიანში
გისურვებთ სასიამოვნო დასვენებას





ტელ: 99 70 45; 893 75 75 12; 899 60 60 97



მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯარა და ვიტრაჟი
საუკეთესო ხარისხის
სამ და ოთხკამერიანი
ყველაზე რეალური ფასები
38-37-47 899-17-70-80
იოსებიძის ქ. №49




აკა მორჩილაძე

მისტერ დიქსლის მდუმარე ყუთი

ფასი: 24.95 ლარი

აკა მორჩილაძის ამ ყველაზე უჩვეულო რომანს ყუთის ფორმა აქვს, რომელშიც ოთხი საქაღალდეა მოთავსებული.

მისტერ დიქსლი, სანტა ესპერანსას მთავარი დეტექტივი, სანტა სიტიში, 700 ნაბიჯის ქუჩაზე მომხდარ მკვლელობას იძიებს. ის ამ საქმესთან დაკავშირებულ მასალებს აგროვებს და საქაღალდეებში გარკვეული თანმიმდევრობით აწყობს, ხოლო საქაღალდეებს სპეციალურ სეიფში ინახავს. თუ მკითხველი დაკვირვებით გაეცნობა მისტერ დიქსლის სეიფში დაცულ მასალებს: ოთხი სხვადასხვა ადამიანის — ორი ქალისა და ორი მამაკაცის — დღიურებს, ჩანაწერებს, მოთხრობებს, ბლოკნოტებს, წერილებს, ღია ბარათებს, საგაზეთო სტატიებსა და სავიზიტო ბარათებს, გაიგებს რომანის ოთხი მთავარი გმირის წარსულისა და მათი ურთიერთკავშირის დეტალებს და, რაც მთავარია, გამოიძიებს, თუ ვინ და რატომ ჩაიდინა მკვლელობა, ვინ არის მკვლელი და ვინ იყო მოკლული.

წიგნის შეძენა შეგიძლიათ „სანტა ესპერანსასა“ (სანქტ-პეტერბურგის 12) და წიგნის სხვა მაღაზიებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოტიკო და ჩიკიტა



ცხოველები ზოგჯერ უცნაურად იქცევიან. ბრაზილიაში კატამ ბუდიდან გადმოვარდნილი ფრთამოტეხილი ჩიტი იშვილა. ბუნებით ჩიტებზე მონადირემ უეცრად ნირი იცვალა — არავინ იცის, საწყალი ჩიტუნა შეეცოდა თუ ახალი ნასაუზმევი იყო, მაგრამ ფაქტია, რომ ფრთოსანს ნამდვილად დაუმეგობრდა. დედობილი ღვიძლი შვილივით უვლის პოტიკოს (ასე დაარქვეს ჩიორას). ორივე ერთი თეფშიდან ჭამს. ჩიტი, მეგობარს გული რომ არ დასწყვიტოს, ხორცსაც კი კენკავს. თბილ და მზრუნველ გარემოში მოხვედრილმა პოტიკომ სულ დაივიწყა თავისიანები და ფაქტობრივად, სასიკვდილოდ გაწირა ისინი — ერთგული მეგობრები ახლა ერთად ნადირობენ. „ეს მართლაც დაუჯერებელია, ფისო ჩიკიტა პოტიკოს სატყუარად იყენებს. ჩიორა ჟღურტულით იხმობს თავისიანებს. ისინიც მიუსკუპდებიან პოტიკოს. ამ დროს შორიახლოს ჩასაფრებული ჩიკიტა ისკუპებს და იოლი ნადავლიც ბრჭყალებში მოექცევა“, — ამბობს კატის პატრონი.

***ნოვიე იზვესტია***

# კლასიკოსის სიყვარულით

ესპანელმა კინემატოგრაფისტებმა გადაწყვიტეს გადაიღონ კომედია, რომელშიც სერვანტესის და შექსპირის გამოგონილი მეგობრობის ამბები იქნება ნაჩვენები. ფილმზე — „მიგელი და უილიამი“ — მუშაობა თებერვლის ბოლოს დაიწყება. მოქმედება შექსპირის ახალგაზრდობის წლებში ვითარდება. ფილმის პარალელურად დაგეგმილია მეორე კომედიის გადაღება. მასში „დონ კიხოტის“ ავტორი არა მხოლოდ შექსპირის, არამედ მისი თანამედროვის, ინგლისელი დრამატურგის, ქრისტოფერ მარლოს მეგობარიცაა. კინოს მოღვაწეთა ამგვარი აქტიურობა უკავშირდება იმ ფაქტს, რომ წელს სერვანტესის რომანს 400 წელი უსრულდება. ორივე ფილმს აფინანსებს ფონდი „დონ კიხოტის ოთხასი წლისთავი“.

***ლიზა***

# შუმახერმა ყველას გაასწრო



ჟურნალმა Stern-მა დაითვალა გერმანიაში სახელგანთქმული ადამიანების თვიური შემოსავალი. აღმოჩნდა, რომ ყველაზე დიდ თანხას იღებს მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, ფერარის პილოტი მიხაელ შუმახერი. მისი ერთი თვის შემოსავალია 4,83 მლნ ევრო. სიაში მეორე ადგილზე 1,42 მლნ ევროთი შუმახერის უმცროსი ძმა რალფი, გუნდ „ტოიოტას“ მრბოლელი გახლავთ. ძმები შუმახერები კარგა ხანია, გერმანიაში არ ცხოვრობენ, რათა თავიანთი მაღალი ხელფასებიდან მაღალი გადასახადები არ იხადონ. მესამე ადგილზეა ცნობილი კალათბურთელი დირკ ნოვიცკი, რომელიც თავის ქონებას ყოველთვიურად 875 ათასი ევროთი ამდიდრებს.

გერმანელი პოლიტიკოსები სპორტსმენებზე ბევრად ნაკლებ გასამრჯელოს იღებენ. თვალსაჩინოებისთვის ისიც კმარა, რომ გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის თვიური ხელფასი 20 ათასი ევროა.

***დენგი***

# ბაბუას სკივრი

ამერიკელი ბეისბოლისტის ჯო დიმაჯიოს შვილიშვილებმა გადაწყვიტეს, აუქციონზე გაყიდონ 1000-ზე მეტი ბაბუისეული ნივთი. რა თქმა უნდა, დიმაჯიო ამერიკელებისთვის ცნობილი კაცია, მას ათასობით ადამიანი სცემდა თაყვანს, უძღვნიდა ლექსებს, სიმღერებს. ბეისბოლისტი ერნესტ ჰემინგუეის მოთხრობის „მოხუცი და ზღვა“ ერთ-ერთ პერსონაჟადაც კი იქცა. ეს სახელგანთქმული კაცი უპირველესად მსოფლიოსთვის ცნობილია, როგორც მერილინ მონროს ერთ-ერთი ქმარი, ამიტომაც მის კოლექციაში საინტერესო სწორედ მსახიობის სურათებია. მათმა ცოლქმრობამ სულ რამდენიმე თვე გასტანა, მაგრამ დიმაჯიო არასოდეს ივიწყებდა ყოფილ მეუღლეს. მონრო დრამატურგ არტურ მილერთან განქორწინების შემდეგ დაუბრუნდა დიმაჯიოს, მაგრამ მხოლოდ როგორც ახლო მეგობარი. მერილინის გარდაცვალების შემდეგ, ჯო სიკვდილამდე, ანუ ოცი წლის განმავლობაში, საყვარელი ქალის საფლავზე ყოველდღე ორ წითელ ვარდს გზავნიდა...

***იტოგი***

# ახალი თოჯინა



თოჯინა ბარბის ეგვიპტის ბაზარზე კონკურენციას უწევს თოჯინა ფულა, რომელიც მუსლიმანთა ტრადიციისამებრ არის შემოსილი. ბევრი ეგვიპტელი დედიკო ამჯობინებს ფულას. თოჯინების მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენელი ასე ხსნის ფულას უპირატესობას: „ჩვენ იმგვარი პერსონაჟი უნდა შეგვექმნა, რომელიც ახლოს იქნებოდა ეგვიპტელ დედებთან და ბავშვებთან. ფულა წესიერია, მოსიყვარულე და მზრუნველი. იგი პატივს სცემს მშობლებს“. ბარბის ბოიფრენდის, კენის შესაბამისი თოჯინა ეგვიპტელებს არ შეუქმნიათ, ამიტომ ფულა ჯერჯერობით მარტოა. თუმცა წარმოებაშია ჩაშვებული ფულა-ექიმი და ფულა-მასწავლებელი — ეს პროფესიები მუსლიმანთა შორის ქალისათვის საპატიოდაა მიჩნეული.

***ვოგი***

# მალაიზია თოვლის კაცს ეძებს

მალაიზია მსოფლიოში პირველი ქვეყანაა, რომელიც ოფიციალურად აპირებს თოვლის კაცის ძებნის დაწყებას, — განაცხადა ქვეყნის ხელისუფლებამ. პოლიტიკოსებს მაინცდამაინც არ სჯერათ მისი არსებობისა, მაგრამ რამდენიმე ადგილობრივმა დაბეჯითებით განაცხადა, — ჩვენი თვალით ვნახეთ იეტიო და რალას იზამდნენ...

უცნაურ არსებას პირველად შარშან, ნოემბერში ჯოჰორის შტატში გადაეყარა სამი მეთევზე — მისი ნაფეხურები 45 სმ-ს აღწევდა, სიმაღლით დაახლოებით 3 მ იქნებოდაო, — იფიცებოდნენ. მოგვიანებით კიდევ რამდენიმე კაცმაც დაადასტურა მისი არსებობა.

***ნიუს რუ***



# ყრუ უეცრად განიკურნა

72 წლის ბრიტანელი დერეკ გლოვერი მშვიდად ისვენებდა სათხილამურო კურორტზე და დათოვლილი მთების ყურებით ტკბებოდა. ფუნიკულორიდან კაბინით დაეშვა, მოულოდნელად ყურებში რაღაცამ გაიტკაცუნა და გამაყრუებელი ხმაური გაიგონა. სიხარულისგან გაშეშებულმა მაშინვე მოიძრო სასმენი აპარატი. „შინ რომ დავბრუნდი, ხმა არ ამომიღია, მეშინოდა, ისევ არ დავყრუებულიყავი. მედდამ გამსინჯა — ყველაფერი წესრიგშიაო, — მითხრა. ჩემი სმენადობა ყოველწამს უმჯობესდებოდა და უკვე აღარ მჭირდებოდა სასმენი აპარატი,“ — თქვა დერეკმა, რომელსაც 15 წელიწადი ყურთასმენა წართმეული ჰქონდა.

ექიმები ფიქრობენ, რომ ამ გაუგონარი განკურნების მიზეზი შეიძლება გამხდარიყო ატმოსფერული წნევის ცვალებადობა.

***მონდი***

# მადონას ღვინო

პოპმუსიკის ვარსკვლავმა მადონამ თავისი ახალი ალბომის წარმატების აღსანიშნავად ღვინის გამოშვება გადაწყვიტა. ალბომი გასაღების კოეფიციენტით მსოფლიოში ლიდერთა შორისაა. მადონას ერთი ბოთლი ღვინო 21-დან 38 ევრომდე ეღირება. ეტიკეტზე, ალბომის გარეკანის გარდა, მადონას პორტრეტიც იქნება გამოსახული. ერთ-ერთი ღვინის მწარმოებელი იქნება მადონას მამა — სილვიო ჩიკონე, რომელსაც მიჩიგანის შტატში აქვს ვენახები. გარდა ალკოჰოლურისა, მადონა უალკოჰოლო ღვინოსაც გამოუშვებს, რადგან პოპვარსკვლავი კარგა ხანია ცხოვრების ჯანსაღ წესს მისდევს.

***თაიმი***

# ლოთ ქმრებს საჯაროდ გააპანღურებენ

ინდოეთის ანდრა-პრადეშას შტატის მკვიდრ ქალებს თავი მოაბეზრეს ლოთმა ქმრებმა. მათ სპირტიანი სასმელების მაღაზიების დახურვაც კი სცადეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მაშინ გადაწყვიტეს, ლოთი ქმრებისთვის ჭკუის სასწავლებლად საგანგებო კომიტეტი შეექმნათ. დაადგინეს: ყველა მთვრალი მამაკაცი ცოლისგან საჯაროდ ხუთ პანღურს მიიღებს. ქალები ამასაც არ დასჯერდნენ — მოითხოვეს ლოთის დაჯარიმება 113 დოლარით. ფული გადაეცემა განაწყენებულ ცოლს, რომელსაც შეუძლია მისი საკუთარი სიამოვნებისთვის დახარჯვა.

***ოჯი***

## ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ბეძა ონიანის (ლინზას) სიტყვებს ამოიკითხავთ.

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გ | ა | ე | რ | თ | ე | დ | ა | დ | ა | ი | ს | ვ | ე | ნ | ე | ჩ | ვ | ე | ნ | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ი | ი | ს | ი | დ | ს | ფ | ო | ა | ა | ნ | კ | ე | ი | ა | ტ | ი | ნ | ზ | ქ | | ო | დ | | შ | ი | ო | ო |

**გ.** საჭადრაკო პარტიის ისეთი დასაწყისი, როდესაც თეთრები შეტევაზე სწრაფად გადასვლის მიზნით სწირავენ პაიკს ან რომელიმე სხვა ფიგურას; **ა.** თამბაქოს სამშობლო; **ე.** რა ერქვა ჩე გევარას; **რ.** ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; **თ.** რა ერქვა აქილევსის დედას, რომელსაც განბანვის დროს საკუთარი შვილი ქუსლით ეჭირა; **ე.** უძველესი ქართული სახელმწიფო; **დ.** გემის კურსიდან აცდენა; **ა.** ინგლისის უძველესი სახელწოდება; **დ.** ნადირობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში (ბერძნულ მითოლოგიაში მას არტემიდე შეესატყვისება); **ა.** სამცხის მმართველთა ტიტული; **ი.** მგალობელი ფრინველი; **ს.** თავის კანი თმიანად, რომელსაც ინდიელები მოკლულ მტერს აჭრიდნენ; **ვ.** წვრილი, ბოლოში ორად გაყოფილი დროშა, რომელსაც სამხედრო გემებზე აღმართავენ; **ე.** სახელმწიფოს მიერ ქაღალდის ფულის გამოშვება; **ნ.** ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **ე.** ... ნინოშვილი; **ჩ.** მარდი, მამაცი; **ვ.** ქალაქი, სადაც მიმდინარეობს „რომეო და ჯულიეტას“ მოქმედება; **ე.** რა ერქვა „ნატვრის ხის“ პერსონაჟს, ულარიბეს გლეხს, რომელიც მთელი სიცოცხლე ოქროს თევზს, ნატვრისთვალსა და ნატვრის ხეს ეძებდა. ელოდა როდის გაიხსნებოდა ცა და როდის დადებდა მისი ერთადერთი დედალი ოქროს კვერცხს; **ნ.** რა ერქვა ლენინის ცოლს; **თ.** რა ცხოველი იყო ამალთეა, რომელმაც საკუთარი რძით გამოკვება ჩვილი ზევსი; **ა.** თეორემა, რომელსაც დამტკიცება არ სჭირდება; **ნ.** აშშ-ის შტატი, სადაც მდებარეობს ქალაქი ლას-ვეგასი; **ე.** რა ერქვა დათა თუთაშხიას დას; **რ.** ბირმის დედაქალაქი; **თ.** თავის ქალის ზედა ნაწილი; **ა.** ამაღლებული ადგილი ეკლესიაში, საიდანაც ლოცვებს წარმოთქვამენ; **დ.** ზღაპრული ურჩხული.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**დ.** დოცენტი; **ა.** აკიმი; **ი.** იშხანი; **ს.** სმეტანა; **ვ.** ვიკონტი; **ე.** ებრაელი; **ნ.** ნეი; **ე.** ეშმაკი; **თ.** თეირანი; **პ.** პანიკა; **ა.** ალაფი; **ლ.** ლილეო; **ი.** იკებანა; **ტ.** ტიბალტი; **რ.** რემარკი; **ი.** იტალია; **ს.** სვანეთი; **ფ.** ფირალი; **ე.** ერუდიტი; **რ.** რინგი; **თ.** თოდაძე; **ა.** ანანასი; **გ.** გამბიტი; **ა.** ათაბაგი; **მ.** მარსი; **ა.** ასთმა; **შ.** შნო; **ი.** იუნგა.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: ციხე კრიმინალებმა არ უნდა მართონ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენთვის, ქალბატონებო!

# ჩემმა შვილმა სხვას ოჯახი დაუნგრია



ქალბატონ ქეთევანს ერჩივნა, მიწა გასკდომოდა და ეს ამაზრზენი ამბავი არ გაეგონა.

...სამზარეულოში ფუსფუსებდა, როცა ტელეფონმა დარეკა. ყურმილი აიღო.

— ქალბატონი ქეთევანი ბრძანდებით? — მოისმა უცნობი ქალის ხმა.

— დიახ.

— თქვენთან ლაპარაკი მინდოდა.

— ბრძანეთ.

— მიხედეთ თქვენს ტუტუც გოგოს, სამშვილიან კაცს რომ აჰკიდებია და ოჯახს უნგრევს. ჩემი ქმარი 43 წლისაა, თქვენი შვილი — 22-ის, ლამის შვილად ერგება, არ გრცხვენიათ? — მრისხანებდა უცნობი.

ქეთევანს ცივმა ოფლმა დაასხა. ქალი კი არ ცხრებოდა — უზნეო ქალიშვილი გყავს, კაცს თავბრუ დაახვია და ცოლ-შვილზე ხელი აალებინა, თბილისის გარეუბანში ბინა აქვთ დაქირავებული და იქ ხვდებიან ერთმანეთსო. მერე დაემუქრა: — თუ თქვენს ქალიშვილს ჭკუას არ ასწავლით, ისეთ რამეს გავაკეთებ, ყველას გაწანებთო.

ელდისაგან გაოგნებულმა ქეთევანმა ისიც ვერ მოიფიქრა, ყურმილი დაედო.

გვანცას სტუდენტობისას თანაკურსელი უყვარდა, მერე რალაცაზე იჩხუბეს და დაშორდნენ. ქეთევანს აინტერესებდა დაშორების მიზეზი, მაგრამ მისმა ნებიერმა ნაბოლარამ იოლად არ იცოდა გულის გახსნა. დედას ესლა უთხრა, — მივხვდი, რომ არ მყვარებიაო და პირზე კლიტე დაიდო. ქეთევანი ატყობდა, მაინც გაუჭირდა შეყვარებულთან დაშორება... მერე მუშაობა დაიწყო. ყოველთვის 7 საათზე ბრუნდებოდა შინ. მერე და მერე დაგვიანებას უმატა. დედას კმაყოფილი ეუბნებოდა, — ძალიან კარგი თანამშრომლები მყავს, სამსახურის მერე ვილხენთ ხოლმეო. ბოლო ხანს გახალისებული ჩანდა. ქეთევანსაც უხაროდა შვილის „გამოდარება". ქეთევანს გაახსენდა, — გვანცა ახალ მეგობრებთან ერთად გუდაურში წავიდა რამდენიმე დღით. ალფრთოვანებული დაბრუნდა, თუმცა რატომლაც იქ გადაღებული ფოტოები არ ჩამოუტანია. ეჭვმა გაკენწლა — იმ უცნობი ქალის ნათქვამში ბევრი რამ ენიშნა... თუმცა ქეთევანი ვერაფრით ეგუებოდა იმ აზრს, რომ გვანცას შეეძლო ცოლშვილიანი მამაკაცი შეჰყვარებოდა...

როგორც იქნა, შვილიც დაბრუნდა. მაშინვე შეატყო დედას უგუნებობა. მიეფერა, მიესიყვარულა, — რამე ხომ არ მოხდაო. ქეთევანს გული აუჩუყდა და ცრემლები გადმოსცვივდა, — ეს რა მოვისმინე... მითხარი, რომ ყველაფერი სიცრუეა, თორემ ახლავე მოვიკლავ თავსო. გვანცამ კი — ალარ შემიძლია ამდენი ტყუილი, ძალიან მიყვარს რეზო, იმასაც ვუყვარვარ, მერე რა, რომ ცოლშვილიანია, ჩვენ მალე ხელს მოვაწერთ და ერთად ვიქნებითო. თმაში ხელი წაივლო ქეთევანმა, — მამაშენი ამას ვერ გადაიტანსო. უცებ გულზე მარწუხივით მოუჭირა რალაცამ და... დედაო, — იკივლა გვანცამ. სასწრაფო დახმარებას გამოუძახა. ექიმებმა ქალს ინფარქტი დაუდგინეს...

იმ დღიდან ერთი წელი გავიდა.

ქალბატონი ქეთევანი რედაქციაში მესტუმრა. შეწუხებულმა მითხრა, — ჩემი შვილი ცოდვიანია, სამ ბავშვს მამა წაართვაო.

*— ქალბატონო ქეთევან, ახლა ერთად არიან გვანცა და რეზო?*

— ერთად არიან, შვილო. ხელი მოაწერეს და საცხოვრებლად გერმანიაში გაემგზავრნენ. რეზოს იქ ბიზნესპარტნიორები ჰყავს. კარგად არიან, მეც მეხმარებიან და ჩემს უფროს ქალიშვილებსაც...

*— მერე რატომ დარდობთ გვანცას გამო. ის ხომ სიყვარულით გათხოვდა და ბედნიერია.*

— ჩემო კარგო, გვანცამ თავისი ბედნიერება სხვის ტკივილსა და ცრემლზე ააგო. არა მგონია, ბოლომდე ასე გაგრძელდეს და ეს მადარდებს. გარდა ამისა, დღემდე მირეკავენ, მლაძლავენ, მემუქრებიან, ათას სისაძაგლეს მეუბნებიან. ალარ შემიძლია, ველარ ვუძლებ ამ უსიამოვნებებს, ინფარქტგადატანილი ქალი ვარ... ჩემი მეუღლე უფრო მაგრად შეხვდა ამ ამბავს, ცდილობს, ამარიდოს უსიამოვნებები და სატელეფონო „შემოტევებს" ის უმკლავდება. ამას წინათ კართან რეზოს შვილების სურათები დამიყარეს. კინალამ გავგიჟდი.

*— რა ხნისანი არიან ბავშვები? ნუთუ მამა გერმანიიდან არ ეხმარებათ?*

— უფროსი გოგონა 12 წლისაა, ბიჭები 9-ისა და 6 წლისანი არიან. გული მიკვნესის მათი შემხედვარე, მაგრამ რა ვქნა, რისი შეცვლა შემიძლია? რეზო მათაც ეხმარება, თუმცა მის ცოლყოფილს დაუჟინია — არაფერი მინდა, ქმარი დამიბრუნეთო. წარამარა შინ მივარდება, ბავშვებიც თან მოჰყავს, ან მეგობრებს მიგზავნის ხოლმე და თავიდან იწყება ყველაფერი. გვანცამ და რეზომ თავს უშველეს, მე კი ყოველი ზარის დარეკვაზე გული მისკდება. როდის დამთავრდება ეს კოშმარი, არ ვიცი.

ამას წინათ რეზოს ცოლყოფილი მოგვივარდა, უმცროსი ბიჭუნა ახლდა თან. ჩხუბი წამოიწყო. ამ დროს ჩემი მეუღლეც მოვიდა და უთხრა, — თუ აქედან არ წახვალთ, პატრულს გამოვუძახებო. პატრულის ხსენებაზე ბავშვი ატირდა. სოსოც (ჩემი ქმარი) იძულებული შეიქნა, გაჩერებულიყო. ქალმა მოგვაყვირა, — ჩემი შვილების ცოდვა თქვენს კისერზეაო და კარი გაიჯახუნა. მას მერე ალარ გამოჩენილა. სამაგიეროდ, ტელეფონით ლანძღვას უმატა. ამას წინათ სოსომ მიაკითხა და მკაცრად გააფრთხილა — ნუ გვირეკავთო. იუარა, — მე არ ვრეკავ, ალბათ ჩემი გულშემატკივრები არიან. ვინც ეს ამბავი იცის, ნაცნობია თუ უცნობი, ყველა თქვენ გამტყუნებთ და სათითაოდ ხომ არ ავუკრძალავ თქვენთან დარეკვასო.

*— რეზომ ან გვანცამ იციან, ასეთ დღეში რომ ხართ?*

— იციან. რეზომ წასვლის წინ სცადა, მშვიდად დალაპარაკებოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. აქ რომ ალარ დაედგომებოდათ, ამიტომაც წავიდნენ გერმანიაში, თორემ რეზოს არც აქ უჭირდა ცხოვრება.

ძალიან ვწუხვარ, რომ გვანცა ოჯახის დანგრევის მიზეზი შეიქნა, მაგრამ მე ხომ ველარაფერს შევცვლი-მეთქი, — ვუთხარი ერთხელ რეზოს ცოლყოფილს. ამის თქმა და, ჩემს ბინაში რა ჭურჭელიც ხელთ მოხვდა, ყველა თავზე დამამტვრია — რას ჰქვია, ალარაფერი შეიცვლება, უბედური რატომ უნდა ვიყო შენი უწესო შვილის გამოო.

გვანცა და რეზო გერმანიიდან ჩამოსვლას არ აპირებენ, მალე ბავშვს ელოდებიან, ლილი კი ყოველდღე მე მაწიოკებს. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა მიხვდეს, რომ ჩხუბით ქმარს ველარ დაიბრუნებს, ხოლო გვანცას მშობლებს მთელ ამ ორომტრიალში ყველაზე ნაკლები ბრალი მიუძღვით...

იმედი მაქვს, ამ წერილს რომ წაიკითხავს, ცოტათი მაინც გაუნელდება რისხვა. ვფიქრობ, არ არის საჭირო ბავშვების აქეთ-იქით ტარება, მათ ყველაზე მეტად სჭირდებათ მოფრთხილება, მით უფრო დედის მხრიდან. მჯერა, მამა მათ არაფერს გაუჭირვებს, თუმცა, გულწრფელად ვამბობ, შვილებს, რა თქმა უნდა, დედის და მამის თანადგომა ერთნაირად სჭირდებათ...

*რუბრიკა მოამზადა მარინა ბაბუნაშვილმა*

*ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ — 899 27-25-61*

# „ლიპიანები და მელოტები ნუ გამომეხმაურებიან"

არავინ დაიჩემოს, რომ ასეთ და ასეთთან არაფრის დიდებით ოჯახს არ შევქმნიო.

ლიკა ახლახან გათხოვდა და ღიმილით მიამბო თავისი ამბავი:

— ერთხელ, შინ მამაჩემის თანამშრომლები გვეწვივნენ. 5 წლის ვიყავი. სტუმრების მოსვლით გახარებულმა „ოჯახური" კონცერტი გავმართე. ალფრთოვანებულებმა ტაში დამიკრეს. ერთმა კი, მელოტმა და ლიპიანმა ნოშრევანმა, ამიტაცა, მაგრამ ეტყობა, გვარიანად მთვრალი გახლდათ, ველარ დამიჭირა და ძირს მოვადინე ზლართანი. იცოცხლე, მაშინ მე ლრიალი მოვრთე. იმ დღიდან შემძულდა მელოტი და ლიპიანი კაცები.

...მერე, როცა ლაპარაკი ჩამოვარდებოდა საბედოებზე, ხელებს ვასავსავებდი — მელოტსა და ლიპიან მამაკაცს არც კი შევხედავ-მეთქი.



ერთხელ, მეგობარს ვესტუმრე. მამამისის დაბადების დღეზე კი მოვხვდი — თენგო ბიძიას 50 წელი უსრულდებოდა. სტუმრებს შორის იყო იუბილარის უმცროსი ძმა და მისი მეგობარი, ერთ-ერთი მსხვილი საწარმოს მთავარი მენეჯერი. ესეც მაიკომ (ჩემმა მეგობარმა) მითხრა, თორემ სულ არ მაინტერესებდა არც მათი თანამდებობა და არც ოჯახიშვილობა, რადგან თითქმის ყველა ლიპიანი და მელოტი იყო. შუა ლხინში მაიკომ ჩამჩურჩულა, — ბიძაჩემის მეგობარი თვალს არ გაშორებს, ძალიან მოეწონეო. გამეცინა: — ხომ იცი, რომ ლიპიანებს ვერ ვიტან-მეთქი (ცოდვა გამხელილი სჯობს, ლიპიანი კი იყო, მაგრამ მელოტი არა)..

რამდენიმე თვე გავიდა. თავიდან ვატყობდი, მაიკოს უნდოდა რალაც ეთქვა ბიძამისის მეგობარზე, მაგრამ თავი ისე დავიჭირე, სიტყვაც ველარ დაძრა.

ერთხელ, ხუმრობით მე, მაიამ და ხათუნამ „საშუამავლო" გაზეთში დასაბეჭდად განცხადება გავგზავნეთ. სამივემ ჩვენ-ჩვენი გარეგნობა ალვწერეთ. მე ჩემს განცხადებაში მივუთითე: ლიპიანები და მელოტები ნუ შემომეხმიანებიან-მეთქი.

სამი დღის მერე მობილურზე უცნობი ნომერი დაფიქსირდა. მამაკაცის სასიამოვნო ხმა გავიგონე: — მოდით ჯერ მობილურით შევეხმიანოთ ერთმანეთს. თუ მივხვდებით, რომ ერთმანეთს კარგად ვუგებთ, მერე შევხვდეთო. ავყევი, მით უმეტეს, რომ უცნობი სულაც არ მოითხოვდა შეხვედრას. თუმცა, გაკვირვება ვერ დავმალე და ვკითხე, საიდან გაიგეთ ჩემი ნომერი-მეთქი და — ეს ჩემი საიდუმლოაო და დაამატა — კობა მქვიაო. ისე შევეჩვიე მის ხმას, რომ დილით დარეკვა რომ შეაგვიანდებოდა, მოუსვენრად ვგრძნობდი თავს. ძალიან თავაზიანი იყო. ორი კვირის მერე შევთავაზე, შევხვდეთ-მეთქი. სახტად დავრჩი, როცა შეხვედრაზე უარი მითხრა, კიდევ ერთი თვე დამაცადეო.

აცრემლებული ვუყვებოდი ჩემს მეგობრებს ამ ამბავს, — ხუმრობით დავიწყე და მართლა შემიყვარდა უცნობი-მეთქი. გოგოებს გაეცინათ, — იქნებ ლიპიანი და მელოტია და იმიტომაც არ გენახვებაო. საგონებელში ჩავვარდი, არადა რაც დრო გადიოდა, მით მეტად მეძალებოდა კობას ნახვის სურვილი. ისიც ყურადღებას არ მაკლებდა. ყოველ დილით ისეთი თბილი, გრძნობით ალსავსე მესიჯები მხვდებოდა მობილურზე, რომ სიხარულისგან მეცხრე ცაზე დავფრინავდი. არც საჩუქრებს მაკლებდა — ხან ჩემი ეზოს ბავშვებს ამოჰქონდათ ყვავილები და სუვენირები, ხან მის მძლოლს.

ბოლოს, როგორც იქნა, დადგა ნანატრი დღე და კობამ მითხრა, — 2 იანვარს, საღამოს 8 საათზე შენთან მოვალ და მშობლებს შენს ხელს ვთხოვო. ავფორიაქდი. ყოველ შემთხვევისთვის მშობლები შევამზადე, — თქვენი სასიძო მოვა-მეთქი. რვას 5 წუთი აკლდა, ზარის ხმა რომ გაისმა. მაშინვე კართან გავჩნდი. ზლურბლზე იდგა საშუალო სიმაღლის, ცოტა ჩასხმული სანდომიანი მამაკაცი.

— გამარჯობა ლიკა, — მითხრა მან და თაიგული მომაწოდა... რალა უნდა მექნა, შინ შემოვიპატიჟე და მთელი საღამო თვალს არ ვაცილებდი. მეჩვენებოდა, რომ სადლაც მყავდა ნანახი. კობამ ჩვენებიც მოხიბლა და რა დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, იმ საღამოსვე შეუთანხმდა ჩემს მშობლებს ჯვრისწერის დღეზე.

ჩვენ მეორე დღესაც შევხვდით ერთმანეთს და სწორედ მაშინ გაირკვა ყველაფერი. კობა მაიკოს ბიძის მეგობარი გახლდათ, სწორედ ის ლიპიანი კაცი, რომელიც თენგო ბიძიას დაბადების დღეზე გავიცანი. მისთვის მაიკოს ეთქვა, — დასანახავად ვერ იტანს მელოტ და ლიპიან კაცებსო. გახდომა უმოკლეს დროში გადაწყვიტა და ორ თვეში მართლაც საგრძნობლად დაიკლო. კობა ისე მიყვარს, მთლად რომ დასცვივდეს თმა და გასუქდეს, ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ ექნება.

ამიტომ გოგოებო, ნურაფერს დაიქადებთ, რა იცით, რა ხდება?




1 რეცეპტის დანიშნულების ზუსტი შესრულება პაციენტის გაჯანსაღების საწინდარია

2 რეცეპტი არის ექიმის მიმართვა აფთიაქისადმი

რეკომენდაცია წითელი A-სგან:
ექიმის დანიშნულების შეცვლა აფთიაქში,
ექიმთან კონსულტაციის გარეშე, სახიფათოა.

ინფორმაციისათვის დარეკეთ 09





1. ეს ფრინველი ვერტიკალური ვარდნისას 316 კმ/სთ სიჩქარეს „ავითარებს“, რაც რეკორდული მაჩვენებელია


2. 1936 წელს 5 რგოლის ნაცვლად ბერლინის ოლიმპიადის სიმბოლო იყო


3. ეს ძველი ბერძენი ორატორი და პოლიტიკური მოღვაწე ზღვის კენჭებით ივსებდა პირს და ისე ვარჯიშობდა მეტყველებაში


4. ეს ამერიკელი ველოველომრბოლელი 1999 წლიდან დღემდე ყოველწლიურად ხდება ველოტურნირ „ტურ დე ფრანსის“ გამარჯვებული


5. ეს ცნობილი ინგლისელი მწერალი II მსოფლიო ომის დროს მოწყალების და იყო

მე-6 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები: 1. მარაბუ; 2. მუტაცია; 3. რიტორიკა; 4. კასილასი; 5. ტირანია; 6. ფურისოდე; 7. იუდა; 8. მტევანი; 9. აიათი; 10. ათენი; 11. რარიტეტი; 12. ოდიში; 13. მალამო; 14. ლავა; 15. პაროლი; 16. დასი; 17. ბანკირი; 18. ერერა; 19. კლიო; 20. კაპელა; 21. პროვიზორი; 22. კიურე; 23. კიპი; 24. შლიმანი; 25. სპა; 26. ნიაგარა; 27. ლირა; 28. მარში; 29. მთვარე; 30. ანატომია; 31. ალიზი; 32. ემალი; 33. სვავი; 34. ქნარი; 35. ყადი; 36. როზა; 37. წენგო; 38. ნექტარი; 39. ირიდა; 40. ყორე; 41. რანდა; 42. ბრიფინგი; 43. ესქილე; 44. გორილა; 45. ლეიტენანტი; 46. კეტა; 47. დია; 48. შოკოლადი; 49. სონი; 50. ეტნა; 51. დოკი; 52. ლოკომოტივი; 53. ნალია; 54. რადიკალი; 55. ტრაქეა; 56. ტური; 57. აბანო; 58. ესაკია; 59. ალენი; 60. პუდელი; 61. ალილო; 62. ანაფორა; 63. ოსპი; 64. ატილა; 65. ვალეტა; 66. პრელუდია; 67. ლეკი; 68. ანანასი; 69. ვოლტი; 70. ტურნე; 71. ავიაცია; 72. ლეი; 73. გოლიათი.

**სურათებზე:** შარაპოვა; 1. მუტი; 2. ბორი; 3. გოეთე; 4. მენდელსონი; 5. დომინო.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები**

შეადგინა ვანო კაჭახიძემ

## ორშაბათი 13 თებერვალი

7.55 „ალო“ 10.00 დოკ/ფ „სალვადორ დალი“ (BBC) 11.00 დოკ/ფ „დიდი კანიონი“ (BBC) 12.00 „მოამბე“ 12.15 „ტურინი 2006“ 13.00 „სარჩევი“ 14.00 ტ/სერიალი „ვედმინი“ (U) 15.00 „მოამბე“ აფხაზურ ენაზე 15.30 „მოამბე“ რუსულ ენაზე 15.45 მულტსერიალი „პაპერნაუტსი“ 16.15 „პოლმარკი“ – ტ/სერიალი „ფორსაიტების საგა“ IV სერია (U) 17.00 დოკ/სერიალი „ლორისების საქმე“ (U) 18.00 „მოამბე“ 18.30 „გზაჯვარედინი“ 19.00 დოკ/ფ „დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა“ (BBC) 20.00 „მოამბე“ 20.45 „ბაბილინა“ 21.00 „ბენი ჰილი“ 21.30 „ტურინი 2006“ 22.00 ფიგურული სრიალი. წყვილები, თავისუფალი პროგრამა (პირდაპირი რეპორტაჟი ტურინიდან) 2.15 საინფორმაციო გამოშვება.

19.00 ბაბილინა 19.15 მ/ს „პატარა კენგურუები“ 19.40 სპექტაკლი „მარადისობის კანონი“.

07.30 დილა 08.00 „რობოტი და რობოტუნები“ 10.00 სერიალი „მოპარული გულები“ (U) 11.00 „ღამის შოუ“ 12.00; 15.00; 17.00; 18.00; 21.00 კურიერი 12.20 სერიალი „დედინაცვალი“ (U) 13.30 სერიალი „წმინდა ინგლისური მკვლელობები“ (U) 15.25 „რობოტი და რობოტუნები“ 16.00 სერიალი „მამაზე სული“ 16.40 სერიალი „მოპარული გულები“ (U) 18.30 პატრული 19.00 სერიალი „მამაზე სული“ 19.50 სერიალი „დედინაცვალი“ 22.00 „შაბათის შოუს“ სკეჩები 23.00 სერიალი „ბრიგადა“ 00.00 იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა 01.00 მხ/ფ „ელექტრონის დღე“ 02.55 კურიერი 03.15 პატრული.

07.50; 09.00; 10.00; 13.00; 14.00; 15.00; 16.00; 17.00; 18.00; 19.00; 20.00; 23.00; 01.30 „ქრონიკა“ 08.00 „იმედის“ დილა. ანიმაციური ფილმი „პრინცესა ნერის თავგადასავალი“ (U) 10.10 სერიალი „ჩემი შეყვარებული“ (U) 11.00 „დროება“ 12.40 „TV-მარკეტი“ 13.15 მხ/ფ „უძლეველი“ (U) 15.20 სერიალი „მოჯადოება“ 16.25 „TV-მარკეტი“ 16.40 დოკ/სერიალი „ყველაზე, ყველაზე, ყველაზე“ 17.30 სერიალი „ჩემი შეყვარებული“ 18.30 სერიალი „მოჯადოება“ 20.55 სერიალი „საბრალო ნასტია“ 21.55 ქართული სერიალი „ცხელი ძაღლი 3“ (U) 23.30 „ლომინი“ 0.00 მხ/ფ „ამერიკელი სამურაი“ (15) 01.40 „იმედის“ მელოდიები.

8.30 მუსიკა 9.00 სერიალი „ასა“ 9.45 სერიალი „ჩენტო“ 10.50 სერიალი „ასა“ 10.55 „მზერა“ 11.05 მხ/ფ „ვანშამი ბრიუვთან ერთად“ (U) 11.55 „მზერა“ 12.05 მხ/ფ 12.55 „მზერა“ 13.05 „კარაბინერები 3“ 13.50 სერიალი „ასა“ 13.55 „მზერა“ 14.05 დოკ/ფ „მეხუთე განზომილება“ 14.35 სერიალი „გვერდიგვერდ“ 14.55 „მზერა“ 15.05 „კარაბინერები 3“ 15.55 „მზერა“ 16.05 კონცერტი 16.50 სერიალი „ასა“ 16.55 „მზერა“ 17.05 სერიალი „გვერდიგვერდ“ 17.35 ანიმაცია 17.50 სერიალი „ასა“ 17.55 „მზერა“ რეგიონებიდან 18.05 სერიალი „ელექტრული ქრონიკები“ 18.55 სერიალი „ასა“ 19.00 „მზერა“ პულსი 19.05 სერიალი „ჩენტო“ 19.30 „მზერა“ პულსი 19.35 სერიალი „ჩენტო“ 20.00 „მზერა“ ვრცელი გამოშვება 20.50 ქართული ფილმი „შერეკილები“ (U) 22.30 სერიალი „ასა“ 23.00 გადაცემა „სასამართლო“ 23.30 მხ/ფ „მატყუარა“ (15).

8.00 „შესანიშნავი შუადღე“ 8.30 ახალი ამბები 8.45 სერიალი „განებივრებული ლამაზმანი“ 9.45 კომედია „მარსი X“ 11.10 მხ/ფ „ყველაფერი“ 12.50 ბოევიკი „ტეხასელი რეინჯერები“ 14.30 ახალი ამბები 14.45 მხ/ფ „დღესასწაული არ იქნება“ 16.30 მულტფილმი 17.30 ახალი ამბები 18.00 „პროექტი მომავალი“ 18.30 ნოვოსტი 18.50 „ფეხბურთი 11 საათზე“ 19.30 „შესანიშნავი შუადღე“ 20.00 „გოლიათი“ 20.30 ახალი ამბები 21.00 „შესანიშნავი შუადღე“ 21.30 „პროექცია“ 22.00 სერიალი „განებივრებული ლამაზმანი“ 23.00 დოკ/ფ 00.00 ახალი ამბები 00.15 „გოლიათი“ 00.45 მხ/ფ „მეცხრე კარიბჭე“.

06.00 Новости. 06.05 "Первая программа". 07.00 "Доброе утро!" 10.00 Новости. 10.10 Т/с "Убойная сила". 11.20 Т/с "Любительница частного сыска Даша Васильева". 12.30 "Кривое зеркало". 13.00 Новости. 13.20 Т/с "Черный ворон". 14.30 М/ф. 15.00 XX зимние Олимпийские игры. Биатлон. Женщины. 16 км. 17.00 Т/с "Хозяйка судьбы". 18.00 "Федеральный судья". 19.00 Новости. 19.10 "Криминальная Россия". 19.40 Т/с "Московская сага". 20.50 "Жди меня". 22.00 "Время". 22.30 Т/с "Грозовые ворота". 23.40 Д/ф "Анна Герман. Вопреки судьбе". 00.25 XX зимние Олимпийские игры. Фигурное катание. Пары. Произвольная программа. 02.45 Х/ф "Маленькие женщины". 04.00 Новости. 04.05 Х/ф "Маленькие женщины" (продолжение). 04.40 Д/ф "Жертвы ревности".

## სამშაბათი 14 თებერვალი

7.55 „ალო“ 10.00 ანიმაცია „საბრინა“ 10.25 ანიმაცია „პილონავტები“ 10.45 ანიმაცია „პატარა კენგურუები“ 11.00 დოკ/ფ „დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა“ (BBC) 12.00 „მოამბე“ 12.15 „ტურინი 2006“ 13.00 „სარჩევი“ 14.00 ტ/სერიალი „ვედმინი“ (U) 15.00 სლალომი. კაცები (პირდაპირი რეპორტაჟი ტურინიდან) 16.30 მულტსერიალი „პაპერნაუტსი“ 17.00 „პოლმარკი“ – ტ/სერიალი „ფორსაიტების საგა“ V სერია (U) 18.00 „მოამბე“ 18.30 დოკ/ფ „სიჩქარე“ 19.00 დოკ/ფ „პრემიის სამკუთხედის ფსკერზე“ (BBC) 20.00 „მოამბე“ 20.45 „ბაბილინა“ 21.00 „ბენი ჰილი“ 21.30 „ტურინი 2006“ 22.00 1)ფიგურული სრიალი. ვაჟები, მოკლე პროგრამა; 2)სლალომი. კაცები (პირდაპირი რეპორტაჟი ტურინიდან) 2.25 საინფორმაციო გამოშვება.

19.00 ბაბილინა 19.15 მ/ს „პატარა კენგურუები“ 19.40 დოკ/ფ „ძუძლაწმინდა“ 20.20 კინოსეანსი „ცარიელი სხეული“.

07.30 დილა 08.00 „რობოტი და რობოტუნები“ 10.00 სერიალი „მოპარული გულები“ (U) 11.00 სერიალი „ბრიგადა“ 12.00; 15.00; 17.00; 18.00; 21.00 კურიერი 12.20 სერიალი „დედინაცვალი“ 13.30 მხ/ფ „ლმერთი დიდია მე კი პატარა“ (U) 15.25 „რობოტი და რობოტუნები“ 16.00 სერიალი „მამაზე სული“ 16.40 სერიალი „მოპარული გულები“ (U) 18.30 პატრული 19.00 სერიალი „მამაზე სული“ 19.50 სერიალი „დედინაცვალი“ 22.00 „ღამის შოუ“ 23.00 სერიალი „ასფალტზე ნადირობა“ 00.00 მხ/ფ „მარტინ გერის დაბრუნება“ 01.50 კურიერი 02.10 პატრული.

07.50; 09.00; 10.00; 13.00; 14.00; 15.00; 16.00; 17.00; 18.00; 19.00; 20.00; 23.00; 01.50 „ქრონიკა“ 08.00 „იმედის“ დილა. ანიმაციური ფილმი „პრინცესა ნერის თავგადასავალი“ 10.10 სერიალი „ჩემი შეყვარებული“ 11.15 სერიალი „საბრალო ნასტია“ 12.25 „იმედის“ მელოდიები 12.40 „TV-მარკეტი“ 13.15 მხ/ფ „ლიფტის მარცხნივ“ 15.20 სერიალი „მოჯადოება“ 16.25 „TV-მარკეტი“ 16.40 დოკ/სერიალი „ყველაზე, ყველაზე, ყველაზე“ 17.30 სერიალი „ჩემი შეყვარებული“ 18.30 სერიალი „მოჯადოება“ 20.55 სერიალი „საბრალო ნასტია“ 21.55 ქართული სერიალი „ცხელი ძაღლი 3“ (U) 23.30 თამაში „ათასიდან ერთი შანსი“ 0.00 მხ/ფ „უღბლო ქალთა კლუბი“ (15) 02.00 „იმედის“ მელოდიები.

8.30 მუსიკა 9.00 ანიმაციური ფილმი 9.30 სერიალი „ასა“ 9.50 სერიალი „ჩენტო“ 10.50 სერიალი „ასა“ 10.55 „მზერა“ 11.05 სერიალი „ელექტრული ქრონიკები“ 11.55 „მზერა“ 12.05 ქართული ფილმი „ჭრიჭინა“ (U) 12.55 „მზერა“ 13.05 ქართული ფილმი (გაგრძელება) 13.50 სერიალი „ასა“ 13.55 „მზერა“ 14.05 დოკ/ფ „მეხუთე განზომილება“ 14.35 სერიალი „გვერდიგვერდ“ 14.55 „მზერა“ 15.05 აერობატები 15.55 „მზერა“ 16.05 გადაცემა „სასამართლო“ 16.50 სერიალი „ასა“ 16.55 „მზერა“ 17.05 სერიალი „გვერდიგვერდ“ 17.35 ანიმაცია 17.50 სერიალი „ასა“ 17.55 „მზერა“ რეგიონებიდან 18.05 სერიალი „მოჭადრაკე“ 18.55 სერიალი „ასა“ 19.00 „მზერა“ პულსი 19.05 სერიალი „ჩენტო“ 19.30 „მზერა“ პულსი 19.35 სერიალი „ჩენტო“ 20.00 „მზერა“ ვრცელი გამოშვება 20.50 რუსული სერიალი „რუსი ამორძალები“ 22.30 სერიალი „ასა“ 23.00 გადაცემა „ტაბუ“ 00.15 მხ/ფ „24 საათი“ (18).

8.00 „შესანიშნავი შუადღე“ 8.30 ახალი ამბები 8.45 სერიალი „განებივრებული ლამაზმანი“ 10.00 „პროექტი მომავალი“ 10.30 დოკ/ფ 11.30 „ვიცინოთ ერთად“ 11.50 მხ/ფ „სიყვარული წესებით და წესების გარეშე“ 14.30 ახალი ამბები 14.45 მხ/ფ „უფრო მეტი, ვიდრე სიყვარული“ 16.30 მულტსერიალი 17.30 ახალი ამბები 17.50 „პროექცია“ 18.30 ნოვოსტი 19.15 „წკაპურტები“ 19.30 შესანიშნავი შუადღე“ 20.00 „გოლიათი“ 20.30 ახალი ამბები 21.00 „შესანიშნავი შუადღე“ 22.00 სერიალი „განებივრებული ლამაზმანი“ 23.00 დოკ/ფ 00.00 ახალი ამბები 00.15 „გოლიათი“ 00.45 მხ/ფ.

06.00 Новости. 06.05 "Первая программа". 07.00 "Доброе утро!" 10.00 Новости. 10.10 Т/с "Убойная сила". 11.20 Т/с "Любительница частного сыска Даша Васильева". 12.30 "Кривое зеркало". 13.00 XX зимние Олимпийские игры. Лыжи. Командный спринт. 15.10 "Зимняя шутка". 16.00 Новости. 16.10 "Лолита. Без комплексов". 17.00 Т/с "Хозяйка судьбы". 18.00 "Федеральный судья". 19.00 Новости. 19.10 "Криминальная Россия". 19.40 Т/с "Московская сага". 20.50 "Пусть говорят". 22.00 "Время". 22.30 Т/с "Грозовые ворота". 23.40 Д/ф "Детская любовь". 00.50 "Ночные новости". 01.10 "Искатели". 02.00 Х/ф "Странные дни". 03.30 Мелодрама "Учителю с любовью". (США). 04.00 Новости. 04.05 Мелодрама "Учителю с любовью". (США) (продолжение). 05.10 "Новые чудеса света".

## ოთხშაბათი 15 თებერვალი

7.55 „ალო“ 10.00 ანიმაცია „საბრინა“ 10.25 ანიმაცია „პილონავტები“ 10.45 ანიმაცია „პატარა კენგურუები“ 11.00 დოკ/ფ „პრემიის სამკუთხედის ფსკერზე“ (BBC) 12.00 „მოამბე“ 12.15 „ტურინი 2006“ 13.00 „სარჩევი“ 14.00 ტ/სერიალი „ვედმინი“ (U) 15.00 სამთო-სათხილამურო სპორტი. ქალები, სწრაფდაშვება (პირდაპირი რეპორტაჟი ტურინიდან) 16.30 მულტსერიალი „პაპერნაუტსი“ 17.00 „პოლმარკი“ – ტ/სერიალი „ფორსაიტების საგა“ VI სერია (U) 18.00 „მოამბე“ 18.30 დოკ/ფ „მითხარი როგორ“ 19.00 დოკ/ფ „წინაპრები“ (BBC) 20.00 „მოამბე“ 20.45 „ბაბილინა“ 21.00 „ბენი ჰილი“ 21.30 „ტურინი 2006“ 22.00 დოკ/ფ „გოგენი უკანასკნელი ილუზიები“ 23.00 ქართული მხ/ფ „ხევსურული ბალადა“ 0.30 საინფორმაციო გამოშვება.

19.00 ბაბილინა 19.15 მ/ს „პატარა კენგურუები“ 19.40 სპექტაკლი „მინიატურების თეატრი“.

07.30 დილა 08.00 „ადამიანი ობობა“ 10.00 სერიალი „მოპარული გულები“ (U) 11.00 „ღამის შოუ“ 12.00; 15.00; 17.00; 18.00; 21.00 კურიერი 12.20 სერიალი „დედინაცვალი“ 13.30 მხ/ფ „დედა“ (U) 15.25 „ადამიანი ობობა“ 16.00 სერიალი „მამაზე სული“ 16.40 სერიალი „მოპარული გულები“ (U) 18.30 პატრული 19.00 სერიალი „მამაზე სული“ 19.50 სერიალი „დედინაცვალი“ 22.00 „ცოცხალი შოუ“ 23.00 სერიალი „ასფალტზე ნადირობა“ 00.00 მხ/ფ „სამყაროთა გზაჯვარედინი“ 01.50 კურიერი 02.10 პატრული.

07.50; 09.00; 10.00; 13.00; 14.00; 15.00; 16.00; 17.00; 18.00; 19.00; 20.00; 23.00; 00.55 „ქრონიკა“ 08.00 „იმედის“ დილა. ანიმაციური ფილმი „პრინცესა ნერის თავგადასავალი“ 10.10 სერიალი „ჩემი შეყვარებული“ 11.15 სერიალი „საბრალო ნასტია“ 12.25 „იმედის“ მელოდიები 12.40 „TV-მარკეტი“ 13.15 მხ/ფ „სიზმრები“ (U) 14.40 „მერიდიანი“ 15.20 სერიალი „მოჯადოება“ 16.25 „TV-მარკეტი“ 16.40 დოკ/სერიალი „ყველაზე, ყველაზე, ყველაზე“ 17.10 „ჩვენი ეზო“ 17.30 სერიალი „ჩემი შეყვარებული“ 18.30 სერიალი „მოჯადოება“ 20.55 სერიალი „საბრალო ნასტია“ 21.55 ქართული სერიალი „ცხელი ძაღლი 3“ (U) 23.30 ქართული მხ/ფ „თბილისი ჩემი სახლია“ (U) 01.05 „იმედის“ მელოდიები.

8.30 მუსიკა 9.00 ანიმაციური ფილმი 9.30 სერიალი „ასა“ 9.50 სერიალი „ჩენტო“ 10.50 სერიალი „ასა“ 10.55 „მზერა“ 11.05 სერიალი „მოჭადრაკე“ 11.55 „მზერა“ 12.05 მხ/ფ „ლულუ სამუდამოდ“ (U) 12.55 „მზერა“ 13.05 მხ/ფ (გაგრძელება) 13.50 სერიალი „ასა“ 13.55 „მზერა“ 14.05 დოკ/ფ „მეხუთე განზომილება“ 14.35 სერიალი „გვერდიგვერდ“ 14.55 „მზერა“ 15.05 რუსული სერიალი „რუსი ამორძალები“ 15.55 „მზერა“ 16.05 რუსული სერიალი (გაგრძელება) 16.50 სერიალი „ასა“ 16.55 „მზერა“ 17.05 სერიალი „გვერდიგვერდ“ 17.35 ანიმაცია 17.50 სერიალი „ასა“ 17.55 „მზერა“ რეგიონებიდან 18.05 სერიალი „მოჭადრაკე“ 18.55 სერიალი „ასა“ 19.00 „მზერა“ პულსი 19.05 სერიალი „ჩენტო“ 19.30 „მზერა“ პულსი 19.35 სერიალი „ჩენტო“ 20.00 „მზერა“ ვრცელი გამოშვება 20.50 ქართული ფილმი „თეთრი ქარავანი“ (U) 22.30 სერიალი „ასა“ 23.00 გადაცემა „სასამართლო“ 23.30 მხ/ფ „სახიფათო სიყვარული“ (15).

8.00 „შესანიშნავი შუადღე“ 8.30 ახალი ამბები 8.45 სერიალი „განებივრებული ლამაზმანი“ 9.45 კომედია „ნათლული“ 11.20 ვესტერნი „ველური ბანდა“ 13.00 მხ/ფ „ციხის თამაშები“ 14.30 ახალი ამბები 14.45 მხ/ფ „ალ კაპონეს ბიჭები“ 16.30 მულტფილმი 17.30 ახალი ამბები 17.45 კონცერტი 18.30 ნოვოსტი 19.00 „პრევენცია“ 19.30 „შესანიშნავი შუადღე“ 20.00 „გოლიათი“ 20.30 ახალი ამბები 21.00 „შესანიშნავი შუადღე“ 22.00 სერიალი „განებივრებული ლამაზმანი“ 23.00 დოკ/ფ 00.00 ახალი ამბები 00.15 გოლიათი 00.45 დრამა „კრაპი“.

06.00 Новости. 06.05 "Первая программа". 07.00 "Доброе утро!" 10.00 Новости. 10.10 Т/с "Убойная сила". 11.20 Т/с "Любительница частного сыска Даша Васильева". 12.30 "Кривое зеркало". 13.00 Новости. 13.20 Т/с "Черный ворон". 14.20 М/ф. 14.50 "Зимняя шутка". 16.00 Новости. 16.20 "Лолита. Без комплексов". 17.10 Т/с "Талисман". 18.00 "Федеральный судья". 19.00 Новости. 19.10 "Криминальная Россия". 19.40 Т/с "Московская сага". 20.50 "Пусть говорят". 21.50 "Время". 22.10 Т/с "Грозовые ворота". 23.00 XX зимние Олимпийские игры. Хоккей. Сборная России - сборная Словакии. 00.30 "Ночные новости". 01.30 "Ударная сила". 02.20 Д/ф "Десант в Антарктиде". 03.10 Т/с "24 часа". 04.00 Новости. 04.05 Комедия "Три помощника". (США).

## ხუთშაბათი 16 თებერვალი

7.55 „ალო“ 10.00 ანიმაცია „საბრინა“ 10.25 ანიმაცია „პილონავტები“ 10.45 ანიმაცია „პატარა კენგურუები“ 11.00 დოკ/ფ „წინაპრები“ (BBC) 12.00 „მოამბე“ 12.15 „ტურინი 2006“ 13.00 „სარჩევი“ 14.00 ტ/სერიალი „ვედმინი“ (U) 15.00 „მოამბე“ აზერბაიჯანულ ენაზე 15.30 „მოამბე“ რუსულ ენაზე 15.45 მულტსერიალი „პაპერნაუტსი“ 16.15 დოკ/ფ „ო, მოდა, მოდა“ 17.00 „პოლმარკი“ – ტ/სერიალი „ფორსაიტების საგა“ VII სერია (U) 18.00 „მოამბე“ 18.30 დოკ/სერიალი „სიჩქარე“ 19.00 დოკ/ფ „მედეგის ბედი“ (BBC) 20.00 „მოამბე“ 20.45 „ბაბილინა“ 21.00 „ბენი ჰილი“ 21.30 „ტურინი 2006“ 22.00 ფიგურული სრიალი. ვაჟები, თავისუფალი პროგრამა (პირდაპირი რეპორტაჟი ტურინიდან) 2.20 საინფორმაციო გამოშვება.

19.00 ბაბილინა 19.15 მ/ს „პატარა კენგურუები“ 19.40 დოკ/ფ 20.30 კინოსეანსი „წკაპურტები“.

07.30 დილა 08.00 „ადამიანი ობობა“ 10.00 სერიალი „მოპარული გულები“ (U) 11.00 „ცოცხალი შოუ“ 12.00; 15.00; 17.00; 18.00; 21.00 კურიერი 12.20 სერიალი „დედინაცვალი“ 13.30 მხ/ფ „ჯოჯოხეთური ცათამბჯენი“ (U) 15.25 „ადამიანი ობობა“ 16.00 სერიალი „მამაზე სული“ 16.40 სერიალი „მოპარული გულები“ (U) 18.30 პატრული 19.00 სერიალი „მამაზე სული“ 19.50 სერიალი „დედინაცვალი“ 22.00 „თავისუფალი თემა“ 23.30 მხ/ფ „თეითმკვლელი ქალწულები“ 01.30 კურიერი 01.50 პატრული.

07.50; 09.00; 10.00; 13.00; 14.00; 15.00; 16.00; 17.00; 18.00; 19.00; 20.00; 23.00; 01.45 „ქრონიკა“ 08.00 „იმედის“ დილა. ანიმაციური ფილმი „პრინცესა ნერის თავგადასავალი“ 10.10 სერიალი „ჩემი შეყვარებული“ 11.15 სერიალი „საბრალო ნასტია“ 12.25 „იმედის“ მელოდიები 12.40 „TV-მარკეტი“ 13.15 მხ/ფ „დიანების საწინააღმდეგოდ“ (U) 15.20 სერიალი „მოჯადოება“ (U) 16.25 „TV-მარკეტი“ 16.40 დოკ/სერიალი „ყველაზე, ყველაზე, ყველაზე“ 17.10 „მიგრაცია“ 17.35 სერიალი „ჩემი შეყვარებული“ 18.30 სერიალი „მოჯადოება“ 20.55 სერიალი „საბრალო ნასტია“ 21.55 ქართული სერიალი „ცხელი ძაღლი 3“ (U) 23.30 „ლომინი“ 0.00 მხ/ფ „მხსნელი“ (15) 01.55 „იმედის“ მელოდიები.

8.30 მუსიკა 9.00 ანიმაციური ფილმი 9.30 სერიალი „ასა“ 9.45 სერიალი „ჩენტო“ 10.50 სერიალი „ასა“ 10.55 „მზერა“ 11.05 სერიალი „მოჭადრაკე“ 11.55 „მზერა“ 12.05 ქართული ფილმი „თეთრი ქარავანი“ (U) 12.55 „მზერა“ 13.05 ქართული ფილმი (გაგრძელება) 13.50 სერიალი „ასა“ 13.55 „მზერა“ 14.05 დოკ/ფ „მეხუთე განზომილება“ 14.35 სერიალი „გვერდიგვერდ“ 14.55 „მზერა“ 15.05 კონცერტი 15.55 „მზერა“ 16.05 გადაცემა „სასამართლო“ 16.50 სერიალი „ასა“ 16.55 „მზერა“ 17.05 „ტელემეტრი“ 17.35 ანიმაცია 17.50 სერიალი „ასა“ 17.55 „მზერა“ რეგიონებიდან 18.05 სერიალი „მოჭადრაკე“ 18.55 სერიალი „ასა“ 19.00 „მზერა“ პულსი 19.05 სერიალი „ჩენტო“ 19.30 „მზერა“ პულსი 19.35 სერიალი „ჩენტო“ 20.00 „მზერა“ ვრცელი გამოშვება 20.50 რუსული სერიალი „რუსი ამორძალები“ 21.50 გადაცემა „გზა ევროპისაკენ“ 22.30 სერიალი „ასა“ 23.00 მოგზაურობა ფოლკლორში 23.40 მხ/ფ „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება შვეიცარიაში“ (15).

8.00 „შესანიშნავი შუადღე“ 8.30 ახალი ამბები 8.45 სერიალი „განებივრებული ლამაზმანი“ 9.45 დოკ/ფ 10.45 კომედია „გურუ“ 12.20 მხ/ფ „დღე ხვალის შემდეგ“ 14.30 ახალი ამბები 14.45 მხ/ფ „ამაზონის განძი“ 16.30 მულტფილმი 17.30 ახალი ამბები 17.50 კონცერტი 18.30 ნოვოსტი 18.45 დოკ/ფ 19.30 „შესანიშნავი შუადღე“ 20.00 „გოლიათი“ 20.30 „ახალი ამბები“ 21.00 „შესანიშნავი შუადღე“ 22.00 სერიალი „განებივრებული ლამაზმანი“ 23.00 „ექსკლუზივი“ 00.00 ახალი ამბები 00.15 „გოლიათი“ 00.45 ბოევიკი „განგსტერები“.

06.00 Новости. 06.05 "Первая программа". 07.00 "Доброе утро!" 10.00 Новости. 10.10 Т/с "Убойная сила". 11.20 Т/с "Любительница частного сыска Даша Васильева". 12.30 "Кривое зеркало". 13.00 Новости. 13.20 Т/с "Черный ворон". 14.20 М/ф. 14.50 "Зимняя шутка". 16.00 Новости. 16.10 "Лолита. Без комплексов". 17.00 Т/с "Талисман". 18.00 "Федеральный судья". 19.00 XX зимние Олимпийские игры. Хоккей. Сборная Швеции - сборная России. 19.40 Новости. 22.00 "Время". 22.30 Т/с "Грозовые ворота". 23.40 Д/ф "Валерий Харламов. Последние 24 часа". 00.35 XX зимние Олимпийские игры. Фигурное катание. Мужчины. Произвольная программа. 02.30 Х/ф "Солдаты Буффало". 04.00 Новости. 04.05 Х/ф "Солдаты Буффало" (продолжение). 04.30 Т/с "Дефективный детектив". (США). 05.00 "Новые чудеса света".

## პარასკევი 17 თებერვალი

7.55 „ალო“ 10.00 ანიმაცია „საბრინა“ 10.25 ანიმაცია „პილონავტები“ 10.45 ანიმაცია „პატარა კენგურუები“ 11.00 დოკ/ფ „მედეგის ბედი“ (BBC) 12.00 „მოამბე“ 12.15 „ტურინი 2006“ 13.00 „სარჩევი“ 14.00 ტ/სერიალი „ვედმინი“ (U) 15.00 სამთო-სათხილამურო სპორტი. ქალები, სწრაფდაშვება (პირდაპირი რეპორტაჟი ტურინიდან) 16.30 მულტსერიალი „პაპერნაუტსი“ 17.00 დოკ/ფ „მარტორქებს გადაშენება არ უწერიათ“ 18.00 „მოამბე“ 18.20 „სათამაშო ლოტო“ 19.00 დოკ/სერიალი „პარალელური სამყაროები“ (BBC) 20.00 „მოამბე“ 20.45 „ბაბილინა“ 21.00 „ბენი ჰილი“ 21.30 „ტურინი 2006“ 22.00 1)ფიგურული სრიალი. წყვილთა ცეკვები, სავალდებულო პროგრამა; 2) სლალომი. ქალები (პირდაპირი რეპორტაჟი ტურინიდან) 1.00 მხ/ფ „მოწყალების ქუჩა“ (12) 2.30 საინფორმაციო გამოშვება.

19.00 ბაბილინა 19.15 თოქ-შოუ 20.05 ქართული ფოლკლორი 20.15 აფხაზეთის ტელევიზია 20.30 სპექტაკლი „შელოცვა რადიოთი“.

07.30 დილა 08.00 „ადამიანი ობობა“ 10.00 სერიალი „მოპარული გულები“ (U) 11.00 სერიალი „ციმბირელი“ 12.00; 15.00; 17.00; 18.00; 21.00 კურიერი 12.20 სერიალი „დედინაცვალი“ 13.30 მხ/ფ „ასი დღე ბავშვობის შემდეგ“ (U) 15.25 „ადამიანი ობობა“ 16.00 სერიალი „მამაზე სული“ 16.40 სერიალი „მოპარული გულები“ (U) 18.30 პატრული 19.00 სერიალი „მამაზე სული“ 19.50 სერიალი „დედინაცვალი“ 22.00 „ღამის შოუ“ 23.00 სერიალი „თანამგზავრი“ 23.40 მხ/ფ „წითელი მზე“ 01.30 კურიერი 01.50 პატრული 02.10 მხ/ფ „ავანი ღარიბე“.

07.50; 09.00; 10.00; 13.00; 14.00; 15.00; 16.00; 17.00; 18.00; 19.00; 20.00; 23.00; 01.55 „ქრონიკა“ 08.00 „იმედის“ დილა. ანიმაციური ფილმი „პრინცესა ნერის თავგადასავალი“ 10.05 სერიალი „ჩემი შეყვარებული“ 11.15 სერიალი „საბრალო ნასტია“ 12.25 „იმედის“ მელოდიები 12.40 „TV-მარკეტი“ 13.15 მხ/ფ „ამაო გარჯა სიყვარულისა“ 14.40 „მერიდიანი“ 15.20 სერიალი „მოჯადოება“ 16.25 „TV-მარკეტი“ 16.40 დოკ/სერიალი „ყველაზე, ყველაზე, ყველაზე“ 17.30 სერიალი „ჩემი შეყვარებული“ 18.30 სერიალი „მოჯადოება“ 20.55 სერიალი „საბრალო ნასტია“ 21.55 ქართული სერიალი „ცხელი ძაღლი 3“ (U) 23.30 „უცნობი საქართველო“ 0.00 მხ/ფ „ბრაზის გამართლება“ (12) 02.05 „იმედის“ მელოდიები.

8.30 მუსიკა 9.00 ანიმაციური ფილმი 9.30 სერიალი „ასა“ 10.00 სერიალი „ჩენტო“ 10.50 სერიალი „ასა“ 10.55 „მზერა“ 11.05 სერიალი „მოჭადრაკე“ 11.55 „მზერა“ 12.05 მხ/ფ „საქმრო ლურსათვის“ (U) 12.55 „მზერა“ 13.05 მხ/ფ (გაგრძელება) 13.50 სერიალი „ასა“ 13.55 „მზერა“ 14.05 გადაცემა „მედი“ 14.25 „ტელემეტრი“ 14.55 „მზერა“ 15.05 რუსული სერიალი „რუსი ამორძალები“ 15.55 „მზერა“ 16.05 გადაცემა „გზა ევროპისაკენ“ 16.50 სერიალი „ასა“ 16.55 „მზერა“ 17.05 სერიალი „გვერდიგვერდ“ 17.35 ანიმაცია 17.50 სერიალი „ასა“ 17.55 „მზერა“ რეგიონებიდან 18.00 დოკ/ფ „მეხუთე განზომილება“ 18.30 გადაცემა „პულსი“ 18.55 სერიალი „ასა“ 19.00 „მზერა“ პულსი 19.05 სერიალი „ჩენტო“ 19.30 „მზერა“ პულსი 19.35 სერიალი „ჩენტო“ 20.00 „მზერა“ ვრცელი გამოშვება 20.50 ქართული ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენა“ (U) 22.30 სერიალი „ასა“ 23.00 გადაცემა „ტაბუ“ 00.00 მხ/ფ „წყლის წონა“ (15).

8.00 „შესანიშნავი შუადღე“ 8.30 ახალი ამბები 8.45 სერიალი „განებივრებული ლამაზმანი“ 9.45 კომედია „ნაციონალური პოლიტიკის თავისებურებანი“ 11.10 მხ/ფ „სიჩქარის წყურვილი“ 12.55 მხ/ფ „ძველი მეომრების წინასწარმეტყველება“ 14.30 ახალი ამბები 14.45 ვესტერნი „რანჩო“ 16.40 მულტფილმი 17.30 ახალი ამბები 17.50 „ოქროს მარცვლი“ 18.30 ნოვოსტი 18.45 მუსიკა 19.10 „ხელხვავი“ 19.30 „შესანიშნავი შუადღე“ 20.00 „გოლიათი“ 20.30 ახალი ამბები 21.00 „შესანიშნავი შუადღე“ 21.30 მხ/ფ „გათხოვილი ქალის ცდუნება“ 00.00 ახალი ამბები 00.15 მხ/ფ „გათხოვილი ქალის ცდუნება“ (გაგრძელება) 01.00 „გოლიათი“.

06.00 Новости. 06.05 "Первая программа". 07.00 "Доброе утро!" 10.00 Новости. 10.10 Т/с "Убойная сила". 11.20 Т/с "Любительница частного сыска Даша Васильева". 12.30 "Кривое зеркало". 13.00 XX зимние Олимпийские игры. Лыжи. Мужчины. 16 км. 14.40 М/ф. 15.10 "Зимняя шутка". 16.00 Новости. 16.10 "Лолита. Без комплексов". 17.00 Т/с "Талисман". 18.00 "Федеральный судья". 19.00 Новости. 19.10 "Кривое зеркало". 19.40 Т/с "Московская сага". 20.50 Телеигра "Поле чудес". 22.00 "Время". 22.25 "Большой спор". 00.50 Х/ф "Поворот не туда". 02.20 Х/ф "Одинокий парень". 04.00 Х/ф "Пикник". (США). 05.50 Т/с "Дефективный детектив". (США).

## შაბათი 18 თებერვალი

8.00 „მოამბე“ 8.15 დოკ/ფ „მითხარი როგორ“ 8.45 „მომავლის ცირკი“ 9.25 საბავშვო სერიალი „სკოლის შემდეგ“ 9.40 ანიმაცია „ზღარბ სონიქის თავგადასავალი“ 10.05 საბ/სერიალი „ექშენმენი“ 10.30 „პოლმარკი“ – ტ/სერიალი „დევიდ კოპერფილდი“ (U) 11.30 დოკ/ფ „არქიტექტურა“ 12.00 „მოამბე“ 12.15 „ტურინი 2006“ 13.00 სპექტაკლი 14.00 სამთო-სათხილამურო სპორტი. კაცები, სუპერგიგანტი (პირდაპირი რეპორტაჟი ტურინიდან) 15.30 დოკ/ფ „ზვიგენები“ 16.30 „არტე“ – დოკ/ფ „ლიბია“ 17.30 მუსიკა - ბობ დილანი 18.00 „მოამბე“ 18.20 ქართული მხ/ფილმი „ჭირვეული მეზობლები“ 20.00 „მოამბე“ 20.45 „მეოთხე მოსმენა“ 21.30 „ტურინი 2006“ 22.00 დოკ/სერიალი „სიჩქარე“ 22.30 მხ/ფილმი „უზნეო ქალები“ (U) 0.00 საინფორმაციო გამოშვება.

19.00 ტელეზღაპარი 19.15 მ/ს „პატარა კენგურუები“ 19.40 კონცერტი 20.30 კინოსეანსი „მაისის თოვლი“.

08.00 კლასიკა 09.00; 12.00; 15.00; 18.00; 21.00 კურიერი 09.30 „ჯეტიქსი“ 11.00 საბ/ფ „ფერიების ქვეყანა“ 12.20 „გაილიმეთ ფარული კამერაა“ 12.50 მხ/ფ „ორნი ზღვის პირას“ 15.20 „წმინდა ინგლისური მკვლელობები“ 17.00 სერიალი „ანდრომედა“ 18.30 სერიალი „ციმბირელი“ 19.20 მხ/ფ „გრეგუარ მულენი, კაცობრიობის წინააღმდეგ“ 22.00 „შაბათის შოუ“ 23.00 მხ/ფ „ალორძინების ხანის ადამიანი“ 01.00 კურიერი 01.30 მხ/ფ „მისტერ და მისის ბრიჯები“.

09.00; 13.00; 17.00; 19.00; 20.00; 23.00; 03.20 „ქრონიკა“ 09.10 ანიმაციური ფილმი „კუ ნინძების ახალი თავგადასავალი“ 10.00 მხ/ფ „ივან ვასილიჩი პროფესიას იცვლის“ (U) 11.30 „რაო-რაო?“ 11.35 „დილის ფოსტა“ 12.20 „იმედითა შენითა“ 12.40 „TV-მარკეტი“ 13.15 მხ/ფ „ახალგაზრდა გულები“ (U) 15.15 სერიალი „მოჯადოება“ 16.15 „TV-მარკეტი“ 16.30 „უცნობი საქართველო“ 17.10 დ/სერიალი „კაზინო“ 18.00 „ეტალონი“ 19.05 სერიალი „მოჯადოება“ 20.30 „ნაცნობი საქართველო“ 21.00 ქართული სერიალი „საპონი“ (U) 22.00 „ღამით მარადონასთან“ 23.15 „ღამით მარადონასთან“ 0.00 მხ/ფ „ცაიტნოტი“ (12) 01.50 მხ/ფ „სენტიმენტალური მკვლელი“ (18) 03.30 „იმედის“ მელოდიები.

9.00 მუსიკა 9.30 ანიმაცია „კაზაკები“ 10.50 „პულსი“ 11.30 სერიალი „კარაბინერები-3“ 12.30 საქართველოს ისტორია 13.00 გადაცემა „მედი“ 13.15 ქართული ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენა“ (U) 14.00 „მზერა“ 14.15 ქართული ფილმი 15.10 კონცერტი 16.45 ფეხბურთი. 18.30 „ბასტი-ბუბუ“ 19.00 ფეხბურთი 19.50 „მზერა“ 20.50 მხ/ფ „უიღბლონი“ (U) 22.15 მუსიკა მზეზე 23.00 მხ/ფ „იმ დღეს“ (12).

8.00 „შესანიშნავი შუადღე“ 8.30 ახალი ამბები 8.45 მულტფილმი 10.15 მხ/ფ „ინდიანა ჯონსი – ბედის ტაძარი“ 12.20 „ვიცინოთ ერთად“ 12.40 კომედია „საგზაო თავგადასავალი“ 14.30 თეატრი 17.30 ახალი ამბები 17.50 ბოევიკი 19.30 „შესანიშნავი შუადღე“ 20.00 „გოლიათი“ 20.30 ახალი ამბები 21.00 „შესანიშნავი შუადღე“ 21.30 მხ/ფ „დიდი ლებოვსკი“ 00.00 ახალი ამბები 00.15 „გოლიათი“ 00.45 მხ/ფ „სცენა“.

07.00 Новости. 07.20 Комедия "Какая у вас улыбка?" 09.00 "Играй, гармонь любимая!" 09.40 "Слово пастыря". 10.00 М/ф. 11.00 Новости. 11.10 "Смак". 11.30 Д/ф "Умереть за красоту". 12.40 XX зимние Олимпийские игры. Лыжи. Женщины. Эстафета 4x5 км. 14.00 Кумиры. 14.30 XX зимние Олимпийские игры. Хоккей. Сборная Казахстана - сборная России. 16.00 Новости. 17.00 Х/ф "Назад в будущее 3". (США). 19.00 Новости. 19.10 "Формула красоты". 20.20 Фестиваль юмора "Умора - 2006". 22.00 "Время". 22.20 "Новые песни о главном - 2106". 23.50 "Сердце Африки". 01.00 Х/ф "Из ада". 03.20 Х/ф "Император севера". 05.30 Т/с "Дефективный детектив". (США). 06.10 "Новые чудеса света".

## კვირა 19 თებერვალი

8.00 „მოამბე“ 8.15 დოკ/ფ „მითხარი როგორ“ 8.45 „მომავლის ცირკი“ 9.25 საბავშვო სერიალი „სკოლის შემდეგ“ 9.40 ანიმაცია „ზღარბ სონიქის თავგადასავალი“ 10.05 საბ/სერიალი „ექშენმენი“ 10.30 „პოლმარკი“ – ტ/სერიალი „დევიდ კოპერფილდი“ (U) 11.30 „ჩვენი ექსპრესი“ 12.00 „მოამბე“ 12.15 „ტურინი 2006“ 13.00 „მსოფლიო რაგბი“ 13.30 სპექტაკლი 15.00 სამთო-სათხილამურო სპორტი. ქალები, სუპერგიგანტი (პირდაპირი რეპორტაჟი ტურინიდან) 16.30 „არტე“ – დოკ/ფ „მეცნიერების მიერ დამტკიცებული“ 17.30 მუსიკა – რ. შტრაუსი 18.00 „მოამბე“ 18.20 „კვირა“ 18.50 დოკ/სერიალი „წყვილები და დუეტები“ 20.00 „მოამბე“ 20.30 ტ/სერიალი „ჩინეჩიტა“ 21.30 „ტურინი 2006“ 22.00 ფიგურული სრიალი. წყვილები, ორიგინალური პროგრამა (პირდაპირი რეპორტაჟი ტურინიდან) 1.30 საინფორმაციო გამოშვება.

19.00 ტელეზღაპარი „უბილეთო ყვავი“ 19.15 კონცერტი 20.45 კინოსეანსი „მეთორმეტე ღამე ანუ როგორც გნებავთ“.

08.00 კლასიკა 09.00; 12.00; 15.00; 18.00; 21.00 კურიერი 09.20 „ჯეტიქსი“ 11.00 საბ/ფ „ფერიების ქვეყანა“ 12.20 მხ/ფ „ორი გული გვირგვინის წინააღმდეგ“ 13.20 მხ/ფ „დამცველი“ 15.20 ახალგაზრდა კომპოზიტორთა მოგზაურობა 17.00 სერიალი „ანდრომედა“ 18.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 19.00 უბნის ინსპექტორი 19.30. მხ/ფ „თოჯინები იცინიან“ 22.00 „გაილიმეთ ფარული კამერაა“ 23.00 მხ/ფ „სეზარი და როზალი“ 01.30 კურიერი 01.50 უბნის ინსპექტორი 02.10 მხ/ფ „ღმერთები და მონსტრები“.

09.00; 13.00; 17.00; 19.00; 20.00; 23.00; 01.40 „ქრონიკა“ 09.10 „იმედის“ მელოდიები 10.00 ანიმაციური ფილმი „კუ ნინძების ახალი თავგადასავალი“ 10.55 „რაო-რაო?“ 11.05 მხ/ფ „ჟანდარმი და უცხოპლანეტელები“ (U) 12.40 „TV-მარკეტი“ 13.20 „თქვენი ექიმი“ 14.00 ქართული სერიალი „საპონი“ (U) 15.15 „ეტალონი“ 15.25 დოკ/სერიალი „კაზინო“ 16.15 „TV-მარკეტი“ 16.30 სპ/პრ „ოლიმპიური ინტერიერი“ 17.20 „პოლიციის აკადემია“ 17.50 „არტ-ბულვარი“ 18.30 „ვაკაჭი“-NEWS“ 19.25 ქართული მხ/ფ „ძმა“ (U) 21.00 „დროება“ 22.30 მხ/ფ „მეცამეტე რაიონი“ (12) 0.05 მხ/ფ „ქალაქური ლეგენდები 2“ (18) 01.50 „იმედის“ მელოდიები.

9.00 მუსიკა 9.30 ანიმაცია „კაზაკები“ 10.25 „ბასტი-ბუბუ“ 10.55 დოკ/ფ „მეხუთე განზომილება“ 11.30 სერიალი „კარაბინერები-3“ 12.25 მხ/ფ „უიღბლონი“ (U) 14.00 „მზერა“ 14.15 მოგზაურობა ფოლკლორში 15.00 ანიმაცია „უცნობი და მათხოვარი“ 16.00 მუსიკა 17.00 „მზერა“ 17.20 საქართველოს ისტორია 17.50 ფეხბურთი 19.45 „მზერა“ 20.00 ფეხბურთი 22.00 სერიალი „ასა“ 23.00 მხ/ფ „ადამიანი, რომელიც არ იყო“ (15).

8.00 „შესანიშნავი შუადღე“ 8.30 ახალი ამბები 8.45 მულტფილმი 10.15 „წკაპურტები“ 10.30 მუსიკა 11.00 „ფეხბურთი 11 საათზე“ 11.30 მხ/ფ „გოგონა ჯერსიდან“ 13.15 მხ/ფ „იმედის წყარო“ 14.50 მხ/ფ 16.45 „ექსკლუზივი“ 17.30 ახალი ამბები 17.50 მხ/ფ „ძმები“ 19.30 „შესანიშნავი შუადღე“ 20.00 „ვიცინოთ ერთად“ 20.30 ახალი ამბები 21.00 კონცერტი 21.30 „გოლიათი“ 21.00 „შესანიშნავი შუადღე“ 22.30 მხ/ფ „ინგლისელი პაციენტი“ 00.00 ახალი ამბები 00.15 მხ/ფ „ინგლისელი პაციენტი“ (გაგრძელება) 01.20 „გოლიათი“.

07.00 Новости. 07.10 "Шутка за шуткой". 07.40 Х/ф "Потому что люблю". 09.20 "Армейский магазин". 09.50 М/ф. 10.20 "Умницы и умники". 11.00 Новости. 11.10 "Непутевые заметки". 11.30 "Пока все дома". 12.20 "Веселые картинки". 13.00 XX зимние Олимпийские игры. Лыжи. Мужчины. Эстафета 4x10 км. 15.00 "История песни". 16.00 XX зимние Олимпийские игры. Хоккей. Сборная России - сборная Латвии. 16.40 Новости. 18.30 "Ералаш". 19.00 "Времена". 19.50 "Кто хочет стать миллионером?" 21.00 "Бисквит". 22.00 "Время". 22.45 Х/ф "Дежурный папа". 00.30 Профессиональный бокс: Ф. Мейуэзер - Ш. Митчелл. 01.00 "Суперчеловек". 02.00 Детектив "Наперегонки со смертью". (США). 03.50 Х/ф "Сластена". (США).

# მეტი რა გზაა, მოწევას თავი უნდა დავანებოთ

Итоги

ესპანეთში თამბაქოს წევის აკრძალვის კანონის პირველი დამრღვევი აღმოჩნდა — პრემიერ-მინისტრი ხოსე ლუის როდრიგეს საპატარო, რომელსაც სამთავრობო რეზიდენციაში „ჩაავლეს“ — ის და კატალონიელი პოლიტიკოსი არტურ მასი ერთად აბოლებდნენ. პრემიერი ძალიან შეწუხდა — ეს რა მომივიდაო, თორემ გადაყენება არ ასცდებოდა.

მთელ მსოფლიოში თამბაქოს წევასთან ბრძოლა ლამის კუდიანებზე ნადირობას დაემსგავსოს. აშშ-ში ისეთი მონდომებით იბრძვიან, რომ მწეველთა ელემენტარულ უფლებებსაც არაფრად მიიჩნევენ — კალიფორნიის შტატში, მწევლის ამონაბოლქვი ტოქსიკურ ნივთიერებადაა მიჩნეული. მოწევა არ შეიძლება სამსახურში, ბარებში, მაღაზიებში, რესტორნებსა და პარკებში.



ბებერი ევროპა ცდილობს, არ ჩამორჩეს ამერიკას. გერმანიაში, მაგალითად, მარტო სამსახურში კი არ იკრძალება მოწევა, არამედ მანქანაშიც — თუ მობილურზე ლაპარაკი ხელს უშლის მძღოლს, სიგარეტი უკეთესი რითი არისო! სტატისტიკით შეშინებულმა ბრიტანელებმა (ნისლიან ალბიონში ყოველკვირა თითო ბარმენი კვდება ბარის სტუმრების სიგარეტის ბოლით) ჯარიმები გაზარდეს. ირლანდიაში, მალტაში, შვედეთში, ნორვეგიაში მარტო სამუშაო ადგილზე კი არა, კაფეებსა და რესტორნებშიც აიკრძალა მოწევა. დამრღვევს მოზრდილი ჯარიმა ელის — 300 ევრო. იტალიაში კი, ვინც ფეხმძიმე ქალის ან 12 წლის ასაკამდე ბავშვის თანდასწრებით გააბოლებს სიგარეტს, 200-დან 500 ევრომდე დაჯარიმდება.

# დედა თუ პრეზიდენტი?

Le Monde



პრეზიდენტი ბუში ყველაზე მეტად პირად ერთგულებას აფასებს. სკოტ მაკლელანი ბუშის მარტო ერთგული პრესმდივანი კი არა, მისი „ხმაცაა“ — ადამიანი, რომელიც შეფის აზრებს კითხულობს და სწორად გადასცემს ხალხს.

პრესმდივნის დედა, კეროლ კიტონ სტრეიჰორნი, პრეზიდენტის მშობლიური შტატის ტეხასის გუბერნატორობას აპირებს. 66 წლის ქალბატონი ბუშის მეგობარს, ტეხასის ამჟამინდელ გუბერნატორს რიკ პერის გაუწევს მეტოქეობას. სკოტ მაკლელანი იზიარებს ბუშის პოლიტიკურ შეხედულებებს, მაგრამ როგორც კარგი შვილი — ცხადია, დედასაც უჭერს მხარს. ასე რომ, ბუშის რანჩოდან ხშირად დედამისთან ერთად ამომრჩევლებთან შესახვედრად მიემართება.

ქალბატონი სტრეიჰორნი (ეს მისი მესამე ქმრის გვარია) პირველი ქალი გახლდათ, რომელიც 1970 წელს ქალაქ ოსტინის მერად აირჩიეს.

ჯერჯერობით ამომრჩეველთა უმრავლესობა ტეხასის ამჟამინდელ გუბერნატორს ანიჭებს უპირატესობას, მაგრამ ქალბატონი კეროლი ფეხდაფეხ მიჰყვება მას და თუ გაიმარჯვა, სკოტ მაკლელანს ცხოვრება გაურთულდება. პრინციპული კეროლი შტატის მთავარი ინსპექტორია და ერთი გახმაურებული საქმის გამოძიებას აპირებს, კვალმა შესაძლოა პრეზიდენტის გარემოცვამდე მიიყვანოს. ასე რომ, სკოტი შავ დღეშია, თუ კეროლი გაიმარჯვებს, ღვიძლი დედისგან პრეზიდენტის დაცვა მოუწევს.

# კარიკატურების ავტორის თავი 100 კგ ოქროდ შეაფასეს

NEWSru.com

ავღანეთის მოძრაობა „თალიბანმა“ მუჰამედის კარიკატურების ავტორის მოკვლისთვის ჯილდოდ 100 კგ ოქრო დააწესა (100 კგ ოქროს ფასი ამჟამად 2 მლნ დოლარია). „თალიბანის“ წარმომადგენელმა, მოლა დადულამ, ისიც განაცხადა, რომ 5-5 კგ ოქროს მისცემენ მათ, ვინც სიცოცხლეს გამოასალმებს დანიელ, გერმანელ ან ნორვეგიელ ჯარისკაცებს (ავღანეთში დგას ამ სახელმწიფოების ჯარის ნაწილები, რომლებიც ქვეყნის უსაფრთხოებას იცავენ).

წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურების ავტორის მოძებნა პოტენციურ მკვლელებს ძალიან გაუჭირდებათ — მათი ანონიმურობა დაცულია.



**ავღანეთში** გრძელდება ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი და სისხლიანი საპროტესტო აქციები. ქალაქ ქალათში პოლიციამ ცეცხლი გაუხსნა მანიფესტანტებს, რომლებიც ამერიკულ სამხედრო ბაზაზე შეჭრას ცდილობდნენ. შეტაკებაში დაიღუპა 4 ავღანელი, დაშავდა 50-ზე მეტი. ავღანეთის პროვინცია ფარიაბის ქალაქ მაიმანეში სამხედრო ბაზაზე თავდასხმის დროს დაიღუპა 6 ავღანელი, დაშავდა — 14.

**ინდონეზიაში** ადგილობრივი რადიკალი ისლამისტები კარიკატურების ინიციატორთა სიკვდილით დასჯას ითხოვენ.

**ერაყის** მთავრობამ გამოაცხადა, რომ დანიასთან კონტაქტს წყვეტს. ანტიამერიკული „პარტიზანები“, მათ შორის „ერაყის ისლამური არმია“, ყველა მოჯაჰედს მოუწოდებს, დახოცონ დანიელები.

**კაიროში** გამართულ დემონსტრაციაში 3 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა. ისინი ხელისუფლებისაგან მოითხოვდნენ დანიასა და ნორვეგიასთან დიპლომატიური კავშირის გაწყვეტას.

**პალესტინის ავტონომიაში** 20-ზე მეტმა შეიარაღებულმა პალესტინელმა ქალაქ ნაბლუსში ფრანგული კულტურის ცენტრი ჩარაზა და წააწერა: — არ გაიხსნება, ვიდრე თქვენი ქვეყანა ბოდიშს არ მოიხდის.

**ლიბანში,** საპროტესტო აქციის დროს, დაჭრეს 19 პოლიციელი, რომლებიც მომიტინგეების დაშოშმინებას ცდილობდნენ.

**ბეირუთის** ქრისტიანულ კვარტალში ცეცხლს მისცეს დანიის საკონსულო, გადადგა ლიბანის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰასან საბა. ლიბანის ხელისუფლებამ ოფიციალურად მოუხადა ბოდიში კოპენჰაგენს, საკონსულოს დაწვის გამო. ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ფუად ასსანიორამ ბეირუთის ქრისტიანული კვარტალის დარბევა ოფიციალურად დაგმო და მანიფესტანტებს სიმშვიდისაკენ მოუწოდა.

**თურქეთის** ქალაქ ტრაპიზონში ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა კათოლიკე მღვდელი, იტალიელი ანდრეა სანტოიჩე. პოლიცია ეჭვობს, რომ მას რადიკალმა-ისლამისტმა, 19 წლის ახალგაზრდამ ესროლა. ბრალდებულს პოლიცია ეძებს.

**დამასკოში** ეგზალტირებულმა ბრბომ ცეცხლი წაუკიდა დანიისა და ნორვეგიის საელჩოებს. ამ ქვეყნების გაზეთებმა პირველებმა გამოაქვეყნეს სკანდალური კარიკატურები. ერთ-ერთმა დამრბევმა მორწმუნეთა თვალწინ თავი დაიწვა. დაზიანდა იმავე კვარტალში განთავსებული შვედეთისა და ჩილეს საელჩოები.

საფრანგეთის საელჩოზე თავდასხმის აღკვეთა პოლიციამ ბოლო წუთს მოახერხა, დანიისა და ნორვეგიის მთავრობებმა თავიანთ მოქალაქეებს მოუწოდეს დატოვონ ეს მუსლიმანური ქვეყნები.

**პაკისტანის** პრეზიდენტმა გენერალმა ფარვეზ მუშარაფმა განაცხადა: — კარიკატურების დაბეჭდვას ვერ ამართლებს სიტყვის თავისუფლების პრინციპები, პირიქით, დასავლეთის ცივილიზაციასა და ისლამს შორის კონფლიქტს კიდევ უფრო აღრმავებსო.

**ირანის** ყველაზე დიდტირაჟიანმა გაზეთმა „ჰამშაჰრიმ“ გამოაცხადა საერთაშორისო კონკურსი კარიკატურებზე, რომლებიც მიეძღვნება მეორე მსოფლიო ომის წლებში ებრაელთა ტრაგედიას.

# ირანი ბირთვულ იარაღს არ თმობს

BBC

კონფლიქტი, რომელიც პირველად შარშან დანიის გაზეთში წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურების დაბეჭდვის გამო ატყდა, ჯერ მუსლიმანთა მასობრივ საპროტესტო აქციად იქცა, ახლა კი კონფლიქტი შესაძლოა ცივილიზაციათა დაპირისპირების მიზეზი გახდეს.

ირანის აზრით, კარიკატურების დაბეჭდვით დასავლეთი შეეცადა მუსლიმანთა შეურაცხყოფას და ქვეყნის პრეზიდენტმა ისლამურ სამყაროს გამოღვიძებისაკენ მოუწოდა.

ირანი ყველანაირად ცდილობს, უარი თქვას ატომური ენერგიის მსოფლიო სააგენტოსთან თანამშრომლობაზე და გააჭიანუროს დრო, რომელიც ბირთვული იარაღის შესაქმნელად სჭირდება.

ისრაელის გენშტაბის პროგნოზით, ირანი უკვე მარტში შეძლებს ატომური იარაღის წარმოებას. მარტამდე ირანს დრო აქვს, ვენაში, „მაგატეს“ მმართველთა საბჭოს სხდომაზე, როგორც იქნა, მიიღეს რეზოლუცია ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით. „მაგატეს“ გენერალური დირექტორი მუჰამედ ალ-ბარდეი გაეროს უშიშროების საბჭოს მარტის დამლევს განსახილველად წარუდგენს ირანის ბირთვულ დოსიეს.

ირანის მცდელობა — ბირთვული პრობლემა კარიკატურული სკანდალით გადაფაროს, მეტყველებს მის განზრახვაზე — მუსლიმანური სამყარო ჩართოს მასშტაბურ კონფლიქტში.

# თურქმენბაშიმ მოხუცებს პენსია წაართვა

Комсомольская правда

„ყოველთა თურქმენთა მამის“ — საფარმურატ ნიაზოვის „პრიორიტეტულმა ეროვნულმა პროექტმა“ ქვეყანაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. თურქმენბაშიმ 100 ათას პენსიონერს პენსია გაუუქმა, დანარჩენ 200 ათასს კი ნაწილობრივ შეუმცირა. ეტყობა, იფიქრა, ეს ფული (10-დან 90 დოლარამდე) მეტისმეტი ფუფუნებაა მოხუცებისთვისო.

ახალი კანონის თანახმად, პენსიას აღარ მისცემენ ინვალიდებს, ყოფილ კოლმეურნეებს და მოხუცებულთა ზოგიერთ სხვა კატეგორიას. თურქმენბაში ამასაც არ დასჯერდა. ბრძანა, — წინა წლებში მიღებული პენსია დააბრუნონ. შვილები იმიტომ გაზარდეს, რომ მშობლები არჩინონ. უშვილოებმა კი ბინა გააქირავონ და მოხუცთა თავშესაფარში გადავიდნენო.

საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, რომ ამ ამბავმა ბევრ პენსიონერს გული გაუხეთქა და მორგები მიცვალებულებს ვეღარ იტევს.

თურქმენბაშის ახალი კანონით პენსია მიეცემათ ქალებს, რომლებმაც 20 წელი ან მეტი იმუშავეს თურქმენეთში და მამაკაცებს, რომელთა სამუშაო სტაჟი 25 წელს აღემატება.



# პრინცი ჰარი ომში მიდის... მაგრამ არა ერაყში

Известия

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა უარყვეს ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს პრინცი ჰარი, რომელიც სამეფო სამხედრო აკადემიაში სწავლობს, — ერაყში იმსახურებს. ადრე პრესა წერდა, თითქოს გაზაფხულზე დედოფალ ელისაბედ მეორის უმცროსი შვილიშვილი, ჰარი, სწავლას გააგრძელებდა ჯავშანსატანკო დაზვერვის ქვედანაყოფის პირველ მოტორიზებულ ბრიგადაში და ერაყ-ირანის საზღვარზე იმსახურებდა. მართალია, ეს მოტორიზებული ბრიგადა ერაყში წავა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქვედანაყოფი, რომელშიც პრინცს ჩარიცხავენ, აუცილებლად ერაყის გზას დაადგება.

თავად 21 წლის უმცროსი ლეიტენანტი ჰარი, რომელიც ტახტის მემკვიდრეთა სიაში მესამეა, აცხადებს, — თუ ჩემს ამხანაგებს წაიყვანენ საბრძოლველად, მე შინ არ დავრჩებიო.

ბრიტანეთის სამეფო ოჯახის წევრ მამაკაცებს არასოდეს უთქვამთ უარი სამხედრო სამსახურზე. ჰარის ერთ-ერთი ბიძა — პრინცი ენდრიუ 1982 წელს ფოლკლენდის კუნძულებზე ომშიც მონაწილეობდა და 1990 წელს — ბოსნიის სამშვიდობო ოპერაციებშიც. ჰარის მამა, პრინცი ჩარლზი, დიდი ბრიტანეთის საპარაშუტო პოლკის პოლკოვნიკია.



# ოქროს ოსლო

Деньги

საერთაშორისო კონსალტინგურმა სააგენტო ECONOMIST INTELLIGEGE UNIT-მა გამოაქვეყნა მონაცემები მსოფლიოს უდიდეს ქალაქებში ცხოვრების საფასურის შესახებ. უკვე ორი წელია ყველაზე ძვირიანად ითვლება ნორვეგიის დედაქალაქი ოსლო. 1991 წლიდან პირველად დაუთმო სხვას პირველობა იაპონიის დედაქალაქმა და მეორე ადგილზე გადაინაცვლა, მესამეზეა ირლანდიის დედაქალაქი რეიკიავიკი, მეოთხე გაიყვეს ოსაკამ და პარიზმა, მეხუთეზეა — კოპენჰაგენი, შემდეგ მოდის ლონდონი, ციურიხი, ჟენევა და ჰელსინკი.

ამერიკის უძვირესმა ქალაქმა ნიუ-იორკმა, კონსალტინგური სააგენტოს გამოკითხვაში 27-ე ადგილი დაიკავა, მოსკოვმა 29-ე, რეიტინგის ბოლო, 138-ე ადგილი ირანის დედაქალაქ თეირანს ხვდა.

## მოკლედ

**მოსკოვში,** სასტუმრო „ნაციონალში“, დაიწყო „დიდი რვიანის“ ფინანსთა მინისტრების შეხვედრა. განხილული იქნება მსოფლიო ეკონომიკის, ნავთობის ბაზრის, ენერგომომარაგების პრობლემები.

რუსეთის, გერმანიის, იაპონიის, საფრანგეთის, კანადის, იტალიის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის ფინანსთა მინისტრების გარდა შეხვედრაში მონაწილეობს საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორ-განმკარგულებელი როდრიგო დე რატო და მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი პოლ ვულფოვიცი.

**ირანის** ელჩმა ბაქოში აფშარ სოლეიმანიმ განაცხადა, რომ აშშ არ დაესხმება თავს ირანს; მაგრამ თუ ეს მაინც მოხდა, ამერიკელებს მხარს არ დაუჭერენ არც გაერო და დასავლეთის ქვეყნები. ირანი ერაყი არ არის, აშშ-ს ურჩევნია, იმაზე იფიქროს, როგორ დააღწიოს თავი ქაოსს, რომელიც ერაყში შექმნაო. ელჩის თქმით, ილჰამ ალიევმა ის დაარწმუნა, რომ აზერბაიჯანი არასოდეს დაუთმობს თავის ტერიტორიას აშშ-ს ირანზე თავდასასხმელად.

**იერუსალიმის** დიდი რისხვა გამოიწვია პუტინის განცხადებამ — პალესტინის დემოკრატიულ არჩევნებში გამარჯვებული „ჰამასი“ ტერორისტული ორგანიზაცია არ არისო. ისრაელის ტრანსპორტის მინისტრმა მეირ შიტრიტმა პუტინის მიერ მოსკოვში „ჰამასის“ მიწვევას ისრაელისათვის „ზურგში ტყვიის დახლა“ უწოდა.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*


შპს „გეოკორი“ აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკაკის ქ. №8 ნაძალადევის სასაზღ. შპს, ოთ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02

ევროპული დონის პოლიგრაფია
ფერადი ბეჭდვა „ჰეიდელბერგის“ გერმანულ დანადგარებზე
შპს „გოდოლი“
ხარისხი ოპერატიულობა ფასი
ტელ: 56-40-56 877-43-04-57

„ჯონსტონსის“ ფირმის მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაძვის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 ა. „დიდუბის“ გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

# ვინ დააკონსერვა ნავთობისა და გაზის ქართული საბადოები?

ის, რომ ენერგომატარებლები მძლავრი პოლიტიკური იარაღია, ახლო წარსულმაც დაგვარწმუნა. მით უფრო იოლია ამ „იარაღით“ ისეთი ქვეყნით მანიპულირება, რომელსაც ერთი დღის საკმარისი ენერგომარაგიც კი არ გააჩნია. სწორედ ამგვარ ენერგოჩიხში მიმწყვდეული აღმოჩნდა ცოტა ხნის წინ საქართველო, რომელიც ბუნებრივი აირის გარდა, 100%-ით იმპორტირებულ ნავთობპროდუქტებზეა დამოკიდებული. თუმცა რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ჩვენს ქვეყანას ნავთობის მოპოვების მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ყველაფერი კი ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII-V საუკუნეებში დაიწყო, როდესაც ბერძნებს ნავთობი სამხედრო მიზნებისთვის კოლხეთიდან გაჰქონდათ. ქართული ნავთობის შესახებ ცნობები გვხვდება ასევე ვენეციელი ვაჭრის, მარკო პოლოს ჩანაწერებში, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოში მოპოვებულ „ზეთოვან სითხეს“ მეზობელ ქვეყნებშიც მოიხმარდნენ. 1859 წელს კი საქართველოში ნავთობის მოპოვებით ევროპელი მეწარმე ვალტერ სიმენსი დაინტერესებულა და საძიებო ჭაბურღილიც გაუჭრია. საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ კი, ცენტრალური დაგეგმილი ეკონომიკა ჩამოყალიბდა და ყოველგვარ წარმოებას სათავეში სახელმწიფო ჩაუდგა. როგორც ამბობენ, სტალინის უშუალო მითითებით, საქართველოში ხელოვნურად დააკონსერვეს არსებული ყველა გაზის ბუდობი თუ ნავთობის საბადო, რათა ენერგომომარაგება ცენტრალიზებული, ანუ რუსეთზე დამოკიდებული ყოფილიყო. თუმცა მოგვიანებით, საქართველოს ნავთობის მოპოვების თვალსაზრისით „ოქროს ხანაც“ გაუვლია. 1981-83 წლებში, ჩვენს ქვეყანაში ნავთობის მოპოვების წლიური მაჩვენებელი 3,3 მილიონ ტონას აჭარბებდა. 1991 წელს კი ნავთობისა და გაზის მოპოვებას საქართველოში კვლავ პრობლემები შეექმნა... სად რა საბადოს ინახავს საქართველოს ნიადაგი და რამდენად რენტაბელურია — ამის შესახებ „საქნავთობის“ გენერალური დირექტორი **ვანო ნაკაიძე** გვესაუბრება:

— საქართველოს პრეზიდენტის უკანასკნელი განკარგულებით, საქართველოში გაზის ადგილობრივი რესურსების იდენტიფიცირება უნდა მოხდეს. ჩვენ მართლაც შეგვიძლია წლიური კომუნალური მოთხოვნის 25% ადგილობრივი გაზით დავაკმაყოფილოთ, მაგრამ ამის მისაღწევად რიგი სამუშაოებია ჩასატარებელი. ჩვენთვის კარგი მაგალითია უკრაინა, რომელიც გაზის კომუნალურ მოხმარებას ადგილობრივი რესურსებით უზრუნველყოფს. ბუნებრივი აირის ძირითადი ბუდობები თბილისის შემოგარენშია განლაგებული. ეს გახლავთ გაზის საბადო სამგორის მონაკვეთში, სადაც დაახლოებით 1,2 მილიარდი კუბმეტრი ბუნებრივი აირის მოპოვებაა შესაძლებელი. მეორე საბადო გახლავთ ნინოწმინდაში (დაახლოებით 400 მილიონი კუბმეტრი) და შავნაბადაზე, სადაც გაზის მოცულობის დასადგენად კვლევითი სამუშაოებია ჩასატარებელი. ყველა აღნიშნული საბადო, წლების წინ, ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის მმართველობის დროს არის აღმოჩენილი, თუმცა მაშინ არავის აინტერესებდა, რომ საქართველო გაზისა და ნავთობის სერიოზული მომპოვებელი ყოფილიყო. წლების მანძილზე, ნავთობისა და გაზის საძიებო სამუშაოები საქართველოში სამეცნიერო-კვლევითი ხასიათს უფრო ატარებდა, ვიდრე ეკონომიკურ ეფექტზე იყო გათვლილი. ახლა ხშირად ვაწყდებით 30-40 ათასი მეტრის სიღრმეზე გაბურღულ ჭებს, რომლებიც ტექნიკურად დაუმთავრებელია და მხოლოდ გეგმის შესასრულებლად არის გაჭრილი. საბადოს გეოლოგიას თუ ავხსნით, ზედაპირზე ყოველთვის გაზი გვხვდება, შემდეგი ფენა წყალია, მის ქვემოთ კი ნავთობი.

მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე, საქართველოში მხოლოდ ერთი გაზის ბუდობის, სამგორის საბადოს ათვისება ხდებოდა, საიდანაც ბუნებრივი აირი სამგორი-გარდაბნის გაზსადენით მე-9 ენერგობლოკის ასამუშავებლად მიემართებოდა. სხვათა შორის, ახლო მომავალში აღნიშნული მილსადენის რეაბილიტაციას ვგეგმავთ და, უკვე ამა წლის მაისში, შესაძლებელი იქნება სამგორიდან წამოსული აირის გარდაბანში მიწოდება.

რაც შეეხება სამგორის საბადოზე მოპოვებულ ნავთობს, სამგორი-ბათუმის მილსადენით იგი ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას მიეწოდებოდა, იქიდან კი ექსპორტზე გადიოდა.



ვანო ნაკაიძე: „2010 წლისთვის ქართული გაზით წლიური მოთხოვნის 1/3-ს შევავსებთ“

— **რამდენად რეალურად მიგაჩნიათ გაზის ადგილობრივი რესურსების ათვისება და მცირედით მაინც იმპორტის ჩანაცვლება?**

— პრეზიდენტმა ბრძანა, რომ ჩვენივე ძალებით უნდა მოვახდინოთ გაზის არსებული პოტენციალის ათვისება, თუმცა მე მაინც საჭიროდ მიმაჩნია ამ სექტორში ინვესტორების მოზიდვა. ყოველი ახალი ჭაბურღილის ათვისებას, საშუალოდ 5-7 წელი მაინც სჭირდება, მაგრამ ჩვენ მნიშვნელოვანი ეტაპი სამუშაოების უკვე გავლილი გვაქვს. ამიტომ, უკვე წლევანდელი შემოდგომა-ზამთრისთვის, საქართველო მოახერხებს სისტემაში ადგილობრივი გაზი ჩართოს. მართალია, მისი მოცულობა არ იქნება თვალშისაცემი, თუმცა უკვე 2007 წლიდან ადგილობრივი ბუნებრივი აირის მოპოვების ზრდის ტენდენცია სახეზე გვექნება. 2008 წლისთვის კი ვფიქრობთ, რომ შევძლებთ ჩვენთან მოპოვებული ბუნებრივი აირით მთელი წლიური მოთხოვნის 15-20% უზრუნველვყოთ. ხოლო უკვე 2010 წელს, ქართული გაზით წლიური მოთხოვნის 1/3-ს შევავსებთ.

— **ნავთობმოპოვების თვალსაზრისით, როგორი სურათი გვაქვს ქვეყანაში?**

— 1930 წლიდან დღემდე, საქართველოში დაახლოებით 27 მილიონი ტონა ნავთობია მოპოვებული, აქედან 24,5 მილიონი ტონა სამგორის საბადოზე მოდის. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ახალი საბადოს გახსნა არ მომხდარა, თუმცა კი 1991 წლიდან დღემდე, ნავთობმოპოვების სექტორში 250 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, მაგრამ ნავთობის მოპოვების ზრდაზე ეს არ ასახულა. იმ დროს, როდესაც საქართველოში ამ სექტორში უცხოური კომპანიები შემოდიოდნენ, დადებულ ხელშეკრულებებში არ გაუთვალისწინებიათ სახელმწიფოს ინტერესები. სახელმწიფოს პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ ინვესტორმა რაც შეიძლება მეტი საძიებო სამუშაო აწარმოოს და არა უკვე არსებული გახსნილი საბადოს ბოლომდე გადამუშავება, როგორც ეს ახლა ხდება. არადა ქვეყანაში საკმაოდ ბევრი ასათვისებელი ნავთობსაბადო არსებობს. საკმარისი რესურსი გაგვაჩნია იმისათვის, რომ 2010 წლისთვის ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნად ვიქცეთ. მაგრამ ეს საკმაოდ კაპიტალტევადი საქმეა. ერთი საბადოს გახსნას დაახლოებით 150-200 მილიონი დოლარი სჭირდება, პლუს ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც ყოველწლიურად იხვეწება.

— **მაგრამ გაწეული ხარჯები მოგებაზე უნდა იყოს ორიენტირებული...**

— ხარისხის თვალსაზრისით ქართული ნავთობი ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. ის ძალზე მსუბუქია და გადამუშავების პროცესში მაღალი გამოსავლიანობა აქვს. ქართული ნავთობი „ბრენდის“ კატეგორიაში გადის და გაცილებით ძვირი ღირს, ვიდრე რუსული „ურალის“ ტიპის ნავთობი. ასევე მაღალი კალორიულობით გამოირჩევა ქართული გაზი, ანუ საბადოში, რომელშიც ხარისხიანი ნავთობია, გაზიც კარგი ამოდის.

P.S. მაშინ, როდესაც ქვეყანაში ამდენი ნავთობგაზპერსპექტიული საბადო არსებობს, გაუგებარია ქვეყნის ენერგომამების ხავსჩაჭიდებული პოლიტიკა. ადგილობრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენებისთვის, პირველ რიგში, საჭიროა სახელმწიფოს ნება, ამის შემდეგ კი დაფინანსების პრობლემაც გადაწყდება.

***ემა ტუხიაშვილი***

# ინფლაციის მიუხედავად პური ფასს ინარჩუნებს



ახალი წლიდან საქართველოში ფასებმა ქათმის ხორცის გარდა თითქმის ყველა სახის პროდუქტზე მოიმატა. ქათმის გრიპთან დაკავშირებული მოვლენები რომ არა, ინფლაციის 1,2%-იანი, ოფიციალური მაჩვენებელი, რომელიც სტატისტიკის დეპარტამენტმა იანვრის თვეში დააფიქსირა, გაცილებით მაღალი იქნებოდა. ფასების ზრდის საშუალო მაჩვენებლის გაანგარიშებაში ენერგოკრიზისის დროს ნავთსა და შეშაზე ფასების მატება არ შესულა. ინფლაციის დონის განსაზღვრისას ჯერ არც გაზის გაზრდილი ტარიფი გაუთვალისწინებიათ. მიუხედავად ამისა, გასული წლის იანვართან შედარებით სურსათისა და მომსახურების ფასი ქვეყანაში 5,2 პროცენტითაა მომატებული. ოფიციალური ციფრი რეალურს ბევრად რომ ჩამორჩება, ამაზე პროდუქტის ფასებიც მეტყველებს, რომელიც თითქმის ყოველდღიურად მატულობს. ფასების ზრდაზე გავლენა კონტრაბანდის შემცირებამაც იქონია. როგორც ეკონომიკური ექსპერტები ვარაუდობენ, ინფლაცია უფრო შესამჩნევი მომდევნო თვეებში იქნება, როცა გაზის გაძვირებასთან ერთად მოიმატებს ელექტროენერგიის ტარიფი. თუ ამას ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდაც დაემატება, რაც ირანში პოლიტიკური პროცესების გართულებას შეიძლება მოჰყვეს, უახლოეს მომავალში ცხოვრება კიდევ უფრო გაძვირდება.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა დასახელების პროდუქტი გაძვირდა, მთავრობა ფასების საგრძნობ მომატებას უარყოფს, ამის დასადასტურებლად სტატისტიკის უწყების ციფრებს იშველიებს და 1,2%-იან ინფლაციაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს. მთავრობის ზოგიერთი წევრი კი ქვეყანაში ინფლაციის არსებობას საერთოდ უარყოფს.

რატომ ხდება, რომ ქვეყანაში სამომხმარებლო ფასები მატულობს, ინფლაცია კი მინიმალურია? ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი საგანგაშოა (პრემიერ-მინისტრი საქართველოში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლად მთლიანად მშპ-ის (მთლიანი შიდა პროდუქტის) მატებას ასახელებს, რომელიც სწორედ ინფლაციის ხარჯზე იზრდება ხოლმე), ამ დროს ეროვნული ვალუტა სტაბილურობას ინარჩუნებს და პერიოდულად კიდეც მყარდება? რა არის ინფლაცია? ინფლაცია სამომხმარებლო ფასების ზრდას ნიშნავს, როცა მოთხოვნა პროდუქციასა და მომსახურებაზე უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ქვეყანაში წარმოების მოცულობა. ამ დროს სამომხმარებლო ფასები უფრო მაღალი ტემპით იზრდება, ვიდრე ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების ოდენობა. მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის შემცირება კი სოციალური პირობების გაუარესებას ანუ მის გაღატაკებას ნიშნავს. თუ ჩავთვლით, რომ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ფასებმა საშუალოდ 20 პროცენტით მოიმატა, ეს იმას ნიშნავს, რომ შარშან ამ დროს ადამიანი თუ პირველადი საჭიროებისთვის 100 ლარს ხარჯავდა, ამჟამად იმავე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად 120 ლარი უნდა გადაიხადოს ანუ ცხოვრება გაუძვირდა. ასე, რომ სამომხმარებლო საქონლის ყოველი გაძვირების შედეგად, სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფ მოქალაქეთა რიცხვს კიდევ რამდენიმე ათასი ემატება.

ინფლაციის დროს ზარალდებიან ფიქსირებული შემოსავლის მქონე ადამიანები და ბუნებრივია, ეს პროცესი ყველაზე მტკივნეული სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის აღმოჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით კი პენსიონერებისთვის.

გაზის ტარიფის მატებისა და ნავთობპროდუქტების გაძვირების შედეგად ყველა იმ პროდუქტის გაძვირებას უნდა ველოდოთ, რომელთა საწარმოებლად ენერგორესურსებია საჭირო. ერთი კუბმეტრი ბუნებრივი აირის ახალი 34,2-თეთრიანი ტარიფი კომერციული მომხმარებლისთვის ძალაში უკვე შევიდა (გაზის გაძვირება მოსახლეობამ ზამთრის სეზონზე რომ არ ეგრძნო, ძველ და ახალ ტარიფებს შორის სხვაობას მთავრობა 1-ელ აპრილამდე სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფარავს). ამის გამო, დანახარჯები გაეზარდა ყველა საწარმოს, რომელიც პროდუქციის საწარმოებლად ბუნებრივ აირს მოიხმარს. გაზის ფასის გაზრდას აუცილებლად მოჰყვება ელექტროენერგიის გაძვირებაც, რამდენადაც თბოელექტროსადგურები ბუნებრივ აირზე მუშაობენ. დენის ახალი ტარიფი ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიას ჯერ არ დაუდგენია, თუმცა წინასწარი ვარაუდით, ერთი კილოვატი ელექტროენერგიის ღირებულება მინიმუმ 1,2-1,5 თეთრით მოიმატებს.

პროდუქტის გაძვირების ფონზე ძველ ფასს ერთადერთი პური ინარჩუნებს. ბუნებრივი აირის, ფქვილისა და სხვა დამხმარე მასალების გაძვირებას პურზე ფასის ზრდაც უნდა გამოეწვია, თუმცა ასე არ მოხდა. იმის გამო, რომ ხალხი პურის ფასის მატებას განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამს, ლეგალურად მომუშავე პურის ქარხნები ჯერჯერობით ფასის მომატებას ერიდებიან, ამიტომ ამჟამად მათ მიერ გამომცხვარი პურის საცალო ფასი მის თვითღირებულებაზე ნაკლებია. პურის გაძვირება სოციალური საფრთხის შემცველი შეიძლება აღმოჩნდეს, ამიტომ ამ პროცესის შეჩერებას ხელისუფლებაც თავისებურად ცდილობს. პურის ფასი რომ „დაიჭირონ“, მაკონტროლებელი ორგანოები არალეგალური პურის საცხობების შემოწმებას არ ჩქარობენ და მათ საქმიანობაში არსებულ კანონდარღვევებზე ჯერჯერობით თვალს ხუჭავენ. გაზის, ფქვილისა და საფუარის გაძვირება ტვირთად უმეტესად ლეგალურად მომუშავე პურის ქარხნებს დააწვათ, რომელთაც ფასის შენარჩუნება ძირითადად თანამშრომელთა რიცხვის შემცირებით გადაწყვიტეს(!).

**მალხაზ დოლიძე** (მე-4 პურის ქარხნის დირექტორი): „გაზის გაძვირებამ პურის საცალო ღირებულება 2-3 თეთრით გაზარდა. ორი თვის წინ კილოგრამი პური 67-75 თეთრი თუ გვიჯდებოდა, ახლა 86-90 თეთრამდე ჯდება. ხარჯები, ძირითადად, გაზის ფასის მომატებამ განაპირობა. „თბილგაზს“ 1000 კუბმეტრ აირში უკვე 198 დოლარს ვუხდით. ამ ენერგოკრიზისის დროს გაზის მოწოდება 6-ჯერ შეგვიწყვიტა, რის გამოც ძლივს აწყობილი მარკეტინგი დაგვინგრიეს. გაზთან ერთად გაძვირდა ნედლეული, ფქვილიდან დაწყებული, საფუარით დასრულებული. ერთი ტონა ფქვილის ფასმა 20 ლარით მოიმატა, საფუარი კი იმპორტიორებმა სატვირთო ავტომობილების ტვირთამწეობაზე შემოღებული ახალი წესის გამო გააძვირეს. ჩვენთვის არავითარი შეღავათი არ არსებობს, მეწარმის დაცვა არავის ადარდებს“.

იმ დროს, როცა სამომხმარებლო ფასები იზრდება, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი სტაბილურობას ინარჩუნებს. როგორ ახერხებს ფინანსთა სამინისტრო გაზრდილი საბიუჯეტო შემოსავლებისა და სამთავრობო ხარჯების პირობებში ლარის კურსის სტაბილურად შენარჩუნებას? ამის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება მიმოქცევაში ფულადი მასის შემცირება დასახელდეს. ამასთან ერთად, უცხოელი ბიზნესმენების ნაწილმა ქვეყნიდან კაპიტალი გაიტანა, რასაც ფულადი მასის შემცირება მოჰყვა. ინფლაციის საშიშროების გამო მთავრობა პენსიებისა და საბიუჯეტო ხარჯების გაზრდისგან თავს იკავებს, ამიტომ საბიუჯეტო დავალიანებათა ნაწილი გადადო, ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული ხარჯების დიდი ნაწილი დაუფინანსებელი დატოვა და 240 მილიონი ლარი დღესაც ეროვნულ ბანკში, ცენტრალური ბიუჯეტის ანგარიშზე ხელუხლებლად უდევს. რატომ მყარდება ლარი, როცა სამომხმარებლო ფასები მატულობს? ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ხელოვნური პროცესია და ამას ეროვნული ბანკი სავალუტო რეზერვების შექმნით ახერხებს. ექსპერტები ეროვნულ ბანკს ლარის ხელოვნური გამყარებისგან თავის შეკავებას და ამ მოქმედებით ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდაზე ზრუნვას ურჩევენ.

ეროვნული ბანკი აცხადებს, რომ მაქსიმალურად ეცდება ლარის კურსი სტაბილური და მყარი იყოს და სამომხმარებლო ფასების ზრდის შემთხვევაშიც „ოქროს შუალედი“ შეინარჩუნოს. საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დოკუმენტში, 5-6%-იანი ინფლაციაა ნავარაუდევი. თუმცა, არ არის გამორიცხული ინფლაციის დონეზე გარე ფაქტორებმაც იმოქმედოს.

***ნონა ქვლივიძე***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 11 თებერვლიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,8100 |
| ევრო | 2,1646 |
| გირვანქა სტერლინგი | 3,1561 |
| რუსული რუბლი | 0,0641 |
| თურქული ლირა (1*) | 1,3660 |

* 2005 წლის 1 იანვრიდან თურქეთის ცენტრალურმა ბანკმა მოახდინა თურქული ლირის დენომინაცია და 1000.000 თურქული ლირა (TRL) გაუტოლდა 1 ახალ თურქულ ლირას (TRY)

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ექიმები, კერძოდ კი კარდიოლოგები, გვირჩევენ რაციონში მარილის შეზღუდვას, მაგრამ მარილის გარეშე სიცოცხლე შეუძლებელია. ხომ არ იცვლება სპეციალისტების მიერ დადგენილი მარილის დღიური ნორმები?**

**პატივისცემით, ნაზი კვირკველია**

მარილის მნიშვნელობა ცოცხალი ორგანიზმისთვის მართლაც შეუფასებელია. მოზრდილი ადამიანის დღიური მოთხოვნილება ნატრიუმზე 500 მგ-ია, რაც 1,25 გ სუფრის მარილს შეესაბამება. მარილიანი კერძებისადმი განსაკუთრებული ლტოლვის გათვალისწინებით მეცნიერებმა დღიურ რაციონში მარილის მაქსიმალური დასაშვები დოზა 5-6 გ-მდე გაზარდეს. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ერთი ულუფა შებოლილი თევზი 5 გ-მდე მარილს შეიცავს, ერთი ნაჭერი შაშხიანი და ყველიანი ბუტერბროდი კი 3 გ-ს.

საქართველოში მარილის რეალური მოხმარება საშუალოდ 10-12 გ-ს, ზოგიერთ შემთხვევაში 15 გ-საც აღწევს. ჭარბი მარილი აძნელებს თირკმლების მუშაობას, აფერხებს ტოქსინების გამოტანას ორგანიზმიდან, აღიზიანებს შარდგამომტან გზებს, ხელს უწყობს ზედმეტი სითხის შეკავებას ორგანიზმში და არტერიული წნევის მატებას. მარილის მოხმარების შემცირება დღეში 3 გ-ითაც კი, ინფარქტის რისკს ამცირებს 16%-ით, ინსულტისას — 25%-ით. პროდუქტები თავისთავად მდიდარია მარილით და დამატება აღარ არის საჭირო. მაგალითად, მარილი საკმაო რაოდენობითაა ხორცში, თევზში, კვერცხში.

თუმცა მარილის ნაკლებობაც საშიშია ორგანიზმისთვის — იგი იწვევს გაუწყლოებას, წნევის დაცემას, თავბრუსხვევას, კუნთოვან სისუსტეს, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოშლილობას, მადის დაქვეითებას. ასე რომ, თითოეულ ჩვენგანს ესაჭიროება მარილის ბალანსის შენარჩუნება ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად. ინსულტის პროფილაქტიკისთვის კი გირჩევთ, არა მხოლოდ მარილის მოხმარების შემცირებას 5-6 გ-მდე, არამედ კალიუმისა და მაგნიუმის მოხმარების ზრდასაც. დღეისთვის უკვე არსებობს პროფილაქტიკური საკვები მარილი, რომლის შემადგენლობაშიც მეტია სასარგებლო მიკროელემენტები (კალიუმი და მაგნიუმი) და ნაკლებია ნატრიუმის ქლორიდი. ნატრიუმისგან განსხვავებით, კალიუმი არეგულირებს წყალ-მარილოვან ცვლას და ხელს უშლის შეშუპების წარმოქმნას.

**თვალის გუგები მეტისმეტად გაფართოებული მაქვს. რისი ნიშანია ეს და საშიშია თუ არა? ნარკოტიკებს არ მოვიხმარ.**

**გურამი**

გუგები სხვადასხვა მიზეზით შეიძლება გაფართოვდეს. გაფართოების ხარისხი დამოკიდებულია, მაგალითად, ვეგეტატიური ნერვული სისტემის მდგომარეობაზე. ისტეროიდული რეაქციებისადმი მიდრეკილებს, მოუსვენრებს, მათ, ვისაც აწუხებთ თავის ტკივილი, ნაწლავთა სპაზმები, ქოლეცისტიტის შეტევები, გუგები საკმაოდ ვიწრო აქვთ, მშვიდ, ფლეგმატურ ადამიანებს კი — ნორმალური დიამეტრის (3მმ) ან ოდნავ გაფართოებული (5მმ-მდე). ეს ფიზიოლოგიური ნორმაა.

თუ გუგები 5 მმ-ზე მეტადაა გაფართოებული, აუცილებელია ნევროპათოლოგის კონსულტაცია. ეს იმ შემთხვევაშიცაა საჭირო, თუ ორივე თვალის გუგა სხვადასხვა ზომისაა, მაგალითად, ერთის ზომაა 2 მმ, მეორესი — 4 მმ, ასეთ დროს ექიმმა უნდა გამორიცხოს დაზიანება თავის ტვინის ღეროში. თუ ნევროლოგი პაციენტის გამოკვლევის შედეგად ასეთ პათოლოგიას გამორიცხავს, მაშინ ეს პაციენტის ინდივიდუალური თავისებურებაა.

თუ გუგები ყოველთვის ნორმალური გქონდათ და უცბად გაფართოვდა, თან გაწუხებთ თავის ტკივილი, თავბრუსხვევა ან სხვა საგულისხმო სიმპტომები — ესეც ნევროლოგის კონსულტაციას მოითხოვს.

გუგები შეიძლება გაფართოვდეს ნარკოტიკების მოხმარების შემდეგაც. თუ ადამიანი ნარკოტიკებს მოიხმარდა 3-4 წლის წინ და შემდეგ შეძლო მისთვის თავი დაენებებინა, შეიძლება გუგები გაფართოებული დარჩეს მთელი სიცოცხლის მანძილზე.

## კარაბადინი

**ვეხმაურები ნანა გურჯიას. იმ შემთხვევაში, როდესაც თირკმლიდან გამოიყოფა ცილა, კარგია 10 ცალი ნუშის ნაყოფის მიღება ჭამის წინ. ასევე შეგიძლიათ აფთიაქში დაამზადებინოთ ნუშის რძე. დღეში სამჯერ, ჭამამდე 45 წუთით ადრე, დალიეთ შემთბარი ნაბელლავი ან საირმე. გამორიცხეთ რაციონიდან მარილიანი, ცხარე, მჟავე საჭმელი.**

**მკითხველი**

*ექიმის კომენტარი:* ალნიშნული რეკომენდაციები შარდგამომტანი გზების და თირკმლების ანთებითი პათოლოგიების დროს მართლაც დადებით შედეგს იძლევა. კერძოდ, აქვს ანთების საწინააღმდეგო და რეგენერაციული ეფექტი. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, სჯობს დადგინდეს პროტეინურიის (შარდში ცილის არსებობის) მიზეზი და კომპეტენტური მკურნალობა ჩატარდეს ნეფროლოგის მიერ. პარალელურად კი შეგიძლიათ გამოიყენოთ შემოთავაზებული რჩევებიც.

**მოამზადა თამარ მამაცაშვილმა**

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის" დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში" მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

ოჯახის მკურნალი
სამედიცინო ჟურნალი ფასი 70 თ.

ქალთა უნაყოფობა
როდის ითვლება ქალი უნაყოფოდ?..
არის თუ არა ციტომეგალოვირუსი უნაყოფობის მიზეზი?
ნუთუ გამოსავალი არ არსებობს?..

ბადურის ჩამოფცქვნა
ბადურის ჩამოფცქვნის დასაწყისს თვალებზე ლიბრის გადაკვრით იცნობთ. პაციენტები ამაოდ ცდილობენ ჩაის ნაყენის მეშვეობით მოიცილონ იგი...

რჩევები დიაბეტიანებს...
შეიძლება თუ არა დიაბეტიანისთვის თაფლის მიღება?

# პანდემიის პირისპირ

## ფრინველის გრიპი ჯერ კიდევ 100 წლის წინ იტალიაში აღმოაჩინეს



ფრინველის გრიპის გამო ატეხილმა მითქმა-მოთქმამ ეპიდემიასთან ბრძოლის გარემოც შექმნა და მოსახლეობაც დააფრთხო, მაგრამ საგულისხმოა ის, რომ დაავადებასთან მებრძოლი ძირითადი სამსახურები (ვეტერინარული, ზოოვეტერინარული, ზოოეკოლოგიური და სანიტარული) ნაკლებად აქტიურობენ. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ამ მეცნიერებათა საკვლევ-სამეცნიერო ცენტრები თითქმის გაუქმებულია.

თავის დროზე ამ დარგის ერთ-ერთ სპეციალისტს, ვეტერინარსა და მიკრობიოლოგს ბატონ **ტრისტან ქჟონიას** საბჭოთა ხელისუფლებამ ამიერკავკასიის ვეტერინარული ცენტრის შექმნა დაავალა იმ საშიშ დაავადებებთან საბრძოლველად, რომელთა გამავრცელებლად ცხოველები და ფრინველები ითვლებიან. ის კარგად იცნობს მსოფლიო ეპიდემიების ისტორიას და მათთან ბრძოლის ხერხებს. სწორედ ამიტომ იგი ახლახან საგანგებო სიტუაციის გამო აღდგენილი ვეტსანიტარიისა და ზოოეკოლოგიის ცენტრის დირექტორად მიიწვიეს.

**— ბატონო ტრისტან, როგორ ფიქრობთ, „ფრინველის გრიპის" გავრცელების ძირითად წყაროდ გარეული ფრინველი ითვლება თუ შინაური?**

— გარეული. ვირუსი ძირითადად ექსკრემენტებით ვრცელდება. ვირუსის გავრცელების წყაროა ნადირობა და გარეულ ფრინველთა კვერცხის შეგროვებაც. ევროკავშირის ზოგიერთმა ქვეყანამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება, „ფრინველის გრიპის" საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩაუტარდეს მეფრინველეობის დარგის მუშაკებს (ევროკავშირში კი ამ საქმეში დაახლოებით ნახევარი მილიონი ადამიანია დასაქმებული). თუმცა ღარიბი ქვეყანა ვართ, „ფრინველის გრიპის" საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩვენთანაც უნდა ჩატარდეს.

**— კი, მაგრამ „ფრინველის გრიპის" საწინააღმდეგო ვაქცინაციის პრეპარატები შექმნილია?**

— ასეთი ვაქცინის პირველი ნიმუშები უნგრელმა მეცნიერებმა შექმნეს. მისი გამოყენება ადამიანებსა და ცხოველებზე ერთნაირად შეიძლება. ადრე ჩვენც ვმუშაობდით ვაქცინების შექმნაზე. კავკასიის ვეტერინარულ ცენტრში საგანგებო სანიტარული რაზმები გვყავდა. სწორედ მაშინ შევქმენი ფრინველთა ვაქცინაციის ხელსაწყოც, რისთვისაც სახელმწიფო პრემიაზე წარმადგინეს. თუმცა, იმ დროს მუშაობაზე ვთქვი უარი — 9 აპრილს შვილი დამეღუპა...

**— დღეს ეს გამოგონება ალბათ ძალზე აქტუალურია.**

— რასაკვირველია. ეს ხელსაწყო უარყოფითი ელექტროდებით დამუხტული მცირე მოცულობის იზოლატორია. მასში ვაქცინა ისხმება და ჰაერში იფრქვევა. ვაქცინის უარყოფით ელექტროდებს დადებითი ელექტროდებით დამუხტული ფრინველი ისრუტავს. მთავარი კი ის არის, რომ ამ ხელსაწყოთი ვაქცინაცია ძალზე სწრაფად ხდება. მაგრამ როგორც გითხარით, მის დანერგვაზე აღარ მიზრუნია. ახლა კი, რახან საფრთხე ჩემს შვილიშვილებსა და ქვეყანას ემუქრება, შევეცდები, შეუძლებელიც კი გავაკეთო. ამ დღეებში „ფრინველის გრიპთან" საბრძოლველი პროგრამა დავამუშავე. ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი. მე კი მეჩვენება, რომ დროს ლაპარაკში ვკარგავთ.

**— რას გულისხმობთ?**

— ელემენტარულ საკითხებს... მედიცინაში თუნდაც მცირედ ჩახედულმა ადამიანმა იცის, რომ ვირუსი ცოცხალ ორგანიზმში ბინადრობს. ამიტომაც არასერიოზულად მეჩვენება ის, რომ საზღვარზე გადმოსული მანქანების საბურავების დეზინფექციაზე ვამახვილებთ ყურადღებას, საბურავი კი ცოცხალი ორგანიზმი არ გახლავთ. შესაძლოა გამონაკლის შემთხვევაში საბურავსაც შემოაქვს მიკრობი, მაგრამ პირველ რიგში სხვა პრობლემებია მოსაგვარებელი. საწყის ეტაპზე აუცილებლად უნდა ჩატარდეს მთელი ქვეყნის ვეტერინარულ-სანიტარული პასპორტიზაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ ზედმიწევნით აღირიცხოს ლანდშაფტური კერები, ისინი შესაძლებლობების მიხედვით გასუფთავდეს და სანიტარულად დამუშავდეს. ჩვენთან კატასტროფული ანტისანიტარული მდგომარეობაა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნაგავსაყრელია, ქუჩებში კი დახოცილ ცხოველებსაც შეხვდებით. სწორედ ამ გზით ვრცელდება დაავადებები. გარდა ამისა, სანიტარული და ვეტერინარული სპეციალისტებისა და მოსახლეობის მომზადებაა აუცილებელი.

**— პანდემიის საშიშროება გაზაფხულსა და შემოდგომაზე ფრინველის გადაფრენის დროს იქმნება. ჩვენში ყველაზე საშიშ ადგილებად რომელი ითვლება?**

— საქართველოს ტერიტორიაზე ფრინველთა გადაფრენის ორი გზა გადის. პირველი — შავი ზღვის სანაპიროს გავლით, მეორე — კავკასიონის ქედზე. ამ გზით ძირითადად გარეული ბატები და იხვები მიეშურებიან. არაგვის გავლით მტკვარზე გადაიფრენენ და სამხრეთ-აღმოსავლეთით მიუყვებიან. მიმოფრენისას ფრინველები პალიასტომისა და სამცხე-ჯავახეთის ტბებზე ისვენებენ... სწორედ ეს მიდამოები ითვლება დიდი რისკის ზონად. ვფიქრობ, საჭიროა მათი მიხედვა და შეძლებისდაგვარად დამუშავება. ამასთან, უნდა შეგვეძლოს ამ დაავადების ამოცნობა.

დაავადებული ფრინველის თავი ჩამოშვებულია, თვალები დახუჭული აქვს. ნისკარტიდან შესქელებული ლორწო გადმოსდის და გახშირებულად სუნთქავს. აღენიშნება დიარეაც...

**— ამბობენ, „ფრინველის გრიპი" არც ისე ახალი დაავადებაა.**

— არსებობს მოსაზრება, რომ „ფრინველის გრიპი" ჯერ კიდევ ასი წლის წინ იტალიაში აღმოაჩინეს. მაგრამ მაშინ ასეთი შეშფოთება არ გამოუწვევია, რადგან ის ადამიანს არ გადაედებოდა. მთავარია, ახლა ადამიანიდან ადამიანზე არ გავრცელდეს. თუმცა, როგორც ვთქვი, გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს, სანამ ვაქცინა შეიქმნება, ამ დაავადებასთან სწორი ბრძოლა პანდემიას აგვაშორებს.

**— ვირუსის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური პრეპარატები არსებობს. რამდენად ეფექტიანია ისინი?**

— ეს პრეპარატები შვეიცარიული „ტამიფლუ" და უნგრული „რედენზა" გახლავთ. შესაძლებელია რუსული წარმოების „არბიდოლის" გამოყენებაც. დღეს ყველაზე დამაიმედებლად უნგრელი მეცნიერების მიღწევები ითვლება. ჯერჯერობით ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მათ მიერ შექმნილი ვაქცინით პროფილაქტიკის შემდეგ ამ დაავადებით დასნებოვნება აღარ მოხდება... ალბათ მალე დაიწყება ამ პრეპარატის სერიული წარმოება.

***ეთერ ერაძე***

თმის გადანერგვის კლინიკა «თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები – მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები.
სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
ბუდაპეშტის ქ. 22, მესაზღვრეების ჰოსპიტალი, III სართული
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

# ეს უნდა იცოდეთ

**რატომ კეთდება სისხლის ანალიზი, როგორ მოვიქცეთ ტუბერკულოზისა და ჰიპერტონიის დროს.**

*ლ. კვაჭაძე*

ექიმის მიერ დანიშნული ლაბორატორიული გამოკვლევებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სისხლის საერთო კლინიკური ანალიზი. სისხლი თხიერი ქსოვილია, რომელიც შედგება პლაზმისა და ფორმიანი ელემენტების: ერითროციტების, ლეიკოციტებისა და თრომბოციტებისგან.

ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისგან ყოველგვარი გადახრა იწვევს სისხლის შემადგენლობის გარკვეულ ცვლილებებს. ამიტომ დაავადების დიაგნოსტიკაში სისხლის გამოკვლევა მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

სასურველია, კლინიკური ანალიზისთვის სისხლის ალება მოხდეს დილით, უზმოზე, თუმცა ექსტრემალურ სიტუაციაში ამას ყურადღება არ ექცევა. რეკომენდებული არ არის სისხლის ალება ფიზიკური და გონებრივი დატვირთვის, ძლიერი ემოციების, ფიზიოთერაპიული პროცედურების, რენტგენოლოგიური გამოკვლევის შემდეგ.

სისხლის კლინიკური გამოკვლევის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჰემოგლობინის კონცენტრაციის განსაზღვრას, ჰემატოკრიტის მაჩვენებელს, ერითროციტებისა და ლეიკოციტების რაოდენობის განსაზღვრას და მათ მორფოლოგიურ თავისებურებებს, ერითროციტების დალექვის სიჩქარეს (ედსი), თრომბოციტების რაოდენობის განსაზღვრას, სისხლის შედედების დროს.



**ჰემოგლობინი** — ერითროციტების ძირითადი კომპონენტია. მისი ერთი ნახევარი შეიცავს რკინას, მეორე — ცილოვანია. დღეისათვის სისხლში ჰემოგლობინის შემცველობის ნორმა ქალებში საშუალოდ არის 110გ/ლ-150გ/ლ-მდე, მამაკაცებში — 130-165გ/ლ-ზე; სალის ერთეულებით 70-დან 90-მდე ქალებში და 78-100 — მამაკაცებში.

**ერითროციტების** ძირითადი ფუნქციაა მონაწილეობა სუნთქვით პროცესში, ტუტემჟავიანობის წონასწორობის რეგულაცია და სხვა. ერითროციტები წარმოიქმნება ძვლის ტვინში. მათი დაშლა მიმდინარეობს ელენთაში, ღვიძლში, ნაწილობრივ სისხლძარღვებში. ერითროციტის სიცოცხლის ხანგრძლივობა შეადგენს 120 დღეს.

ჰემოგლობინის და ერითროციტების ან ერთ-ერთი მათგანის რაოდენობის შემცირებას **ანემია** ეწოდება. ჰემოგლობინის რაოდენობა განსაკუთრებით მკვეთრად მცირდება რკინადეფიციტური ანემიის დროს. ამასთან, ერითროციტების რაოდენობა ჰემოგლობინის კონცენტრაციასთან შედარებით უფრო შემცირებულია ვიტამინ $B_{12}$-ისა და ფოლიუმის მჟავით გამოწვეული ანემიის დროს.

ანემიების დროს მკვეთრად მცირდება **ჰემატოკრიტი**. ეს არის ერითროციტებისა და პლაზმის ურთიერთშეფარდება. ჰემატოკრიტის სიდიდეს განსაზღვრავს ერითროციტების რაოდენობა და მოცულობა. ლეიკოციტების რაოდენობა მნიშვნელოვანი დიაგნოსტიკური მაჩვენებელია სისხლში. ლეიკოციტები წარმოიქმნება ძვლის ტვინში და ლიმფურ კვანძებში. ისინი იცავენ ორგანიზმს უცხო აგენტებისაგან, მონაწილეობენ იმუნურ რეაქციაში. ლეიკოციტების რაოდენობის მომატება (ლეიკოციტოზი) ძირითადად აღინიშნება ანთებითი პროცესების, ბაქტერიული ინფექციების დროს.

**ეოზინოფილების** რაოდენობა მატულობს ალერგიული პროცესების განვითარებისას; პარაზიტული დაავადებების, განსაკუთრებით ტრიქონელოზის, ასევე ბრონქული ასთმის დროს.

**ლიმფოციტების** რაოდენობა მატულობს ინფექციური მონონუკლეოზის, ტუბერკულოზის, ბრუცელოზის, ლეიშმანიოზის დროს.

**სამკურნალო დიეტა ტუბერკულოზის დროს:** ფილტვის ტუბერკულოზის დროს აუცილებელია ორგანიზმის მომაგრება, საჭიროა გაძლიერებული კვება (კალორიების რაოდენობა გაზარდეთ 1/3-ით). ეს შესაძლებელია, პირველ რიგში, ცხოველური ცილების ხარჯზე (ხაჭო, ყველი, რძე, ხორცი, თევზი). შეეცადეთ, თავი აარიდოთ კვერცხის ჭარბად მიღებას.

გაძლიერებული კვება რეკომენდებულია 40 წლამდე ასაკის პაციენტებისათვის, ხოლო შემდეგ მხოლოდ მათთვის, ვისაც პროგრესირებადი სიგამხდრე და დაუძლურება აღენიშნებათ. მენიუ შეძლებისდაგვარად მრავალფეროვანი უნდა იყოს და შეიცავდეს ტუბერკულოზის „განსაკურნავ" ყველა საკვებ კომპონენტს:

- პურ-ფუნთუშეული — ხორბლის რუხი პური, სოიის ნამცხვარი;
- ხიზილალა, ღვიძლის პაშტეტი;
- რძე და რძის პროდუქტები;
- ცხიმი — კარაქი (ნაღების) და მცირე რაოდენობით ზეითუნის ზეთი;
- კვერცხი — ომლეტი; ჩახლილი ერბოკვერცხი (არა უმეტეს 2 კვერცხისა დღეში);
- ხორცი, თევზი, ღვიძლი; ბატის, იხვის ხორცი, ცხვრის ცხიმიანი ხორცი, ღორის მჭლე ხორცი;
- ბურღულეული — „ჰერკულესი";
- ხილი, კენკრა, ტკბილეული — ლეღვი, ყურძენი,
- ვიტამინები — C ვიტამინი ასკილის ნაყენის სახით;
- მარილი — ნორმალური რაოდენობით.

საკვების მიღება შესაძლებელია 7-ჯერ დღეში.

**ჰიპერტონიის წინააღმდეგ:** ჰიპერტონიით მოსახლეობის 10%-ზე მეტია დაავადებული. არტერიულმა წნევამ ისე შეიძლება მიაღწიოს სიცოცხლისთვის საშიშ ზღვარს, რომ ადამიანი თავს კარგად გრძნობდეს. ჰიპერტონიის დიაგნოზი პირველად შეიძლება უკვე ინსულტის ან მწვავე მიოკარდიუმის ინფარქტის ჩამოყალიბების შემდეგ დაისვას.

ჰიპერტონიული დაავადების ყველა შემთხვევაში მედიკამენტური მკურნალობა აუცილებელი არ არის. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ I და II სტადიის მქონე პაციენტების სისხლის წნევა ნორმას უბრუნდება მარილის მოხმარების შემცირებით, წონაში დაკლებით და რეგულარული ფიზიკური დატვირთვით.

იმისთვის, რომ შევამციროთ მარილის მოხმარება, საჭიროა:

- შევამციროთ მარილის რაოდენობა საკვების მომზადებისას;
- არ მივიღოთ მლაშე საკვები: დამარილებული თევზი, მარილიანი ორცხობილა, ლორი, ბეკონი, მწნილი და სხვ.

მაგრამ თუ აუცილებელია მედიკამენტური მკურნალობა, გახსოვდეთ, რომ ჰიპერტონიული დაავადების საწინააღმდეგო მრავალი ეფექტიანი მედიკამენტი არსებობს, მაგრამ მათი მიღება ექიმის რეკომენდაციის გარეშე დაუშვებელია.

*მაია მუხიგული*

# დავიცვათ კანი ყინვისაგან



ცივი ჰაერი და ნესტი კანს აუხეშებს, აბერებს. ამიტომ ზამთარში უფრო საჭიროა მისი კვება. გთავაზობთ მარტივ ნიღბებს, რომელთა წყალობით კანი ისეთი ნაზი და სასიამოვნი იქნება, როგორც გაზაფხულზე.

*ბანანისა და გრეიპფრუტის ნიღაბი:* მწიფე ბანანი კარგად გათქვიფეთ, დაამატეთ 2 ს/კ გრეიპფრუტის წვენი და წაისვით სახეზე 30 წუთით, შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით და სახეზე შეიზილეთ ზეითუნის ზეთი.

*კიტრისა და ზეთის ნიღაბი:* საშუალო ზომის ნახევარი კიტრი გახეხეთ, შეურიეთ 1 ს/კ მდუღარე წყალი და 2 ჩ/კ ზეითუნის ზეთი. ნიღაბი სახეზე გაიჩერეთ 10-12 წუთი, შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით და კანში შეიზილეთ ზეითუნის ზეთი.

*ფორთოხლისა და მაწვნის ნიღაბი:* აურიეთ ერთმანეთს 1 ს/კ ახალგამოწურული ფორთოხლის წვენი და 2 ჩ/კ სქელი მაწონი. წაისვით სახეზე. 20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ რძეში დასველებული ბამბის ტამპონით.

*ლიზა*

# ბალახებით მკურნალობა

ბოლო წლებში ძალიან პოპულარული გახდა ფიტოთერაპია. თუმცა, ბრმად მოდის მიყოლა საშიშია — ყველანაირი ბალახის ჩაი ვერ იქნება ერთი ადამიანისათვის სასარგებლო. საჭიროა შერჩევა, ამიტომ რჩევა ექიმს უნდა ჰკითხოთ. ბალახეული პერიოდულად უნდა ცვალოთ. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში შეცვლის პერიოდი სხვადასხვაა და შეადგენს ერთიდან ათ კვირამდე. ბალახით მკურნალობის სქემა, სასურველია, განაახლოთ ყოველთვე. ზოგი ბალახი თავიდან შედეგიანია, შემდეგ ორგანიზმზე უარყოფითად მოქმედებს. მაგალითად, ვალერიანის ფესვების ორ კვირაზე მეტხანს დიდი დოზით სმას მოჰყვება ძლიერი თავის ტკივილი, გულის რევა, გულის მუშაობის, სუნთქვის ორგანოების დარღვევა. ერთი სიტყვით, არ დაიწყოთ თვითმკურნალობა — ფიტოთერაპიასაც სჭირდება ექიმის კონტროლი.

*სანი*

# ზამთარში კარგია ექსპრეს-დიეტა

ზამთარში ორგანიზმი 4-5 კგ-ს იმატებს. ეს იმის ბრალიც არის, რომ სიცივეში გვიჭირს ბევრი მოძრაობა, თან ვიტამინები, კერძოდ, ხილი ნაკლებია და ზამთრის სტრესის მოსახსნელად ვეტანებით ცომეულს, ტკბილეულს. ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ექსპრეს-დიეტაში შედის 5-ჯერადი კვება — ყოველ 3 საათში ერთხელ. კურსი მოიცავს 7 დღეს. შემდეგ დაისვენეთ ერთი კვირა და გაიმეორეთ. ყოველი კურსის დროს შეიძლება 3-4 კგ დაიკლოთ. ჭამიდან ჭამამდე, შუალედში, აუცილებლად დალიეთ უშაქრო ჩაი ან ნატურალური ყავა ნებისმიერი რაოდენობით. მაგრამ გახსოვდეთ, რომ ექსპრეს-დიეტა შეგიძლიათ ჩაიტაროთ წელიწადში მხოლოდ ორჯერ. დღის მანძილზე აუცილებელი პროდუქტების ნუსხა ასეთია: 1 ჩ/ჭ 1,5%-იანი რძე ან 1%-იანი მაწონი, ვაშლი, 2-3 კიტრი, 100 გ მოხარშული მჭლე ხორცი, თევზი (ნაკლებცხიმიანი), 100 გ უცხიმო ყველი, 100 გ უცხიმო ხაჭო, 1 მაგრად მოხარშული კვერცხი უმარილოდ.

*ოჯი*

# უკოფეინო ყავა?



ამერიკელმა კარდიოლოგებმა დაადგინეს, რომ უკოფეინო ყავა გაცილებით მავნებელია გულ-სისხლძარღვთა სისტემისათვის, ვიდრე კოფეინიანი. ექიმებმა 187 პაციენტი სამ ჯგუფად გაყვეს. პირველი ჯგუფი მიირთმევდა კოფეინიან ყავას, მეორე — უკოფეინოს, მესამე — საერთოდ არ სვამდა. ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ დამტკიცდა, რომ უკოფეინო ყავა 18%-ით ზრდის სისხლში ინსულინისა და მჟავას რაოდენობას, საიდანაც წარმოიშვება ე.წ. „ცუდი" ქოლესტერინი, რომელიც ხელს უწყობს ათეროსკლეროზის განვითარებას სისხლძარღვების კედლებზე, „უკოფეინო ჯგუფს" მხოლოდ 8%-ით გაუზარდა ცილის რაოდენობა სისხლში.

*ზდოროვიე*

# შეინარჩუნე ვიტამინური იდილია

გუნება-განწყობა, ნივთიერებათა ცვლა, იმუნიტეტი — ყველაფერი ეს დამოკიდებულია ვიტამინებისა და მინერალების რაოდენობაზე, რომელსაც ჩვენ ვიღებთ. მეცნიერებისათვის ცნობილი 13 ვიტამინიდან 9 წყალში იხსნება, 4 — ცხიმში. პირველს მიეკუთვნება B ჯგუფის 8 ვიტამინი და C ვიტამინი. მათი ჭარბად მიღება არ არის საშიში, რადგან არც ერთი მათგანი ტოქსიკური არ არის და ორგანიზმიდანაც ადვილად გამოდის. A,D,E,K ვიტამინები კი, რომლებიც ცხიმში იხსნება, გროვდება ორგანიზმში და მათი გამოდევნა ძნელია.

C ვიტამინი (ასკორბინის მჟავა), შემოდგომასა და ზამთარში ძალიან სასარგებლოა. ის არის ყველა ციტრუსში, აგრეთვე ნესვში, მარწყვში, კარტოფილში, პომიდორში, კომბოსტოში, ტკბილ და მწარე წიწაკაში. C ვიტამინი ეხმარება ორგანიზმს შემაერთებელი ქსოვილის გამაგრებაში, აჩქარებს იარების შეხორცებას, განუმეორებელია ბევრი დაავადების პროფილაქტიკისათვის, ებრძვის გაცივებას.

D ვიტამინი (კალციუმფეროლი) აუცილებელია ნივთიერებათა ნორმალური ცვლისათვის, კარგი გუნება-განწყობისათვის. მას გვჩუქნის მზე, რომლისგანაც ვიღებთ ენერგიას. D ვიტამინის ნაკლებობა შეგვიძლია ავინაზღაუროთ თევზეულით.

A ვიტამინი შესანიშნავად ამაგრებს იმუნიტეტს, აჯანმრთელებს კანს, ხელს უწყობს მხედველობის შენარჩუნებას, აუმჯობესებს შარდის ბუშტის ფუნქციას. ის საჭიროა ძვლებისა და კბილებისთვის. A ვიტამინს შეიცავს გარგარი, ნესვი, სტაფილო, სალათა, ღვიძლი, პომიდორი, საზამთრო, გოგრა — ყველა ამ პროდუქტს ორგანიზმი ადვილად ითვისებს.

E ვიტამინს „ახალგაზრდობის" ვიტამინს უწოდებენ. ის შედის მცენარეულ ზეთში, მწვანილში, ნიგოზში, თხილში, კვერცხში, რძეში, თევზში.

B ვიტამინის ჯგუფში შედის 8 ვიტამინი: $B_1$ (ტიამინი), $B_2$ (რიბოფლავინი), $B_3$ (ნიაცინი), $B_5$ (პანტოტენის მჟავა), $B_6$(პირიდოქსინი), $B_7$ (ვიოტინი), $B_{12}$ (ციანკობალამინი) და ფოლიუმის მჟავა. B ვიტამინი აღადგენს ენერგიას. მას შეიცავს კომბოსტო, მწვანილი, მწვანე ბოსტნეული, პური.

K ვიტამინი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ძვლებისა და შემაერთებელი ქსოვილების ნივთიერებათა ცვლაში, ხელს უწყობს თირკმლების მუშაობას. ის შედის კომბოსტოში, ლობიოში, კიტრში, პომიდორში.

ორგანიზმისათვის აუცილებელია მინერალები: რკინა, მაგნიუმი, სელენი, კალციუმი, კალიუმი, თუთია. მინერალებს შეიცავს კვების ყველა პროდუქტი. C ვიტამინი ხელს უწყობს რკინის ათვისებას, D — კალციუმის, A — თუთიისას.

გახსოვდეთ, ყველაფერს სჯობს ნატურალური ვიტამინები!

*მირორი*

# გრიპის ვირუსი კიბოს წინააღმდეგ

გენეტიკურად შეცვლილი გრიპის ვირუსი წარმატებით ებრძვის ავთვისებიან სიმსივნეებს, — ამტკიცებენ ამერიკელი მკვლევარები. მათ ჩაატარეს ცდა თავის და კისრის სიმსივნით დაავადებულ 30 პაციენტზე. ამ ჯგუფში, გარდა ჩვეულებრივი ქიმიური კურსისა, ავადმყოფებს შეუყვანეს გენეტიკურად შეცვლილი გრიპის ვირუსი. 25 პაციენტს შეუმცირდა სიმსივნის სიდიდე, ხოლო 5%-ს — გაუქრა. ავთისებიან სიმსივნეებში შეშვებული ვირუსი ანადგურებს კიბოს უჯრედების მნიშვნელოვან ნაწილს. კვლევა გრძელდება.

*ოტდოხნი!*

„ლიგა" სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
•ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
•ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
•სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
•სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
•უროლოგიური,გულსისხლძარღვთა,ნევროლოგიური, ნივთიერებათა ცვლის მოშლით და ნარკომანიით გამოწვეული სექსუალური დარღვევების მკურნალობა
ფსიქოთერაპია
ვაქცინაცია დასავლეთის წარმოების ვაქცინებით.
თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ტელ: 32 21 21; 31 73 24

პრეპარატი ფენსი გაძლევთ უნიკალურ შანსს
ფსორიაზი
ეგზემა
ნეიროდერმიტი
სებორეა
იმკურნალოთ
ენდეთ საუკუნოვან გამოცდილებას!
იკითხეთ აფთიაქებში
საუკუნოვანი გამოცდილების მქონე, ყველაზე ეფექტური, არაჰორმონალური მალამოს საშუალებით
სერთიფიცირებულია
ცხელი ხაზი: 39 66 03




ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
პროფ. გუსკოვის მეთოდით, ელ. სტიმულატორ „ინტრატონით", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ გააჩნია, პოტენციის დაქვეითებას, ქლამიდიოზს, ტრიქომონადულ და სხვა უროგენიტალურ ინფექციებს. დიაგნოსტიკა, ექოსკოპია თანამედროვე იაპონური აპარატურით.
მის: გამსახურდიას (პეკინი) №14
მე-8 პოლიკლინიკა, კაბ. №26, 9-13სთ.
☎ 8(93) 31 42 35

გაიზომეთ წნევა და პულსი სხვისი დახმარების გარეშე
იკითხეთ აფთიაქებში გერმანული მაჯის წნევის აპარატი „MEDactive"
ფასი 30$ ეკვივალენტი ლარში
☎ 31-69-68
899-53-99-15



ცხოვრება ზოგისთვის თავბრუდამხვევი სისწრაფით მიჰქრის, ზოგისთვის კი ურემივით მიიზლაზნება. დროს ვერაფერი შეაჩერებს, მაგრამ ამ ორომტრიალშიც ხშირად დგება მომენტი, როდესაც გვახსენდება გოეთეს ფრაზა — „შეჩერდი, წამო...“ „გაიყინება“, გაირინდება ადამიანის არსებობის ერთი მცირე მონაკვეთი და ისევ თავაწყვეტილი სრბოლით გაგრძელდება წუთისოფლის ტრიალი... შეჩერებულმა წამმა კი იქნებ საუკუნეების ხანგრძლივობაც დაიტიოს თავისი ყოვლისმომცველი იდუმალებით...

„კვირის პალიტრის“ ამ ფოტოგალერეაში საინფორმაციო სააგენტო **„ინტერპრესნიუსის“** ფოტოკორესპონდენტების მიერ დანახული ქართული რეალობაა წარმოდგენილი, ჩვენი დღევანდელობა და სინამდვილე. „შეჩერებული წამი“ — როგორც ჩვენი ისტორია და... მარადიულობა(?!.).

## „ჭირვეული მეზობლები“



„ეგა ღამ-ღამობით ყუმბარებს ამზადებს...“
(კ/ფ „ნატვრის ხე“)

„ვის სჭირდება სისხლით მოპოვებული „წესრიგი და მშვიდობა“. მრცხვენია, რომ ჩვენს დროში ჩვენი არმია ასეთ საზარელ რამეს სჩადის“.
(დიმიტრი ლიხაჩოვი — რუსი აკადემიკოსი)

„გაქვს ეგ ცხვირიც,
არა მიტომ,
რათა ზოგჯერ გჭირდეს
სურდო,
გაქვს იმიტომ, გაქვს იმიტომ,
ყველაფერში რომ არ დურთო!“
(მუხრან მაჭავარიანი)



„მტრის ჯინაზე ზღაპრულ სუფრას გავშლი!..“



ქართულ-რუსული დაძაბულობის ფონზე დუმის დეპუტატმა ვიქტორ ალქსნისმა თავდამირველად ნიანგის ცრემლებით გვაუწყა, რომ ის თურმე „მიმინოსა“ და „ჯარისკაცის მამის“ ბრწყინვალე სიუჟეტებზე ყოფილა აღზრდილი, შემდეგ კი ყველაფერი ერთბაშად დაავიწყდა და უმადურად მოგვაძახა:
— ჩვენ გარეშე მაინც ვერ გაძლებთ, დაიღუპებითო!..

## „არ დაიჯერო, რომ აღარა ვართ!“



## „ჯერ წესია საქმე და მერე საქმეა საქმე“ (ჭაბუა ამირეჯიბი)

საგადასახადო კოდექსში დაშვებული უზუსტობის გამო დამოუკიდებელი პრესა მძიმე სიტუაციაში ჩავარდა. ჟურნალ-გაზეთების სარეალიზაციო ჯიხურების იძულებითი დახურვის შემდეგ რედაქციები ხელისუფლებას შეცდომის გამოსწორებისკენ მოუწოდებენ და მკითხველის ინტერესების დაცვის გათვალისწინებას ურჩევენ.



„გახსოვდეთ, რომ ქვეყანაზე ქაღალდის გარდა არის კიდევ სინდისი“
(ილია ჭავჭავაძე)

„მრეწველებისა“ და „ახლების“ გზების გაყრის თაობაზე საზოგადოებისა და პოლიტიკოსთა აზრი ორად გაიყო. თოფაძის პარტიის გადაწყვეტილებაზე თავისი შეხედულება უმრავლესობის წევრმა დავით კირკიტაძემაც გამოთქვა, რომელმაც საკმაოდ თბილად დაახასიათა „მრეწველები“ და ახალ ფრაქციას წინსვლა და წარმატებები უსურვა.





„— ბარაქა, გოგი!...
— წადი, შენი... ძალიან უხარია ჩემი ბარაქა...“
(კ/ფ „ქვევრი“)



ტურინში ზამთრის ოლიმპიური თამაშები გაიხსნა. 7000-მდე მსახიობმა და მონაწილემ გრანდიოზული დღესასწაული მოაწყო და ღამის ტურინი ისეთ „ცეცხლოვან“ ქალაქად აქცია, რომლის ხილვამაც მრავლისმნახველი სოფი ლორენიც აღაფრთოვანა...



„ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს“ — ეს სიტყვები დასცდა სიცივისაგან აკანკალებულ რუს ლამაზმანს, რომელიც კინოთეატრ „ამირანში“ იაპონური ფილმის „გეიშას დღიურის“ პრემიერის წინ ექსტრავაგანტური სახით წარუდგინეს მაყურებელს. სუშით მოფენილი ქალის შიშველი სხეულიდან დელიკატესების გასინჯვის მსურველებთან ერთად ფოიეში ისეთებიც იყვნენ, თეფშებად ქცეული ფოთლების მოწყვეტაზეც რომ „უკაწკაწებდათ კბილები“, მაგრამ გამოცხადებულმა ლოზუნგმა — „ხელები შორს გეიშასაგან“ — ბოლომდე ეფექტურად იმუშავა.



„— ხელი არსად არ წაავლო, კაცო!...
— მა რა ვქნა, შე შობელძაღლო, კავით მოვიწოდო?!.“
(კ/ფ „სიყვარული ყველას უნდა“)

# „სანამ გაისვრით, ზარბაზნის ლულა საქართველოსკენ მიატრიალეთ"...

ისტორიული ფაქტების აღნუსხვაში დახელოვნებული ძველი სპარსი მემატიანეები არაფერს წერენ ფერეიდანში იძულებით გადასახლებული ქართველების შესახებ. არც ირანში მცხოვრებ ჩვენს ძმებს მოეძიებათ წერილობითი ისტორიული ცნობები იმის შესახებ, როგორ მოვიდნენ დღემდე და როგორ გაუძლეს უამრავ განსაცდელს. ამიტომაც 400 წლის განმავლობაში, საქართველოს ისტორიის იმ მონაკვეთში, რომელსაც სამშობლოსაგან მოწყვეტილი ქართველების მატიანე უნდა აესახა, თეთრი ლაქა გაჩნდა. საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არსებობს მისი შევსების საშუალება. მართალია, ზუსტი თარიღები არავის ახსოვს, მაგრამ ფერეიდნელ ქართველებს ისტორიოგრაფებისთვის მნიშვნელოვანი უზარმაზარი ინფორმაცია ზეპირი გადმოცემებით დღემდე შემოუნახავთ. ერთ-ერთმა მათგანმა, გიორგი ხუციშვილმა „კვირის პალიტრას" ირანიდან გამოგზავნილი წერილით გვიამბო რამდენიმე საუკუნის წინ ფერეიდანში დატრიალებული ტრაგედია, რომელმაც სამშობლოსგან იძულებით მოწყვეტილი ქართველების ბედის ჩარხი უკუღმა დაატრიალა.

გიორგი ხუციშვილი მოგვითხრობს, ირანის ერთ-ერთი სასტიკი ხანის, ქერიმის ფერეიდანზე გალაშქრების ამბავს და იმას, თუ რით არის მნიშვნელოვანი ფერეიდანში მდებარე ციხე-მთა იძულებით გადასახლებული ქართველების ისტორიაში.

„ირანის ქართველებისთვის ციხე-მთას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც სპარტელებისთვის დამავანდის, იაპონელებისთვის ფუძიამას, აფრიკელებისთვის კილიმანჯაროს და ნეპალელებისთვის ჯომოლუნგმას, თუმცა ციხე-მთა არც განსაკუთრებული სიმაღლით გამოირჩევა და არც სილამაზით. ის უბრალოდ უტყვი მოწმეა ყველა იმ ტრაგიკული მოვლენისა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მის გარშემო ვითარდებოდა. ციხე-მთა მტერთან ბრძოლაში ქართველების სამაგალითო ვაჟკაცობის უტყვი მოწმეა და ირანის ქართველობაში იმ სისხლიან და შემზარავ დღეს აცოცხლებს, რომელიც ერთდროულად ჩვენი ტრაგედიაც არის და ვაჟკაცობის, გმირობისა და თავგანწირვის დღესასწაულიც. ციხე-მთამ გააკაჟა ქართული სული თითოეულ ფერეიდნელ ქართველში", — წერს გიორგი ხუციშვილი.

ფერეიდანში, სოფელ ჩუღურეთსა და მარტყოფს შორის მდებარე ძნელად მისადგომი მთა თურმე ბუნებრივად წარმოქმნილ ციხესიმაგრეს ჰგავს. მთის შუაგულში, ულამაზეს ველზე ორი წყარო მოედინება. როგორც გიორგი ხუციშვილი მოგვითხრობს, ძნელბედობისას აქ აფარებდნენ თავს ქართველი მეომრების ოჯახები.

„სამწუხაროდ, უცნობია იმ ბრძოლის ზუსტი თარიღი, რომელმაც ფერეიდნელი ქართველების ცხოვრებაში მატერიალური ზარალის გარდა დიდი ფსიქოლოგიური გარდატეხაც გამოიწვია. ტრაგედიის კვალი დღემდე შემორჩა ფერეიდნელი ქართველების სულში და მაინც, გამანადგურებელი ცეცხლის ალიდან ფენიქსივით ავღორძინდით.

ჩვენი მიზანი არ არის ქერიმ-ხანის სისასტიკის წარმოჩენა. გვინდა ისტორიის ლაბირინთებში ჩაკარგული ქართველების ვაჟკაცური და გამძლე სული



ციხე-მთის კლდეები ბუნებრივად წარმოქმნილ ციხესიმაგრეს ქმნიან...

გავაცოცხლოთ, რომლის წყალობით ჩვენი წინაპრები სასტიკი ხანის მრავალათასიან ლაშქარს არ შეუშინდნენ.

სპარსეთის ისტორიიდან ცნობილია, რომ მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა არასტაბილური იყო. ნადირ-შაჰის (1736-47) მოკვლის შემდეგ ხელისუფლებაში გაჩენილმა განხეთქილებამ სპარსეთი სახანოებად დაანაწილა. ძალაუფლებისთვის ბრძოლაში საბოლოოდ ქერიმ-ხანმა გაიმარჯვა. უმთავრესი მეტოქეების, ყაჯართა მთავარსარდლის, მოჰამედ ჰასან-ხანისა და ბახტიართა ტომის მთავარსარდალ ალიმარდუნ-ხანის დამარცხების შემდეგ, მან ფერეიდნელი ქართველობის დამორჩილებაც სცადა. ბრძოლებში მიღებული მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად მშრომელი და ხელმადლიანი ქართველების მოხარკედ ქცევა მისთვის საუკეთესო გამოსავალი იყო. მანამდე ნადირ-შაჰის ლაშქარში სიმამაცითა და გმირობით გამორჩეულ ქართველებს ხარკის გადახდას არავინ სთხოვდა. ამიტომაც ქართველებით დასახლებული ტერიტორიების ადმინისტრაციულ ცენტრში, სოფელ მარტყოფში, ხარკის ასაკრეფად მისულ ქერიმ-ხანის ქვეშევრდომებს ქართველებმა განუცხადეს — ჩვენი შრომის ნაყოფს არც ერთ მბრძანებელზე არ გავცემთო. ასეთმა პასუხმა ხანი განარისხა. ათიათასკაციანი ლაშქარი დარაზმა და ქართველთა დასასჯელად წამოვიდა. ქართველები ციხე-მთაში გამაგრებულან. სწორედ მაშინ ამოუქოლიათ მაღალი კლდეების შესასვლელები უზარმაზარი ლოდებით. მტრის მიახლოებისას ქართველებს ერთმანეთისთვის შეუფიცავთ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთო. ქერიმ-ხანს ბრძოლის დაწყებამდე შეუთვლია, თუ დამნებდებით და ხარკსაც გადამიხდით, არაფერს გავწებთო. ციხე-მთას შეფარებულებს დამამცირებელი წინადადების მიმტანი დესპანი კიწწისკვრით გაუგდიათ და ქერიმ-ხანისთვის შეუთვლიათ, არასოდეს მოვიხრით ქედს მტრის წინაშე, გავიმარჯვებთ თუ დავმარცხდებით, მაინც გამარჯვებულები ვიქნებითო.

ქერიმ-ხანმა სარდლებთან მოითათბირა. თურმე თან ბჭობდა და თან ამაყად ეწეოდა ყალიონს. მოულოდნელად ყალიონის წვერს უფეთქია. როგორც შეიტყვეს, სიბილუა (ულვაშიანი) თავაზაშვილს ხანისთვის ციხე-მთიდან უსვრია თოფი. გასროლა საბედისწერო გამოდგა ქართველებისათვის. მოგვიანებით თანამოძმეებს რომ უკითხავთ, — რატომ არ მოკალი ქერიმ-ხანი, მისი მოკვლით ხომ ომიც დამთავრდებოდაო, სიბილუას უპასუხია, — ქართველის წესია ორთაბრძოლაში მოკლას მტერი და არა ჩუმად და მიპარვითო.

ქერიმ-ხანმა სხვანაირად უპასუხა თავაზაშვილის ვაჟკაცურ გამოწვევას — მან ქართველების განადგურება გადაწყვიტა. პირველი იერიში მტრის მარცხით დამთავრდა. ქართველების სანგრებიდან გადმოყრილმა ლოდებმა ხანის ლაშქრიდან ბევრი იმსხვერპლა და დაასახიჩრა. ამიტომ სპარსელები იძულებული გახდნენ, უკან დაეხიათ და ცოტა ხანში ახალი ძალით განმეორებითი იერიში მიეტანათ ქართველებზე. მეორე დღეს მტერმა გადალახა ქართველთა სიმაგრეები და მათი უმოწყალო ხოცვა-ჟლეტა დაიწყო. ერთ ქართველზე რამდენიმე სპარსი მოდიოდა. ბრძოლა საღამომდე გაგრძელდა. მიუხედავად ამისა, გამარჯვება ვერც ერთმა მხარემ ვერ მოიპოვა. გაბოროტებულმა ქერიმ-ხანმა შეტევის განახლება შემდეგი დღისთვის გადადო. ბრძოლის მესამე დღეს ქართველებს სურსათი შემოელიათ და დაუძლურებულებმა მტრის ახალ შემოტევას ვეღარ გაუძლეს. ციხე დაეცა. მტერს ხელში რომ არ ჩავარდნოდნენ, თურმე ქართველები კლდიდან ხტებოდნენ.

სიკვდილს გადარჩენილები ციხე-მთის ძირში მოუგროვებიათ (ამ ადგილს ქარიზი, ქართულად წყარო, ჰქვია). ქერიმ-ხანს უბრძანებია,— დახოცილ ქართველებს თავები დააჭერით და ერთად შეაგროვეთ, გადარჩენილი წინამძღოლები კი დახოცეთო. სიკვდილმისჯილთათვის თვალების ახვევა დაუპირებიათ. ხელ-ფეხშეკრული და ნაწამები ქართველები შეშფოთებულან, ჩვენს ჯიშს სიკვდილთან შეყრა არასდროს შეშინებიაო და მტრისთვის ერთადერთი და უკანასკნელი თხოვნით მიუმართავთ — თვალები არ აგვიხვიოთ, ისე გვესროლეთო.

ქართველთა ერთ-ერთი წინამძღოლი, ურუჯუყულ-ბეგი განსაკუთრებული სისასტიკით დაუსჯიათ, — ზარბაზნის ლულაზე მიუკრავთ, რომ მისი სხეული ნაფლეთებად ექციათ. სიკვდილის წინ ჯალათებისთვის ღიმილით უთხოვია, — სანამ გაისვრით, ზარბაზნის ლულა საქართველოსკენ მიმართეთო. ვერ შეუბედიათ უარი ვაჟკაცისთვის...

ქერიმ-ხანის ჯარის ერთ-ერთი სარდალი წარმოშობით ქართველი იყო. ბრძოლის დროს ის შირაზში იმყოფებოდა. ფერეიდანში დატრიალებული ტრაგედიის ამბავი რომ შეუტყვია, ქართველთა დასახმარებლად გაქცეულა, მაგრამ დაუგვიანია. ომი დასრულებული დახვდა. მხოლოდ ისღა მოუხერხებია, რომ ცოცხლად გადარჩენილი ქართველების სიცოცხლე გამოუთხოვია სასტიკი ხანისგან. ქერიმს უარი ვერ უთქვამს უმამაცესი სარდლისათვის.

ომის შემდეგ ქართველებმა ვეღარ შეძლეს ქართული ადათ-წესების ბოლომდე შენარჩუნება. ამ ომში მრავალი გვარი ამოწყდა. თურმე ბრძოლისას, როდესაც დედა შვილთან ერთად კლდიდან ვარდებოდა, შვილის გადასარჩენად ცდილობდა, ზურგზე დაცემულიყო, ბავშვი კი გულში ჰყავდა ჩაკრული. სწორედ ასე გადარჩენილა ჰაყვერდი ხუციშვილი, რომლის შთამომავლობა დღესაც ცხოვრობს ფერეიდანში"...

ამ ამბის მთხრობელი გიორგი ხუციშვილი სწორედ იმ ჰაყვერდის შთამომავალია.

„ეს ბრძოლა ხარკის ასაცილებლად არ მომხდარა. ის ქართული ხასიათის გამოვლინება იყო და მტერს ასწავლიდა, რომ ქართველებს ძალით ვერავინ დაიმორჩილებდა. საქართველოს ისტორია ხომ ამის უტყუარი მაგალითია. ასეთი ტკივილით სავსე ამბები თაობიდან თაობას გადაეცემოდა ჩვენში. ასე ვიზრდებოდით, მათი მოსმენით ვძლიერდებოდით და გვიათმაგდებოდა ჩვენი შორეული სამშობლოს, მისი ენის, კულტურის სიყვარული. ასე შევინარჩუნეთ ქართველობა და გვინდა ჩვენმა მომავალმა თაობებმაც იცოდნენ, რომ მათი დასაცავია სამშობლო, ენა, ქართველობა და წინაპრის კულტი", — გვწერს გიორგი ხუციშვილი.

ფერეიდანში ქრისტესთვის ლოცვა რომ აუკრძალავთ, იმ დღიდან სამშობლოსა და სჯულისთვის წამებული წინაპრები გამხდარან სალოცავ-საფიცარნი. რაც დრო გადის, მით კარგად ვხვდებით, რომ ჩვენი შორეული მოძმეებისგან ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ, თუნდაც საკუთარი ისტორიის დაფასება.

**ეკა ლომიძე**

გამოხმაურება

## „გულისტკივილი რაც უფრო დიდია, მით ნაკლებ ელავს"

ამა წლის 23-29 იანვრის „კვირის პალიტრაში" გამოქვეყნებული სტატიის შემდგომ — „ვინ და რატომ აპირებს 24 ტონა ქართულად ნათარგმნი მუსლიმანური იდეოლოგიის ლიტერატურით აჭარის მომარაგებას", სოფ. სარფის მართლმადიდებელი მრევლი პირველად გამოვთქვამთ ასე საჯაროდ ჩვენს მოსაზრებას და მოგახსენებთ, რომ აღნიშნულზე ფიქრმა, ჩვენში ისეთი ენით აღუწერელი გრძნობა დაბადა, რამაც უფრო მეტად შეგვაერთა, უფრო მეტად გამოგვაფხიზლა და მეტი სიფრთხილისკენ მოგვიწოდა, რადგან, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, „ჩვენი სოფელი საქართველოშიც არის და თურქეთშიც. მას ლაზურად სარფი „მელენი" (იქეთა) და სარფი „მოლენი" (აქეთა) ჰქვია.

„კვირის პალიტრასთან" საუბარში სტამბოლის უნივერსიტეტის ლექტორს, თეოლოგ სულეიმან ახმეტ ოღლი ულუტალს, დიდი აქტიურობა გამოუჩენია, მაგრამ ჩვენი მიზანი არ არის, მის ყოველ ნათქვამს პასუხი ზედმიწევნით გავცეთ, თუმცა აუცილებლობის შემთხვევაში არც ამას დავზარდებით.

მისი აზრით, აჭარლები, ლაზები, მესხები მუსლიმანები იმიტომ გახდნენ, რომ მიხვდნენ, რამდენად სჯობია მუსლიმანობა ქრისტიანობასო.

ჩვენი აზრით, ლექტორმა ეს ისეთი კმაყოფილების გრძნობით თქვა, თითქოს, ამ ხალხს, ასეთი სწორი არჩევანი თავიდანვე მან შესთავაზა და ახლა ამის მოზიარეაო, მაგრამ ხალხის მიხვედრილობა, რა სჯობია და რა არა, ისევ ხალხს ეკუთვნის და მათ ამ არჩევანის უფლებას ვერავინ წაართმევს.

ის ამბობს, რომ თვითონაც აჭარელია, აქ ნათესავები ჰყავს და უნდა, მათ მიხედოს, გადაარჩინოს, რომ აქ კარდაკარ დადის და იცის, ვის რა სტკივა. მაგრამ ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ლექტორს საერთოდ არ ესმის ჩვენი ჭირი და სიხარული, თორემ ასე ხელაღებით ამას ვერ იტყოდა ან, უბრალოდ, ამდენს არ გვაკადრებდა, ხოლო ნათესავთა დახმარებასა და გადარჩენაზე წინასწარ საუბარი საკუთარი „მე"-ს წარმოჩინება და ჯერ არგაკეთებული საქმის აფიტირებაა, რადგან მარტო „დასახმარებლებს" და „გადასარჩენებს" კი არა, „დახმარებულებს" და „გადარჩენილებსაც" არ მოსწონთ ამდაგვარი წარმოჩინება.

ის ამბობს, რომ აჭარაში მუსლიმანობის გასაძლიერებლად, სულ მცირე, 360 მეჩეთის აშენებაა საჭირო. რაც ფული გააჩნია, სულ ამ საქმეს მოახმარს და ყველაფერს იღონებს, რათა ახალგაზრდები სასწავლებლად წაიყვანოს თურქეთში, რისთვისაც თურმე ფულს და წიგნებს არ დაიშურებენ, მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ სიყვარული და გულისტკივილი რაც უფრო დიდია, მით ნაკლებ ელავს და მით ძნელად გამოითქმის. სწორედ ეს შეუსაბამობაა, რომ გვაფიქრებს, გვაფხიზლებს და გვაერთიანებს...

2003 წლის 20 აგვისტოს ჩვენს სოფელში 960 მკვიდრთაგან 200-ზე მეტმა დაიბრუნა წინაპართა ჭეშმარიტი სარწმუნოება და თითოეულის ნათლია უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორეა. აღნიშნული ნათლობა ჩატარდა ე.წ. „კალენდერეში", რაც თურქულად სისხლიან ღელეს ნიშნავს.

საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ 12 მაისი დაადგინა ლაზ წამებულთა და აგრეთვე ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლის დღედ.

იმავე წლის 30 ნოემბერს, მაღლა ადგილას აღიმართა ცხრამეტრიანი ჯვარი, საიდანაც ხელისგულივით ჩანს სარფი „მელენი" და სარფი „მოლენი". ეს ჯვარი ღამითაც განათებულია და დღემდე არავის უთქვამს ამის საწინააღმდეგო.

2004 წლის 28 აგვისტოს, მეტად მნიშვნელოვან ადგილას, საბაჟოდან დაახლოებით 50 მეტრში, იკურთხა ადგილი, სადაც ჩვენი ინფორმაციით, ამა წლის გაზაფხულიდან დაიწყება ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიის მშენებლობა...

**სარფის მართლმადიდებელი ლაზები**

განსხვავებული ჟურნალი

სენსაცია — მარადონა საქართველოში გაზაფხულზე მართლა ჩამოჰყავთ

საააკაშვილების ოჯახს ახალი წევრი შეემატა — ნინო და გიორგი 19 თებერვალს ჯვარს სამებაში დაიწერენ

ფეხმძიმე სალომე ღვინიაშვილი შეიძლება ტყუპის დედა გახდეს

ნატა ამაღლობელის ნაძალადევი ღიმილი და სიმწრის ცრემლები

ტრაგედია ლეგენდარული რადიოდიქტორის ოჯახში — რატომ მოკლა შვილმა დედა




ორშაბათობით!

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. პროტექტი



კომუნისტების დროს, როგორც იქნა, თბილისის მე-5 საავადმყოფოში მოვხვდი, თითქმის ორი თვე რიგში ვიდექი, მაღალი წნევა მაწუხებდა. ერთმა ნაცნობმა დაურეკა პროფესორ მშვენიერაძეს. მეშვიდე პალატაში მომათავსეს. პალატის ექიმი იყო კაკო ექიმი — როგორც მას მივმართავდით. პალატაში სამნი ვიწექით და მეოთხეც დაგვიმატეს, ერთი ახალგაზრდა ქურთი. ერთ დღესაც შემოვლაა. პროფესორმა ყველა გაგვსინჯა, ზოგს რა მითითება მისცა, ზოგს რა. ვინც სპირტიან სასმელს ეტანებოდა, დალევა აუკრძალა, ვინც სიგარეტს ეწეოდა, თავი დაანებეო.

ბოლოს ქურთის ბიჭიც გასინჯა. მერე მიუბრუნდა კაკო ექიმს და უთხრა, ამას ცოტა ყურადღება მიაქციეო და გავიდა პალატიდან.

ექიმის წასვლა იყო და ავარდა ქურთი. დაუწყო პროფესორს ლანძღვა-გინება. როგორ, რაკი ქურთი ვარ, იმიტომ უნდა მომაქციონ „ცოტა“ ყურადღებაო?!

ძლივს გავაგებინეთ, რომ ეს ცოტა ამჯერად მეტს ნიშნავდა...

***მათე, თბილისი***

## 2. – მეც შალვოვიჩი ვარ!..



ტრავმატოლოგიის ინსტიტუტში მუშაობდა სამი ცნობილი ექიმი, სამივე მეცნიერებათა კანდიდატი, სამივე განყოფილების გამგე. მორიგეობითაც ერთად მორიგეობდნენ. ერთ-ერთი მორიგეობისას საკაცით შემოიყვანეს მთვრალი მამაკაცი. ცოტა რომ მოასულიერეს და გამოაფხიზლეს, მაშინვე დაუწყო გინება მორიგე ექიმებს. ისინი ამშვიდებდნენ და სთხოვდნენ შინ წასულიყო, მაგრამ მთვრალი არა და არ ისვენებდა. ველარ მოუთმინეს, გალახეს და გააგდეს. გალახულმა იჩივლა...

მეორე დილით, ხუთწუთიანი კონფერენციის შემდეგ დირექტორმა კაბინეტში დაიბარა „დამნაშავეები“ და ირონიული ღიმილით განუცხადა, რომ სამივენი პროკურატურაში იყვნენ დაბარებული. თან დააყოლა, იქიდან დაბრუნებული პირდაპირ ჩემთან მოხვალთო.

პროკურატურიდან დაბრუნდნენ დღის ბოლოს გვარიანად შეზარხოშებულნი. დირექტორს გაუკვირდა, იქ როგორლა დათვერითო.

აი, რას მოუყვნენ ძმაკაცები: გამომძიებელმა დაიწყო ანკეტის შევსება: აბაიშვილი ანზორ შალვას ძე, შავგულიძე თამაზ შალვას ძე... ეჭვის თვალით გამოხედა „დამნაშავეებს“ და როცა მესამემ უკარნახა — ვაშაკიძე გივი შალვას ძე, გაცეცხლებულმა მოითხოვა ყველას პასპორტი. რომ დარწმუნდა, არ იტყუებოდნენ, მხიარულად წამოიყვირა, — მეც შალვოვიჩი ვარ! წამოდით ახლა, მე გეპატიჟებით, გავიცნოთ ერთმანეთი, იმ მთვრალი კაცის დედაცო...

ბევრი იცინა ინსტიტუტის დირექტორმა და ბოლოს ჩაილაპარაკა: — არა, თქვენი გამოსწორება არ იქნებაო!

— როგორ არა, — შეჰბედა სამივემ ერთად, — ხვალ ხაში გამოგვასწორებსო.

— ხაში ჩემზე იყოსო! — დაჰპირდა მეგობრებს დირექტორი.

***გივი კურტანიძე, თბილისი***

## 3. – მე რაღახ მატყუებდა!..



კახეთის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობდა ენაკვიმატი ოსია. მისი მეზობელი შაქრო ძალიან ავად იყო, ამბობდნენ, დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერიაო. ერთხელ ვენახიდან მომავალმა ოსიამ მეზობელი ქუჩაში გამოსული დაინახა, ძალიან გაუხარდა და ჯანმრთელობის ამბავი გამოჰკითხა. ახლა კარგად ვარო, — არხეინად უპასუხა შაქრომ.

ის იყო ოსიამ ივახშმა და დალლილი ტახტზე წამოწვა, რომ წივილკივილიც ატყდა. შაქრო მომკვდარიყო.

— ეგ კაი კაცი, მე რალას მატყუებდა, კარგადა ვარო!.. ჩაიბურტყუნა განაწყენებულმა ოსიამ და ტახტზე გვერდი იცვალა.

***გიორგი ო., გურჯაანი***



## მკითხველის საჩუქარი
## ანეკდოტი



**4.** *ნარკომანი ყვება ბირჟაზე:*

— ამას წინათ მივედი სახლში „მაგარ გასწორებულში“. შევედი ოთახში და რას ვხედავ — დგას ვილაც კაცი აჩაჩულ-დაჩაჩული, მომშტერებია უაზროდ და უშნოდ ილრიჭება. „ცოლის საყვარელი“, — გამიელვა თავში. ავილე „პოლის ჯოხი“, მოვცხე და მოვცხე, მოვცხე და მოვცხე.

— მერე, მოკალი? — დაინტერესდა მეორე.

— ვინ მოვკალი, ტო... სარკე სულ დავფშვენი!

***ემზარ ფრუიძე, წყალტუბო***



**5.** *ციხეში ბუნტია!:*

ოსი კუთხეში ჩუმად ზის და პატიმრებს შეშინებული ეუბნება: — ჩუმად, ჩუმად, თორე გაგვყრიან აქედან, თქვენი წილიმე!

***თამაზ ხელაძე, ვანის რაიონი, სოფელი ზეინდარი***

### კურიოზების კონკურსი

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ———

———————————

თქვენი სახელი, გვარი

კვირის პალიტრა №7

**ყურადღება!**

### კონკურსი

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას. ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, III ადგილზე გასული კი — 20 ლარს.

ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათს, 15 თებერვლის 11 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 16 თებერვლის 13 საათამდე.




## © .ფოტოპალიტრა.

**ზ. ძ.** — ნინო, გილოცავ ვარდების რევოლუციის 2 წლისთავს.

**ნ. ბ.** — დავიღუპე! კოტე საეჭვოდ გვიყურებს. ეგონება, ოპოზიციაში გადმოვდივარ. უთუოდ მიშასთან დამასმენს.

***ლერი კვირიაშვილი, გურჯაანი***

**ნ. ბ.** (ფიქრობს):

*— იმდენს ვცემ ახლა ამ ვარდით, მთლად რომ წაერთვას გონია...*

**ზ. ძ.** (ფიქრობს):

*— „რა ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია“...*

კოტე გაბაშვილი სიღრმიდან უთვალთვალებს და გაბრაზებული ეჭვით ფიქრობს: „ნახე, რა ტკბილად ეჭუკჭუკებიან ერთმანეთს!“

***„ჩელენტანო“***

**ზ. ძ.** — კობამ ეს ვარდი გამოგიგზავნათ, ქალბატონო ნინო!

**ნ. ბ.** — ბარემ პირდაპირ ეთქვა — გადადექიო!

***ზურაბ ქუთათელი, ქუთაისი***

შალვა ნათელაშვილის ყველაზე საყვარელი სიზმარი: ბურჯანაძე და ძიძიგური ვარდებით ხელში მიდიან კანცელარიისკენ.

***თემურ (ტონი) ფაჩულია, ზუგდიდი***



ზვიად ძიძიგური, ნინო ბურჯანაძე

**ნ. ბ.** (ფიქრობს): — „წითელი ვარდი მომართვა“... თან ელიმება, — ნეტა რა აქვს გუნებაში? აჰა, გამოვიცანი... ვერა, ვაუბატონო, ვერ ელირსები, რომ შევარდნაძის ბედი გავიზიარო!..

***ემზარ ფრუიძე, წყალტუბო***

**ნ. ბ.** — ზვიად, გეყოფა ამდენი ჭამა. ახლა ჩვენი სიმბოლო, ვარდი დაიჭირე ხელში!

**ზ. ძ.** — ეჰ, ჩემო ნინო, ეგ ვარდი ახლა კი არა, ნეტავი მაშინდელ ნოემბერშიაც არ დამეჭირა ხელში!..

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***

## მილოცვა



**ათია-ათის!**

გილოცავთ დაბადების დღეს, მრავალი ათი გაგეთენებოდეს!

*ლია ბებო, გურამი ბაბუ, ნათია, გიორგი, ხათუნა, ირაკლი, ლუკა, მიმი*

**ილია ზაქარიას ძე ასკილაშვილს!**

მამა, ჩვენო კარგო, სულითა და გულით გილოცავთ დაბადების დღეს. რაც მთავარია, ჯანმრთელად იყავი.

*შენი შვილები*



პატარა **გიორგი დავითაშვილს** დაბადების დღეს ულოცავს დიდი ბებია. სასახელო ვაჟკაცი გაზრდილიყავი!

*სიყვარულით – ნათელა ბებია*



დაბადების დღეს და პედაგოგიური მოღვაწეობის 35 წლისთავს ვულოცავთ შესანიშნავ ადამიანს, საყვარელ მასწავლებელს, მეგობარს, უაღრესად განათლებულს, უანგაროს... ღმერთმა დალოცოს ჩვენი **ციალა კაკუბავა**, მისცეს ძალა, რომ თავისი ნიჭი და გამოცდილება დევნილობის ჟამს, კეთილად მოახმაროს აჭარელ ახალგაზრდებს, თავის ერს, სრულიად საქართველოს! მალე შინ, მშობლიურ აფხაზეთში დაბრუნება მოგვილოცოს!

*გალის რაიონის გამგეობა, გალის რაიონის განათლების სამსახური*

**მერაბ ხოშტარიას!**

თქვენი საძმო-სამეგობრო გილოცავთ დაბადების დღეს – 9 თებერვალს! ჯანმრთელობა, ბედნიერება, სულის სიმშვიდე და სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი. ღმერთმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს. ბატონო მერაბ, აპლოდისმენტები ჩვენგან!..

*კეთილარიდან*



**ჩემს პატარა მულიშვილს — გიორგი ჭანტურიას!**

გიო, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ულევ სიხარულს შენს მშობლებთნ და გოჩუნასთან ერთად.

*დიდი სიყვარულით – ხათუნა ბიცოლა, ბესიკ ბიძია, ნიკუშა და ბექა ჯონჯუები*



**ოთარ ხარაძეს!**

ჩვენო საყვარელო ოთარი ბაბუა, დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს, 85 წლის შესრულებას. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ულევ სიხარულს.

*გკოცნით შვილიშვილები: ხათუნა, ოთიკო ხარაძეები, ნათია, შოთიკო ლაღიძეები*



**ბესიკ დუმბაძეს!**

ჩვენი ოჯახების ბურჯო და იმედო, საყვარელო კეთილო ბესო! გილოცავთ დაბადების დღეს გისურვებთ ჯანმრთელობას, მშვიდ ცხოვრებას, მრავალ სიხარულს და წარმატებებს დედასთან და შვილებთან ერთად.

*ცისნამი, რომანი, ლელა, კახა, ნიკა, მაკა, მარი*

**ჩვენო საყვარელო და სანატრელო ირმა!**



გილოცავთ დაბადების და სიყვარულის დღეს. გამოზაფხულდა. ცხოვრება თავისი გზით მიდის, ისევ ამოდის მზე, ჩხრიალებს ნაკადული, იბერება ატმის და ნუშის კვირტები. არის ქვეყნად სიხარული, რომელიც ადამიანს ალამაზებს. შენც ამ სილამაზის ერთი დიდი ნაწილი ხარ. იმედიანად მიიკვლევ გზას დიდი ცხოვრებისკენ. იაიებმა და ყოჩივარდებმა ამაყად იწყეს ამოსვლა თოვლის საფრიდან, მათაც მოგილოცეს სიყვარულის დღე და გვაუწყეს – გაზაფხულდაო... შენც ამ ნაზი და სათუთი ყვავილებივით ლამაზი და თავმდაბალი ხარ, გიცდით და გელით სულმოუთქმელად. ასე ფაქიზად ნალოლიავებ პატარა გოგოს ამდენი თუ შეგეძლო, ვერ დავიჯერებდით. ათასობით კილომეტრი გვაშორებს ერთმანეთს და უფრო მეტად ძლიერდება ნახვის, ნატვრის სურვილი. ჩემი ფიქრი, ჩემო შვილო, ცას შერევია და ეს მანძილიც ხდება შორის და მიუსაფარი. დღეს, ამ გაზაფხულის დღეს გვინდა მოგილოცოთ დაბადებისა და სიყვარულის დღე, ერთად გისურვოთ ყოველივე კარგი. ცხოვრების ფართო ასპარეზზე სულ გამარჯვებულს გვევლოს ლამაზი ოცნებებით.

*შენი საყვარელი დედიკო ციცო; და ანი; დისშვილები: ნანი და თორნიკე; დეიდები: ცარო და მარინე ბულბულაშვილები ოჯახებით; ბებია მარგო; ბაბუა ვახტანგი; პაპიდა ციალა ბულბულაშვილი ოჯახებით*

**ირმა ბულბულაშვილს!**

ჩვენო საყვარელო და ლამაზო ირმა! გვინდა გაზაფხულის მოსვლასთან ერთად მოგილოცოთ დაბადებისა და სიყვარულის დღე ერთად. გისურვებთ წარმატებებს და დიდ სიყვარულს პირად ცხოვრებაში, შენს დედიკოსთან ერთად.

*დიდი სიყვარულით, შენი ციცო დედიკოს დაქალები – მზია ბოჭორიშვილი, ლალი მეტრეველი, ლია მუმლაძე, ნანა ჯავრიშვილი და გულიკო კაჭკაჭიშვილი*

## მადლობა

დიდი მადლობა თბილისის საგადასახადო ინსპექციის მომსახურების სამმართველოს მთაწმინდა-კრწანისის განყოფილების თანამშრომლებს: **ქეთევან მენაბდეს, მადონა კანდელაკს**, ადამიანური სითბოსა და უანგარო დახმარებისთვის! მადლობა უფალს, რომ კიდევ არსებობენ გულისხმიერი ადამიანები ამ გათითოკაცებულ ქვეყანაში.

*ნ. ქურხული*

## ბინები

იყიდება 1-ოთახიანი, სუფთა ბინა, ბ/არით, ტელეფონით, სველი წერტილებით, მე-8 სართულზე. მის: ელიავას ქ. №26, I კორპ. I სად. მე-8 სართ. ს. ფ – $20.000. ტელ: 34-03-67; 899 72-93-71

იყიდება 5-ოთახიანი ჩეხური პრ. გარემონტებული ბინა 8(9), დადიანის გამზ-ზე ნახალოვკის ცენტრში (ქორწინების სახლის თავზე), მეტროსთან ახლოს, დიდი ლოჯიით და დიდი სათავსით, რკინის კარით, თერმექსით, მუდმივი დენით, წყლით, გაზით, ლიფტით, 2 აივნით. ფასი: $52.000. ტელ: 895 54-83-39

იყიდება რუსთავში 4-ოთახიანი ბინა V სართულზე, ევრორემონტით და ავეჯით, აივნით, სარდაფით, რკინის კარით, მ/ცივი და ცხელი წყლით, წყლის საქაჩი ტუმბოთი, 800-ლიტრიანი უჟანგავი ლითონის ავზით სახურავზე, 100-ლიტრიანი „არისტონის" ავზით და „კარმის" გაზის გამათბობლით; საამაზანოსამზარეულო კაფელ-მეტლახით, გერმანული სამზარეულო ჩაშენებული გერმანული მაცივრით, ბ/ა და ჭურჭლის სარეცხი მანქანით, გერმანული საძინებლით და სამეულით, რუმინული მისაღებით და მე-2 საძინებლით, კაბინეტით, ტელეფონით, საკაბელო ტელევიზიით, სიგნალიზაციით, საავარაკე ნაკვეთით. ფასი $23.500. მის: რუსთავი, მე-20 მ/რ. ტ: 899 56-79-23

> იყიდება 3-ოთახიანი უცხოვრებელი ბინა, 1(5), მაღალ ბელეტაჟზე, მაღალი ჭერით, სარდაფით 30 კვმ, კაფელში ჩასმული, ახალი ევრორემონტით. მის: ბათუმი, რუსთაველის ქ. ზღვის პირას 20 მ-ში, ბულვარის წინ. ტელ: 893 67-36-83; 877 47-66-12

## გთავაზობთ სამუშაოს

ფირმის ოფისში გვაქვს რეალური ვაკანსიები კვალიფიკაციის მიხედვით. მენეჯერები სტაჟირებას გაივლიან მსოფლიოს 51 ქვეყანაში, საკუთარი სურვილით, ფირმის ხარჯებით და პროფილით. ანაზღაურება გამომუშავებით – 400-600 ლარი ან სტაბილური $200-დან ზევით. ტ: 899 76-68-50. ბ-ნი დიმიტრი. მის: დიდუბე, სამთო ქიმია, I სართ. ოთახი 6. ტ: 34-02-38

შეუქმენი შვილებს უზრუნველი მომავალი, ნუ დაკარგავ შანსს, იყო წარმატებული. დარეკე დღესვე, ხვალ გვიან იქნება!!! ჩაწერა წინასწარ, გასაუბრება უფასოა. ტელ: 877 43-21-09; 898 25-97-78; 73-17-49. ირაკლი

იტალია-ამერიკა-საფრანგეთის საერთაშორისო კომპანია გთავაზობთ პრესტიჟულ საოფისე სამსახურს მზარდი ანაზღაურებით. 17-დან 40 წლამდე ასაკის ადამიანებს ვიწვევთ კონსულტანტ-მენეჯერის ვაკანსიის დასაკავებლად. მიმდინარეობს შერჩევა. მის: მ. „რუსთაველი", (ელბაქიძის დაღმართი), ჯავახიშვილის №12, მე-3 სართ, ოთახი 33. ტელ: 93-55-41. თამრიკო

უცხოური ჰოლდინგური კომპანია გაფართოების გამო აწარმოებს თანამშრომლების შერჩევას ოფისში სამუშაოდ. სასურველია რუსული ენის მცოდნე, საშუალო სპეციალური განათლებით, ასაკი 25-55 წ. ტელ: 57-46-10 (10-18); 893 94-98-19

18-25 წლამდე გოგონებს, ვინც უკვე ნამყოფია au-pair პროგრამით გერმანიაში, ვთავაზობთ გამგზავრებას ავსტრიაში – იმავე au-pair პროგრამით, 1 წლით, იგივე პირობებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79

ამერიკული კომპანია პირველად საქართველოში აწარმოებს კადრების შერჩევა-გადამზადებას ახალი ტექნოლოგიების გათვალისწინებით. ასაკობრივი ცენზი განუსაზღვრელია. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ როგორც რეგიონების მცხოვრებთ, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. ინფორმაციის მიღება უფასოა. ტელ: 893 65-29-75; 60-30-22. ნანული

კადრების მომზადების ცენტრში მიმდინარეობს შერჩევა და გადამზადება: 2 მარკეტოლოგი, 1 მედკონსულტანტი, 1 მათემატიკოსი, 2 ეკონომისტი, 6 გან-ბა. ტელ: 62-17-63; 93-63-91

## მომსახურება

აგიკრებთ ნებისმიერი სახის ტექსტს, სწრაფად, ხარისხიანად. დაგიმზადებთ ბლანკებს, დოკუმენტებს. 1 გვერდის ფასი – 60 თ. ტელ: 34-32-79; 893 96-00-42

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ინდივიდუალური ნემსით, მორჩენის გარანტიით. ფასი: 1 სთ – 12 ლარი. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, კორპ. 9. ბინა 109. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ნაოჭების სრული დაშლა-გასწორება, გამონაყარის მოშორება, მოდუნებული სახის კანის, ყელის, ღაბაბის აღდგენა სამკურნალო მასაჟით (35 წუთი) + ეგვიპტური ნილბებით. შედეგი გარანტირებულია 7-10 დღეში, შემდგომში ნაოჭის არგაჩენის გარანტიით, სპეციალური მალამო ზეთით. სეანსი – 6 ლარი. მიღება მხოლოდ ჩაწერით. მის: №1 სამშობიაროსთან, ჯავის ქ. №26. ტელ: 899 17-63-90; 822 69-98-92. ეთო

კოსმეტოლოგი გთავაზობთ ეპილაციას ახალი სისტემის აპარატით, ვოლფრამის ინდივიდუალური ნემსით, მორჩენის გარანტიით, ანესთეზიით, გაღიზიანების გარეშე, 1 სთ – 6 ლ. აგრეთვე: სახის გაწმენდას და მალამოებს. მის: მ. „სამგორთან", ხარაბაძის ქ. №43/ა (წინასწარ ჩაწერით). ტელ: 77-61-64; 893 96-91-30. ნონა

ვაკეთებ ეპილაციას მორჩენის გარანტიით, პლატინისა და ვოლფრამის ნემსით. მაქვს საექიმო კოსმეტოლოგიური სტაჟი ოცდაათი წლის. საათის ღირებულება – თორმეტი ლარი. მიღება წინასწარი ჩაწერით, ყოველდღე 17 სთ-დან. მის: დიღმის მასივი, I კვ. კორპ. 11. ბ. №55. ტელ: 52-95-63; 899 92-17-69. ლალი გვენცაძე

ჩვენი წონის კორექციის პროგრამა 7-დან 20კგ-მდე თვეში მიიღწევა მცენარეული საშუალებებით. ერთდროულად ხდება ორგანიზმის გაწმენდა შლაკ-შხამებისაგან უჯრედის დონეზე, რაც საფუძველს უქმნის და რეალურად დიდი დახმარება გაუწიოს და განკურნოს ბევრი დაავადება – წნევის რეგულირებას, ათეროსკლეროზს, ნივთიერებათა ცვლას, კანის დაავადებებს (ვიტილიგო, მეჭეჭები, ხორცმეტები და ა.შ.), ჭარბთმიანობა, უშვილობა, იმპოტენცია მამაკაცებში, ინფექციური დაავადებები (ქოლეცისტიტი, კოლიტი, გასტრიტი, პროსტატიტი, ნეფრიტი, ჰეპატიტი და ა.შ.), მუცლისა და თეძოების ღარების დაცლულიტის მოსპობა; სიმაღლეში ზრდა თვეში 3-5 სმ, 2-დან 25 წლამდე (შედეგი 100%-იანი გარანტიით) იმუნიტეტის ამაღლება. დაიბრუნებთ ახალგაზრდობას, ორგანიზმი მომზადებული დახვდება გაზაფხულის შემოსვლას და მერე პლუს ჩვენი ახალშემოსული ქართული უნიკალური ფლორისა და ფაუნის პროდუქტები, სწორი კვება გაახანგრძლივებს თქვენს სიცოცხლეს. კონსულტაციები უფასოა. კონსულტანტი ტარიელი. ტელ: 34-02-38

სწრაფად და ხარისხიანად! შეკიდული ჭერი, ტიხრები KNAUF-ის სისტემა („გიპსოკარდონი", ARMSTRONG და ა.შ), ლამინირებული იატაკი! ტელ: 893 25-65-21; 96-71-53

ფოტოსურათების გადაღება „Nikon"-ის ფოტოკამერით. მაღალი ხარისხი დაბალ ფასად: ქორწილი, ნათლობა, ბანკეტი, ბაგა-ბაღი, სკოლა, სასწავლებლები და სხვა. ასევე კომპიუტერული მომსახურება, ფოტოსურათების კოპირება DVD-R, CD-RW, CDR-ზე. ტელ: 70-95-99; 893 96-86-38

რბილი ავეჯის რესტავრაცია, სამეულების აღდგენა-განახლება, სკამების მატრასების აღდგენა-განახლება. ვღებავთ ტყავის სამეულებს. ტელ: 96-97-12; 893 91- 95-14. გიზო

## მკურნალობა

საყლაპავის კარდიოსპაზმი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ქრ. აშლილობა და შეკრულობა, ნაღვლის ბუშტის, ღვიძლის, თირკმლების გაწმენდა, ბუასილი, წნევების დარეგულირება, ქალური და მამაკაცური პრობლემების მოწესრიგება, ფსორიაზი, უნებლიე შარდვა; ასევე გთავაზობთ მთლიანი ორგანიზმის კომპიუტერულ დიაგნოსტიკას. მიღება ჩაწერით ტელ: 899 43-97-34; 32-39-46. ექიმი ნათია

წინაპართა მეთოდებით, სამკურნალო მცენარეებისა და თეთრ მუმიოზე ვამზადებ მალამოებს, ხსნარებს. ვმკურნალობ: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრების ანთებას, რადიკულიტს, საშჯდომი ნერვის ანთებას, ჰაიმორიტს (ასევე უმძიმეს დაავადებებს), დისკოზს, ართროზს. მის: თევდორე მღვდლის №48. მე-4 სად. მე-8 სართ. 56-37-37; 899 54-64-81

> ალკოჰოლისა და თამბაქოსგან სწრაფი გათავისუფლება, კრემლის ლაბორატორიის მცენარეული პრეპარატებით, რომელიც ხსნის ნაბახუსევის სინდრომს, აგრესიას, დეპრესიას, აწესრიგებს ძილს, წმენდს ღვიძლს, თირკმელს, ნაღვლის ბუშტს და იცავს ორგანიზმს შემდგომი გართულებებისგან. მკურნალობა აბსოლუტურად უსაფრთხოა და შესაძლებელია პაციენტებისგან ფარულად. ტელ: 893 96-50-32 მაია; 93-44-25 (11-17); 96-34-51 (საღამოს)

საგვარეულო ხსნარებითა და მალამოებით თმის დაავადების მკურნალობა (ბუდობრივი ცვენით), ამოდის თმა; თმის ძირების გამოკვლევა აპარატით, ტილებისა და წილების მოსპობა, კანისა და ფრჩხილების სოკო, ფსორიაზი, ეგზემა, ლაქების მოცილება, ოფლის მალამო; ღრძილების, ჭრილო ბების, გამონაყარის, ქუსლებზე ნახეთქების მკურნალობა; მასაჟი აპარატით, გარანტიით. აქვე გახსნილია კოსმეტიკის კურსები. მის: ვაჟა-ფშაველას 47, II სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, II სართ. ოთახი 28. ყოველდღე, 11-18 სთ. ტელ: 39-39-51; 893 91-89-17; 35-32-62. ბიოლოგი მჭედლიძე-ბეგაშვილი

გთავაზობთ: 1. კუჭ-ნაწლავის და ორგანიზმის გაწმენდას წიდების, ტოქსინებისა და მარილებისაგან; 2. ნივთიერებათა ცვლის აღდგენას, იმუნიტეტის ამაღლებას, 3. წონაში დაკლების და შენარჩუნების „კომპლექსურ პაკეტს"; 4. სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდას ქოლესტერინისაგან; 5. ბავშვებისთვის ნატურალურ ვიტამინებს, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმის ზრდა-განვითარებას და აუმჯობესებს მეხსიერებას. ტელ: 893 10-81-17; 231 7-28-44 (ქუთაისი)

ღამის უნებლიე შარდვა (ბავშვებში), ცისტიტი და პიელონეფრიტი, ნევროზი, შიშები, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლული, ქრ. გასტრიტი, გულის რიტმისა და წნევის რეგულირება, ასთმა და ალერგია – მოსკოვში (კრემლის ლაბორატორიაში) დამზადებული მცენარეული პრეპარატებით. ტელ: 32-86-87; 893 18-96-97

ალკოჰოლიზმის მკურნალობა (პაციენტისგან ფარულადაც), „პახმელიის" მოხსნა, აგრესიები, აკვიატება, შიშები, უძილობა, თავის ტკივილები, ნევროზი, თამბაქოს გადაგდება, ბუასილი (სისხლმდენი, ქავილი, ნაპრალი), კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ფსორიაზი, სოკო, კანის დაავადებები, ასთმა, წითელი ქარი, პოდაგრა, ქოლეცისტიტი, ჰეპატიტი – ღვიძლის დაავადებები, კლიმაქსი – მცენარეული პრეპარატებით, რომელთაც არ გააჩნია უკუჩვენება. ექიმის მიერ აყვანილი პაციენტის განკურნება გარანტირებულია. ტელ: 899 21-13-66; 68-92-77. ექიმი ლალი

. რუსეთის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული მკურნალობს გარანტიით, ფუტკრის პროდუქტებისგან დამზადებული პრეპარატებით, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს (თუნდაც გახსნილი სისხლმდენი ძლიერი ტკივილებით). მის: ქ. ახმეტა, ყაზბეგის ქ. №72. ტ: 899 48-91-05. მიხეილი

მამაკაცების საყურადღებოდ! გარანტიით ვმკურნალობ ბუნებრივი პრეპარატებით ხანმოკლე დროში: პროსტატიტს, ერექციის დაქვეითებას, პენისის ანთებას, სპერმის ნადრევ და უნებლიე გამოყოფას, ხშირ შარდვას, წვას, სოკოვანს, შარდის შეკავება-შეუკავებლობას, შიშებს, წელის ტკივილს, კანის დაავადებებს, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს, კოლიტს, ღვიძლს, ბრონქიტს, ფილტვებს, ჰაიმორიტს, ბუასილს, თირკმლებს და სხვა დაავადებებს. ტელ: 899 49-84-23. ნონა

განსხვავებული და საინტერესო მეთოდით (პიროვნების გარეშეც) ვმკურნალობ ხანმოკლე დროში: აგრესიას, უძილობას, შიშს, დეპრესიას, მოჩვენებებს, მუსვენრობას, აკვიატებულ აზრებს და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, უიმედობას, ფსიქიკის დარღვევას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, მოუსვენრობას, შფოთიან ძილს, საშჯდომი ნერვის ანთებას, თავბრუსხვევას, თავის ტკივილს, მეხსიერების დაქვეითებას, ყურადღების გაფანტვას. ტელ: 899 49-84-23. ნონა

იცით თუ არა თქვენ, რომ ხერხემლის დეფორმაცია იწვევს 116 დაავადებას, რომელსაც ადამიანი დაცემითა და ტრავმებით იღებს. საკმარისია, გასწორდეს დეფორმაცია და პრობლემაც იხსნება. გთავაზობთ ოპერაციის გარეშე უნიკალური მეთოდით ნებისმიერ ასაკში ხერხემლის დეფორმაციასთან დაკავშირებული 102 პრობლემის მოგვარებას – მათ შორის ოსტეოქონდროზის, ბრტყელტერფიანობის. ტელ: 96-02-27; 899 24-22-25 (12-16 სთ)

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული უსწრაფესი შედეგებით!!! ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის ამოვარდნა), სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, შაკიკი. მკურნალობა ეფექტურია პირველსავე დღეებიდან!!! მის: რკინიგზის პოლიკლინიკა (ცოტნე დადიანის 87). 69-91-92 (კაბ.); 39-39-97; 899-57-16-99 ექ. ალექსიშვილი

100%-იანი გარანტიით!!! ვმკურნალობთ ბუასილის სხვადასხვა ფორმას (მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, კოლიტი, წვა, ქავილი). მწვავე ტკივილი ქრება 1-2 დღეში. მის: რკინიგზის პოლიკლინიკა (ცოტნე დადიანის 87). 69-91-92 (კაბ.); 39-39-97; 899-57-16-88 ექ. ალექსიშვილი

მცენარეებითა და ფუტკრის პროდუქტებით გთავაზობთ ბავშვთა და მოზრდილთა ორგანიზმის კომპლექსურ მკურნალობას (ახალი მეთოდით) შედეგი მყარი და გარანტირებული. უოპერაციოდ ვმკურნალობთ: კვანძოვან ჩიყვს, საკვერცხის კისტას, მიომას, ფიბრომას, მასტოპათიასა და ბუასილს, კუჭის წყლულს და სხვა. ასევე ტარდება სიმსივნით დაავადებულთა ეფექტური მკურნალოა მეტასტაზების შეჩერების მიზნით. ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. ტ: 70-78-03; 899-74-23-69

მთლიანი ორგანიზმის ზუსტი კომპიუტერული გამოკვლევა ფუნქციონალურად; დაავადებათა გამოვლინება საწყის ეტაპზე (ფასი 30 ლარი); კუჭ-ნაწლავის, გულ-სისხლძარღვთა (წნევების), ჩიყვის და დიაბეტის, ქალური, მამაკაცური, ნერვული სისტემის, სიმსუქნის, მოზარდებში სიმაღლეში ზრდის, ჩამორჩენის და ყველა შესაძლო პრობლემის დროული გამოვლინება და მკურნალობა. მის: ვაჟა-ფშაველას №47, II სართ. კაბ. №27. ტ: 877 45-78-39; 96-66-49. ქ-ნი ბელა; 893 16-70-76; 92-39-44. ბ-ნი ზვიადი

> მეჭეჭებისა და ხორცმეტების: პაპილომების, კონდილომების, მოლუსკების მოცილება სახეზე, თვალებზე, კისერზე, იღლიების ქვეშ, ტანზე – უმტკივნეულოდ, ნაკვალევის გარეშე. ეფექტი გარანტირებულია. მკურნალობს კვალიფიციური სპეციალისტი – რუსუდან საყვარელიძე. ტელ: 39-00-70; 899 56-96-61

დამსახურებული სახალხო მკურნალი ლალი ფანცულაიაჩარგეიშვილი მკურნალობს მცენარეებით, საგვარეულო რეცეპტებით: ეპილეფსიას, თირკმლებს, ღვიძლს, ნაღველს, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს, ქრონიკულ აშლილობას და შეკრულობას, ბუასილს ყველა ფორმისას, პროსტატიტს, საშარდე გზებს, კანის ყველანაირ დაავადებას, მუნს (3 დღეში), თმის ცვენას ბუდობრივს და ჩვეულებრივს, ფეხის ოფლს, ფრჩხილების და კანის სოკოს, ნევროზს, შიშებს, მოჩვენებებს, ბრონქიალურ ასთმას, ალერგიულ ხველას, ბრონქიტს, მარილებს, რადიკულიტს, საჯდომი ნერვის ანთებას, მუხლებისა და კოჭების ტკივილს, დასაზელი, დასაფენი და დასალევი საშუალებებით. მკურნალობა გარანტირებულია. მის: აღმაშენებლის 115. პოლიკლინის შენობა, კაბ. 19, ეზოს ბოლოში. ტელ: 78-07-94 (სახლი); 78-46-15; 95-83-54 (სამს.)

განკურნება გარანტიით. ვმკურნალობ თმის ბუდობრივ და ჩვეულებრივ ცვენას 10 დღეში. ვაჩერებ ცვენას, ამომყავს დაავადებულ ადგილებზე თმა. აგრეთვე მცენარეებით და საგვარეულო რეცეპტებით ვმკურნალობ ნევროზს, ხელების და თავის კანკალს, თვალების ხამხამს, ყველანაირ ტიკს. მის: აღმაშენებლის 115. პოლიკლინის შენობა, კაბ. 19ეზოს ბოლოში. ტელ: 78-07-94 (სახლი); 78-46-15; 95-83-54 (სამს.)

კანის, თმის, ფრჩხილის დაავადებების დიაგნოსტიკა, მედიკამენტოზური, ფიზიო-ლაზეროთერაპია (ეგზემა, ჭინჭრის ციება, პიგმენტური ლაქები, ფერიმჭამლები (აკნე), სებორეა, ეგზემა და ფსორიაზი, ქერტლი, ბუდობრივი გამელოტება, ვიტილიგო, კელიდური ნაწიბურები, კანის და ფრჩხილების ჩირქმბადი და სოკოვანი დაავადებანი და სხვა). ცენტრი „ინტერმედი", ბახტრიონის 22ა. 11-15 სთ-მდე, კვირის გარდა. ექიმის კონსულტაცია უფასოა, ყოველ შაბათს. ტელ: 36-05-68; 899 78-06-72

> ალკოჰოლიზმის თერაპიული მკურნალობა კრემლის ლაბორატორიის მაღალხარისხოვანი, მცენარეული, ლიცენზირებული პრეპარატებით. ქრონიკული ალკოჰოლიზმი, ალკოჰოლური ფსიქოზები – თეთრი ცხელება („ბელაია გარიაჩკა"), „პახმელიის" სინდრომის მოხსნა („ზაპოი"), ღვიძლის ალკოიდური დაავადებები და სხვა გართულებები. აგრეთვე ჰეპატიტები, ნევროზები, შიშები, უძილობა და სხვა დაავადებების მკურნალობა – შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც. ტელ: 899 36-65-34; 99-75-90. ნანა ექიმი

> ქრონიკული ალკოჰოლიზმის, მისი გამომწვევი მიზეზების (ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენაზას დეფიციტის) აღმოფხვრა, ალკოჰოლიზმის შედეგების („პახმელიის", „ზაპოის", ჰალუცინაციების, „ბელაია გარიაჩკას", ნევროზების) ლიკვიდაცია მცენარეული, უსაფრთხო, ქარხნული, რუსული წარმოების სერტიფიცირებული პრეპარატებით. მკურნალობა შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც, საკვებში შერევით. ტელ: 99-75-90; 899 36-65-34; 899 22-63-90. ნინო ექიმი (ნებისმიერ დროს)

გთავაზობთ ჯანმრთელი და ავადმყოფი ბავშვების, მოზარდების სამკურნალო და გამაჯანსაღებელ ვარჯიშებს, მასაჟს „მაუგლის" მეთოდით, ძველი კვალიფიციური კადრების მომსახურებით. ტელ: 93-31-31; 893 75-71-94 ხათუნა

სმენის აღდგენა და გაუმჯობესება წამლების, აპარატურის და ოპერაციის გარეშე, განურჩევლად ასაკისა, წინასწარი ჩაწერით. სკეპტიკოსები არ მიიღებიან. მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 78. აკადემიკოს დავით ტატიშვილის სამედიცინო გამაჯანსაღებელი ცენტრი „ნაუტილუსი". ტელ: 22-56-26; 23-56-26; 899 97-85-46. სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი

ცელულიტის დაშლა, მოდუნებული კუნთის გამაგრება, სტრიების გაქრობა თაფლის მასაჟით, ოსტეოქონდროზის, რადიკულიტის, ართრიზის, ართრიტის მკურნალობა სამკურნალო მასაჟით – მანუალურ თერაპიასთან შეთავსებით, სამკურნალო მალამოს გამოყენებით. შეიძლება ბინაზე მისვლაც. ტელ: 93-31-31; 893 75-71-94. ხათუნა

მხოლოდ ჩვენთან! მეჭეჭების, პაპილომების, კონდილომების, ხალების, ლაქების, სვირინგების, ნაწიბურების და სხვა წარმონაქმნების მოცილება; ეროზიების, ლეიკოპლაკიის მკურნალობა უახლესი $CO^2$ ლაზერით. მხოლოდ ერთი სეანსი! მაღალი კოსმეტიკური ეფექტი! მის: ბახტრიონის ქ. №18. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი". ტელ: 877 41-50-30; 36-14-18

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია – „დაჯი-კომპიუტერი" გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ავტოსკოლა ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს. სკოლა უზრუნველყოფილია ყველანაირი მარკის მსუბუქი და სატვირთო მობილით. მის: ლ. ასათიანის ქ. №28. მუხიანის დასახლება, I მ/რ, II კორპ. ტელ: 99-53-24; 64-02-10; 899 14-14-84

სპეციალიზირებული სკოლა PARADOX-ის ლიცენზირებული სპეციალისტები, პროგრესულ დონეზე შეგასწავლით კომპიუტერულ პროგრამებს, ბუღალტერიას და ინგლისურს. გაიცემა შესაბამისი ლიცენზირებული სერტიფიკატი: საოფისე: WINDOWS-XP, MSOFIICE-XP; გრაფიკა: CORELDRAW, PHOTOSHOP, AUTOCAD, ARCHICAD, 3-DMAX. მის: გაბაშვილის ქ. №7 (მეტრო „რუსთაველთან" კინოსახლ „ოსკარის" უკან). ტელ: 98-80-23. 899 77-49-40; URL: www.paradox.ge

პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი საესტრადოსაცირკო სასწავლებლის პედაგოგი, შევასწავლი გიტარაზე დაკვრას და სიმღერას, ხმის დამუშავებით (მათ შორის დაბალი მუსიკალური მონაცემების მსურველებსაც რეალური შედეგით). კარგი მონაცემების შემთხვევაში საინტერესო პერსპექტივით, სცენასთან დაკავშირებით. ასაკი შეზღუდულია. ტ: 79-07-72 (დილა-საღამოს). ტელ: 899 72-00-42

## იყიდება

მახინჯაურში, ზღვასთან ახლოს, უცხოელი ინვესტორების მიერ შეძენილი სანატორიუმების მიმდებარედ, 1000 კვმ მიწის ნაკვეთი. ტელ: 893 26-60-71. ნანული

> მხოლოდ ახალი (და არა – მეორადი!!!) ტანსაცმელი ქალის, მამაკაცის და ბავშვებისთვის – საზამთრო კოლექცია, დაბალ ფასებში. მის: წერეთლის გამზ. №118 (სამტრედიის ქუჩის კუთხეში, გაჩერებასთან), 10-19 სთ, კვირის გარდა. ტ: 899 17-77-46

ბავშვის თეთრი ნახევარხის, ნახევარრკინის საწოლი, თავისი კარადებით და ლოგინით. ფასი 190 ლარი. ტელ: 893 25-65-21. ნარინე

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით; აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-12 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

ახალი კორეული ციფრული სატელიტური ანტენა. აჩვენებს ყველგან: ქალაქში, სოფელში, აგარაკზე, მთაში, აგრეთვე საზღვარგარეთ. არხების რაოდენობა 100-600-მდე ევროპული, 1-დან 4-მდე ქართული, 5-20-მდე რუსული. ფასი $100-დან $120-მდე. მხოლოდ 30 რუსული არხი. კომპლექტის ფასი – $180. მონტაჟი – 50 ლარი. ტ: 899 94-27-04

## სხვადასხვა

ზესტაფონის სააქციო საზოგადოება „ბუნებრივი სალებავი" იწვევს აქციონერებს რიგგარეშე საერთო კრებაზე, 2006 წლის 14 მარტს დღის 11 საათზე, დაბა ძირულაში, ბიუჯეტთან დიდი დავალიანებების გამო ქარხნის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით. ადმინისტრაცია. ტელ: 899 41-74-26

2006 წლის 6 მარტს 11 სთ-ზე შედგება სააქციო საზოგადოება „ელეგანტის" აქციონერთა საერთო კრება. დღის წესრიგი: 1. უიმედო დებიტორული ვალების ჩამოწერის შესახებ; 2. სხვადასხვა. კრება გაიმართება სააქციო საზოგადოების იურიდიულ მისამართზე. აქციონერთა დასწრება სავალდებულოა.



**ადელ მაკარატის გახსენება**

ტკივილიანი მოგონება დაგვიტოვა ადელ მაკარატიმ, ადამიანმა, რომელმაც საქართველო და ქართველები გულწრფელად შეიყვარა. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ის თბილისში მოღვაწეობდა. სიკეთითა და გულისხმიერებით გამორჩეული ადამიანი იყო, ამიტომაც მისი ამ ქვეყნიდან წასვლა ჩვენთვის, მისი ქართველი კოლეგებისთვის უდიდესი დანაკლისი იქნება. თბილისისკენ მომავალს გულმა უმტყუნა, სიყვარულით სავსე გულმა, რომელიც თავის თანამემამულეებთან ერთად, ქართველების უსაზღვრო სიყვარულსაც იტევდა. ბატონი ადელის უკანასკნელი სიტყვები — თბილისში მინდაო — ყოფილა. ალბათ აქ, ხსნის იმედი ჰქონდა, იმ ადამიანების იმედი, რომელთაც თავისი ყოველდღიური საქმიანობით უკავშირდებოდა. ტკივილიანი და მძიმეა ბატონ ადელთან განშორება. მისი ხსოვნა არასდროს წაიშლება ჩვენი მეხსიერებიდან.

*ლალი კოპლატაძე, სოფიო ამირიძე*

**ვაჟა და ვასილ ქისტაურებს!**



შვილებო, ვაჟა და ვასილ, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდებო, გულიანო ვაჟკაცებო, მოუშუშებელო ტკივილო, აღარ ვიცი, როგორ მოგეფეროთ, ჩვენო მონატრებულო შვილო ვაჟა და შვილო ვასილ. ვაჟა, შენი შვილი ხატია უკვე 7 წლის არის, რომლის დაბადებასაც ვერ მოესწარი. ვასილ, თვალცრემლიანია შენი ერთგული მეუღლე გოგლი.

ვაი, შვილებმკვდარი მშობლების ყოფას.

*გამწარებული დედ-მამა — ნაზი და ჯუმბერი*



**ქეთინო მეფარიშვილის გახსენება**

ჩვენო ქეთინო, მოვიდა შენი დაბადების დღე 18 თებერვალი, მაგრამ არა ლამაზი და ბედნიერი, არამედ სევდიანი და ტკივილიანი. წელს პირველად აღვნიშნავთ ამ დღეს უშენოდ — ცრემლით, შენს საფლავზე დანთებული სანთლებით.

მუდამ ვილოცებთ შენთვის და არასოდეს დაგივიწყებთ.

*იამზე და შერმადინ ჯიხვაშვილები*

**სერგო ბოკუჩავას გახსენება**



ჩვენო საყვარელო მამავ, ორმოცი დღე ხდება, რაც ჩვენთან არ ხარ. ძალიან გვენატრები, ვერ წარმოგვიდგენია, რომ აღარასოდეს იქნები და ვერ მოვისმენთ შენს ტკბილ სიტყვებს. თვალცრემლიანი ვიგონებთ და გვენატრება ის დრო, როცა ტრადიციულად ყველანი შენთან, სახლში ვიკრიბებოდით ყოველ დღესასწაულზე. თურმე რა ბედნიერები ვყოფილვართ მაშინ, მაგრამ შენი საყვარელი შვილის, მურმანის სიკვდილმა შეცვალა ჩვენი მხიარული შეხვედრები. გიხაროდა შვილიშვილებთან და შვილთაშვილებთან შეხვედრა, უსაზღვროდ გიყვარდა ისინი. მათაც ძალიან უყვარდი. მოგვენატრებათ შენი თბილი მოფერება. ჩვენო კარგო მამავ, არასოდეს დაგივიწყებთ. იძინე ტკბილად შენს საყვარელ მეუღლესთან და შვილთან ერთად. უფალს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შვილები: რომანი, აზა ბოკუჩავები; რძლები: ოქტიაბრინა კუკულაძე, ლიანა გაბელაია*

**საყვარელი ბაბუას გახსენება**

გული ყოველთვის სიამაყით გვევსება, რომ შენი შთამომავალნი ვართ.

ჩვენო საყვარელო ბაბუავ, მარტის თვეში 92 წელს შეასრულებდი. ვიცოდით, დრო შენს წისქვილზე არ ასხამდა წყალს და გული ტკივილით გვეკუმშებოდა, როცა წარმოვიდგენდით, რომ ერთ დღეს დაგვტოვებდი და მარადისობაში გადაინაცვლებდი. ეს მტკივნეული დღეც დადგა. მხცოვანმა კაცმა უამრავი ცრემლი გადაყოლე შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილების და ახლობლების. ღირსეულად განვლილი წუთისოფელი ამ ქვეყნიდან და მუდმივად ნათელი კვალი დაგვიტოვე, რომელზეც ამაყად ივლის შენი შთამომავლობა.

იძინე ტკბილად, დიდი ოჯახის უფროსო, ჩვენ კი მუდამ ვილოცებთ შენი სულის ნათელსაყოფად და არასოდეს დაგივიწყებთ.

*შვილიშვილები და შვილთაშვილები*

**ნუგზარ კუჭუხიძის მონატრება**



ჩემო თეთვო! გავიდა ტკივილიანი და ცრემლიანი 3 წელი, შემოგვრჩა საშინელი მონატრება და სურათები, საიდანაც შენი სიცოცხლით სავსე თვალები შემოგვყურებს. 14 თებერვალს 43 წლის გახდებოდი. ვაი, რომ ცრემლების, სანთლების, ლოცვების და ყვავილების გარდა ვერაფერს გიძღვნით.

ჩემო საამაყო, დიდი და თბილი გულის პატრონო, გვენატრები უზომოდ. შენ ისევ ჩვენთან ხარ, ოღონდ ჩვენს თვალს მიღმა, სხვა განზომილებაში. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*ოჯახი*



**ლიანა კუპრეიშვილის გახსენება**

ერთი წელი გავიდა, რაც ეს ქვეყანა დატოვე და მარადისობაში გადასახლდი. არადა, როგორ გინდოდა სიცოცხლე, ჩვენო ლია. გვენატრები.

უფალმა დამკვიდროს შენი სული ნათელში.

*ძმა და ახლობლები*

**ზაურ ვასილის ძე ცომაიას გახსენება**



9 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენთან აღარ ხარ, შენს ოჯახში აღარ ფუსფუსებ.

19 იანვარს, ნათლისღების დღეს შეწყდა შენი სიცოცხლე. მას მერე მოვყვებით ამ ცხოვრების გზას უშენოდ. ფრთამოტეხილი დატოვე შენი მეუღლე და შვილები.

უფალს ვთხოვთ, თბილი და მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა.

*შენი ოჯახი*



**გურამ ვასილის ძე სტურუას ხსოვნას!**

გავიდა თვალცრემლიანი 3 კვირა, რაც სიკვდილმა საზარელი სიმკაცრე დაგვკრა. შენი სული ჩიტივით გაფრინდა ზეცაში. 19 იანვარს — ზაური, 21 — იანვარს შენ, ორივე მძახლის სიცოცხლეს დაესვა წერტილი. თქვენს გაწყვეტილ სიცოცხლეს თქვენი შვილიშვილები გააგრძელებენ. იძინე მშვიდად, ჩვენო ძვირფასო გურამ.

*შენი მძახალი ლია*

**ჟუჟა კობერიძის გახსენება**



ოთხი წელი გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი. 18 თებერვალი შენი გარდაცვალების დღეა. შენ ხომ ყველასთვის თბილი და კეთილი იყავი. გვაკლიხარ, ყველას აკლია შენი ტკბილი სიტყვა და მოფერება. გვიყვარხარ და გვენატრები, ჩვენო საყვარელო დედავ და ბებიავ.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

*შვილები და შვილიშვილები*



**დათო ჟვანიას ცრემლიანი მონატრება**

მეოთხედ მოვიდა ცრემლებით, მწუხარებით 18 თებერვალი, ჩემი დედიკოს გარდაცვალების და შენი დაბადების დღე.

ვაი, შენს მზიანა ბებოს, ამ დღეს ხომ დიდი სიხარულით აღვნიშნავდით ფოცხოში, შენს ტოლ-ამხანაგებთან ერთად. ახლა რა ქნას შენმა გაუბედურებულმა ბებომ, სად უნდა მოგილოცოს დაბადების დღე?! შენ ხომ 13 წლის ბიჭი გახდი უწვერდ. მეტი რა შეუძლია შენს გამწარებულ ბებოს, სანამ ვიცოცხლებ, ყოველი 18 თებერვალი ასე ცრემლებით, სანთლებით და ყვავილებით, შენს საფლავთან მუხლმოდრეკილმა უნდა მოგილოცო.

ღმერთმა ზეცაში მიმყოფოს შენი ლამაზი სული, ჩემო ანგელოზო. მენატრები, ბებო, ჩემო სიცოცხლევ.

*შენი გამწარებული მზიანა ბებო*

**ალუდა კუბეციას ხსოვნას!**



კიდევ მრავალჯერ მოვა 14 თებერვალი, შენი დაბადების დღე, მაგრამ ახლა უკვე უშენოდ. ოჰ, რა ძნელია ამის შეგუება. თითქოს ყველაფერი გუშინ მოხდა. ჩვენ, ოჯახის წევრები და ახლობლები კიდევ ერთხელ მოვალთ შენს საფლავთან, ზეციურ სასუფეველში მოგილოცავთ დაბადების დღეს, დავანთებთ წმინდა სანთლებს და გვჯერა, რომ უფალი იქ გამყოფებს, სადაც შენნაირი მართალი და სპეტაკი სულის ადამიანები განისვენებენ. ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები, ჩვენო მოურჩენელო ტკივილო.

*გამწარებული მშობლები, ცოლ-შვილი, დები, სიძე, დისშვილები*



**გია შაფაქიძის გახსენება**

21 იანვარს ერთი წელი შესრულდა, რაც ამ ქვეყნიდან წახვედი. ერთი თვე ვებრძოლეთ ავადმყოფობას, ვერაფერს გავხდით, მოგერია სიკვდილი მთასავით ვაჟკაცს.

წელს პირველად მოვიდა ახალი წელი უშენოდ, სევდიანი, ცარიელი, ტკივილიანი. შენ ხომ ოჯახში შემოგქონდა სითბო, სიხარული, სიყვარული, იმედი. შენთან ერთად დავკარგეთ ყველაფერი. ძნელია იმაზე ფიქრი, რომ აღარ გელოდებით, აღარ მოხვალ. ვერაფერი ავსებს შენით გამოწვეულ სიცარიელეს. ძალიან, ძალიან ენატრები შენს უბედურ დედას, მეუღლეს, შვილებს. ყოველი დღე ჩვენს ოჯახში შენი გახსენებით იწყება და მთავრდება, რომელსაც არასოდეს ექნება დასასრული, ჩვენო გია.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი ოჯახი*

**ზაურ ბეკოშვილის ხსოვნას!**



ჩვენო საყვარელო ზაურ, წლისთავი გასულა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. ძმის დაბადების დღიდან გამოსულს, ქუჩაში გიმტყუნა გულმა. გულმა, რომელიც უზომო სითბოს, სიკეთეს და სიყვარულს იტევდა. საკუთარი პრობლემებით დამძიმებული, ყოველთვის ახერხებდი გვერდში დასდგომოდი სხვას — შინაურს თუ უცხოს და ეს ყველაფერი ძალზე ლამაზად, ბუნებრივად გამოგდიოდა. უზომოდ გვაკლიხარ ყველას, ყველაზე მეტად კი ალბათ შენს პატარებს: სანდროს და დეას, შენს სათაყვანებელ მაკას, გამზრდელ დედას, ძმას, ძმისშვილებს, მთელ სანათესაოს.

ნათელში იყავი, ჩვენო ძმასავით საყვარელო ზაურ.

*თენგო ბეკოშვილის ოჯახი*



**შოთა მახარაძის მონატრება**

ჩემო უსაყვარლესო, პირველო სიხარულო, უდიდესო ტკივილო, შვილო შოთიკო, გავიდა ორი ტკივილიანი, ცრემლიანი წელი. 37-ე გაზაფხულის შემობრძანებას ცათა სასუფეველში ხვდება შენი ალალი სული. შორს, დედის სითბოს მონატრებულს გიწია სიკვდილის ცივმა მუხთალის ხელით მაშინ, როცა გიყვარდა და გენატრებოდა შენი ფატი; მაშინ, როცა სასოებით ელოდი ჯერ არდაბადებულ შვილს, თვითონაც ობლობაში გაზრდილო შვილო შოთიკო. ღმერთი არ აპატიებს იმ დიდი ცოდვის ჩამდენს, რომელმაც ასე გაგიმეტა და გაგვამწარა.

19 თებერვალს 39 წელი შეგისრულდებოდა. უშენობით გამოწვეული იარა არა და არ ხორცდება. შენ ხომ ჩვენი მოურჩენელი ტკივილი ხარ. ძალიან გვენატრები ყველას, ვინც შენ გარშემო ვართ, უზომოდ გვენატრება. მხარჩამოვარდნილი, დარდიანი დედის შენი ერთადერთი ძმა ზურიკო და მისი ცოლ-შვილი, რომელთაც უზომოდ უყვარდი. ყოველი დღე ერთმანეთზე უფრო მწარეა, ჩვენო მოურჩენელო ტკივილო. გულმოკლული, განადგურებული ვარ, შვილო, შენ შემოგვლოს შენი უბედური დედა. გპირდები, სანამ ვიქნები, ვიცოცხლებ შენთვის, შენი შვილისთვის. შვილო შოთიკო, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*შენი გამწარებული დედა და ძმა*

**იურა ჩერქეზიას მონატრება**



ჩემო კარგო მამა, მოვიდა მწარედ მოსაგონარი 16 თებერვალი. 2 წელი გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი. უზომოდ გვენატრები შენს შვილებს და ახლობლებს.

ღმერთო, ნუ მოაკლებ ღვთიურ ნათელს ჩვენს დაუვიწყარ ჩიას.

*შენი ოჯახი*



**მანუჩარ ტურძელაძის ხსოვნას!**

დღეს სიყვარულის დღეა. ერთი წელი და სამი თვე გავიდა, რაც წახვედი. ჩვენ კი გვენატრები, უშენობის გასაქარვებლად შენს სურათებს ველაპარაკებით, მაგრამ უშედეგოდ...

დრო გადის, ტკივილი კი არ ნელდება, ჩვენო დატანჯულო შვილო. რამდენ ტკივილს გაუძელი, წახვედი და გაიყოლე ტკივილითა და მონატრებით სავსე გული, უსაზღვრო სევდა. აქ დატოვე დარდით დამუხტული შენი დედ-მამა, პატარა გიგა, შენი მონატრებული მეუღლე და შენზე მლოცველი დაიკო მაკა.

იქ კი, სამუდამო საუფლოში, ბებია და ბაბუა გაგითბობენ გაყინულ გულს, შეგიმსუბუქებენ ამ ქვეყნიდან წაღებულ დარდს. იმქვეყნიურ ნათელში მოისვენოს შენმა ლამაზმა სულმა, ჩვენო დიდო ტკივილო, დიდო სიყვარულო და უკვე დიდო მონატრებავ... დღეს კი სიყვარულის დღეს გილოცავთ, მაჩო!

*დედა*

**ბეგლარ კუსიანის გახსენება**



ორი ტკივილიანი წელი გავიდა, რაც დატოვე ამქვეყნიური ცხოვრება. ყველას ძალიან გვენატრება შენი გულისხმიერი, იუმორიანი და ხალისიანი საუბარი. მოგონებებში შემოგვრჩა შენი გამორჩეული, პიროვნული თვისებები, როგორიც უსაზღვროდ კეთილი, უანგარო, მეგობრის მოყვარული და გაჭირვებულის დამხმარე. დრო არ ყოფილა ტანჯვის მკურნალი, პირიქით, რაც დრო გადის, მით უფრო მეტად გვენატრები და გვიდარდები.

შენს საფლავზე დანთებული წმინდა სანთლები გაგინათებენ გზას ცათა სასუფეველში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

*მეუღლე, შვილები*



**ნუგზარ (კალისტინე) აფხაძის გახსენება**

16 თებერვალი — ამ დღეს მოვიდა საზარელი, თავზარდამცემი სიკვდილი და ისე უცებ წაგვართვა შენი თავი, რომ გონზე მოსვლაც ვერ მოვასწარით. ერთი წელი გავიდა — ცრემლის და მონატრების ერთი წელი. ძნელია ქალაქის თეთრ სიჩუმეს მოერიო. გიხსენებთ და გვიძნელდება ფიქრი — ერთადერთი ფიქრი შენ ხარ! დღეს სხვანაირია ყველაფერი. შენ ხომ უეცრად გამოგვეცალე ხელიდან, შენი ექიმის დაუდევრობის გამო. ღმერთმა მიუზღოს, ვისაც შენს სიკვდილში ბრალი მიუძღვის. ვერავინ წარმოიდგენდით შენს დაკარგვას. კეთილი, თბილი, ყურადღებიანი იყავი, მაგრამ განგებამ საშინელი განაჩენი გამოგვიტანა — უშენობა.

16 თებერვალს წერტილი დაესვა 10-წლიანი სიყვარულის ლამაზ ისტორიას. ჩვენ ხომ ბავშვიც არ დაგვრჩენია, მაგრამ დამიტოვე „ბონი", რომელსაც თვალისჩინივით ვუფრთხილდები და ვუვლი. 6 იანვარს შენი დაბადების დღე იყო, რომელსაც პირველად შევხვდით უშენოდ. ვაი, რომ ცრემლების, სანთლების, ყვავილების და ლოცვის გარდა, ვერაფერს გიძღვნით. ნუგზარ, შენ ჩვენთვის ისევ ცოცხალი ხარ და გვჯერა, შენი სული რომელიმე კეთილმა ანგელოზმა ჩაიბარა. იცოდე, შენს საფლავზე არასდროს დაჭკნება ყვავილი. ეკლესიაში შენი სულის მოსახსენებლად ყოველთვის იციმციმებს წმინდა სანთელი. ნათელში ამყოფოს შენი სული უფალმა.

*მოურჩენელი დარდი ხარ... უშუშებელი იარა, დღე, ჩვენმა ლოცვამ,*
*ჩვენმა ცრემლებმა გული გაგითბოს ძლიერად ქვეყანა,*
*დღეს ათას სანთელს დავანთებს ყველა, ვინც შენ გიყვარდა, ვისაც უყვარდი.*
*და ჩვენი ცრემლი, ჩვენი გოდება სანთლებთან ერთად ჩაიღვენთება.*

*ოჯახი*





**ზაზა და გიორგი მოისწრაფიშვილებს!**

ხუთი თვე უთქვენოდ... 24 წლის ზაზა და 13 წლის გიორგი, უთქვენოდ წამი საუკუნედ იქცა. გვიჭირს ყველას — მშობლებს, დას, ნათესავებს, მეგობრებს...

15 თებერვალს შენი დაბადების დღეა, გიორგი... უშენოდ... მოგონებები, სურათები...

ვცდილობთ, სამყარო ისეთი დიდი, ლამაზი და ხმაურიანი დავინახოთ, როგორსაც თქვენ ხედავდით. ვლოცულობთ და გვწამს, ნათელშია თქვენი სულები. გვიყვარხართ, გვენატრებით. ღმერთმა მიუტევოს მათ, ვისაც ნებით თუ უნებლიეთ თქვენს ტრაგედიაში წვლილი მიუძღვის.

**სერგო (ჩიტო) კობერიძის მონატრება**



მიდის ცრემლიანი, სევდითა და დარდით აღსავსე წლისთავი. წახვედი და თვალცრემლიანი, გაუსაძლისი ტკივილით დატოვე შენი ოჯახი. საყვარელო, ძვირფასო, მონატრებულო მეუღლევ, მამავ, ბაბუავ, მეგობარო, ღირსეულო ადამიანო, გამორჩეულად უყვარდი ყველას, შინ და გარეთ. შენი ოჯახისათვის ყოველი დღე შენით იწყება და შენით მთავრდება.

11 თებერვალს 65 წელი შეგისრულდებოდა. უკვე მეორედ ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ. ვაი, რომ ცრემლების, სანთლების, ლოცვის და ყვავილების გარდა ვერაფერს გიძღვნით.

გვენატრები, გვიყვარხარ, გვჯერებით. ნათელი ეფინოს შენს ლამაზ სულს.

*შენი ოჯახი*



**კახა მესხიას გახსენება**

კახა, გილოცავთ დაბადების დღეს. 10 თებერვალი შენი დაბადების დღეა და ისევ უშენოდ ვხვდებით. შენს უახლოეს ხალხს ახსოვხარ და ენატრები, შენს საფლავთან მოვლენ და მოგილოცავენ დაბადების დღეს.

გვჯერა, რომ შენი სული ჩვენთან ტრიალებს და გვიცავს.

*დიდი მონატრებით — და, სიძე, დისშვილები*

**დოდო ცხვედიანს!**



მოკრძალებით, მაგრამ თავაწეულმა და იმედიანმა შემოაბიჯეთ 12 წლის წინ სკოლაში. თქვენმა სათნოებამ, სიკეთემ, კაცთმოყვარეობამ და საქმისადმი დიდმა სიყვარულმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თქვენთვის უცხო იყო გულგრილობა, თვალთმაქცობა, მტრობა და მიკერძოება. უზომო სიყვარულსა და სიკეთეს იტევდა თქვენი გული. ყველას მესაიდუმლე და დამხმარე იყავით. უსაზღვროდ გტკიოდათ სხვისი ტკივილი, ბავშვივით გულწრფელად გიხაროდათ სიხარული. სკოლა და მოსწავლეები გაცოცხლებდნენ, ძალასა და ენერგიას გმატებდნენ უკვე ჯანმრთელობაშერყეულს. ბოლო წუთამდე სკოლას დასტრიალებდა თქვენი ფიქრები. გენატრებოდათ ყველა და ყველაფერი.

თქვენს ღვაწლსა და რუდუნებას უკვალოდ არ ჩაუვლია. გწამდეთ, დოდო ცხვედიანის სულს არასოდეს დავივიწყებთ.

მსუბუქი იყოს თქვენთვის თქვენი სალოცავი მამულის მიწა...



**მერი თხილიშვილის მონატრება**

ჩემო საყვარელო დაიკო, მერი, უკვე 30 წელი ხდება 14 თებერვალს, რაც ეს ქვეყანა და პატარა ქმარ-შვილი დატოვე გულისტკენით, დიდი დარდით და ცრემლიანი თვალებით უხმოდ გაიხურე კარი და წახვედი. სამი ვაჟიშვილი დაუტოვე სამშობლოს, ოჯახის წევრებს კი — დიდი გულისტკივილი და ცრემლები. ჯერ 40 წლისაც არ იყავი და ბევრი კარგი რამის გაკეთება მოასწარი, ხალხის დიდი ნდობა, სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურე. იყავი კარგი პედაგოგი და შვილების კარგი გამზრდელი. შენი შვილები ამაყობენ შენით. მერი, საყვარელო, შენც საამაყო შვილები გყავს — სამივე. როგორსაც შენ ნატრობდი, — კარგი შვილები უნდა გავზარდოო! — შენმა მეუღლემ სწორედ ისეთი შვილები გაგიზარდა. შენს მეუღლეს სხვა სიყვარული არ უქმნია დღემდე, შენი და შენი შვილების ერთგული დარჩა. ეს ყველა მამისთვის მისაბაძია. ძვირფასი პედაგოგი და აღმზრდელია ისიც.

შენ ხომ არ იცი, მერი, ახლა უნდა გითხრა: სამივე ბიჭი დაოჯახებულია და ექვსი შვილიშვილი გყავს. შენს ოჯახს მხოლოდ უშენობა აწუხებს. შენ გამორჩეული იყავი ჩვენს ოჯახში, ახლობლებში, პედკოლექტივში, მეგობრებსა და მეზობლებში; ყველას დარდსა და ჯავრს გულით იზიარებდი. ალბათ სუბედუროდ იყავი ასეთი კარგი, ამიტომაც მოურჩენელი სატკივარი შეგეყარა, რისი განკურნებაც ვერც ერთმა ექიმმა ვერ შეძლო. ჩემი იმედი გქონდა, თავს დაგტრიალებდი, მაგრამ სატკივართან ყველა უძლური აღმოვჩნდით. ვერაფერი გიშველეთ. ყოველთვის უხმოდ, ცრემლიანი თვალებით შეხვეწებოდი, მთხოვდი: მიშველე, მაცოცხლე, ჩემს შვილებთან მინდა ყოფნაო, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. ქმარ-შვილზე თვალდარჩენილი და გულდაწყვეტილი წახვედი ამ ქვეყნიდან. გულისტკივილით და დიდი სიყვარულით გიხსენებთ ყველა. არასოდეს დაგავიწყდები.

ჩემო საყვარელო მერი, მსუბუქი იყოს ალაზნის მიწა შენს გულზე.

*ნაზი თხილიშვილი*

**თაკო მეგრელიშვილის გახსენება**



თაკო, ჩვენო ძვირფასო მეგობარო! არც კი გვჯერა, რომ დღეს ამის დაწერა გვიხდება ჩვენ, შენს ჯგუფელებს. შარშან ამ დროს თურმე ძალიან ბედნიერები ვყავით შენს დაბადების დღეზე.

როგორი მხიარული, სიცოცხლისმოყვარე, მუდამ მოღიმარი და საყვარელი იყავი. შენი ჯგუფში შემოსვლა ყოველთვის სიხარულისა და სახეზე ღიმილის მომტანი იყო თითოეული ჩვენგანისთვის. უზომოდ გვაკლიხარ და გვენატრები. სულ გელოდებით, მაგრამ არ მოდიხარ... თუმცა სიზმრებსა და მოგონებებში — ხშირად.

დღეს, 2006 წლის 17 თებერვალს 24 წლის გახდებოდი. პირველად ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ და ძალიან გვიმძიმს. ამიტომ შენს საფლავზე და იქ მოგილოცავთ დაბადების დღეს ყვავილებით, რომლებიც უზომოდ გიყვარდა. გაგიხსენებთ სიცოცხლით სავსე თაკოს, რომელსაც ძალიან უყვარდა თავისი ჯგუფელები და მათთან ყოფნა ყოველთვის უხაროდა. მაგრამ ასე ამბობენ, — ღმერთსაც კარგები უნდაო და თავისთან წაგიყვანა. ჩვენ კი მეტი რაღა დაგვრჩენია იმის გარდა, რომ გაგიხსენოთ და ყოველთვის ეკლესიაში შესვლისას, სანთელი აგინთოთ შენს სპეტაკ სულს. დაე, ჩვენ მიერ დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა ზეციურ სასუფეველში.

*თეუსუს მაგისტრანტები — ჯგუფელები*

**თამაზ ქინქარაულის ხსოვნას!**



გავიდა ერთი ტკივილიანი, მოუშუშებელი იარებით სავსე წლისთავი და მეორე დაბადების დღე დადგა შენს დიდ ოჯახში უშენოდ, სამი ვაჟკაცის მამავ!

ჩვენო მამიკო, როგორ გვენატრები, რა ხშირად ჩაგვესმის შენი ფეხის ხმა, ძახილი დილაუთენია. ვერ შევეგუებივართ, მამიკო, დედიკოს ასეთ ჩაშავებულ ჩაცმულობას და მუდამ ცრემლიან თვალებს, ახლა ჩვენ მაგივრად, შენ რომ გიფიცებს.

39 წლის არც კი იყავი, მამა, რომ დაგვტოვე. 18 თებერვალს 40-ის ხდები: რა ძალიან ცოტაა, მამი, მაგრამ ულმობელი სიკვდილი ასე არ ფიქრობს. იმას სულაც არ აღარდებს შენი მოხუცი დედის ტკივილი, შენგან ფრთამოტეხილი ანიკოს (დედაჩვენის) მოურჩენელი იარები და არც შენი ვაჟების ობლობა.

18 თებერვალს შენი დაბადების დღეა. მოვლენ შენი უხმოდ დარჩენილი დები ოჯახებით, შეიკრიბებიან შენი მეზობლები, კლასელები, ნათესავები და შენს ოჯახთან ერთად მოვლენ საფლავთან, მოგიტანენ უამრავ ყვავილს, დაგადნენ უამრავ, ტკივილით სავსე ცრემლს, შესვამენ შენს სადღეგრძელოს და დაგტოვებენ ისევ შენს სასუფეველში...

მართლაც, რომ დღეგრძელი ხარ, შენი სამი ვაჟითა და ერთგული მეუღლით. გვიყვარხარ, გვახსოვხარ, გვენატრები, ჩვენო უსაყვარლესო მამიკო.

*შენი ოჯახი*

**დათო ჟვანიას მონატრება**



18 თებერვალი შენი დაბადების დღეა, ჩვენო პატარავ! 12 წელი შეგისრულდებოდა. მეოთხედ ვხვდებით ამ დღეს, უშენობით გამოწვეული ცრემლებით, გულისტკივილით და მძიმე დარდით. გვენატრები და მუდამ გვახსოვხარ, ჩვენო საყვარელო დათო.

ღმერთმა ნათელი ნუ მოაკლოს შენს სპეტაკ სულს.

*მაკა, სოფო დანელია, ნიკა ნასარაია*

**ვლადიმერ სალინაძის გახსენება**



საყვარელო ძია, 15 წელი გავიდა თქვენი გარდაცვალებიდან. ჩვენ არასოდეს დაგივიწყებთ, არ დავივიწყებთ თქვენს ნიჭიერებას, თქვენს ადამიანურობას.

ჩვენ უკვე დიდები ვართ, სამივე ექიმები ვიქნებით, რაზედაც შენ ოცნებობდი.

იძინე ტკბილად, სამშობლოს მზით გამთბარ მიწაში.

*დათო, შორენა, ივიკო შიოშვილები*

მეუღლე ელმირა; შვილები: ბესიკი, ირაკლი; რძლები: ნანა ალადაშვილი, ვიქტორია ვაზაგაშვილი; შვილიშვილები: გიორგი, ირაკლი, ელენე; ძმა ვალიკო; ძმისშვილები: ზაქარია და ზურაბ ალადაშვილები; ცოლისძმა ნიკო წერეთაშვილი ოჯახით; ბიძაშვილები: ცეზარ და ჯუმბერ ალადაშვილები ოჯახებით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა



**გიორგი ზაქარიას ძე ალადაშვილი.**

*პანაშვიდი:* 14, 15 თებერვალს, 16 საათზე;
*გამოსვენება:* ხუთშაბათს, 16 თებერვალს, 14 საათზე.
*მისამართი:* თემქის დასახლება, IV მ/რ, III[a] კორპ.

„კვირის პალიტრის" საგამომცემლო სახლი თანაგრძნობას უცხადებს *ირაკლი ალადაშვილს* მამის გარდაცვალების გამო.

ნაესაკოვის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს *ნინო მაჩიტაძეს*, მამის

**გივი მაჩიტაძის**

გარდაცვალების გამო.

„საქინფორმკინო" თანაუგრძნობს *თამუნა ოსიტაშვილს* და *თორნიკე დუნდუას*, მეუღლისა და მამის

**დათო დუნდუას**

გარდაცვალების გამო.
ღმერთმა აცხონოს განსვენებულის სული.



მამა ვალიკო; დედა ნუნუ; ძმები: რეზო, გიგა; და დალი ოჯახებით, გულისტკივილით თანაუგრძნობენ *მზია იობაიას*, ძვირფასი მეუღლის

**ნუგზარ ჯინჭველაშვილის**

გარდაცვალების გამო.

მეუღლე გივი; შვილები: ნესტანი, ზურაბი, დიმიტრი აბდუშელიშვილები; ძმა მერაბი; მაზლი ოთარი; რძლები: თათია ჯაში, ოლია აბდუშელიშვილი, ნუნუ ბერიძე, ცისანა ხორავა; მძახალი მედეა კეკელიძე; შვილიშვილები: ნესტანიკო, ანანო, ნატა, თეზი, ანასტასია, სალომე, გივიკო; ბიცოლა გული გამსახურდია; ძმისშვილები, მაზლიშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა



**დინა ზამბახიძე-აბდუშელიშვილი**

*პანაშვიდი:* 13 თებერვალს, 17 საათზე;
*გამოსვენება:* 14 თებერვალს, 14 საათზე.
*მისამართი:* ყიფშიძის ქ. №16, კორპ. I.
*დაკრძალვა — საბურთალოს სასაფლაოზე.*

# შავი სამკუთხედი

ყველაფერი 1996 წლის 16 ნოემბერს დაიწყო. ცოლ-ქმარმა ფოსტერებმა საღამო გაატარეს იმ კლუბში, სადაც საქველმოქმედო ლატარია თამაშდებოდა. 1.500 დოლარი მოიგეს და მშვიდათ გუნებაზე იყვნენ. 11 საათზე დატოვეს კლუბი — ჯერ მეგობრები უნდა მიეყვანათ შინ. გზაში მხიარულად საუბრობდნენ. უცებ ჰორიზონტზე მოციმციმე შუქი შენიშნეს, რომელსაც მასიური სამკუთხა ობიექტი ასხივებდა. ობიექ-



ცოლ-ქმარი ფოსტერები

ტი დედამიწიდან 30 მ-ის სიმაღლეზე მოფრინავდა და მანქანას უახლოვდებოდა. შემდეგ მარცხნივ გადაიხარა და ნელ-ნელა გაუჩინარდა. უცნობი ობიექტი მხედველობის არეში სულ 7 წუთის იყო. არავითარ ხმას არ გამოსცემდა და მაინც რაღაცნაირი დამთრგუნველი გრძნობა დაუტოვა მანქანაში მსხდომთ, შესაძლოა, თავისი გიგანტური ზომის გამო. ეს იყო ზებუნებრივი, შთამბეჭდავი სანახაობა.

5 წუთის შემდეგ ფოსტერებმა მეგობრები სახლში მიიყვანეს და შინისაკენ გასწიეს. სახლამდე კიდევ 25 წუთის სავალი რჩებოდა. შინ მისულებმა მაშინვე დაძინება გადაწყვიტეს — დაქანცულები იყვნენ. ბილმა საათს დახედა... ღამის ორი საათი იყო.

— ოთხი თვის მანძილზე არაფერი გვითქვამს იმის შესახებ, რაც ვნახეთ, — ჰყვება ბილ ფოსტერი, — მაშინ გაზეთში ვმუშაობდი და მხოლოდ რედაქტორს უამბე მომხდარი. გადავწყვიტეთ, ეს ამბავი არ გაგვეხმაურებინა, მაგრამ 1997 წლის მარტში, რედაქტორმა მითხრა, იქნებ ჯორჯ ფოსეტს უამბო ყველაფერიო. ჯორჯ ფოსეტი ჩვენი შტატის მთავარი უფოლოგია. მეც ყველაფერი ვუამბე. ცხადია, ჯორჯმა ეს ამბავი გაახმაურა და ერთ-ერთმა გაზეთმა მომხდარის შესახებ პირველ გვერდზე დაბეჭდა. 1997 წლის 15 მაისს ეს სტატია ჩრდილო კაროლინის შტატშიც დაიბეჭდა და მაშინ გაზეთის 93 ათასი ეგზემპლარი გაიყიდა. უამრავმა ხალხმა დამირეკა. პოლიციის შერიფმა წარმოადგინა იმ საღამოს შეტყობინებათა ამონაწერი. აღმოჩნდა, რომ 16 ნოემბერს, საღამოს 10 საათიდან 2 საათამდე, საპატრულო მანქანებს შორის რადიოკავშირი გაწყდა.

ეს ამბავი ამით დასრულდა და 4 წელი არც არავის გახსენებია, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო.

2000 წლის ზაფხულში ფოსტერებს სტუმრად ნათესავები ეწვივნენ — ალან პერსი და მისი ცოლი. ალანი ამოუცნობი მფრინავი ობიექტების შესახებ ამბების დიდი მოყვარული გახლდათ. ცხადია, ფოსტერებმა უამბეს, რაც გადახდათ ოთხი წლის წინ. ყურადღებით რომ მოუსმინა, ალანმა იკითხა, — რა ხდებოდა იმ ორი საათის განმავლობაში, რომლის შესახებაც არაფერი გითქვამთო.

რომელი ორი საათის მანძილზეო, — გაიკვირვეს მასპინძლებმა და მხოლოდ ახლა მიხვდნენ, რომ არასოდეს დაფიქრებულან იმაზე, რატომ ამოუვარდათ ხსოვნიდან ორი საათი. მთელი ზაფხული არ ასვენებდა ფოსტერს ეს კითხვა და ბოლოს წერილობით მიმართა ცნობილ ჰარვარდელ ფსიქიატრს ჯონ მეკს. მან ურჩია, მიემართა რომელიმე მედიუმისთვის. ბილმა რჩევა არ მიიღო — არ სურდა ამგვარ აბსურდულ ამბებში გარევა, — ვაითუ, დამარწმუნონ, თითქოს უცხოპლანეტელებმა გამიტაცეს.

მიუხედავად ამისა, ფოსტერებმა მაინც გადაწყვიტეს ყველაფერი ეამბნათ ნადინ ჰიპნოთერაპევტისთვის. ნადინ უილერმა თავის დროზე ჰიპნოზის მეშვეობით ბილი სიგარეტს გადააჩვია. ამოუცნობი მფრინავი ობიექტის შესახებ ნადინმა ბევრი არაფერი იცოდა, ეს კიდევ მეტი წონა ცოლ-ქმარს — მიკერძოებული ვერ იქნებოდა და სიმართლის დადგენაში დაეხმარებოდა, გაეგოთ, ორი საათი რატომ ამოვარდათ მეხსიერებიდან.

ჰიპნოზის დროს ბილმა გაიხსენა იმ საღამოს მომხდარი ამბები, თუ როგორ ცდილობდა, დაემორჩილებინა თავისი „ტოიოტას" საჭე, მაგრამ მიხვდა, მანქანა აღარ ემორჩილებოდა — იგი შავი სამკუთხედის პარალელურად მიფრინავდა ჰაერში. სამკუთხედის ფსკერი კაშკაშა სინათლეს ასხივებდა. შემდეგი სცენა: მანქანა უკვე კოსმომფრენის შიგნით, რუხი ფერის, გრანიტისებურ იატაკზე დგას... როგორ მოხვდნენ შიგ, ბილმა არ იცის...

ირგვლივ კაშკაშა სინათლეა, თუმცა სინათლის წყარო არ ჩანს. „ტოიოტას" ირგვლივ კი რაღაც არსებებია! მათ სათითაოდ გამოჰყავთ მანქანიდან ბილი და მისი თანამგზავრები და სხვადასხვა მიმართულებით მიჰყავთ.

ერთ კედელზე დიდი პანელი ეკიდა. პანელზე წარწერები მოჩანდა. ჰიპნოზის დროს ნადინმა ბილს მოსთხოვა, ეს იეროგლიფები ფურცელზე დაეხატა. მან რვავე დახატა. მოხაზულობით ის ჩინურ, არაბულ, იაპონურ და ძველეგვიპტურ დამწერლობას წააგავს. მათი მნიშვნელობა უცნობია.

ბილის ყოველდღიური ცხოვრება შეიცვალა — ნაკლებდაკვირვებული გახდა, ნაკლებად ამჩნევს დეტალებს, წვრილმანებს. სამაგიეროდ, ნებისმიერ ინფორმაციას (მათემატიკურსაც კი) ორჯერ სწრაფად ითვისებს და ამუშავებს.

ბილ ფოსტერს იმედი აქვს, ჰიპნოზის სეანსებით შეიტყობს ყველაფერს თავისი ამოუხსნელი ცხოვრების შესახებ.

*ნლო №1-2*

# უკანასკნელი სურვილი

ბავშვობიდან უახლოესი მეგობრები ვიყავით, მაგრამ მერე ჩვენი გზები გაიყო: მე სწავლა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გავაგრძელე, ლადომ ცოლი შეირთო და ვლადიკავკაზში გადავიდა საცხოვრებლად. თავიდან ყოველ მეორე დღეს ვურეკავდით ერთმანეთს, მერე უფრო იშვიათად. თბილისში რომ ცხოვრება გაჭირდა, ლადო მეხმარებოდა მატერიალურად, ამიტომ თავს მისგან დავალებულად ვთვლიდი. მუშაობა ცოტა ხნის წინ დავიწყე და პირველსავე ხელფასზე ფულის გადადება გადავწყვიტე, რათა ლადოს ვალი გამესტუმრებინა.

ერთხელ გვიან მომიხდა ოფისიდან გამოსვლა. ახალგაზრდა კაცმა ხელი ამიწია და მთხოვა, მანქანა გამიჩერეო. უცნობი მარდად ჩამიჯდა მანქანაში. შევხედე — ლადო იყო. გაოცებისაგან პირი დავაღე:

— ლადო, შენა ხარ, ბიჭო?

ლადომ შემომცინა და გადამეხვია. ბეჭზე ხელი რომ დავადე, ვიგრძენი, გული გამალებით უცემდა. შინ მივიწვიე. არ მცალია, წუთებსაც კი მნიშვნელობა აქვს, აქვე ვისაუბროთო, მომიბოდიშა. მერე სერიოზული სახით მითხრა: — დამეხმარე, ბიჭო, სოფელში მინდა ჩავიდე და შენ გარეშე ვერ მოვახერხებო.

— სოფელში რა გინდა? დაცარიელებულია იქაურობა. თან გზაც არ არის.

— მაგის გამო მინდოდა შენი ნახვა...

— ხომ იცი, შენთვის თავს არ დავზოგავ, ისეც ვალში ვარ...

— ვალი არ ახსენო! თუ შეგიძლია, ტექნიკა იქირავე და გზა გააწმენდინე, — მითხრა უცნაური მღელვარებით. ცოტა ხანს ჩუმად ვისხედით. მერე უცებ აწრიალდა: — ახლა მე წავალ, შენი იმედი მექნებაო და ისე უცებ გადახტა მანქანიდან, სიტყვის თქმა ვერ მოვასწარი. მეც გადმოვედი კაბინიდან, დაწევა განვიზრახე, თუმცა სად გაქრა, თვალი ვერ მოვკარი.

შინ დაზაფრული მივედი. დედაჩემმა ისეთი სახით გამიღო კარი, ჩემი დარდი დამავიწყდა.

— რა მოხდა? — ვკითხე უმალ.

— ცუდი ამბავია, შვილო, ლადო გარდაცვლილა ვლადიკავკაზში. მისმა ცოლმა დარეკა...

გული თუ არ გამიჩერდებოდა, არ მეგონა... მე რომ ლადოს ველაპარაკე მანქანაში, ის თურმე უკვე გარდაცვლილი ყოფილა! ამ სახით მანიშნა, საქართველოში ჩამომასვენე და სოფელში დამკრძალეო! შევუსრულე სურვილი. შოკიდან კი დღესაც ვერ გამოვსულვარ. როგორ შეიძლებოდა მიცვალებული ასე ცოცხლად გამომცხადებოდა?!.

*გუჯა ქაჩიბაიძე*

# ხეთა როკვა

— მამა ადრე გარდამეცვალა და დედას გაუჭირდა ბავშვების მოვლა და მუშაობა, — მითხრა ბატონმა სანდრომ, — ამიტომ მე და ჩემი ძმა სოფელში, მშობლებთან, გაგვგზავნა, თვითონ შაბათ-კვირას გვაკითხავდა ხორაგით დატვირთული. სოფლის სკოლაში ვსწავლობდით, ბაბუა მეურნეობასაც გვასწავლიდა, ტყეშიც ერთად ვჭრიდით შეშას, მხოლოდ ერთ ნაკვეთს არ ეკარებოდა არც ბაბუა და არც არავინ. მიზეზი კი ბაბუამ მოგვიანებით გვიამბო... სოფელში ერთი შეძლებული ოჯახი ყოფილა. ერთადერთ შვილს თავს ევლებოდნენ და ანებივრებდნენ თურმე. სამწუხაროდ, შაქრო თავხედი და ამპარტავანი გამოსულა, ამიტომ არავის ესიამოვნა, როცა ეკას შეუჩნდა, უმშვენიერეს გოგონას, რომელიც ღარიბი ოჯახის შვილი იყო. როცა შაქრომ ეკა შეაცდინა, სოფლის რისხვის შეეშინდათ და ქორწილზე თანხმობა თქვეს, დანიშნეს კიდევაც ეკა, ქალაქში წაიყვანეს და ახალი ტანსაცმელი უყიდეს. ქორწილამდე ორი კვირით ადრე კი ეკა უკვალოდ გაქრა. მთელი სოფელი ეძებდა გოგონას, შაქროს ოჯახის წევრები ილანძღებოდნენ — თავი მოგვჭრაო.

მოკლედ, 5 თვის ფეხმძიმე გოგო უკვალოდ დაიკარგა... რომ არა სასწაული, მისი საფლავიც უკვალოდ გაქრებოდა...

სასწაული კი ბაბუასთან ერთად კიდევ ოთხ კაცს უნახავს. ტყეში შეშის საჭრელად ყოფილან და ერთ-ერთ ნაკვეთს რომ მიახლოებიან, ციდან თითქოს ნათლის სვეტი დაშვებულა. ამ დროს დაუწყიათ ხეებს როკვა. ტოტები ჯერ ცისკენ აღუმართავთ, მერე დაბლა დაუშვიათ.

როგორც კი ნათლის სვეტი გამქრალა, ხეებიც გაჩერებულან. შეშინებული კაცები სოფელში გამოქცეულან და ყველასთვის უამბნიათ ნანახი.

ვილაცას უთქვამს — იქ რაღაც საიდუმლოაო. წასულან, დაუთვალიერებიათ იქაურობა. ერთ მიწაყრილს დაუეჭვებია ხალხი. გაუთხრიათ და ჭილოფში გახვეული ეკას გვამი უნახავთ. ეჭვი სოფელმა შაქროსა და მის ოჯახზე მიიტანა. მათაც აღიარეს და დაისაჯნენ კიდეც... ეკა იქვე დაასაფლავა სოფელმა და იქაურობას „დედის ტყე" დაარქვა. ამიტომაა, რომ იქიდან ფიჩხსაც არავინ გამოიტანსო, — დაამთავრა თხრობა ბატონმა სანდრომ.

*ინგა ჯაყელი*

## „საზალოო-სალაღო" გვერდის პასუხები

I. ბურატინო
II. აბა, გამოიცანი:
1. — ბ); 2. — დ); 3. — გ); 4. — ა); 5. — დ); 6 — გ).
III. მგლები: 11, 16, 17, 21, 22, 23; თხები: 3, 4, 5, 9, 10, 15; კომბოსტო: 1, 6, 12, 18, 24, 25.

# იაპონური სუდოკუ სენსაცია

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ" ნიშნავს ციფრს, „დოკუ" — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდომანების გულების დაპყრობა და ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც გაჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ, არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ განმეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ, საშუალო და რთულ სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

წინა კროსვორდის პასუხები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 8 | 6 | 9 | 2 | 7 | 4 | 5 | 3 |
| 9 | 6 | 5 | 3 | 8 | 4 | 7 | 1 | 6 |
| 7 | 3 | 4 | 5 | 1 | 6 | 8 | 9 | 2 |
| 3 | 6 | 7 | 1 | 4 | 2 | 5 | 8 | 9 |
| 5 | 1 | 2 | 7 | 9 | 8 | 6 | 3 | 4 |
| 4 | 9 | 8 | 6 | 5 | 3 | 1 | 2 | 7 |
| 6 | 7 | 1 | 2 | 3 | 5 | 9 | 4 | 8 |
| 2 | 4 | 9 | 8 | 6 | 1 | 3 | 7 | 5 |
| 8 | 5 | 3 | 4 | 7 | 9 | 2 | 6 | 1 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 7 | 5 | 8 | 1 | 2 | 6 | 3 | 4 |
| 6 | 2 | 3 | 4 | 9 | 7 | 5 | 8 | 1 |
| 8 | 1 | 4 | 3 | 6 | 5 | 2 | 7 | 9 |
| 7 | 6 | 8 | 9 | 5 | 3 | 4 | 1 | 2 |
| 5 | 3 | 1 | 6 | 2 | 4 | 8 | 9 | 7 |
| 2 | 4 | 9 | 1 | 7 | 8 | 3 | 6 | 5 |
| 1 | 5 | 2 | 7 | 3 | 6 | 9 | 4 | 8 |
| 4 | 9 | 6 | 2 | 8 | 1 | 7 | 5 | 3 |
| 3 | 8 | 7 | 5 | 4 | 9 | 1 | 2 | 6 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 9 | 3 | 6 | 8 | 5 | 2 | 1 | 4 |
| 1 | 2 | 5 | 3 | 7 | 4 | 6 | 8 | 9 |
| 6 | 4 | 8 | 1 | 2 | 9 | 5 | 7 | 3 |
| 9 | 7 | 4 | 2 | 6 | 1 | 3 | 5 | 8 |
| 8 | 5 | 1 | 7 | 9 | 3 | 4 | 6 | 2 |
| 3 | 6 | 2 | 5 | 4 | 8 | 7 | 9 | 1 |
| 4 | 1 | 7 | 8 | 5 | 2 | 9 | 3 | 6 |
| 5 | 8 | 9 | 4 | 3 | 6 | 1 | 2 | 7 |
| 2 | 3 | 6 | 9 | 1 | 7 | 8 | 4 | 5 |

### * მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | 3 | | | 4 | 7 | 6 |
| 2 | | 6 | 8 | 4 | 7 | | | |
| 3 | | 4 | 1 | 6 | | | 2 | 5 |
| | 6 | | 5 | 7 | 4 | | 3 | |
| 1 | 3 | 2 | | | | 5 | 4 | 7 |
| | 4 | | 2 | 3 | 1 | | 6 | |
| 4 | 2 | | | 1 | 6 | 7 | | 3 |
| | | | 7 | 8 | 2 | 1 | | 4 |
| 7 | 1 | 8 | | | 3 | 6 | | |

### ** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 2 | 6 | | | 1 | | | |
| | 7 | | | | | 9 | 1 | 5 |
| | | | 3 | 4 | 7 | | | 2 |
| 9 | 5 | 1 | | 8 | | 3 | | |
| | | 4 | 7 | 6 | 9 | 1 | | |
| | | 7 | | 5 | | 2 | 9 | 4 |
| 5 | | | 9 | 1 | 2 | | | |
| 3 | 6 | 9 | | | | | 2 | |
| | | | 4 | | | 5 | 8 | 9 |

### *** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | | | 8 | 4 | 5 |
| 4 | | | | | | | 7 | |
| | | | 4 | 6 | 3 | 2 | | |
| | | 9 | 6 | | | | 2 | |
| | 5 | 7 | | | | 4 | 6 | |
| | 6 | | | | 9 | 5 | | |
| | | 4 | 7 | 1 | 6 | | | |
| | 9 | | | | | | | 8 |
| 6 | 1 | 2 | | | 5 | | | |

## №7 (489) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

თემა №7(489) – საზოგადოებისთვის საინტერესო ადამიანები

**ვისი პირადი ცხოვრების დეტალები გაინტერესებთ ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 9 ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№7(489) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | პოლიტიკოსები | |
| 2 | ბიზნესმენები | |
| 3 | კრიმინალური ავტორიტეტები | |
| 4 | ჩინოსნები | |
| 5 | შოუბიზნესის წარმომადგენლები | |
| 6 | სპორტსმენები | |
| 7 | მივიწყებული ცნობილი ადამიანები | |
| 8 | ინტელიგენცია | |
| 9 | ტელეჟურნალისტები | |

**დამატებითი კითხვა**

თქვენი აზრით, ბოლო პერიოდში მძიმე კრიმინალურმა შემთხვევებმა საქართველოში –

| მოიმატა | დაიკლო | დარჩა იგივე | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|---|
| | | | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

**მკითხველის პრემია**

გთხოვთ, აუცილებლად დაასახელოთ როგორც საუკეთესო, ისე სუსტი სტატიები. ეს თქვენს გაზეთს წაადგება

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ____________________

დაასახელეთ ნომრის შედარებით სუსტი ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ____________________

____________________
თქვენი სახელი, გვარი

____________________
ქალაქი (რაიონი)

__________ ასაკი __________ ტელეფონი

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, დამატებით კითხვასა და „მკითხველის პრემიაში" მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

„კვირის პალიტრა" თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვასა და «მკითხველის პრემიას»

№7(489) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი **რაიონებში** განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში მოათავსეთ **ოთხშაბათის, 15 თებერვლის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 16 თებერვლის 13 საათამდე.**

©თბილისი

**ყურადღება! რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც". თქვენ შეგიძლიათ შეავსოთ ისინი და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან" ამოჭრილი ბარათებით.**

## №6 (488) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგს 734 მკითხველი გამოეხმაურა. 11 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 318-მა ქალბატონმა და 405-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ყველაზე მეტად რა აწუხებს საქართველოს მოსახლეობას?"**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, საქართველოს მოსახლეობას ყველაზე მეტად უმუშევრობა აწუხებს. რესპონდენტთა ზუსტად 74%-მა შეაფასა ეს გრაფა მაქსიმალური — 8 ქულით. მინიმალური შეფასება მას მხოლოდ 1%-მა მიაკუთვნა. **7.44** საშუალო ქულით „უმუშევრობა" პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზეა „დაბალი ანაზღაურება/პენსია".

პრობლემათა რეიტინგში მკითხველმა მესამე ადგილი „ფასების ზრდას" მიანიჭა. პირველ რიგში სწორედ უმუშევართა და დაბალანაზღაურებად ადამიანთა გასაჭირს წარმოადგენს აღნიშნული პრობლემა. საშუალო ქულაა 5.57. აღსანიშნავია, რომ მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით ეს პრობლემა (8.2%) მეორე ადგილზეა და წინ უსწრებს „დაბალ ანაზღაურებას" (5.3%).

მკითხველთა შეფასებებით, არასტაბილურობა და ეკოლოგიური პრობლემები, შედარებით ნაკლებად აწუხებთ ქართველებს.

როგორც ვხედავთ, ეკონომიკური პრობლემები საქართველოს მოსახლეობისთვის პირველხარისხოვანია, იმდენად აქტუალური, რომ მის ფონზე ეკოლოგიური პრობლემები, დაუცველობისა და არასტაბილურობის განცდა, შედარებით უფერულად გამოიყურება...




საპრიზოს ზუსტად 17 ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან: 17 წლის **ელენე ცინცაძე** (გაიმარჯვა ორი ბარათით); 32 წლის **მაია რიჟამაძე**, 66 წლის **ლამარა მეგრელიშვილი**, 43 წლის **ვაჟა გელაშვილი**, 50 წლის **რამაზ შუბითიძე** (თბილისი), 12 წლის **მარიამ დეისაძე** (ქუთაისი) და ჟურნალ „რეიტინგის" მკითხველი, 37 წლის თბილისელი **დარეჯან ბენდელავა**, რომელიც 10 ერთნაირად შევსებული ბარათის საშუალებით გახდა პრიზიორი.

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის, გამარჯვებული ბარათების მიხედვით, თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს პრიზების მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 15 თებერვალს, 17 საათზე.

**ყურადღება! „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

## სიახლე მკითხველის პრემიაში

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში, ნომრის რომელი ჟურნალისტური ნამუშევარი მოგეწონათ და არ მოგეწონათ ყველაზე მეტად. საუკეთესოდ დასახელებულ ნაშრომს თქვენგან ემატება ერთი ქულა, ხოლო იმ ნაშრომს, რომელიც ყველაზე მეტად არ მოგეწონათ, შესაბამისად აკლდება ერთი ქულა. იმ მასალის ავტორს, რომელიც საბოლოოდ ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 30 ლარს გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა 25 ლარი, III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — 20 ლარს.

გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

### წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. ვაჟა გავაშელი — „დაბადების დღის შემზარავი სიურპრიზი" — 95 ხმა
2. ეკა ლომიძე — „წიგნის რაინდი" — 57
3. ეკა ლომიძე — „ის იყო დიდი ყველაზე დიდთა შორის" — 27
4. შორენა ლებანიძე — „უშბის თეთრი ღამეები" — 20
5. ირაკლი ალადაშვილი — „სამხედრო თემაზე" — 15

*„მკითხველის პრემიის" მფლობელები 353-მა რესპონდენტმა გამოავლინა*

*„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

*„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.*

**(7) უფასო განცხადების ქვითარი**

**სიტყვა და საქმე**

განცხადების ტექსტი ____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№7 ქვითარი თბილისში „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 16 თებერვლის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

**კითხვა: დაასახელეთ საყვარელი მწერალი**

**(ქართველი, უცხოელი)**

| | | |
|---|---|---|
| 1. | კონსტანტინე გამსახურდია | 23.9% |
| 2. | ნოდარ დუმბაძე | 20.5% |
| 3. | ილია ჭავჭავაძე | 14.3% |
| 4. | ვაჟა-ფშაველა | 9.6% |
| 5. | ალექსანდრე დიუმა | 7.9% |
| 6. | ოტია იოსელიანი | 6.6% |
| 7. | გურამ დოჩანაშვილი | 6.3% |
| 8. | ჭაბუა ამირეჯიბი | 5.5% |
| 9. | მიხეილ ჯავახიშვილი | 4.6% |
| 10. | გალაკტიონ ტაბიძე | 4.1% |
| | სხვები | 62.3% |
| | მიჭირს პასუხის გაცემა | 0.4% |

დასახელდნენ ასევე, შექსპირი, ოთარ ჭილაძე, ვიქტორ ჰიუგო, ერნესტ ჰემინგუეი, გოდერძი ჩოხელი, თეოდორ დოსტოევსკი, აკაკი, ჟიულ ვერნი, გაბრიელ გარსია მარკესი, ჯეკ ლონდონი, ლევან გოთუა, ბალზაკი და სხვა უამრავი დიდი მწერალი.

მკითხველებს მაქსიმუმ ორი საყვარელი მწერალი უნდა დაესახელებინა, ამიტომ სიხშირეთა ჯამი 100%-ს აჭარბებს.

*მკითხველის რეიტინგში 574 რესპონდენტი მონაწილეობდა*

## ცნობილთა აზრით:



**გიორგი ასანიძე:** — ქართველი კლასიკოსებიდან რთულია გამოარჩიო ერთი კონკრეტული. თანამედროვეებს რაც შეეხება, ჭაბუა ამირეჯიბს დავასახელებდი და მის ნაწარმოებს „დათა თუთაშხიას".

უცხოელი მწერლებიდან მიყვარს რედიარდ კიპლინგი. სამწუხაროდ, უცბად ნაწარმოებთა სახელწოდებებს ვერ ვიხსენებ. რა თქმა უნდა, მხოლოდ პოპულარული „მაუგლი" არ მაქვს მხედველობაში.



**ნანკა კალატოზიშვილი:** — ქართველი კლასიკოსებიდან ჩემთვის ყველაზე საყვარელი ვაჟა-ფშაველაა. სამწუხაროდ, თანამედროვე მწერლებს ნაკლებად ვკითხულობ, რადგანაც წიგნის ქართულ ენაზე კითხვა საერთოდ მიჭირს. რაც შეეხება უცხოელ მწერლებს, ძალიან მიყვარს იაპონელი იუკიო მისიმა, გამოვარჩევდი მის რომანებს „ნიღბის აღსარება" და „სიყვარულის წყურვილი". საერთოდ, როდესაც ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოების წაკითხვა მინდა, თავდაპირველად ვეცნობი მის ბიოგრაფიას, წინასიტყვაობას. და თუ აღნიშნულით დავინტერესდები, მხოლოდ ამის შემდეგ ვიწყებ კითხვას.



**გიორგი ცაგარეიშვილი:** — ქართველებიდან ულაპარაკოდ კონსტანტინე გამსახურდიას დავასახელებ. რაც შეეხება უცხოელებს, უამრავი საყვარელი ავტორი მყავს, მათ შორის არიან: დოსტოევსკი, ტოლსტოი, ჩეხოვი, მოპასანი, სტენდალი, ჰიუგო, ჰემინგუეი და ბევრი სხვა. ამ ბოლო დროს ბესტსელერების კითხვამ გამიტაცა. მარტივი წასაკითხია, არც დიდ დროს გართმევს და დიდად არც ნაწარმოების ანალიზით იწუხებ თავს. სამწუხაროდ, ეს იმის გამო ხდება, რომ რთული სამუშაო დღის შემდეგ ძალიან მცირე დრო მრჩება სერიოზული ნაწარმოებების წასაკითხად.

# საქართველოს საპატრიარქო წმინდა სინოდის სხდომა

(დასაწყისი იხ. გვ. 4)

მართლაც იგი შეხვდა მის უწმიდესობას და ითხოვა მისგან შეწევნა. საბუნებრივოდ, ამ შეხვედრის შემდეგ მან კვლავ დაარღვია თავისი სამღვდელო ვალდებულება და კვლავ თვითნებურად აგრძელებს მსახურებას. მღვდელი ბესარიონი თვითნებობის, რასაკვირველია, იმსახურებს სეკულარიზაციის სასჯელს, მაგრამ მისთვის მღვდელმსახურების აკრძალვას მოჰყვება იქ დარჩენილი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ეკლესიისაგან გაუცხოება და უნდობლობის გაზრდა დედა ეკლესიისადმი.

მხარეთა შორის შუღლისა და მტრობის პირობებში მოძღვრის უპირველესი ვალია იყოს მშვიდობისმყოფელი და დაპირისპირებულ მხარეებს მოუწოდოს ურთიერთმიტევებისა და შერიგებისაკენ. არ შეიძლება ეპისკოპოსი მოძღვარი ამ წმიდათაწმიდა მოვალეობას უგულებელყოფდეს და სიტყვითა და საქმით დაპირისპირებას და უნდობლობას აღრმავებდეს. პატრიარქის წინაშე მონანიების შემდეგ ბესარიონ ფილიას ქართველი ხალხისა და დედა ეკლესიის წინაშე მსგავსი დანაშაული არ ჩაუდენია.

სამწუხაროდ, ყველასთვის მოულოდნელად, ანტიქართული ქადაგება აფხაზეთის მორის წამოიწყო. ამ უარყოფითი მოვლენის ავტორია გამგეკურლი იეროდიაკონი დავით სარსანია. მან 2004 წლის სექტემბერში, ჯვართამაღლების დღესასწაულთან დაკავშირებით გამოაქვეყნა სტატია „Крест и победа", რომელიც გამოქვეყნდა აფხაზეთის ადგილობრივ გაზეთში. ამ სტატიაში იგი ქართველებს წარმოაჩენს ოკუპანტებად:

„Тринадцать месяцев орудия смерти были в руках тех, кто пришел на древнюю землю Абхазии и, прикрываясь ложными идеями и коварными целями, пытались уничтожить абхазский народ"...

„Бог даровал победу народу Абхазии на посрамление тем, кто поднял меч, ибо взявшие меч от него и погибнут"...

„Вот уже одиннадцать лет как Абхазия пережила войну с внешними врагами, и крест был началом и победным концом этого тяжелого испытания. Нам предстоит еще много потрудиться, чтобы с Божьей помощью возрождалась наша Родина. Мы должны помнить, что Всевышний показал нам через крест Свою силу, когда такой малый народ как абхазский, одержал победу над превосходившими силами захватчиков".

ამგვარი ქადაგება მიმართულია იმისაკენ, რომ აფხაზი ხალხის ცნობიერებაში შეიქმნას მტრის ხატი ქართველის სახით. აი, რას ამბობს დავით სარსანია რელიგიური საინფორმაციო სააგენტოს „Blagovest-info"-ს კორესპონდენტ დიმიტრი ვლასოვთან ინტერვიუში სახელწოდებით „Главное - жить в мире, научиться прощать и уважать друг друга" 2005 წლისს 29 მაისს: „Абхазы еще очень долго не смогут жить, а тем более молиться вместе с теми, кто поднял против них оружие".

აქედან ჩანს, რომ მისი ჩამოსვლა საქართველოში მოტივირებული იყო არა დედა ეკლესიისადმი ერთგულებითა და მშვიდობიანი მისიით, არამედ მზაკვრული მიზნით ღრმად შეესწავლა საქართველოს ეკლესიის ცხოვრება და შეეგროვებინა მასალები მის წინააღმდეგ ცილისმწამებლური საქმიანობის გასაშლელად.

ინტერვიუში ჟურნალისტ მარინა გაბრიასთან სათაურით „Православная Церковь в Абхазии должна быть абсолютно самостоятельной" გაზეთ ბზიფში, იგი წერს: „Бывая в Грузии, я старался изнутри изучить, познать и понять дух, царящий там. И как интерпретируют все, что связано с нашей абхазской церковностью. Издавна, Грузинская Церковь в Абхазии насаждала свою национальную идею... Это далеко не связано с учением Христа, который говорил: „Возлюби ближнего твоего, как самого себя". А на деле, священнослужители Грузии поддержали часть своего народа, которая пошла с войной на тех, с кем они жили в соседстве долгие годы"... იგი არა მარტო სიძულვილს თესავს აფხაზ ხალხში ქართველების მიმართ, არამედ ცდილობს ამ კონფლიქტის სულისჩამდგმელად წარმოაჩინოს დედა ეკლესია; ამით იგი სჩადის უდიდეს მკრეხელობას, საქართველოს ეკლესიას ბრალს სდებს ქრისტეს მცნებათა ღალატში, რაც მისი აზრით გამოიხატება პოლიტიკური და ნაციონალური მიზნებისადმი მსახურებაში. აფხაზთა თვალში და მსოფლიო არენაზე საქართველოს ეკლესიის დისკრედიტაციის მცდელობის შემდეგ იგი აყენებს აფხაზი მართლმადიდებლების საქართველოს ეკლესიისაგან გამოყოფის აუცილებლობის საკითხს. იგი წერს 2004 წლის მაისში თავის სტატიაში: „Размышления о современном состоянии православной церкви в Абхазии": „Сегодня в Грузии православие является элементом народного самосознания, культуры, истории. В какой-то степени оно стало моноэтническим. Для абхазов такой вариант грузинской духовности не приемлем. Я считаю момент образования православной идеи в абхазском народе совершенно свободным и самостоятельным от Грузинской Церкви"... „Итак, пребывание православного абхазского народа в юрисдикции Грузинской Церкви мне видится маловероятным фактом. Хотя территориально границы Грузинской Церкви охватывают Абхазию, но внутренне она не имеет своей частью, как организм, абхазских христиан. Это канонический и богословский прецедент".

ამგვარი განცხადებებით იგი უბიძგებს აფხაზ ხალხს და იქ მყოფ სამღვდელოებას განხეთქილებისკენ და დედა ეკლესიისაგან ჩამოცილებისაკენ: (იმავე სტატიიდან), „образование церковного абхазского Собора могло бы отразить единодушное мнение всего народа по главной теме. Явление такого характера позволит привлечь внимание всего православного мира. Здесь же необходимо присутствие представителей Поместных Православных Церквей в качестве наблюдателей. Грузинская Церковь должна принять участие в этом Соборе и увидеть действительное положение дел в своей юрисдикции. В конце концов, народ Абхазии решит, быть ли ему в духовном лоне Грузинской Церкви, и значит стать частью грузинской нации, или сказать о невозможности такого явления, как противоречащему абхазским национальным интересам. Исходя из таких соображений, можно надеяться на понимание Православных Церквей, которое не будет игнорировать мнения народа".

იდეას აფხაზთა სახალხო კრების მოწვევისა და საქართველოს ეკლესიისაგან გამოყოფის შესახებ დავით სარსანია ავითარებს კიდევ სხვა ინტერვიუებსა და სტატიებში. იხ. Правая.ru 2005 წლის სექტემბერი „Современное состояние и проблемы православной церкви в Абхазии": „Таким образом, становится ясным, почему пребывание православного абхазского народа в юрисдикции Грузинской Церкви является сегодня фактически невозможным. Хотя канонические границы Грузинской Церкви и охватывают Абхазию, однако же, Грузинская Патриархия не имеет своего влияния на абхазских христиан. К тому же, Православие в Грузии имеет сегодня моноэтническую природу, где невозможно развитие церковной идентичности других народов, духовное окормление над которыми пытается сохранить Грузинская Церковь".

ზემოაღნიშნულ ინტერვიუში მარინა გაბრიასთან დავით სარსანია ამბობს: „Было бы правильным и своевременным создание Абхазского национального церковного Собора. Это позволило бы заявить всему миру, что абхазский православный народ не может быть в лоне Грузинской Церкви".

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენ წინაშეა სასულიერო პირისათვის სრულიად შეუფერებელი საქციელი. ამ პიროვნების ქმედებაში იკითხება მტრულად განწყობილი უკიდურესი სეპარატისტისა და რადიკალური პოლიტიკოსის პათოსი აღსავსე ცინიზმით, დაუნდობელი ცილისწამებით, ისტორიული თუ თანამედროვე მოვლენების მოურიდებელი გაყალბებით. იგი არც კი ფარავს თავის ჯაშუშურ და მზაკვრულ გეგმებს საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით და უტიფრად აცხადებს, რომ მისი მიზანი იყო საქართველოს ეკლესიის წიაღში მიმდინარე მოვლენების შესწავლა, რათა უკეთესად წარმოეჩინა მისი ტენდენციური, პოლიტიზებული და ნაციონალისტური ბუნება.

იეროდიაკონი დავით სარსანია გარდა იმისა, რომ შეურაცხყოფას აყენებს დედა ეკლესიას და ქართველ ერს, მტრულ სამსახურს უწევს თვით აფხაზ ხალხსაც. ქართველებისადმი სიძულვილისა და უნდობლობის უმძიმეს ცოდვაში ჩავარდნილ თავის თანამემამულეებს იგი არათუ მოუწოდებს ქრისტესმიერი მიმტევებლობისა და შერიგებისაკენ, არამედ თავისი ქადაგებებით კიდევ უფრო აღრმავებს მათში ამ სასიკვდილო ცოდვას. გარდა ამისა ხელს უწყობს განხეთქილების სულის დანერგვას აფხაზეთის მოსახლეობაში, რითაც მართლმადიდებელი ეკლესიისაგან მათი მოწყვეტის საფრთხეს ქმნის.

როგორც ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მღვდელმთავარი, აუცილებლად მივიჩნევ დავსვა საკითხი თქვენი უწმიდესობისა და წმინდა სინოდის წინაშე: იეროდიაკონ დავით სარსანიასთვის მკაცრი საეკლესიო სასჯელის დადების შესახებ.

ამასთან ერთად მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქმნას საგანგებო კომისია, რომელიც შეისწავლის ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის პრობლემებს და მათ მოსაგვარებლად ოფიციალურ დონეზე გამართავს მოლაპარაკებებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან.

საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდი გმობს იეროდიაკონ დავითის (სარსანია) მოქმედებას, როგორც ანტიეკლესიურს და ანტიკანონიკურს. იგი, როგორც საქართველოს ეკლესიის მღვდელმსახური, გამოძახებულ იქნა საქართველოს საპატრიარქოში, რათა გასცეს პასუხი საკუთარ ქმედებებზე.

წმინდა სინოდმა განაჩინა: შეიქმნას სპეციალური კომისია ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის პრობლემების შესასწავლად, შემდეგი შემადგენლობით:

*მიტროპოლიტი კალისტრატე (მარგალიტაშვილი) თავმჯდომარე; მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე); მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი); მთავარეპისკოპოსი სერაფიმე (ჯოჯუა); მთავარეპისკოპოსი თეოდორე (ჭუაძე); ეპისკოპოსი გერასიმე (შარაშენიძე); ეპისკოპოსი ანდრია (გვაზავა);*

5. წმინდა სინოდმა მოისმინა: მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) და დმანისის ეპისკოპოს ზენონის (იარაჯული) განცხადება ქვემო ქართლის ერთ-ერთი ისტორიული ეპარქიის აღდგენის თაობაზე.

წმინდა სინოდმა განაჩინა: აღდგენილ იქნას ისტორიულად არსებული აგარაკ-ტაშირის ეპარქია და იგი დაექვემდებაროს დმანისის ეპისკოპოსს, რომლის ტიტულიც განისაზღვროს შემდეგნაირად: ეპისკოპოსი დმანისისა და აგარაკ-ტაშირისა, კათედრა დმანისში.


## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

### „კვირის პალიტრა" თქვენი დახმარებით გახდება უფრო უკეთესი და საინტერესო

ძვირფასო მკითხველო! აქამდეც ბევრჯერ გვითქვამს, რომ თქვენ ხართ ჩვენი გაზეთის მთავარი შემოქმედიც და შემფასებელიც. „კვირის პალიტრას" სწორედ თქვენ ქმნით, თქვენი უშუალო დახმარებით იზრდება იგი დღითი დღე, თქვენი მეშვეობით იბადება ახალ-ახალი რუბრიკები, თემები... თუ გსურთ, რომ „კვირის პალიტრამ" თქვენი მოლოდინი ისევ გაამართლოს, ნუ დაიზარებთ, შეავსეთ ტრადიციული კითხვარი, დააფიქსირეთ თქვენი აზრი, შენიშვნები... გამოგვიგზავნეთ ანკეტა „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთების საშუალებით.

**1. სქესი**

- ☐ ქალი
- ☐ კაცი

**2. ასაკი**

- ☐ 18 წლამდე
- ☐ 18-24
- ☐ 25-34
- ☐ 35-44
- ☐ 45-54
- ☐ 55-64
- ☐ 65 წელზე მეტი

**3. განათლება**

- ☐ არასრული საშუალო
- ☐ საშუალო
- ☐ არასრული უმაღლესი
- ☐ უმაღლესი
- ☐ სამეცნიერო ხარისხი

**4. თქვენი ძირითადი სამუშაო, საქმიანობა**

- ☐ ხელმძღვანელი, მენეჯერი
- ☐ მოსამსახურე
- ☐ მუშა
- ☐ სტუდენტი, ასპირანტი
- ☐ მოსწავლე
- ☐ თვითდასაქმებული
- ☐ დროებით უმუშევარი
- ☐ დიასახლისი
- ☐ პენსიონერი

**5. რომელ სფეროში მუშაობთ?**

- ☐ სახელმწიფო
- ☐ კერძო
- ☐ არასამთავრობო ორგანიზაცია

სხვა ______________

**6. რამდენ ლარს შეადგენს თქვენი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი?**

- ☐ 70 ლარამდე
- ☐ 70-200
- ☐ 200-800
- ☐ 800-1500
- ☐ 1500-ზე მეტი

**7. რამდენი ხანია, რაც კითხულობთ „კვირის პალიტრას"?**

- ☐ 1-6 თვე
- ☐ 6-12 თვე
- ☐ 1-3 წელი
- ☐ 3-7 წელი
- ☐ 7 წელზე მეტი

**8. რა ხშირად კითხულობთ „კვირის პალიტრას"?**

- ☐ ყოველ ნომერს
- ☐ ხშირად
- ☐ ხანდახან
- ☐ იშვიათად

**9. არსებობს თუ არა რაიმე შემაფერხებელი ფაქტორი, რაც ხელს გიშლით „კვირის პალიტრის" რეგულარულად შეძენაში?**

- ☐ ფასი
- ☐ დროის უქონლობა
- ☐ ხანდახან არ არის გაყიდვაში
- ☐ ხანდახან უინტერესოა

სხვა ______________

- ☐ არ არსებობს ასეთი ფაქტორი

**10. „კვირის პალიტრის" გარდა რომელ ყოველკვირეულ ჟურნალ-გაზეთებს კითხულობთ სისტემატურად?**

*(დაასახელეთ მაქსიმუმ სამი)*

1. ______________
2. ______________
3. ______________

**11. რამდენად ხშირად კითხულობთ მეათე კითხვაში თქვენ მიერ I რიგში დასახელებულ გამოცემას?**

- ☐ ყოველ ნომერს
- ☐ ხშირად
- ☐ ხანდახან
- ☐ იშვიათად

**12. პირველ რიგში რას კითხულობთ „კვირის პალიტრაში"?**

*(აღნიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)*

- ☐ მიყოლებით ყველაფერს
- ☐ მხოლოდ საყვარელ რუბრიკას
- ☐ საყვარელი ავტორის სტატიას
- ☐ მასალას, რომლითაც გარეკანზე მოთავსებულმა ანონსმა დაგაინტერესათ

სხვა ______________

**13. გთხოვთ შეაფასოთ აქ ჩამოთვლილი ყველა რუბრიკა და თემა, აღნიშნეთ, რომელ მათგანს ეცნობით ყოველთვის, ხშირად, იშვიათად და არასდროს**

| რუბრიკა | ვკითხულობ ყოველთვის | ვკითხულობ ხშირად | ვკითხულობ იშვიათად | არასდროს ვკითხულობ |
|---|---|---|---|---|
| 1. კვირიდან კვირამდე | | | | |
| 2. კვირის თემა | | | | |
| 3. დედათბილისი | | | | |
| 4. სამხედრო თემაზე | | | | |
| 5. პოლიტიკა | | | | |
| 6. ვერსია | | | | |
| 7. რას გვეტყვი, მამაო | | | | |
| 8 ვინც გვყავდა | | | | |
| 9. რას წერენ ჩვენზე | | | | |
| 10. უბრალოდ ფრაზა (ლიტერატურა) | | | | |
| 11. საბალღო-სალაღო | | | | |
| 12. 13-დან 19-მდე | | | | |
| 13. ანიდან ჰოემდე | | | | |
| 14. ამბავნარი | | | | |
| 15. თქვენთვის, ქალბატონებო (ბატონებო) | | | | |
| 16. საზღვარგარეთის ქვეყნები | | | | |
| 17. ეკონომიკა | | | | |
| 18. მედიცინა | | | | |
| 19. შეჩერებული წამი (ფოტოგვერდი) | | | | |
| 20. სა-დღე-გრძელოდ! | | | | |
| 21. ფოტოპალიტრა | | | | |
| 22. წისქვილმა კი ფქვასო... | | | | |
| 23. წარმატებებს გისურვებთ! | | | | |
| 24. გზები, რომლებიც ვერ გვაშორებენ | | | | |
| 25. სპორტი | | | | |
| 26. კროსვორდები | | | | |
| 27. განცხადებები | | | | |
| 28. რეკლამები | | | | |
| 29. სხვა ______ | | | | |

**14. თქვენი აზრით, რა აკლია „კვირის პალიტრას", რა სიახლეს შემოგვთავაზებდით?**

______________

______________

**15. მიუთითეთ თქვენი საცხოვრებელი ქალაქი, რაიონი (სოფელი)** ______________

წინასწარ გიხდით მადლობას!

☒ შესაბამისი უჯრა ასე გადახაზეთ (ყუთების ადგილმდებარეობის შესახებ იხ. ბოლო გვერდზე)

# „მოვიდა დრო, რუსთავიც ჩემპიონი გახდეს“

*რუსთავის „აზოტთან“ თამაში ჩემპიონატის ფავორიტებს მაშინაც უჭირდათ, როდესაც უფულობით გატანჯული კლუბის ძირითად ბირთვს პირტიტველა კალათბურთელები შეადგენდნენ. ერთი შეხედვით, სამრეწველო ქალაქს გუნდის შენახვა არ უნდა გასჭირვებოდა, თუმცა, დამფინანსებლის მოძებნას არა და არ დაადგა საშველი და ქრონიკული უფულობა „აზოტს“ შარშანდლამდე მოჰყვა. არადა, როგორც კი სპონსორი გამოჩნდა, ქვემოქართლური კლუბი სრული სვლით „დაიძრა“, ყოფილი თუ ახალი მოთამაშეები დაიმატა და წლის პირველივე ტურნირის ჩემპიონი გახდა. „აზოტმა“ იანვარში ქორქია-საკანდელიძის მემორიალიც მოიგო და გასულ კვირას ქვეყნის პირველობაზე აქამდე წაუგებლად მოსული ლიდერი — თსუ-ნიკორაც იმსხვერპლა. რუსთაველთა მთავარ მწვრთნელს,* ***ოთარ ხმელიძეს*** *და გუნდის უცვლელ ლიდერს,* ***რამაზ გოგობერიძეს*** *სტუდენტთა დამარცხების შემდეგ გავესაუბრეთ.*



— კლუბის ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა და ეს შედეგზეც აისახა. თითქმის ორწელიწად-ნახევარი უფულოდ ვიყავით, ახლა კი ყურადღებას არ გვაკლებენ და შედეგიც გამოჩნდა.

**— ფინანსური „პროგრესი“ გუნდის შემადგენლობასაც დაეტყო. რამდენიმე ისეთი მოთამაშე დაიმატეთ, „აზოტი“ აშკარად რომ გააძლიერა...**

— ანატოლ ბოისა და ზვიად ბაბიაშვილი მშობლიურ კლუბს დაუბრუნდნენ და ბუნებრივია, პრობლემები არც შექმნიათ. ჩინებულად გამოიყურება ჟულივეტ ტუჯანიც. ტრადიციულად, მაღალ დონეზე თამაშობს გოგობერიშვილიც. ვარჯიშებისას რამაზს ისეთ დღეში ვაგდებ, რომ ნახოთ, შეგეცოდებათ. ახალ სეზონს არცთუ კარგ ფიზიკურ ფორმაში შეხვდა და ახლა ქანცის გაწყვეტამდე ვავარჯიშებ. ამის გამო, წონაშიც საგრძნობლად დაიკლო. რამაზი ნიჭიერი კაცია და თუ ივარჯიშებს, კიდევ 2-3 წელი შეეძლება ასეთ მაღალ დონეზე თამაში. მისი გამოცდილების მქონე მოთამაშის გუნდში ყოფნა ახალგაზრდა კალათბურთელებისთვისაც ძალზე ბევრს ნიშნავს.

**— ახალდაკომპლექტებულმა გუნდმა პირველი ხმაურიანი განაცხადი ქორქიასა და საკანდელიძის სახელობის ტურნირის მოგებით გააკეთა. უამრავი მცდელობის მიუხედავად, ეს თქვენი გუნდის პირველი ტიტულია...**

— ვფიქრობ, შედეგი კანონზომიერი იყო. ისე, ამ ტურნირს ქორქია-საკანდელიძის მემორიალის მოსამზადებელი პერიოდის ერთ-ერთ ეტაპად განვიხილავდით, თუმცა, როცა შევატყვეთ, რომ ჩემპიონობაც შეგვეძლო, უარს ხომ არ ვიტყოდით?

**— ბუნებრივია, ამ გამარჯვებებმა საჩემპიონო ამბიციაც შეგძინათ, არა?**

— რა თქმა უნდა, შევეცდებით პირველობისთვის ვიბრძოლოთ, თუმცა, ამისთვის ჯერ ოთხეულში მოხვედრაა საჭირო.

**— რუსთავის „აზოტი“ ქვეყნის ჩემპიონობასთან წინა წლებშიც არაერთხელ იყო ახლოს და ცოტა მეტი იღბალი რომ გქონოდათ, ოქრო მინიმუმ ერთხელ მაინც უნდა მოგეგოთ. ყველაზე მწარედ რომელი ფინალი გახსენდებათ?**

— ფინალში სამჯერ დავმარცხდით. თანაც სულ მინიმალური სხვაობით ვაგებდით მატჩის უკანასკნელ წამებზე. განსაკუთრებულად მწარედ თასის ფინალის შეხვედრა მახსენდება, როცა რუსთავში „ბასკოსთან“ ერთი ქულის სხვაობით წავაგეთ. წინა დღით, გოგობერიშვილმა 48 ქულა ჩააგდო. ბათუმელებთან მატჩში კი თამაში საერთოდ არ წაუვიდა და საკუთარ კედლებში დასანანი მარცხი ვიგემეთ. ვეცდებით, წელს მაინც გავტეხოთ ნავსი.

**რამაზ გოგობერიშვილი:**

— ჯერჯერობით, ჩვენი მიზანი პირველ ოთხეულში მოხვედრაა, დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს. საკმაოდ კარგი შევსება მივიღეთ, მაგრამ წინ კიდევ უამრავი შეხვედრაა და თუ ფინალში მოხვედრას შევძლებთ, ჩემპიონობაზე ფიქრი მხოლოდ ამის მერე უნდა დავიწყოთ.

ისე კი, მოვიდა დრო, რუსთავიც ჩემპიონი გახდეს(!), ჩვენთან ხომ კალათბურთის დიდი ტრადიციებია და ნაკრებსაც ბევრი მოთამაშე „გავუგზავნეთ“.

**— ისე, გასაკვირი კია, ჩემპიონობასთან და თასის მოპოვებასთან იმდენჯერ იყავით ახლოს და „აზოტმა“ პირველი ტიტული მხოლოდ წელს მოიპოვა. პირადად შენ კი ერთბაშად სამი თასი სტუ-ს შემადგენლობაში თამაშისას, შარშან მიიღე...**

— ბუნებრივია, სტუდენტური კლუბის შემადგენლობაში მოპოვებულმა ყველა ტიტულმა ძალიან გამახარა, მაგრამ კარიერის უდიდესი ნაწილი „აზოტში“ გავატარე და აქ მოგებულ თითოეულ თასს სხვა ფასი ექნება.

## სპორტული კალეიდოსკოპი

### შოთა ისევ პირველია



გასულ კვირას ორი მატჩი გამართა შოთა არველაძის „ალკმაარმა“. ორიოდე დღის წინ, ლუის ვან გაალის შეგირდებმა როტერდამის „სპარტას“ სძლიეს გასვლით შეხვედრაში 1:0, მანამდე კი, „როზენდალს“ ეწვივნენ და 5:0-ით გაანადგურეს მეტოქე. არველაძემ ამ მატჩში სამი გოლი გაიტანა და 20 ბურთით ჰოლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ჩემპიონატის პირველ ტურში, „ალკმაარმა“ იმავე „როზენდალს“ შვიდი უპასუხო გოლი გაუტანა. ქართველმა ფორვარდმა კი, იმ მატჩში ოთხი(!) ბურთი შეაგდო.

### ეგვიპტე მეხუთედ

გასულ კვირასვე, კაიროში აფრიკის ერთა თასის XXV გათამაშება დასრულდა. მასპინძლების, ეგვიპტელთა ეროვნულმა გუნდმა ფინალში დიდიე დროგბას კოტ დ'იუვარს მოუგო და კონტინენტის თასს მეხუთედ დაეუფლა. გადამწყვეტი შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ, 0:0 დასრულდა, თერთმეტმეტრიანების სერიაში კი უფრო იღბლიანი ფარაონთა შთამომავლები აღმოჩნდნენ და სანუკვარი თასი კაიროში დატოვეს...

*გვერდი მოამზადა რატი შელეგიამ*

# ტურინმა ცეცხლი დაანთო



„დაუვიწყარ შოუს გპირდებით! ისეთს, აქამდე რომ არ გინახავთ და ქორეოგრაფიულ შედევრებთან ერთად, უახლოესი ტექნოლოგიებით დადგმულ სპექტაკლსაც ნახავთ. 10 თებერვალს მოთმინებით დაელოდეთ, თქვენ ახალ იტალიას ნახავთ!“ — ეს სიტყვები ზამთრის XX ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა წარმოთქვა და ტურინმა თავისი სიტყვა შეასრულა კიდეც.

მსგავსი დაპირებები ასეთი მასშტაბის თითქმის ყველა ღონისძიების წინ ისმის, მაგრამ „ტურინი 2006-ის“ საორგანიზაციო კომიტეტმა სიტყვა საქმედ აქცია. ეს იყო გრანდიოზული შოუ, რომლის მსგავსი კარგა ხანია არ გვინახავს. იტალიელებმა, იმის მიუხედავად, რომ გახსნის დღეს ტურინი საპროტესტო აქციებითაც გამოირჩა, ყველას უჩვენეს, როგორი უნდა იყოს ნამდვილი დღესასწაული. საპროტესტო აქციების მონაწილეთა მოთხოვნებს აღარ იკითხავთ? „თვალს ნურავის უხვევთ. სინამდვილეში, ტურინი ღარიბი ქალაქია, რომელსაც ამდენი ფულის გადაყრა არ შეუძლია!“ — ასეთი იყო პროტესტანტთა მოწოდებები, თუმცა, ძნელია ამ სიტყვებს დაუჯერო იმის შემდეგ, რაც გახსნის ფანტასტიკურ ცერემონიას მიადევნე თვალი.

გახსნის ცერემონია სპეციალური ნომრით დაიწყო, რომლის მომზადებასაც რამდენიმე თვე დასჭირდა. თუმცა, შედეგი ამად ნამდვილად ღირდა. გარდა ამისა, ულამაზეს სცენაზე არაერთი განუმეორებელი სანახაობა წარმოადგინეს. ორიგინალურად აღმართეს ოლიმპიადის სიმბოლო — ხუთი რგოლიც, ეს ყველაფერი კი გემოვნებით შერჩეული მუსიკისა და განათების ფონზე მიმდინარეობდა...

გახსნის ცერემონიას, ბუნებრივია, პროტოკოლურ ღონისძიებათა გარეშეც არ ჩაუვლია — სიტყვით გამოვიდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, სტადიონზე შემოიტანეს ოლიმპიური დროშა, ცეცხლი და რა თქმა უნდა, მოეწყო თამაშების მთავარი გმირების — მონაწილე სპორტსმენების აღლუმი. რადგან ცეცხლი ვახსენეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ოლიმპიური ჩირაღდნის გარდა, ცეცხლი ოლიმპიადის ერთგვარ სავიზიტო ბარათადაც კი იქცა და ლამის ტურინი „აალებულმა“ მოცეკვავეებმა „ცეცხლოვან“ ქალაქად აქციეს.

აღსანიშნავია, რომ ოფიციალურ პროგრამაში სულ 6100 მოხალისე და 240 პროფესიონალი მსახიობი მონაწილეობდა. საერთოდ კი, ვინც ცერემონიას თვალი მიადევნა, ეჭვი არ შეეპარება, რომ ორგანიზატორებმა გვარიანი თანხა დახარჯეს. იმედია, მთელი ოლიმპიადა გახსნის დღესავით ლამაზად ჩაივლის. თუმცა, პარასკევსვე, გახსნამდე რამდენიმე საათით ადრე, რამდენიმე სპორტსმენს სისხლში ჰემოგლობინის მაღალი დონე აღმოუჩინეს და „მათივე კეთილდღეობისთვის“ ჩამოაშორეს ასპარეზობას. ეს ფაქტი, ალბათ, ერთადერთი ჩრდილოვანი ლაფსუსი იყო, რაც ჯერჯერობით ტურინის ოლიმპიური თამაშების ბრწყინვალებას მიადგა.

დაბოლოს, ჩვენი ამბავიც ვთქვათ: ქართული გუნდი ფრანგების მრავალრიცხოვანი დელეგაციის შემდეგ გამოვიდა „ასპარეზზე“ და მათთან შედარებით „ზღვაში წვეთად“ კი მოჩანდა, მაგრამ მთელი საქართველოს იმედი ახლა სწორედ სამი ქართველი სპორტსმენია. მოციგურავეების ვახტანგ მურვანიძისა და ელენე გედევანიშვილის გარდა, ტურინში 17 წლის მოთხილამურე — იასონ აბრამიშვილიც იასპარეზებს. სამივე ქართველი იტალიაში გამგზავრებამდე უცხოეთში მოემზადა. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, აბრამიშვილს საკმაოდ ბევრ საერთაშორისო შეჯიბრებაში მიუღია მონაწილეობა, ვახტანგ მურვანიძის საუკეთესო შედეგი ევროპის ჩემპიონატზე ნაჩვენები მეშვიდე ადგილია. რაც შეეხება გედევანიშვილს, იგი ჩვენს დელეგაციაში ასაკით ყველაზე უმცროსია და თუმცა ტურინში გაცილებით ძლიერი შემადგენლობა მოიყრის თავს, იმედი დავიტოვოთ, რომ ელენე ლიონის ყინულზე ნაჩვენებ ცეცხლოვან ილეთებს იტალიაშიც უშეცდომოდ გაიმეორებს.



# არ შეგეშინდეთ — ვიწყებთ იტალიასთან და ვამთავრებთ საფრანგეთით(!)

## შედგება გერმანული პროფესიონალიზმისა და ქართული ნიჭის სინთეზი?



რალფ მინგე

*ევროპის 2008 წლის ჩემპიონატისთვის ბრძოლა უკვე დაიწყო. მას შემდეგ, რაც კენჭისყრა ჩატარდა, გუნდების წარმომადგენლებმა შეხვედრის ადგილი დათქვეს და კალენდრის შემუშავებას შეუდგნენ. „ქართული" ჯგუფის ამქარი პარიზში შეიყარა. ოპტიმიზმით აღსავსე კლაუს ტოპმიოლერი გერმანული პუნქტუალობით „ჩაუჯდა" ჩვენთვის სასურველი განრიგის დამუშავებას და ოთხი ვარიანტით ხელდამშვენებული ჩაფრინდა საფრანგეთის დედაქალაქში. საქართველოს ნაკრების თავკაცს სენას ნაპირებზე ფედერაციის პრეზიდენტმა ახალკაცმა და გენერალურმა მდივანმა უგულავამაც დაუმშვენეს გვერდი. „კალენდრის ომში" ტოპმა ქართველები ირჩია, თავისი თანაშემწე მინგე კი თბილისში მოავლინა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თამაშის სახილველად.*

***

რა მნიშვნელობა აქვს საფეხბურთო განრიგად წოდებულ კალენდარს მაშინ, როცა გუნდები ორ-ორჯერ მაინც უნდა შეერკინონ ერთმანეთს მწვანე მინდორზე და შესაბამისად, მოედანზე და არა სასტუმროს კულუარებში უნდა გადაწყდეს მოგებულ-წაგებულის ვინაობა?

ეს პროცესიც ისეთივე ტაქტიკური ბრძოლაა, როგორიც უშუალოდ თამაშის დროს მწვრთნელის მიერ მომზადებული სტრატეგიული გეგმის ხორცშესხმა. კაცმა რომ თქვას, ჩვენთვის თითქოს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, პირველ ტურში ფრანგებს დავუპირისპირდებით თუ წყალწაღებულ ფარერებს. მოსაგები და საბრძოლველი ჩვენ უნდა „ვიომოთ" და თუ ფეხს არ გავატოკებთ, ვერც კარგი კალენდარი გვიშველის და ვერც ოდესღაც მქუხარე საფეხბურთო ტრადიციები. მაგრამ თუ ტოპმიოლერის გარემოცვიდან გამოსულ ხმებს ვენდობით, ნაკრების თავკაცი როგორც ნამდვილ პროფესიონალს შეეფერება, თავის გუნდთან დაკავშირებულ თვით უმცირეს ნიუანსსაც კი უდიდესი ყურადღებით ეკიდება და მის მიერ შედგენილი კალენდრის მრავალფეროვანი ვარიანტებიც სწორედ ამის დასტურია. ჰერ კლაუსს მთავარი აქცენტი, რა თქმა უნდა, ამაზე არ გაუკეთებია, მაგრამ მიანიშნა, რომ იგი ფეხბურთს „მოწყურებულია" და სადებიუტო მატჩებში ქულათა სოლიდური მარაგის დაგროვებაზე უარს არ იტყოდა, რაც ფეხბურთელთა ფსიქოლოგიური განწყობისა და საბრძოლო ტონუსის ამაღლებასაც შეუწყობდა ხელს.

პარიზში ჩვენი ჯგუფის ნაკრებთა თავკაცობა უკლებლივ შეიკრიბა, ერთადერთი გამონაკლისი უკრაინელთა მთავარი მწვრთნელი ოლეგ ბლოხინი იყო, რომელმაც კიევში დარჩენა ისურვა და მეტოქეებთან დიპლომატიურ პაექრობაში თანაშემწე ჩააბა. სწორედ ბლოხინის ჩამოუსვლელობა გახდა იმის მიზეზი, რომ ორი დღის მანძილზე საბოლოო ვარიანტზე შეთანხმება ვერ შედგა. უკრაინელებმა დრო ითხოვეს მოსაფიქრებლად, მაგრამ მთლად უკმაყოფილონი არ დარჩენილან და სავარაუდოდ თანხმობას განაცხადებენ კიდეც.



ქართველებმა მათზე სამი წლით უფროსი აზერბაიჯანელები მინასთან გაასწორეს

ჩვენი გუნდის ხელმძღვანელთა განცხადებით, საქართველოსთვის არცთუ ურიგო კალენდარი შედგა ანუ პარიზულ შეკრებაზე ტოპის მიერ მომზადებულ განრიგთან მიახლოებული გრაფიკი შემუშავდა. არ შეგეშინდეთ — ვიწყებთ იტალიასთან და ვამთავრებთ საფრანგეთით(!) ორივე შეხვედრა — სადებიუტოც და საფინიშოც სტუმრად მოგვიწევს. ალბათ, ჰერ კლაუსმა უკეთ იცის თავისი საქმე, მაგრამ ის, რომ ჩვენი მეტოქე გრანდების დელეგაციები ტოპმიოლერს დიდი მოწიწებით მადლობას უხდიდნენ შეთანხმების შემდეგ, მრავლისმეტყველი ფაქტია. გამოდის, მათაც ასე ერჩივნათ. დამაინტრიგებელი უფრო ის იყო, რომ ტოპი იღიმოდა საეჭვოდ(!) მისი ამაღლებული განწყობა ალბათ იმას ეფუძნებოდა, რომ იტალიას მაშინ ვესტუმრებით, როცა გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატი ახალი დამთავრებული იქნება და შესაბამისად, აპენინელთა სპორტული ფორმის პიკიც ჩავლილი. ხოლო საფრანგეთს რომ ბოლო მატჩები აქილევსის ქუსლად აქვს ქცეული, არავისთვის არის დასამალი. ფრანგებს აქამდე ციკლის დასკვნით ეტაპზე ორი ალიყური „მოხვდათ" პარიზში, როცა ერთხელ არასაფეხბურთო ისრაელმა და მეორედ აღზევების პროცესში მყოფმა ბულგარეთმა „პარკ დე ფრანსზე" ცივ შხაპში „აბანავეს" ფავორიტად მიჩნეული ფრანგები და ფინალური ეტაპის მიღმა დატოვეს. შესაძლოა, ციკლის ბოლოს ამბიციურმა ტოპმიოლერმაც მსგავსი დრამა გაითამაშოს საფრანგეთში და ღიმილს სიტყვებიც მოაყოლოს: „ბედის ირონია ანუ გაამოთ"!

***

სანამ პარიზში ტოპმიოლერი მეტოქეებს „ხელზე იხვევდა", რალფ მინგე ავლაბარში, „ოლიმპის" არცთუ კომფორტულ ლოჟაში ბლოკნოტმომარჯვებული იჯდა და საქართველო-აზერბაიჯანის ახალგაზრდული ნაკრებების თამაშის ანალიზს აკეთებდა. ფრედ დამთავრებული პირველი შეხვედრის შემდეგ, მინგემ ჩვენი ჭაბუკების დამრიგებელს კობა ჟორჟიკაშვილს „ბლოკნოტის საგანძურიდან" რჩევა-დარიგება „წააშველა" და თუ მეორე დღეს ქართველებმა მათზე სამი წლით უფროსი აზერბაიჯანელები მიწასთან გაასწორეს, ეს ტოპის თანაშემწის დამსახურებაც იყო. მინგე სიცივის მიუხედავად, ბოლომდე ნირშეუცვლელად ადევნებდა თვალს თამაშს. არც ის დავიწყებია, ლამაზი გოლისა და კომბინაციის შემდეგ აღტაცებული ფეხზე წამოვარდნილიყო და აპლოდისმენტებით დაეჯილდოებინა ნაკრების ერთ-ერთი თავკაცის ყურადღებით ფრთაშესხმული ქართველი ფეხბურთელები, რომლებსაც მშვენივრად ესმოდათ, რომ კარგი თამაშის შემდეგ მათი გვარებიც მოხვდებოდა რალფის ჯადოსნურ ბლოკნოტში და შესაბამისად ლეგენდარული ტოპის თვალსაწიერში. შედეგად, ქართველმა ჭაბუკებმა 5:0 გაიმარჯვეს და საქმე მარტო ანგარიშშიც არ არის. იოლი შესამჩნევი იყო, რომ დიდი ნაკრების რიგებში მოხვედრის პერსპექტივით შეგულიანებული ყმაწვილები მინდვრის თითოეული გოჯისთვის თავს იკლავდნენ არასაფეხბურთო ამინდში და ესეც ერთ-ერთი ნათელი სხივი იყო ყოველმხრივ ჩამოშავებული ქართული ფეხბურთის ცაზე...

P.S. დასაწყისი იმედიანია. ჯერ ნაადრევია დასკვნების გამოტანა, მაგრამ ტოპის ღიმილიც და მინგეს თავგამოდებაც იმის მაუწყებელია, რომ არცთუ დიდი ხნის წინ დიდი გამარჯვებების შემოქმედი სპეციალისტები ახალი გუნდის შენებას გერმანული პროფესიონალიზმისა და ქართული ნიჭის შეზავებით იწყებენ.

როგორც ჩანს, მათში საკონტრაქტო თანხაზე მეტად, დიდ ფეხბურთში დაბრუნების მონატრება უფრო სჭარბობს.

ჩვენი ოცნებაც ხომ ეს არის?..

ეს თუ გავითავისეთ, ალბათ ეტყვის ციკლის ბოლოს ტოპმიოლერი ფრანგებს „პარკ დე ფრანსზე": „ბედის ირონია ანუ გაამოთ!.."

ამბობენ, ჰყვარებიაო ტოპს ცივი შხაპი!...

**ზვიად სეხნიაშვილი**

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

„საქართველოს ტელეკომმა" დაიწყო ახალი პროექტი

„ცხელი სადილი კათარზისის ხანდაზმულთათვის".

თუ თქვენ გჭირდებათ საზღვარგარეთ დარეკვა, დარეკეთ 8-10-ით (ტარიფი უცვლელია).

ამით თქვენ დაეხმარებით სათნოების სახლი „კათარზისის" უფასო სასადილოს. ყოველდღიურად, თქვენი შემწეობით, რამდენიმე ასეული მოხუცებული მიიღებს სრული რაციონის ცხელ სადილს.

ყოველი ახალი ზარი კიდევ ერთი ადამიანის დახმარების საწინდარია.

ერთად ვაკეთოთ კეთილი საქმე 8-10

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

## ფოტო კომენტარით



### ადამიანის შესვლა აკრძალულია!

პარიზში პირველად მსოფლიოში გაიხსნა ძაღლების კაფე-რესტორანი, რომელსაც „ჩემი ოთხფეხა მეგობარი“ ჰქვია. ჩვენს ერთგულ მეგობრებს გაახარებს სასიამოვნო გარემო და დახვეწილი მენიუ. გუა-გრა, ტროპიკული ხილი, ბარბექიუ — ასეთ კერძებზე არც ძაღლების პატრონები იტყოდნენ უარს. ახლო მომავალში კაფე-რესტორნის მფლობელი აპირებს გახსნას ექსკლუზიური ტანსაცმლის ბუტიკი ძაღლებისთვის.



### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. დემსკი; 5. ფაუსტი; 9. სეული; 11. ნამქერი; 12. ვარშავა; 13. აჯიკა; 14. ეპითეტი; 17. ბრიგადა; 18. ტონგა; 20. ეპოსი; 21. ბალანსი; 24. იაგუნდი; 28. თოვლი; 31. დრენაჟი; 32. სპირალი; 33. არილი; 34. ალანია; 35. რაპირა.

**შვეულად:** 1. დიონისე; 2. მაქმანი; 3. კაბერნე; 4. ხუნდი; 6. აგარაკი; 7. სანაცია; 8. იოლანტა; 9. საია; 10. იავა; 15. ინტერნეტი; 16. ჯონი; 17. ბრაზავილი; 19. გობი; 21. ბანდურა; 22. ლიბერია; 23. ნადავლი; 25. გალიერა; 26. ნიუანსი; 27. ინდიანა; 28. თითა; 29. ვარია; 30. ისლი.

13/II
სავსე მთვარე

**თარაზულად:** 7. სახალხო კრება ძველ საბერძნეთში; 8. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 9. მარჯნის კუნძული; 10. ყირიმის კურორტი; 11. სიკო დოლიძის ფილმი; 14. მედლის წინა მხარე; 17. ქართველი პოეტი; 20. სინათლის ძალის ერთეული; 21. მომხიბლავი, მომაჯადოებელი სანახაობა; 22. მამაკაცის ყველაზე მაღალი სასიმღერო ხმა; 23. შეძახილი კორიდაზე; 24. იგივეა, რაც კონტინენტი; 26. გადაცემა „ფსიქოს“ ავტორი და წამყვანი; 27. შეუწველი, მოუხარშავი; 28. წითელი ხორცოვანი ამონაზარდი მამლის თავზე; 30. ბუნების დამანგრეველი მოვლენა; 31. სანიმუშო ნაწარმოებთა ერთობლიობა; 33. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელი; 36. ამერიკის ტყეებში გავრცელებული ჩანთოსანი ცხოველი; 37. ჩოხის ქვეშ ჩასაცმელი, წელში გამოყვანილი სამოსი.

**შვეულად:** 1. უგანდის დედაქალაქი; 2. იტალიელი ფერმწერი; 3. ძვირფასბეწვიანი მოზრდილი მღრღნელი; 4. წვრილი ჩხირი; 5. უარის თქმა ვალის გადახდაზე; 6. ნაგებობა, რომელიც გზას უღობავს წყალს და ამაღლებს მის დონეს; 11. იგივეა, რაც კნოპი; 12. დაკოდილი მამალი ცხვარი; 13. კათოლიკური დედათა მონასტრის წინამძღვარი; 15. სახელმწიფო აზიაში; 16. ძალიან იშვიათი რამ; 18. უმცროსი მედიცინის მუშაკი; 19. ერთგვარი მოკლელულიანი მსუბუქი თოფი; 25. ქრისტეს გამყიდველი; 26. ამერიკელი კინომსახიობი; 29. ამერიკის შტატი; 30. პლანეტის თანამგზავრი; 32. ლაშქარი; 34. სასწავლო დაწესებულება; 35. სახელმწიფო წყნარ ოკეანეში.

*შეადგინა ვანო კაჭახიძე*




## დუგლასი იახტას გამოემშვიდობა



მაიკლ დუგლასის ორგემბანიანი იახტა, რომელიც 10 მილიონი დოლარი ღირს, ტეხასის ქალაქ გალვესტონის პორტიდან მოიპარეს. იმ დეტექტივების თქმით, რომლებიც ამ დანაშაულს იძიებენ, იახტას ალბათ მექსიკაში გადაიყვანენ, სადაც მეოთხედ ფასად გაყიდიან. პოლიციამ სცადა ალმოეჩინა იახტა მასზე დამონტაჟებული ნავიგაციური თანამგზავრული მოწყობილობის მეშვეობით, მაგრამ სამწუხაროდ ის გამორთული აღმოჩნდა — როგორც ჩანს, ბოროტმოქმედები პროფესიონალურად იყვნენ მომზადებულები. თავად მსახიობი ძალზე დამწუხრებულია. იახტა მთელ მის ოჯახს ძალიან უყვარდა.

## დეპარდიე თბილისში ქართულ ღვინოს დააჭაშნიკებს!



როგორც ჩანს, ცნობილმა ფრანგმა მსახიობმა ჟერარ დეპარდიემ „პენსიაზე გასვლის“ შემდეგ მოიცალა და საქართველოში მოგზაურობა გადაწყვიტა. როგორც საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსისგან“ ექსკლუზიურად გახდა ცნობილი, საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის მოწვევით ფრანგი კინოვარსკვლავი უახლოეს მომავალში თბილისში ჩამოსვლას აპირებს. „კვირის პალიტრა“ ამ ვიზიტის უშუალო ორგანიზატორს, საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატაში შექმნილი ახალი დეპარტამენტის ხელმძღვანელს, მომღერალ **ია ჩანტლაძეს** ესაუბრა.

— ახლახან დავბრუნდი პარიზიდან, სადაც დეპარდიესთან მოლაპარაკებას ვაწარმოებდი. ეს ვიზიტი დაკავშირებულია საქართველო-საფრანგეთი-ისრაელის ერთობლივ მნიშვნელოვან ბიზნესპროექტთან.

— **ჩვენი მომავალი სტუმარი საქართველოს იცნობს?**

— დიახ, პიერ რიშარისგან იცნობს ჩვენს ქვეყანას. იცის ჩვენი კულტურისა და ხელოვნების შესახებ. მას ასევე სმენია ქართული ღვინის ხარისხისა და გემოს თაობაზეც. დეპარდიეს საკუთარი ვენახები და მარნები აქვს და საერთოდ დაინტერესებულია სხვადასხვა ქვეყანაში ღვინის წარმოებით. შეხვედრისთანავე გადავეცი ყანწი და ავუხსენი, რომ თუ იგი შეეცდება ამ ჭურჭლით ღვინის სმას, კარგი დღე არ დაადგება. გაოცებული დარჩა. პირველად ნახა ჩვენებური ორიგინალური სასმისი. ერთი ყანწი ვაჩუქე და ვუთხარი, თბილისში ჩამოსვლისას კიდევ გაჩუქებთ და „ვახტანგურის“ საიდუმლოსაც აგიხსნით-მეთქი. ეგ რას ნიშნავსო, დაინტერესდა. ვუთხარი, რომ ამ საიდუმლოს გასაგებად თბილისში ჩამოსვლა იყო აუცილებელი.

— **როდის არის დაგეგმილი სტუმრობა?**

— უახლოეს მომავალში, ჯერ დეტალები დაზუსტებული არ არის. ასევე ვადგენთ მასპინძლობის გეგმებს. დეპარდიე უნდა შეხვდეს მთავრობის წარმომადგენლებსაც.

— **როგორ გამოიყურება მსახიობი, თუ უცხოურ პრესაში მისი მენეჯერების მიერ გაკეთებულ განცხადებებს დავუჯერებთ, კინოში მოღვაწეობაზე უარი იმიტომ განაცხადა, რომ დაიღალა.**

— დაღლილი ნამდვილად არ ჩანს, თუმცა, შესამჩნევად გამხდარია. უნდა აღვნიშნო, რომ საოცრად უშუალო და მიმზიდველი პიროვნებაა.

P.S. მიუხედავად იმისა, რომ ია ჩანტლაძე არ გვიმხელს დეპარდიეს სტუმრობის ნამდვილ მიზანს, სავარაუდოდ, ეს პროექტი ღვინის ბიზნესს უკავშირდება და არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში ღვინის ბაზარზე ერთობლივად წარმოებული ახალი ბრენდი სწორედ დეპარდიეს სახელით გამოჩნდეს.

*ეკა ლომიძე*

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთ. რედაქტორი გიორგი თევდორაშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, ლია იაკობაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com
www.kvirispalitra.ge

სარეგისტრაციო ნომერი © 1518

„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.